

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

.

დავით გურამიშვილის სახელობის ქართულ-უკრაინულ  
ურთიერთობათა საერთაშორისო უნივერსიტეტ „იბერიას“  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული  
სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

**მედეა ბენდელიანი**

# **მართლმადიდებელი ეკლესია და პოლიტიკა უკრაინაში**

(საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქა)

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2009

წინამდებარე ნაშრომში ისტორიოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით წარმოდგენილია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინის სახელმწიფოებრივი და ეკლესიური განვითარების ისტორიული პროცესები.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისა და უკრაინის საეკლესიო ისტორიით დაინტერესებული ფართო წრისთვის.

**რედაქტორები:**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ქ. პავლიაშვილი**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დ. ჩიტაია**

**რეცენზენტები:**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნ. კალანდია**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯ. ანჩაბაძე**

**წიგნი ეძღვნება ამაგდარი მამის,  
სანდრო (ალექსანდრა) ბანდელიანის ნათელ ხსოვნას.**

© მედეა ბენდელიანი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009

ISBN 978-9941-10-152-6

## შესავალი

აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ცივილიზაციათა შესაყარზე უკრაინას იმთავითვე განესაზღვრა გეოპოლიტიკურ-გეოსტრატეგიული დანიშნულება მსოფლიოს სივრცეში. ამ ფაქტორმა შეუქმნა მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოებს უკრაინისადმი დამოკიდებულება და ამ უკანასკნელს ერთობ სახასიათო ისტორია შეუქმნა. ეს ისტორია კი მეტყველებს, რომ უკრაინის არსებობისა და მისი განვითარების სამომავლო ბედში აშკარად იყო ჩართული საერთაშორისო ინტერესებით განსაზღვრული ყველა მძლავრი სახელმწიფოს საგარეო მისწრაფებები, მისით გაჯერებული სამოქმედო უამრავი გეგმა-პროექტი. ყოველივე ზემოაღნიშნული, პირდაპირ, თუ ირიბად უაღრესად მნიშველოვან როლს ასრულებდა უკრაინელი ხალხების კულტურის, სახელმწიფოებრიობისა და სარწმუნოების შემდგომ განვითარებაში.

საერთაშორისო მასშტაბით შექმნილი სხვადასხვა სახის და სხვადასხვა პროექტების გარემოებანი, საუკუნეების მანძილზე უკრაინელ ხალხს თავისთავადობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის განსხვავებულ მეთოდოლოგიას უმუშავებდა. ეს უკანასკნელი მიმართული იყო იმგვარი მენტალობის ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც უკრაინას გადარჩენის გზას აჩვენებდა, მისი ძიებისკენ წარმართავდა მოსახლეობის მთელ შინაგან ენერგიას.

საუკუნეების მანძილზე, თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მეცადინეობამ, უკრაინელ ხალხს საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლისკენ უბიძგა. აღნიშნულმა კი ის საკუთარი იდეოლოგიის ფორმირების აუცილებლობამდე მიიყვანა, მაგრამ დასახულ იდეას (სხვადასხვა პოლიტიკურ გარემოში მოხვედრის გამო მ.ბ.) განხორციელება არ ეწერა.

უკრაინისადმი რუსეთის სახელმწიფოს მზარდ პოლიტიკურ ინტერესებში გარკვევისთვის აუცილებლად მივიჩნევთ რუსული საეკლესიო გლობალიზაციის პროექტის არსში გარკვევას.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკისთვის დამახასიათებელი იყო საეკლესიო გლობალური პროექტების შემუშავება. ასეთი სახის პროექტებისადმი ინტერესი განპირობებული იყო თავად რუსეთის სახელმწიფოს იდეოლოგიით, რომლის წარმმართველი ძალაც იყო რუსული მართლმადიდებლობა და რუსული ეკლესია. ეს უკანასკნელი რუსული იმპერიალისტური თვითმპყრობელური პოლიტიკის დამცველ-გამტარებელი იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ყველა იმ ხალხში, რომელზე ბატონობის პრეტენზიასაც რუსული სახელმწიფოებრიობა აცხადებდა.

მართლმადიდებლური ქრისტიანობის დამცველის ეგიდით საერთაშორისო ასპარეზზე გამოსული რუსეთისთვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ერთიან, გლობალურ სამყაროზე ბატონობას. რუსული გლობალიზაციის პროექტში იმთავითვე სერიოზული ადგილი დაიკავა უკრაინის ფაქტორმა, რომელზე ინტერესსაც რუსეთი მისი (უკრაინის) კათოლიკური ვატიკანისაგან „დახსნის“ სურვილით ნიღბავდა. რუსული გლობალიზაციის გეგმა განსაკუთრებული დახვეწილობით გამოირჩეოდა, რომელიც ეპოქების შესატყვის ევოლუციურ პროცესებს განიცდიდა. მასში აქტიური როლი მიენიჭებოდა საეკლესიო დიპლომატიას, რომელმაც მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარმართა: აღმოსავლეთ ევროპისკენ, მახლობელ აღმოსავლეთისკენ და კავკასიისკენ.

აღმოსავლეთ ევროპის ე.წ. ჭიშკარს რუსეთისათვის უკრაინა წარმოადგენდა და მისი „გადარჩენისთვის“ მიდგომის ფორმაც ყოველ ეპოქაში შესაბამის ცვლილებას განიცდიდა.

წინამდებარე პრობლემაზე მუშაობამ ცხდყო, რომ XXს-ის უკრაინის კულტურულ მოდერნიზაციაში ყველაზე რთული სფერო რელიგია აღმოჩნდა. რადგან უკრაინის კონფესიური მრავალფეროვნება (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი მ.ბ.) როგორც დროებითი ხელისუფლების მმართველობის, ასევე საბჭოთა იმპერიისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. ქვეყანაში მოქმედი ძალები: (დროებითი მთავრობა, კონტრევოლუციურ-თეთრგვარდიული, ბოლშევიკური და დემოკრატიული რუსეთი) უკრაინას კვლავინდებურად მოიაზრებდნენ რუსეთის სახელმწიფო საზღვრებში, იმუამად უკვე „ახალი რუსეთი“ იურისდიქციაში.

ზემოაღნიშნული ძალები ძირითადად ეყრდნობოდა რუსეთის ეკლესიას და აქედან გამომდინარე, მათი ინტერესების შესატყვის საეკლესიო გლობალიზაციის პროექტებს ჰქმნიდა.

უკრაინელი ერისთვის არც ერთი ცივილიზაცია მისაღები არ ყოფილა, რადგან მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მხოლოდ ნაციონალური ნიშნის მატარებელი ავტოკეფალური ეკლესიის მეშვეობით იყო შესაძლებელი. ამ ბრძოლაში განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უკრაინელი ეროვნულად განწყობილი სამღვდელთა საბჭოთა ეპოქაში შეხვდა.

ერთი შეხვედით ავტოკეფალიის მოპოვებისთვის საუკეთესო პირობები მეორე მსოფლიო ომის დროს უნდა ყოფილიყო. თუ აღნიშნულმა საქართველოსთან მიმართებაში გაამართლა(1943წ.) უკრაინისთვის ეს წარმოუდგენელი შეიქმნა, რასაც თავისი გამართლება გააჩნდა. უკრაინის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ განსაზღვრა მისი ავტოკეფალიისთვის ბრძოლის წარუმატებლობა.

უკრაინაზე კვლავინდებურად პრეტენზიები გააჩნდა ორ პოლიტიკურად დაპირისპირებულ ბანაკს (საბჭოთა და კაპიტალისტურს), რომელიც განხორციელდა ქრისტიანობის სამ ურთიერთდაპირისპირებულ მიმართულებაში: პროტესტანტიზმი, კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა. ყოველივეს ისიც უნდა დავურთოთ, რომ რუსეთისთვის მართლმადიდებლურ ქრისტიანობას რუსული იმპერიალიზმის ნამყვანი დატვირთვა ჰქონდა. ამ დროისთვის რუსეთს უკვე დასრულებული ჰქონდა შიდა საეკლესიო მოდერნიზაციის პროცესი და რადგან მისთვის ნაციონალისტური რესპუბლიკები კატეგორიულად მიუღებელი იყო, იგი ვერ დაუშვებდა ავტოკეფალური ეკლესიების არსებობას და მისაღები იქნებოდა მხოლოდ განახლებული საეკლესიო სისტემების დანერგვა. უკრაინის ტრადიციულმა ეკლესიამ საბჭოთა რუსეთის ამ მცდელობას კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია. მეორეს მხრივ რუსეთი ერიდებოდა მსოფლიო ომის პირობებში ევროპის ქვეყნების დაპირისპირებას და მათი გულის მოგების მიზნით უკრაინის ეკლესიას ავტოკეფალიას არ ანიჭებდა. ამავდროულად, რადგანაც იმ ეტაპზე (ომის პერიოდში) უკრაინელი ავტოკეფალისტების მიმართ აშკარა და რადიკალურ პოლიტიკას ვერ მიმართავდა, ამჯობინებდა სახელმწიფოს ცენტრალური ეკლესიის (რუსული მართლმადიდებლური ეკლესია) გაძლიერებითა და მისი უფლებების „გაფართოებით“ დაპირისპირებოდა ქვეყნის გარეთ მოქმედ ანტისაბჭოურ ეკლესიას, რაც უნდა გამოხატულიყო ემიგრანტული (რუსული, უკრაინული, ქართული და სხვათა)სამრევლოების მის სისტემაში შემომტკიცებით. აღნიშნული პილიტიკის რეალიზაციის მიზნით, საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი მთავრობის მცდელობაა შიგნით,- კავშირში, ავტონომიურ ეკლესიათა აბსოლუტური დაქვემდებარება რუსულ ეკლესიაზე, რომლებიც საერთო საბჭოურ ინტერესებს გაატარებდნენ და მსოფლიოში საბჭოთა კავშირს ავტორიტეტს შეუქმნიდნენ. ზემოაღნიშნული ითვალისწინებდა ქართული ეკლესიის საკითხსაც. საბჭოთა მთავრობა მისთვის ნაცადი ფრთხილი ხერხებით იბრძვის ქართული ეროვნული ეკლესიის რუსულ ეკლესიასთან შემომტკიცებისთვის და ამ საქმეში იძულებულია გაითვალისწინოს ამ უკანასკნელის დიდი ხნის მისწრაფება –ავტოკეფალიის აღიარება.ხელისუფლება ცდილობს მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რაც ქართველ სასულიერო მოღვაწეთ შეუქმნიდა ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას, ფაქტიურად კი, მას რუსული ეკლესიისა და საერო ხელისუფლების სასარგებლო იარაღად აქცევდა. ამ მიზნით საკავშირო სახკომსაბჭოსთან დაარსდა ეკლესიის საქმეთა საბჭო, რომელთა შეუთანხმებლად რეგიონალურ ეკლესიებს სა-

შუალევა არ ეძლეოდათ დამოუკიდებლად გადაწყვიტათ საშინაო საკითხები.

XXს-ის 80-იან წლებში სსრ კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში შექმნილმა კრიტიკულმა სიტუაციამ საბჭოთა ხელისუფლება აიძულა რომ საშინაო და საგარეო პოლიტიკა შეეცვალა. აღებულ იქნა „გარდაქმნის“, „დემოკრატიზაციის“ და „საჯაროობის“ კურსი. აღნიშნულმა მოვლენამ თავისთავად გამოიწვია ცალკეულ რესპუბლიკათა მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ.

1991 წლის 24 აგვისტოს უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო აქტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც 1991 წლის 1 დეკემბრის რეფერენდუმით უკრაინის მოსახლეობამ დაადასტურა.

აღნიშნულ მოვლენას წინ უსწრებდა უკრაინელი სამღვდესოების ბრძოლა საეკლესიო დამოუკიდებლობისთვის, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ემიგრაციული უკრაინის ეკლესია და რომლის მეთაურიც იმჟამად აშშ-ში იმყოფებოდა.

თვითმონესეობის აღდგენისთვის უკრაინის ემიგრანტული ეკლესიის თითქმის ნახევარსაუკუნოვან ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლაში. მან შეასრულა ისტორიული როლი ეროვნულ ცნობიერება-შეგნების გასაღვივებლად და გარდაქმნისა და საჯაროების პირობებში შეძლო ეროვნულ ეკლესიას საკუთარი უფლებების მოპოვებისთვის ბრძოლაში სათავეში ჩადგომოდა.

ემიგრანტული ეკლესია თავს მოვალედ რაცხდასაზოგადოებისთვის შეეხსენებინა, რომ ქვეყნისთვის როგორც ეროვნული ეკლესიის აღდგენა იყო მნიშვნელოვანი, ასევე სასიცოცხლოდ აუცილებელი ეროვნული ხელისუფლების არჩევა, რომელიც ერთობლიობაში უკრაინის ახალი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის გარანტი იქნებოდა.

როგორც ისტორიულმა პროცესებმა აჩვენა ახალი სახელმწიფოს სათავეში მოსულმა უმაღლესმა საერო ხელისუფლებამ ავტოკეფალურ მოძრაობას მხარი დაუჭირა და ემიგრანტული ეკლესიიდან პატრიარქიც კი აირჩია, მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა. მოგვიანებით უკრაინის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ალტერნატიული საეკლესიო ორგანიზაციების გაერთიანების მიზნით ჩამოყალიბდა ორგანიზაცია, - უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია, - კიევის საპატრიარქო, რომელიც საკუთარი იურიდიული უფლების აღიარებისთვის დღემდე იბრძვის.

## I კარი

### უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია XX ს-ის დასაწყისში

#### I თავი

#### უკრაინის ავტოკეფალისტების ბრძოლა საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის და ბოლშევიკების სახელმწიფოს სარწმუნოებრივი პოლიტიკა (XX ს-ის 20-30 წ.წ.)

1917 წლის 2 მარტს, თებერვლის რევოლუციის შედეგად, იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. პეტერბურგში დროებითი მთავრობა ჩამოყალიბდა. ადგილებზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები იქმნებოდა.

დროებითი მთავრობის ორგანოების პარალელურად, უკრაინელი პოსტუოვოცების ამხანაგობის ინიციატივით, კიევში უკრაინის ცენტრალური რადა შეიქმნა, სადაც უკრაინელი სოციალ-დემოკრატების, მართლმადიდებელი სასულიერო პირების, სამხედროების, აგრეთვე, კოოპერატიული, კულტურულ-საგანმანათლებლო, სტუდენტური და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები შევიდნენ. რადამ აღმასრულებელი კომიტეტი აირჩია, რომელსაც მალე „მალაია რადა“ ეწოდა.

ცენტრალური რადას მთავარი მიზანი, თავისი არსებობის დასაწყისი იყო უკრაინის ავტონომია, ფედერაციის საფუძველზე, რეფორმირებული რუსეთის შემადგენლობაში. რუსეთის მომავალ იმპერიას ცენტრალური რადა განიხილავდა, როგორც სახელმწიფოების კავშირს.

ამავდროულად, ცენტრალური რადისთვის მნიშვნელოვანი იყო უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიაც, რაც უკრაინის მომავალი სახელმწიფოებრიობის გარანტი უნდა ყოფილიყო.

1917 წლის მაისში პეტროგრადში გაიმართა ცენტრალურ რადას მოლაპარაკება დროებით მთავრობასთან და პეტროგრადის საბჭოსთან უკრაინის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკლესიური ავტონომიის ოფიციალური აღიარების თაობაზე.

უკრაინელი სასულიერო ფენა, მოწინავე საზოგადოებასთან ერთად, საეკლესიო დამოუკიდებლობაში ხედავდა ქვეყნის (უკრაინის) პოლიტიკურ გათავისუფლებაში გადადგმულ ნაბიჯებს. მათ ასევე გათავისუფლებული ჰქონდათ ის უდიდესი მისია, რომელიც ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე ევალეობდათ და, რომ ყოველივე მძიმე პოლიტიკურ კატაკლიზმებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამდენად, მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა, როცა დროებითმა მთავრობამ ცენტრალური რადა უკრაინელი ხალხის ნების გამოცხადებულად მიაჩნია.

1917 წლის 10 ივნისს, II ყრილობაზე, ცენტრალურმა რადამ თავისი I უნივერსალი გამოაქვეყნა, რომლითაც უკრაინის ავტონომია გამოცხადდა, ცენტრალური რადა კი უმაღლეს სახელმწიფო ორგანოდ იქნა აღიარებული. 15 ივლისს, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, პირველად შეიქმნა უკრაინის მთავრობა — გენერალური სამდივნო, რვა გენერალური მდივნისა და გენერალური მწერლის შემადგენლობით. გენერალურ სამდივნოს სათავეში ჩაუდგა უკრაინის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მოღვაწე, მწერალი ვ.ვინჩენკო.

აღნიშნული პოლიტიკური მოვლენების პარალელურად (1917 წ.) აქტიურად დაიწყო ბრძოლა საეკლესიო დამოუკიდებლობის მიმართულებით, მაგრამ ავტოკეფალურ მოძრაობას წინ უამრავი დაბრკოლება ელობებოდა.

გაზაფხულსა და ზაფხულში რუსეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გართულებამ დროებითი მთავრობის ძალაუფლების შესუსტება გამოიწვია. კიევში დროებითი მთავრობისა და ცენტრალურ რადას დელეგაციის ახალი მოლაპარაკებები გაიმართა. 3 ივლისს გამოქვეყნდა ცენტრალური რადას II უნივერსალი, რომელშიც საუბარი იყო სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების აღიარების შესახებ (მას უნდა განემტკიცებინა იკრაინის ავტონომია); აგრეთვე, ცენტრალურ რადასა და გენერალურ სამდივნოს შემადგენლობის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით შევსების შესახებ. უკრაინის ავტონომია, ვერ იქნებოდა რეალიზებული დამოუკიდებლად, დაფუძნებელი კრების მიერ მის დამტკიცებამდე. ამავდროულად, მძიმე ვითარება შეიქმნა საეკლესიო თვალსაზრისითაც. რუსეთის ეკლესია (პატრიარქი ტიხონი) და უკრაინის საეგზარქოსო მკვეთრად უპირისპირდებოდა ავტოკეფალურ მოთხოვნებს უკრაინაში. საუკუნეების განმავლობაში რუსეთის ეკლესია და საერო ხელისუფლება უკრაინის ეპარქიებში ეპისკო-

პოსებად ეთნიკურ რუსებს ნიშნავდნენ, რომლებიც ნაციონალური შოვინიზმით გამოირჩეოდნენ და ამდენად, პოლიტიკურად უკვე თავისუფალ უკრაინაში, ეპისკოპოსები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ საეკლესიო დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ რთულ ვითარებაში სამღვდელთაში თავი იჩინა ეროვნული საქმისადმი დამოკიდებულების არაერთგვაროვნების ფაქტებმა. ერთ დროს ცარიზმის პოლიტიკის გატარების სამსახურში, საკუთარი კეთილდღეობისათვის მოწოდებული უკრაინელი საზოგადოების ერთი ნაწილი ავტოკეფალიის მოთხოვნას არ ითავისებდა, ან კიდევ მიკერძოებული შეხედულებანი გააჩნდათ ზემოხსენებული საკითხის ირგვლივ.

აღნიშნული პერიოდის მართლმადიდებლური სასულიერო კრებული უკრაინაში, პირობითად, სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს, რომელთაც ერთმანეთისაგან განსხვავებული დამოკიდებულება-შეხედულებანი გააჩნდათ ეროვნული ეკლესიის თვითმონესეობის დადგინებასთან მიმართებაში.

პირველ ჯგუფში გაერთიანებული იყო ცარიზმის სამსახურში მდგომი სამღვდელოება, რომლებსაც, არსებული რეჟიმით კმაყოფილთ არ აწუხებდათ ავტოკეფალიის საკითხი; და რადგან არსებული მართვა — გამგეობისაგან მეტს ელოდნენ, მისდამი ერთგულებასა და მორჩილებას ამჟღავნებდნენ.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებოდა სამღვდელოების ახალგაზრდა თაობა, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე ავტოკეფალური მოძრაობის დაწყების პერიოდში გამოვიდა და რომელიც ვერ ერკვეოდა, რას ნიშნავდა დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა;

მესამე ჯგუფია უფრაინის სასულიერო და საერო ფენა, რომელიც, ეროვნულ ფესვებს მოუწყვეტლად განიცდის ტრადიციული (მართლმადიდებლური) ეკლესიის დევნა-შევიწროებას ყოველი მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ უკრაინელი ავტოკეფალისტების მოძრაობის თანხვედრი იყო რუსეთის სამღვდელოების მღვდელთა რუსული ეკლესიის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობისათვის. XX ს-ის დასაწყისისათვის რუსეთის სასულიერო ორგანოს-უწმინდეს სინოდს, თითქმის საუკუნოვანი კოლეგიალური მმართველობის ფორმა გააჩნდა, რომელიც XVIII ს-ის 20-იანი წლების საეკლესიო რეფორმის საფუძველზე თვითმპყრობელობას მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეოლოგიური ქსელებით დაუკავშირდა. ამ

დროიდან უნმინდესი სინოდი ცარიზმის მმართველობის მანქანის განუყოფელ ნაწილად იქცა და მისი ძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა. თვითმპყრობელობისა და ეკლესიის თანამშრომლობა მთელი ამ ხნის მანძილზე აქტიურ და ნაყოფიერ ხასიათს ატარებდა: სინოდი ინტენსიურად ერეოდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც იმპერიაში მის ავტორიტეტს ზრდიდა და მას განსაკუთრებულ მდგომარეობას ანიჭებდა, მართალია, რუსული მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ნიადაგზე უკანასკნელისაგან უხვი პრივილეგიებით სარგებლობდა და ქვეყნის მმართველობითი სისტემა, მისი სიმტკიცე მართლმადიდებლურ მრწამსსა და მის ეკლესიაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ რუსი სამღვდლოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი ვერ ეგუებოდა საერო ხელისუფლებაზე დამოკიდებულებას, მისი საეკლესიო თვითმონესვების ალაგმვას, პატრიარქობის სოციალური ინსტიტუტის მოსპობას, ხალხში სულიერი მოძღვრის ფუნქციის დაკარგვას და ყოველ შესაფერის შემთხვევაში ოპოზიციურ მდგომარეობას იკავებდა საერო ხელისუფლებასთან მიმართებაში. რუსეთის იმპერიაში მიმდინარე რევოლუციური ვითარებანი საამისოდ კარგ შესაძლებლობას იძლეოდნენ. შიქმნა ისეთი ვითარება, რომ რუსეთისა და ყოფილი იმპერიის საზღვრებში მოქცეული მართლმადიდებელი ეკლესიების უფლებააყრილი მდგომარეობა ერთობლივი მიზნისთვის გაერთიანებას ითხოვდა; ყველა ეკლესიას თავიანთი ობიექტური დამოკიდებულება უნდა გამოეხატათ სახელმწიფოსადმი. აქედან უკრაინის ტრადიციული (მართლმადიდებლური) ეკლესიის ამოცანაა გათავისუფლდეს რუსული ეკლესიის ბატონობისაგან და ყოფილი კიევის მიტროპოლიის ბაზაზე მოიპოვოს ავტოკეფალია. აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, უამრავი დაბრკოლება გამოუჩნდა.

1918 წლის დასაწყისში უკრაინაში ორი ხელისუფლება და ორი მთავრობა ჩამოყალიბდა. 1918 წლის 9 იანვარს მალაია რადამ IV უნივერსალი მიიღო, რომლის თანახმადაც უკრაინა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. საპასუხოდ იანვრის შუა რიცხვებში დაიწყო საბჭოთა ჯარების შეტევა კიევზე. წითელი არმიის შეჩერების მცდელობა კიევის მისადგომებთან – ბასმართან და კრუტთან წარუმატებელი აღმოჩნდა. 300 კიეველი სტუდენტი და გიმნაზისტი კრუტთან ალყაში მოჰყვა და დაიღუპა. 26 იანვარს საბჭოთა ჯარებმა კიევი აიღეს.

20 ნოემბრიდან ბრესტ-ლიტოვსკში, გერმანიის ჯარების შტაბში, სამშვიდობო მოლაპარაკებები გაიმართა. 2 დეკემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას ზავის დადების შესახებ. 9 დეკემბერს დაიწყო მოლაპარაკებები მშვიდობის დამყარების თაობაზე. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, უკრაინის სახალხო რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად იქცა და გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, ბულგარეთისა და თურქეთის მიწვევით, მოლაპარაკების პროცესს შეუერთდა.

უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია მოლაპარაკებაზე უკრაინის ერთიან რეპრეზენტანტად იქნა აღიარებული – თუმცა კი, საბჭოთა რუსეთი სამშვიდობო ხელშეკრულების ვადას აჭიანურებდა, რადგან ეს უკრაინის დაკარგვას ნიშნავდა. უკრაინაზე კონტროლის დამყარების შემდეგ, რუსეთმა საზავო დელეგაციის შემადგენლობაში უკრაინის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები ჩართო და ცენტრალურ რადას არაკანონზომიერების შესახებ გამოუცხადა. მოკავშირეები აცხადებდნენ, რომ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარებისთვის ყველა საფუძველი არსებობდა.

1918 წლის 27 იანვარს უკრაინის სახელმწიფო რესპუბლიკასა და გერმანული ბლოკის ოთხ სახელმწიფოს შორის ხელი მოეწერა ბრესტის საზავო ხელშეკრულებას. ზავის თანახმად, უკრაინის სახალხო რესპუბლიკასა და ავსტრო-უნგრეთს შორის საზღვარი ავსტრიასა და რუსეთს შორის ომამდელი საზღვრის მიხედვით დგინდებოდა. საზღვარი პოლონეთთან სპეციალური კომისიის მიერ უნდა დადგენილიყო.

1918 წლის თებერვლის ბოლოს გერმანიის ჯარებმა მთელ ფრონტს შეუტიეს ბალტიის ზღვიდან კარპატებამდე. ოდესის მიმართულებით საომარი მოქმედებები ავსტრია-უნგრეთის დივიზიებმა დაიწყეს. მარტის შუა რიცხვებისთვის სამხრეთის ყველა ქალაქი იქნა აღებული. აპრილის დასაწყისში ბოლშევიკებმა ეკატერინოსლავი და ხარკოვი დატოვეს.

ფორმალურად ისევ აღსდგა ცენტრალური რადას ხელისუფლება, მაგრამ ფაქტიურად ეს იყო ოკუპაცია. დაკავებული ტერიტორია ორად გაიყო: ავსტრია-უნგრეთმა ვოლინის, პოდოლსკის, ხერსონისა და ეკატერინოსლავის გუბერნიები დაიკავა, ყველა დანარჩენი კი გერმანიას ერგო.

ცენტრალურმა რადამ დაადასტურა თავისი ადრემილებული კანონების ქმედობითობა, მათ შორის კანონი მიწის სოციალიზაცი-

ის შესახებ. მაგრამ სიტუაცია არ შეიცვალა. საოკუპაციო ხელისუფლების მფარველობით გათამამებული მსხვილი მინათმფლობელები შეტევაზე გადავიდნენ და კონფისკებული საკუთრების დაბრუნებას შეეცადნენ. რადას უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა, რამაც, საბოლოო ჯამში გადატრიალება გამოიწვია. ამის მიზეზი იყო რადათი მოსახლეობის იმედგაცრუება, რომელმაც ვერ შეძლო მათი დაცვა უცხო ჯარების ძარცვისაგან.

1918 წლის აპრილში გამართულმა მინის მესაკუთრეთა ყრილობამ პავლე სკოროპატსკი უკრაინის ჰეტმანად დაასახელა. იგი მეფის რეჟიმის დროს ნიკოლოზ II-ის ადიუტანტად მსახურობდა და ომის დროს საკმაოდ ავტორიტეტული გენერალიც იყო. რევოლუციის დასაწყისში მან თავისი სამხედრო შენაერთების უკრაინიზირება მოახდინა და როცა ცენტრალურმა რადამ უარი თქვა მის მომსახურებაზე, „თავისუფალ კაზაკთა“ მეთაურად იქნა არჩეული.

ცენტრალურ რადას დაშლის შემდეგ ჰეტმანმა უკრაინის სახელმწიფოს შექმნა გამოაცხადა. ახალი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა მონარქიის, რესპუბლიკისა და დიქტატურის ელემენტების გაერთიანებას ეფუძნებოდა. ცენტრალური რადას „სოციალისტური ექსპერიმენტები“ გაუქმდა. შეჩერებულ იქნა აგრეთვე დიდი მამულების ნაციონალიზაცია და კულტურული ავტონომია. ჰეტმანი დიქტატორული უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი: პირადად გამოსცემდა კანონებს, მართავდა საგარეო პოლიტიკას და სამხედრო საქმეს, იყო ქვეყნის უმაღლესი მოსამართლე.

თავისი მმართველობის პერიოდში, ჰეტმანმა საკმაოდ რთულ პირობებში მოახერხა მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა. მათ შორის უნდა აღინიშნოს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება 12 ქვეყანასთან. 1918 წლის ივნისში სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა საბჭოთა რუსეთთან და უკრაინის სახელმწიფოს აღიარება ამ უკანასკნელის მიერ.

განსაკუთრებით შესამჩნევი იყო წარმატებები მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგში. ჰეტმანურმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რუსულენოვანი სკოლები უკრაინულენოვანად კი არ გადაკეთებულიყო, არამედ შექმნილიყო ახალი უკრაინულენოვანი სკოლები, მატერიალური ბაზით და კვალიფიცირებული პედაგოგებით. გაიხსნა 150 ახალი უკრაინულენოვანი გიმნაზიები, გამოიცა რამდენიმე მილიონი უკრაინული სახელმძღვანელო, დაარსდა ორი უკრაინული უნივერსიტეტი (კიევსა და კამენეც-პოდოლში) მნიშვნელოვან მოვლენად იქცა 1918

წლის 14 ნოემბერს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნება. გარდა ამისა, შექმნა უკრაინის ეროვნული ბიბლიოთეკა, უკრაინის ისტორიული მუზეუმი, ხელოვნების ეროვნული გალერეა, უკრაინის დრამისა და ოპერის თეატრი და სხვა.

თავის სასარგებლო კანონების გამოცემას მოელოდა მართლმადიდებლური ეკლესიაც. ჰეტმანური მთავრობა დათანხმდა მართლმადიდებლური ეკლესიის ავტონომიას უკრაინაში.

სწორედ ამ დროს დაიწყო ეკლესიური სოლიდარობა საქართველოსა და უკრაინას შორის.

როგორც ზემოთ ავლინებთ, უკრაინის ეპარქიებში რუსეთის იმპერია მიზანმიმართულად ეთნიკურად რუს ეპისკოპოსებს ნიშნავდა; გამომდინარე აქედან, ავტოკეფალიისთვის მებძოლ უკრაინელ სამღვდელოებს საკუთარი ეპისკოპოსები არ ჰყავდათ, და არც რუსები მოინდომებდნენ მათგან გამოყოფის („სეპარატიზმის“) მოსურნე უკრაინელებისთვის ეპისკოპოსთა კურთხევას. ამდენად, იმ ეტაპზე მნიშვნელოვანი შეიქმნა საქართველოსთან საეკლესიო კავშირების ძიება, საიდანაც შესაძლებლობა მიეცემოდათ საკუთარი ეპისკოპოსების კურთხევა-დადგინებისათვის.

აქ მიზანშეწონილად მივიჩნით მოკლე მიმოხილვა გავაკეთოთ ქართული ეკლესიის ზოგად მდგომარეობასა და უკრაინის ეკლესიისთვის რუსულ ეკლესიასთან ანალოგიურ ვითარების შესახებ.

XX ს-ის 10-იან წლებში გაჩაღებული ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში წამოყენებულ საეკლესიო საკითხს სამღვდელოებასა და ინტელიგენციასთან ერთად მხარი დაუჭირა თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ. ქართული სამღვდელოების მიერ ეროვნული ეკლესიის აღდგენის მოთხოვნისათვის შედგენილ პროგრამა – პეტიციებში აშკარად ხაზგასმით არ არის აღნიშნული ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნა, მაგრამ ეს მოთხოვნები მხოლოდ ეკლესიის დამოუკიდებლობის პრობლემით არ შემოიფარგლებოდა; ქართველი საზოგადოება პირდაპირ აყენებს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან ერთად ეკლესიის გათავისუფლების საკითხსაც, მოუწოდებს ხალხს ამ მეტად აუცილებელი მოვლენის განხორციელებისათვის გაერთიანებისაკენ- ამ მიმართულებით ქართველი ერის სწრაფვა ქვემოთ მოტანილ სიტყვებშია წარმოდგენილი – „რომელი ერთი ქართული საქმე შეედრება თავის ფსიქოლოგიური მნიშვნელობით, თავის კულტურულ-ქონებრივ და ორგანიზატორული შედეგებით, თავის ეროვნულ ღირებულებებით იმ საქმეს, რომელსაც ეწოდება

საქართველოს ეკლესიის უფლებრივი აღდგენა. ნუთუ ეგზომ დიდი ეროვნული საკითხი, რომელიც სფეროებში ლამის მორიგ სარეფორმო საკითხად გადაიქცეს, ქართველი ადამიანის შეგნებაში ეროვნულ საკითხად არ იქნება მიჩნეული? ნუთუ ივერიის ეკლესიის უბედურება ისეთ ეროვნულ ღირებულებად არ უნდა ჩაითვალოს, რომელიც მთელ ქართველობას გარს შემოიკრებს? ამ საქმეში უნდა ჩაებას თვით სამღვდლოება და თავადაზნაურობა, ქალაქის თვითმმართველობა, ნუთუ ეკლესია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის მთელი სულიერ – რელიგიურ სამყაროს ფლობდა, დღეს იმად არ ღირს, რომ ჩვენ ჩვენი პატრიოტული დოქტრინის პატარა ღმერთი ჩავაჩუმოთ და მივუძღვნათ მას მაღალი შეგნება უზადო, უანგარო ეროვნული მოვალეობისა?“

ასეთი მოწოდებით პოლიტიკურ შეხედულებათა დაქსაქსულობა საეკლესიო საკითხში ერთსულოვანი გახდა, რამაც ქართველი სამღვდლოება იმ პერიოდში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიასთან შემოქმედებითად დაახლოვა. თვით უკიდურესი მემარცხენეებიც კი სამღვდლოებას ერთობლივად ეთანხმებოდნენ – აღდგენილიყო ეროვნული სახელმწიფოებრიობა და დაბრუნებოდა ქართულ ეკლესიას ისტორიული ავტოკეფალია.

თანდათან ნათელი გახდა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია არ ითვალისწინებდა საქართველოს ეროვნულ თავისუფლებას. იგი ყოველნაირად ცდილობდა ახალი მართველობითი ფორმით შეენარჩუნებინა თავისი ძალაუფლება არა მარტო საქართველოში, არამედ ცარიზმის პერიოდის მთელ ტერიტორიებზე. რადგან რუსეთში საერო და სასულიერო ძალაუფლება ერთი ინტერესით მოქმედებდნენ, ბუნებრივია, ისინი ამ საქმეში ვერც განსხვავებულ გადანყვეტილებას მიიღებდნენ. სწორედ ამიტომ, რუსეთის მთავრობა ძალაში ტოვებდა უწმინდესი სინოდის კომპეტენციას დამოუკიდებლობის მსურველ ეკლესიებზე (ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს უკრაინისა და საქართველოს საეგზარქოსოები) და ამით ორივე მხარეს, ნებისით თუ უნებლიეთ, ბიძგს აძლევდა გადამჭრელი ღონისძიებებისთვის მიემართად. აღნიშნულით იყო გამოწვეული ქართველი ხალხისა და მოწინავე ინტელიგენციის მხარდაჭერით 1917 წლის 12 მარტს მცხეთის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება. რუსეთის სასულიერო ხელისუფლება, ბუნებრივია, ვერ შეეგუებოდა პოზიციების დაკარგვას კავკასიაში და მოუთხოვდა დროებითი მთავრობისაგან ქართული ეკლესიის ტერიტორიული უფლე-

ბების დაუკმაყოფილებლობას. გაითვალისწინა რა სასულიერო მთავრობის ნება და საკუთარი ინტერესებიც, სცნო საქართველოს ეკლესიის თვითმონესეობა მხოლოდ ნაციონარული უფლებებით. ასეთ გადანყვეტილებას ქართველმა სამღვდლოებამ და მოწინავე საზოგადოებამ პროტესტი გამოუცხადა. მათთვის ცხადი გახდა, რომ ამ მეთოდით რუსული ეკლესია კვლავ თავის კომპეტენციაში ტოვებდა ქართულ ეკლესიას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე, ქართველმა საზოგადოებამ მკაცრად დაგმო სინოდის ზემოაღნიშნული გადანყვეტილება და შენიშნა, რომ ქართული ეკლესიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მის ეროვნულ, ისე ტერიტორიულ ავტოკეფალიას, რადგან რუსეთის ეკლესიას ყოველთვის ექნებოდა საშუალება საქართველოს ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩარეულიყო.

თუ დროებითი მთავრობა საქართველოს ეკლესიასთან დამოკიდებულებაში ნაციონალური ნიშნით დაკმაყოფილებაზე დათანხმდა, უკრაინის ეკლესიასთან მიმართებაში მას სრულიად სხვა მოსაზრება გააჩნდა. სწორედ ამ დროს ემთხვევა, საეკლესიო განახლების გზაზე, უკრაინის ავტოკეფალისტების ეკლესიური სოლიდარობა საქართველოსთან. რადგანაც უკრაინის დამოუკიდებელ ეკლესიას არ ჰყავდა ეპისკოპოსები ამიტომაც, დეკანოზი სტეფანე ორლიკი დაუკავშირდა კათოლიკოს-პატრიარქს ლეონიდე ოქროპირიძეს და სთხოვა ეპისკოპოსების კურთხევა. უწმინდესი ლეონიდე დაეთანხმა და 1921 წელს კიევიდან თბილისში გაემართნენ დეკანოზები სტეფანე ორლიკი და პავლე პოგორლიკო, მაგრამ, სამოქალაქო ომის გამო, მათ საქართველოში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს; ამდენად ეპისკოპოსთა კურთხევაც ვერ შედგა.

1918 წლის 13 ნოემბერს უკრაინის ეროვნულმა საბჭომ შექმნა დირექტორია. დირექტორიის შემადგენლობაში შევიდნენ ვ.ვიანიჩენკო, ს.პეტლიურა, ფ.შვეცი, ო.ანდრეევსკი და ა.მაკარენკო. აჯანყების ძირითად სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ უკრაინელი მსროლელები. 14 დეკემბერს გერმანელებმა კიევი დატოვეს და ქალაქი დირექტორიის ძალებმა დაიკავეს.

1918 წლის 19 დეკემბერს დირექტორია ვინიციდან კიევში გადავიდა. აღდგა უკრაინის სახალხო რესპუბლიკა, 26 დეკემბერს კი დირექტორიამ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის კანონებიც აღადგინა რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო უკრაინელი მართლმადიდებლებისათვის დირექტორიამ ს.პეტლიურას ხელმძღვანელო-



ბით 1919 წელს დააკანონა უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია. 1920 წლის 5 მაისს ავტოკეფალისტებმა და ნაციონალურმა მოძრაობამ უკრაინაში გამოაცხადა საეკლესიო დამოუკიდებლობა. აღნიშნულმა მოვლენამ უკურეაქცია გამოიწვია რუსეთის როგორც საეკლესიო, ასევე საერო ხელისუფლებაში.

რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება, მიუხედავად თავისი მრწამსისა და დამოკიდებულებისა ზოგადად ეკლესიის მიმართ, მტრულად შეხვდა ზემოხსენებულ აქტს, ხოლო რაც შეეხება რუსეთის ეკლესიას, იგი თვლიდა, რომ ავტოკეფალიის გამოცხადება საეკლესიო კანონმდებლობის სრული დარღვევით მოხდა (нез участия епископов) და უკრაინის ავტოკეფალიას კანონიკურად არ მიიჩნევდა, ხოლო რაც შეეხება ს.პეტლიურას მთავრობას მათთან მიმართებაში რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება (მიუხედავად მათ შორის დისპარმონიის არსებობისა) ერთულოვანი იყვნენ და ეძიებდნენ შეფასების დროს შურის საძიებლად. 1921 წელს ავტოკეფალია გამოაცხადა სრულიად უკრაინის საეკლესიო კრებაამც. მეთაურად არჩეულ იქნა ვასილ ლიპკინსკი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლშევიკური ხელისუფლება არ უჭერდა მხარს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას და აღნიშნულ მოვლენას ერთიანი რუსული ეკლესიის გახლეჩის მცდელობად აფასებდა. მაგრამ, როგორც კი ბოლშევიკებმა ხელისუფლება განიმტკიცეს უკრაინაში (1921წ.) რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მისივე ზენოლით, რუსულმა ობნოვნილურმა ეკლესიამ 1923 წელს ცნო ხსენებული ავტოკეფალია.

ხსენებულ კონტექსტში მიზანშეწონილად მივიჩნევთ დაახლოებით წარმოვაჩინოთ „ობნოვნილური“ რუსული ეკლესიის ხასიათი“.

საბჭოთა სახელმწიფოს ფორმირების საწყის ეტაპზე, ბოლშევიკების ლიდერებმა ევროპული ათეისტური აზროვნება სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე აიყვანეს და რელიგიამ „თვითმპყრობელური“ სისტემის გადმონაშთად გამოაცხადეს, რადგან მას სოციალიზმის მნიშვნელობასთან შეუთავსებლობაში მოიაზრებდნენ.

კომუნისტებისათვის საბჭოთა ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეთნოსის სარწმუნოება აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა, მაგრამ განსაკუთრებულად დაუშვებელი მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული ავტორიტეტის მატარებელი იყო საბჭოეთის ყველაზე მრავალრიცხოვან მასაში; რაც ხელსაყრელი აღმოჩნდა კომუნისტებისათვის იმ თვალსაზრისით,

რომ ქრისტიანული ეკლესიის ადგილის დაკავება და დიდძალი მოსახლეობის მიმხრობის სწრაფი და შედეგიანი საშუალება იქნებოდა.

ზემოაღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის ახალმა სახელმწიფომ ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბება რელიგიისა და კონკრეტულად ქრისტიანული ეკლესიის დისკრედიტაციით დაიწყო და საბჭოთა სახელმწიფოს სტრატეგიულ გეგმად აქცია.

მიმდინარე პოლიტიკას განსაკუთრებულ სიმძაფრეს სძენდა რელიგიის საბჭოთა სისტემისადმი ცალსახად სანინალმდეგოდ მუშაობა. ეს უნასკნელი კი შესანიშნავ გამამართლებელ საბაზად იქცა იმ ანტისარწმუნოებრივი უმკაცრესი პოლიტიკისთვის, რომელსაც ატარებდა საბჭოთა ქვეყნის ხელისუფლება.

საბჭოთა სახელმწიფოს ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკა მწვავე ფორმით აისახებოდა ყველა აღმსარებლობის ორგანიზაციათა ცხოვრებაზე.

1922 წლის შემდეგ საბჭოთა მთავრობის სარწმუნოებრივმა პოლიტიკამ გარეგნული იერსახე იცვალა. ეს პერიოდი სტალინური საეკლესიო პოლიტიკის საწყის ეტაპად მოიაზრება, რომელიც განსაკუთრებული სიფრთხილითა და წინდახედულობით გამოირჩევა, თუმცა მას შეტევითი და კომპრომისული ხასიათიც გააჩნია.

სტალინური საეკლესიო მოდერნიზაციის პროექტი ითვალისწინებდა ტრადიციული ეკლესიის რღვევას და ისეთი „ახალი ეკლესიის“ ფორმირებას, რომელიც საბჭოური სისტემის იდეოლოგი იქნებოდა მასებში. ამავდროულად, მუშაობა უნდა გაშლილიყო ხალხში ტრადიციული ეკლესიის ავტორიტეტის შელახვის მიმართულებით. ახალ საეკლესიო კურსს მორწმუნეთათვის უნდა დაენახვებინა, რომ ისტორიული ეკლესია ვერ პასუხობდა თანამედროვე ეპოქას და აშკარად რეფორმაციას ითხოვდა.

საეკლესიო მოდერნიზაციის პროექტის წამყვანი ამოცანა იყო ხელისუფლების მხარდამჭერ სამღვდელთა ჯგუფის შექმნა, რომელიც ტრადიციული ეკლესიის სასულიერო კრებულს დაუპირისპერდებოდა. მთავრობის მომხრე სამღვდელოების ჯგუფის ფორმირებამ ეკლესიაში საფუძველი დაუდო ე.წ. „განახლების მოძრაობას“. მოძრაობა საბჭოთა იმპერიის ისტორიაში შევიდა სხვადასხვა, მაგრამ ერთმნიშვნელოვანი სახელით: „რევოლუციონერები“, „პროგრესისტები“, „რეფორმატორები. მათ ეკლესიას კი, კომუნისტები „ახალ ეკლესიას“ იწოდებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლებისთვის არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილე-

ბელი „განმაახლებლები“-ს პოლიტიკაში აქტიური ჩართვა.

„ახალი ეკლესიის“ სამღვდელეობამ იმთავითვე მიიღო დაკვეთა ხელისუფლებისგან ქრისტიანული მოძღვრების შინაარსისა და ხასიათის შეცვლაზე, ანუ მოძღვრების „შემკობაზე“, კომუნისტური იდეალებით და ამ მიმართულებით ფართო მუშაობა გაშალა. თავის მხრივ, საბჭოთა მთავრობაც ძალას და ენერგიას არ იშურებდა „განმაახლებელთა“ თანადგომისათვის. „განმაახლებელთა ანუ იგივე „ცოცხალი ეკლესიის“ იურისდიქცია მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე განვრცობას არ ითვალისწინებდა: მის დაქვემდებარებაში უნდა მოქცეულიყო საბჭოთა იმპერიის ყველა მართლმადიდებლური ეკლესია, ხოლო მათში გაერთიანებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ეთნოსის მართლმადიდებლური „ცოცხალი ეკლესიის“ მრევლი. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა საბჭოთა ხელისუფლების ზენოლის ფაქტი რუსული „ცოცხალი ეკლესიის“ მხრიდან უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით.

თუ როგორ მიიღო უკრაინის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კომუნისტებისგან ბოძებული ავტოკეფალია, ეს ცალკე კვლევის საგანია; მაგრამ ერთი კი ფაქტია, 1930 წელს, ხელისუფლების ზენოლის შედეგად, უკრაინის ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა, რასაც კომუნისტთა მხრიდან მოჰყვა გაუგონარი რეპრესიები, მთლიანად განადგურდა სასულიერო კრებული, მხოლოდ ერთეულებმა მოახერხეს დევნიდან თავის დაღწევა. მხოლოდ ეპისკოპოსმა იოანემ გააგრძელა ღვთისმსახურება კანადასა და აშშ-ში, სადაც უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის ემიგრანტულმა ნაწილმა მოახერხა ეპარქიის ჩამოყალიბება.

XX საუკუნის 40-იანი წლები მძლავრი პოლიტიკური კატაკლიზმებით აღინიშნა მსოფლიო ისტორიაში. ომმა თავის ორბიტაში მოაქცია მთელი რიგი ქვეყნები, მათ შორის საბჭოთა კავშირი. ომის მიზანს, უპირველეს ყოვლისა, შეადგენდა კომუნისტური რეჟიმის დამხობა და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება. ამიტომ, ომის დაწყების პირველივე დღეებიდან, საბჭოთა ხელისუფლებისთვის დღის წესრიგში დადგა სოციალიზმის მონაპოვრისა და მისი გადარჩენისთვის ბრძოლა. ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებას თვალნათლივ უნდა დაენახებინა მსოფლიოსათვის სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალისტურ წყობასთან შედარებით.

ამ უდიდესი მისიის განხორციელებისათვის, კომუნისტური

პარტია დღის წესრიგში აყენებს კომუნისტური რეჟიმის შენარჩუნების, მასებზე ზეგავლენის გაძლიერებისა და ქვეყანაში წესრიგის დაცვის საქმეს, რისი მეოხებითაც მას უნდა მოეხერხებინა არა მარტო ომში გამარჯვება და საკუთარი ტერიტორიული ფარგლების შენარჩუნება, არამედ მსოფლიოში სოციალისტური ბანაკის გაფართოებაც, რითაც გარკვეულწილად მოამზადებდა ძლიერ დასაყრდენს კაპიტალისტური ბანაკის წინააღმდეგ. ამ გეგმის ნაწილს წარმოადგენდა საზღვარგარეთის რუსული (ემიგრანტული) ეპარქიების ხელში ჩაგდებაც, რომლებიც ანტისაბჭოთა კურსს ატარებდნენ და სოციალიზმის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ.

საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ამ ომში მოწინააღმდეგეთა პოლიტიკაც. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ საბჭოთა იმპერიაში, იძულების სახით, მრავალი რესპუბლიკა იყო გაერთიანებული. მოწინააღმდეგე მხარეს კი ნებისმიერ სიტუაციაში შეეძლო ამ ფაქტის თავის სასარგებლოდ გამოყენება. ხელისუფლება შიშობდა, რომ საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმა და ომის საშინელებანი გამოააშკარავებდა სხვადასხვა ეროვნებათა სწრაფვას სეპარატიზმისკენ. ასეთი საფრთხე, განსაკუთრებით ომის დაწყებისთანავე, უკრაინისთვის გამართულ ბრძოლებში გაჩნდა. მოწინააღმდეგების მიერ საერთაშორისო პრესაში გავრცელებული იმფორმაცია – უკრაინელი ხალხისადმი საბჭოთა ხელისუფლების არალოიალობა რომ არ დადასტურებულიყო, პარტიას ამ მიმართულებით უნდა ჩამოეყალიბებინა განსაკუთრებული მნიშვნელობის იდეოლოგიური სისტემა, რასაც გარკვეულწილად უნდა გაეადვილებინა ნაციონალ-სოციალისტების კაცთმოძულე რასობრივი იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ გონივრული გამოსავალი მოძებნა და მსოფლიოს საერთო მტრის – ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა აღმართა.

საბჭოთა მთავრობისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მსოფლიოში შელახული რეპუტაციის აღდგენა. მას მსოფლიოს ქვეყნებისთვის უნდა დაენახებინა თუ როგორ იბრძოდა კაცობრიობის ვერაგი მტრის - ფაშიზმის წინააღმდეგ და ამ საბაზით, ის ილტვის გერმანიის მოწინააღმდეგე ბანაკთან საერთო ენის გამონახვისაკენ. ასეთი მეთოდით საბჭოთა კავშირი თავს იცავდა ფაშისტური გერმანიისგან და მის წინააღმდეგ ბრძოლას სამამულო ომის სახელით ახორციელებდა.

აღნიშნული პოლიტიკის სისრულეში მოყვანისთვის საბჭოთა იმპერიას ძლიერი იდეოლოგი ესაჭიროებოდა, ამ მიმართებითაც იწყებს ის მუშაობას, ომის დაწყების პირველივე წლებიდან. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა გერმანია უკრაინას დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას ჰპირდებოდა, ხოლო უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიას ავტოკეფალიას. აღნიშნულის დასტურია უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას წარმოადგენდა რეიხკომისარიატის მიერ მართლმადიდებლური საეკლესიო სტრუქტურის ორგანიზება. ამ პერიოდისთვის უკრაინა უკვე დატოვებული ჰქონდა კიევის მიტროპოლიტს ნიკოლოზ იარუშევიჩს, რომელმაც ოკუპაციის დროს თავი მოსკოვს შეაფარა. ბუნებრივია, რეიხკომისარიატის მიერ დადგინებულ საეკლესიო სტრუქტურას ხელმძღვანელი სჭირდებოდა, რომელიც გერმანული ხელისუფლებისგან უკრაინის ეგზარქოსის ტიტულს მიიღებდა და შესაბამისად, მის პოლიტიკას განახორციელებდა. ასეთ იერარქად შერჩეულ იქნა ვოლინის არქიეპისკოპოსი (1940 წ-მდე პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქი) ალექსი (გრომადკო), რომელმაც დააარსა ავტონომიური საეკლესიო მმართველობა (უკრაინის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესია). 8-10 თებერვალს (1942 წ.) ვარშავის მიტროპოლიტის დიონისეს კურთხევით, პინსკში შედგა უკრაინის მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის ეპისკოპოსების კრება პოლიკარპე სიკორსკისა და ალექსანდრე ინოზემცევის შემადგენლობით, რომლებმაც, თავის მხრივ, ხელი დასხეს კიდევ სამ ეპისკოპოსს.

1942 წლის 4 მაისს რეიხკომისარიატის ხელმძღვანელობამ თავის უფლებებში ცნო უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია, მაგრამ აუკრძალა ყოველგვარი ურთიერთობა უკრაინის ნაციონალისტურ ორგანიზაციებთან. რეიხკომისარიატის მცდელობა იყო ალიანსი (უკრაინის ნაციონალური მოძრაობა და უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია) პირველ რიგში, წარემართა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციის წინააღმდეგ დასავლეთ უკრაინაში.

ამრიგად, სამამულო ომის დაწყებისთანავე უკრაინის ტერიტორიაზე ერთდროულად ორი დამოუკიდებელი ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა: დასავლეთში რუსეთის, ხოლო აღმოსავლეთში, გერმანიის მფარველობით, უკრაინის; ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო.

საბჭოთა სახელმწიფოსთვის იმთავითვე იყო ცნობილი, რომ

გერმანული ფაშიზმი უდიდეს იმედს სამღვდელოებაზე ამყარებდა, მით უფრო, რომ ანტისაბჭოური სამღვდელოება სპეცრაზმებს ქმნიდა და მათ ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა საბჭოეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის; ხოლო ფაშისტურ მოძრაობას „რუსეთის გამათავისუფლებელ ნაციონალურ მოძრაობას“ უკავშირებდა. ამასთან, ცნობილი იყო ჰიტლერის ნაშრომის „ჩემი ბრძოლის“ შინაარსიც, სადაც ის რელიგიურ ორგანიზაციებს „თანაბარი ფასოვნების დასაყრდენს“ უწოდებს, მას რელიგიური ნიღბები სასარგებლოდ მიაჩნია ჯაშუშური საქმიანობის დასაფარად“. ასეთი მიზნები პირდაპირ ეხებოდა ეროვნული ეკლესიებისა და სახელმწიფოებრიობის ინტერესებს, რაც ამ უკანასკნელთა ქვეყნის წყობისადმი მწვავე დაპირისპირებას იწვევდა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა ხელისუფლებას ისეთი პოლიტიკური კურსი უნდა შეემუშავებინა, რაც ჰიტლერისეულ მიზნებს მარცხს მიაყენებდა და სსრკ რეგიონალურ ეკლესიებს სახელმწიფო ინტერესებში ჩააყენებდა. სრული პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში საბჭოთა იდეოლოგიამ სრული პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა.

ომის დამთავრებისთანავე უკრაინაში აღდგა საბჭოთა ხელისუფლება. უკრაინის ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას აუკრძალა ყოველგვარი ქმედება, მისი სასულიერო კრებული დაექვემდებარა რეპრესიებს, ხოლო სამრევლოები გადაეცა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას, ისევე, როგორც უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიები. ეპისკოპოსების უმრავლესობა და სასულიერო პირები წავიდნენ ემიგრაციაში: დასავლეთ ევროპაში, აშშ-ში, კანადაში, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში.

უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოები საზღვარგარეთ ძირითადად დასავლეთ უკრაინელი ემიგრანტებისგან შედგებოდა, კანადა და აშშ-ში, რომელსაც სათავეში ედგა იოანე თეოდორეს ძე, რომელიც ჯერ კიდევ 1923 წელს ვასილი ლიპკივსკის მიერ იყო წარგზავნილი დასავლეთში. 1947 წლიდან კანადის ეპარქიას განაგებდა მიტროპოლიტ მსტისლავი. იგი ერთ-ერთი იმ იერარქთაგანი იყო, რომელიც მოღვაწეობდა უკრაინის ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიაში ოკუპაციის პერიოდში.

ამრიგად, XX ს-ის 20-40-იან წლებში უკრაინის ტერიტორიაზე წამოწყებულმა საეკლესიო დამოკიდებულობისთვის ბრძოლამ იმ ეტაპზე საზღვარგარეთ ჩამოყალიბებულ საეკლესიო ორგანიზაციის მემკვიდრით უცხოეთში გააგრძელა მოღვაწეობა.

## II თავი

### ავტოკეფალიისთვის ბრძოლის თავისებურებანი უკრაინისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მაგალითზე (1917-1930 წ.წ.).

ზოგადად ეკლესიის ისტორია საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს და სამოქალაქო ისტორიისაგან განსხვავებით, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურულ განვითარებას ასახავს, ის ერის სოციალურ-ზნეობრივი ამალგების პროცესს, მისი დაცვა-გადარჩენისთვის განეულ ღვაწლს წარმოაჩენს. მოცემული ორი ფაქტორი იმდენად ღრმად ეჯახება საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომ პოლიტიკური ისტორიის ფონი ხშირ შემთხვევაში მიმდინარე საეკლესიო მოვლენებით აისახება და პირიქით, მათ ერთმანეთზე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ. ზემოაღნიშნულით იყო განპირობებული, რომ საქართველოს და უკრაინის ეკლესიათა ისტორიის ობიექტურ გაშუქებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა, მით უფრო, როცა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფალნი რუსი სასულიერო სწავლულების მეშვეობით ცდილობდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლების არ არსებობის დასაბუთებას და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გარეშე არსებობის გამართლებას.

ქრისტიანული ისტორიოგრაფიის თანახმად მართლმადიდებელი სარწმუნოების ძირითადი მახასიათებელი ფაქტორია ნაციონალურობის ნიშანი. ამით იყო განპირობებული, რომ მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლური ეკლესია ისტორიულად თავგამოდებული დამცველი იყო თავისი ქვეყნის ეროვნული სახელმწიფოებრიობისა. ოდითგანვე ავტოკეფალური ეკლესია სახელმწიფოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგი და ნაციონალური ნიშნის დაცვის რუპორი იყო.

ასეთი სახის ეკლესიათა შორის ბუნებრივად მოიაზრება უძველესი ისტორიული და ეროვნული ნიშნის დამცველი საქართველოს და უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიები. ორივე ეკლესია მთელი თავისი არსებობის მანძილზე ცდილობდა ეროვნული ნიშნით მართლმადიდებლობის და დამოუკიდებლობის დაცვას და აღიარებას, რაც ბუნებრივად გარანტი იქნებოდა ერთის მხრივ, უკრაინული

და მეორეს მხრივ, ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობისა.

ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ეკლესიების ბრძოლა აბსოლუტური იგივეობრივით ხასიათდებოდა და ბრძოლის შედეგებიც ერთნაირი იყო. მათი ავტოკეფალიისთვის ბრძოლის მიზეზ-შედეგობრიობის დადგენისთვის გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი:

1. ამ ქვეყანათა (საქართველო-უკრაინა) გეო-სტრატეგიული მდებარეობა;
2. მათი ფსიქოლოგიური ხასიათი;
3. ეკლესიათა ადგილი და დანიშნულება მსოფლიო ქრისტიანულ სამყაროში.

საქართველოსა და უკრაინის ეკლესიათა ავტოკეფალიისთვის ბრძოლა რუსეთში მომხდარი თებერვლის რევოლუციის თანხვედრი პროცესი აღმოჩნდა, თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ ქართულმა ტრადიციულმა ეკლესიამ ავტოკეფალიის საკითხი 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდშიც აქტიურად დააყენა რუსეთის სინოდისა და საერო ხელისუფლების წინაშე, მაგრამ მაშინ ამ მოთხოვნებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მეფის ხელისუფლება დაამხო, ხელისუფლების სათავეში კი დროებითი მთავრობა მოვიდა. „ახალი რუსეთის“ პოლიტიკა არ ითვალისწინებდა ცარიზმის დროინდელი რუსეთის როგორც პოლიტიკურ, ასევე საეკლესიო საზღვრების შეზღუდვას, უკრაინას და საქართველოსაც ის თავის კუთვნილ ნაწილად მოიაზრებოდა და ცდილობდა თავისი უფლებების ახლებური მეთოდებით შენარჩუნებას. თუმცა, უნდა ითქვას, ამ მართლმადიდებელი მთავრობის წინააღმდეგობას წააწყდა. ამ შემთხვევაში იმპერიის რღვევის სათავეებთან იმთავითვე უკრაინისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები აღმოჩნდნენ, რომელთაგან ერთს (საქართველოს) რუსეთის სინოდისგან გაუქმებული (1811 წ.) ავტოკეფალიის აღდგენის სურვილი გაუჩნდა, ხოლო მეორეს (უკრაინას) მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოსვლა და დამოუკიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიად ჩამოყალიბდა. ორივე ეკლესიის (უკრაინის და საქართველოს) ავტოკეფალისტთა მოძრაობა იდეურად დაკავშირებული იყო ხსენებულ ქვეყანათა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან. ამდენად, ავტოკეფალიისთვის ბრძოლის შესწავლას იმთავითვე მივყავართ უკრაინი-

სა და საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის შესწავლის აუცილებლობასთან, რომლის ქვეშაც მოცემულ შემთხვევაში მოიაზრება კულტურულ, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პროცესების ერთობლიობა, მიმართული უკრაინელი და ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების მოპოვებისკენ.

ბურჟუაზიული რევოლუცია არა თუ რუსეთის მხოლოდ პოლიტიკური სისტემის გარემოებითი ცვლილების თვალსაზრისით იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა და უკრაინისა და საქართველოს ეკლესიებისთვის იმედის მომცემი, არამედ რუსეთის ეკლესიისთვისაც. ეს უკანასკნელი რევოლუციის დასრულებისთანავე ახალი მმართველობის – დროებითი მთავრობის სამსახურში ჩადგა და სანაცვლოდ სახელმწიფო აპარატისგან დამოუკიდებლობა, პატრიარქობის ინსტიტუტის აღდგენა მოითხოვა. ამასთან, რუსეთის ეკლესია იმედოვნებდა, რომ ახალი ხელისუფლება ეკლესიას დაიცავდა რევოლუციური აგრესიისგან და ტრადიციულ ავტორიტეტს დაუბრუნებდა მოსახლეობაში. თავის მხრივ, არც რუსეთის ეკლესია იყო უმოქმედოდ, ის ცდილობდა მოსახლეობის სოციალური პირობებიდან ეკლესიურ ცხოვრებაში გადართვას და ამ მიზნით, მის ჩამოცილებას დემოკრატიული მოძრაობიდან.

რუსეთის ეკლესიის სახელმწიფო მმართველობისაგან თავისუფლების ლტოლვას თანადგომა გამოუცხადა როგორც საქართველოს, ასევე უკრაინის ავტოკეფალისტებმა, რადგან ეს უკანასკნელნი მიიჩნევდნენ, რომ თუ რუსეთის ეკლესიას პატრიარქი ეყოლებოდა, იგი უეჭველად მხარს დაუჭერდა რეგიონალურ ეკლესიებს ავტოკეფალიის დაბრუნებაში. აღნიშნულმა მოვლენამ (პატრიარქობის ინსტიტუტის აღდგენამ) ორივე ქვეყნის ავტოკეფალისტების ბრძოლას აქტიური ხასიათი შესძინა, მაგრამ დროთა ვითარებაში ნათელი გახდა, რომ დროებითი მთავრობის მცდელობა „დემოკრატიული რუსეთის“ შენებისაკენ, არ ნიშნავდა მისი ინტერესების უგულვებელყოფას საქართველოსა და უკრაინისადმი დროებითი მთავრობის მიზანი იყო ახალი სახელმწიფო მმართველობის დადგინებისთვის ახალი მეთოდებისა და ხერხების შემუშავება, რომელიც არ გამორიცხავდა რუსეთის ინტერესებს ორივე ქვეყნისადმი. ამ საქმეში დროებითი მთავრობაც რუსული ეკლესიის დახმარებას საჭიროებდა, თავის მხრივ არც ეს უკანასკნელი აპირებდა თავის ძალაუფლების დათმობას როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში. ასე, რომ იმ ეტაპზეც რუსეთის საერო და სასულიერო ძალის საერთო ინტერესების სფერო, ვერ მიჯნავდა მათ მიზნებს და ბუნებრივი იყო მათი მჭიდრო თანამშრომლობაც.

აქედან გამომდინარე, ფაქტი გახდა ქართველი სამღვდლოებისთვის, რომ დროებითი მთავრობა არ აპირებდა საქართველოს ეკლესიაზე უწმინდესი სინოდის კონპეტენციის შეწყვეტას და, ამიტომ მას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, ხოლო ქართველ ხალხს შეკავშირების, ერთსულოვნებისა და ურთიერთთანადგომისაკენ მოუწოდა.

1917 წლის 12 მარტს, ქართველმა სამღვდლოებამ მცხეთის საკათედრო ტაძარში ქართველი ხალხის წინაშე საკუთარი ეკლესია დამოუკიდებლად, ავტოკეფალურ უფლებებში გამოაცხადა.

დროებითმა მთავრობამ 1917 წ. 27 მარტს პეტერბურგში უწმინდეს სინოდთან ერთად განიხილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი და გამომდინარე იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან საჭიროდ მიიჩნია ავტოკეფალიის აღიარება მხოლოდ ეროვნული პრინციპით და მისი იურისდიქცია ტერიტორიით არ განსაზღვრა. ამით საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი არაქართული ეკლესია-მონასტრების გამგებლობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დაუკანონდა. ამ გადანყვეტილებით, რუსეთის დროებითმა მთავრობამ ფაქტობრივად, ორი დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა დააკანონა საქართველოს ტერიტორიაზე, რაც მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობის უხეში დარღვევა იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე, ქართველმა საზოგადოებამ მკაცრად დაგმო რუსეთის სინოდის ზემოაღნიშნული გადანყვეტილება და შენიშნა, რომ ქართული ეკლესიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მის ეროვნულ, ისე ტერიტორიულ ავტოკეფალიას, რომ ქართული ეკლესიის მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობა ერთმანეთს დაუპირისპირებდა არაქართველ და ქართველ მრევლს. ქართულმა ეკლესიამ მიიჩნია, რომ საქართველოს რუს მოსახლეობას თავისი ეპისკოპოსი ჰყოლოდა, რომელიც მსოფლიო საეკლესიო კანონების თანახმად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს დაემორჩილებოდა.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უწმინდესმა სინოდმა საქართველოში დახურა რუსული სამრევლოები რასაც იურიდიული საფუძველი მისცა და ქართულ ეკლესიასთან განყვიტა ევხარისტული კავშირი.

საქართველოს ეკლესიამ მრავალგზის სცადა (როგორც დემოკრატიული საქართველოს მმართველობის პირობებში 1918-

1921 წ.წ., ისე ბოლშევიკების მმართველობის, - 1921-1942 წ.წ.) აღედგინა ტერიტორიული უფლებით საეკლესიო მეზობლური ურთიერთობა უნმინდეს სინოდთან, ქართველი სასულიერო მოღვაწენი მთელი ძალისხმევით მეცადინეობდნენ, რათა საქართველოში მცხოვრები რუსი მრევლი დაერწმუნებინათ ქართული ეკლესიის მათდამი კეთილგანწყობილებაში, მათი ეროვნული უფლებების შეუზღუდველობაში.... მაგრამ მდგომარეობა კვლავინდებურად უცვლელი რჩებოდა.

ასეთი იყო მოკლედ ის ისტორიული წანამძღვრები, რომლებიც წინ უწრებდა საბჭოთა პერიოდში გაგრძელებულ ბრძოლას ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უკრაინის ეკლესიამ ავტოკეფალიისთვის ბრძოლის განსხვავებული ევოლუციური გზა განვლო. ამ შემთხვევაშიც წამყვანი ადგილი დაიკავა უკრაინის იმ გეო-სტრატეგიულმა მდებარეობამ, რომელიც მას სამყაროში გააჩნდა. სწორედ ამან განსაზღვრა უკრაინის სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ სივრცეში მოხვედრა. იგი, ხან შუა საუკუნეების რეჩ პოსპოლიტას სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო, ხანაც რუსეთის დიდი იმპერიის საზღვრებში შემავალი გუბერნია.

უკრაინას ოდითგან ორი ურთიერთდაპირისპირებული სამყაროს დამაკავშირებელი ფუნქცია გააჩნდა. მისი ფლობისთვის ერთნაირად იბრძოდნენ დასავლეთ ევროპის ძლიერი სუვერენები და რუსეთის ძლევამოსილი ხელისუფალნი.

ბუნებრივია, ყოველ ქვეყანას უკრაინაზე გაბატონების გარანტიად ტრადიციული სარწმუნოება და ეკლესია მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ დასავლეთ ევროპა თავად შიგნით დაპირისპირებული ორი ეკლესიით (კათოლიკური და პროტესტანტული) ერთნაირად ცდილობდა უკრაინაში ხანაც კათოლიკური, ხანაც პროტესტანტული მიმართულების დანერგვას. თავის მხრივ ცარიზმის პერიოდის რუსული მართლმადიდებლობა უკრაინაში საფუძველს ამყარებდა რუსეთის იმპერიაში შერწყმისათვის. უკრაინა დასავლეთ კათოლიკურ-პროტესტანტული და რუსული მართლმადიდებლობის შეჯახების პოლიგონად იქცა. ეს ბრძოლა მთელი განვითარებული შუა-საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება.

უკრაინელი ერისთვის არც ერთი ცივილიზაცია მისაღები არ ყოფილა, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მხოლოდ ნაციონალური ნიშნის მატარებელი ავტოკეფალური ეკლესიის მეშვეობით იყო შესაძლებელი. აღნიშნულით იყო განპირობებული ცარიზმის დამხობასთან ერთად

უკრაინის მთელ ტერიტორიაზე დანყებულ ეროვნული აღორძინების პროცესი.

1917 წელს დროებითი მთავრობის ორგანოების პარალელურად, უკრაინელი პროსტუპოვცების ამხანაგობის ინიციატივით კიევში უკრაინის ცენტრალური რადა შეიქმნა, სადაც უკრაინელი სოციალ-დემოკრატების, მართლმადიდებელი სასულიერო პირების, სამხედროების, კულტურულ-საგანმანათლებლო, სტრუქტურული და სხვა ირგანიზაციების წარმომადგენლები შევიდნენ.

ცენტრალური რადას მთავარი მიზანი მისი არსებობის დასაწყისში იყო უკრაინის ავტონომია ფედერაციის საფუძველზე რეფორმირებული რუსეთის შემადგენლობაში. რუსეთის მომავალ იმპერიას ცენტრალური რადა განიხილავდა როგორც სახელმწიფოების კავშირს. დროებითმა მთავრობამ ცენტრალური რადა უკრაინელი ხალხის ნების გამომხატველად არ მიიჩნია.

1917 წლის 10 ივლისს II ყრილობაზე, ცენტრალურმა რადამ თავისი უნივერსალი გამოაქვეყნა, რომლის ძალითაც უკრაინის ავტონომია გამოცხადდა, ცენტრალური რადა კი – უმაღლეს სახელმწიფო ორგანოდ იქნა აღიარებული.

რევოლუციის ტალღამ თავისებურად იმოქმედა უკრაინის საეკლესიო ცხოვრებაზეც. ამ შემთხვევაში უკრაინაში არსებულმა ცალკეულმა კონფენსიებმა (მართლმადიდებლურმა და კათოლიკურმა) თავისებურად გამოხატა საკუთარი დამოუკიდებლობა საეკლესიო დამოუკიდებლობისადმი.

იმდენად, რამდენადაც უკრაინელი ხალხის მთავარ ღირებულებას, რწმენის საკითხში მართლმადიდებლური ქრისტიანობა წარმოადგენდა, ავტოკეფალურმა მოძრაობამაც ამ მიმართულებით განავრცო მისწრაფება და იგი მოიცავს შემდეგ პერიოდებს: 1917-1930 წ.წ., რომელიც თავის თავში გულისხმობს ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ქვე პერიოდს: პირველი (1917-1920 წ.წ.) ძირითადად უკავშირდება სამოქალაქო ომის დროს, როცა სახელმწიფოს სათავეში ბურჟუაზიული ხელისუფლება (ცენტრალური რადა, დირექტორია) იდგა. მეორე პერიოდი (1920-1930 წ.წ.) მიეკუთვნება ავტოკეფალისტთა კონსოლიდაციის პერიოდს, როცა ფაქტობრივად ყალიბდება უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია და მისი მოღვაწეობა უკავშირდება საბჭოთა პერიოდს. ხსენებული მოძრაობა პოლიტიკური პროცესების პარალელურად მიმდინარეობდა, მას თან ახლდა თავისებური შრიხტები და ვითარდებოდა განსხვავებული კანონზომიერებით.

ავტოკეფალიის საკითხი რეალურად 1918 წელს დადგა, როდესაც აჯანყებულმა უკრაინელებმა ქვეყნიდან გერმანელი ოკუპანტები განდევნეს. ავტოკეფალური ეკლესიის აღდგენა იოლად როდი მოხდა. უკრაინის დირექტორიის თავმჯდომარე ვლადიმერ ვიაჩენკო სოციალ-დემოკრატი იყო. ამიტომ ავტოკეფალიის საკითხს მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა. დირექტორიამ 1919 წელს მაინც მიიღო სათანადო დადგენილება ავტოკეფალური ეკლესიის თაობაზე, მაგრამ ეს მოვლენა სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ამ პერიოდს უკავშირდება უკრაინელი ავტოკეფალისტების კავშირი ქართველ ეპისკოპოსებთან, საკუთარი ეკლესიის შიდა საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით, რომელიც იმ ეტაპზე სამოქალაქო ომის გამო ვერ შედგა. წითელი არმია უკვე კიევს უახლოვდებოდა, ყველგან სისხლიანი ბრძოლები მიმდინარეობდა. სწორედ ასეთ პირობებში 1920 წლის მაისში გამოცხადდა უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის შექმნა, რომელსაც სათავეში მიტროპოლიტი ვასილი ლიპკივსკი ჩაუდგა. აღნიშნულ ფაქტს ბოლშევიკები აგრესიულად შეხვდნენ, რადგან ეკლესიამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა დაუჭირა მხარი. იმ დროინდელი ვითარებიდან გამომდინარე მოსკოვი იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო. 1921 წლიდან ლენინის მთავრობამ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას და უკრაინიზაციას დათანხმდა, ოღონდაც შეწყვეტილიყო პარტიზანული ბრძოლები. „ჩვენთვის ეს მძიმე, მაგრამ აუცილებელი კომპრომისია“, - განაცხადა ლენინმა, სოვნარკომის სხდომაზე.

უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის შექმნას აგრესიულად შეხვდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესია. უკრაინელთა ავტოკეფალია არ სცნო დანარჩენმა მართლმადიდებელმა ეკლესიებმაც. სამაგიეროდ მას მხარი დაუჭირა მილიონობით მორწმუნე უკრაინელმა.

უკრაინიზაციამ განაპირობა ეროვნული კულტურის ქრისტიანული ფასეულობების სწრაფი აყვავება. სულ მალე უკრაინის აღორძინებაზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა. ეკლესია და მეცნიერებათა აკადემია უკრაინაში პატრიოტიზმის მძლავრ კერად გადაიქცა.

ბუნებრივია, ყოველგვარი ეროვნულობის გამოვლინებას საბჭოთა ხელისუფლება ვერ ეგუებოდა და უკრაინაში მიმდინარე პროცესებს სოციალიზმის საწინააღმდეგო დინებად მიიჩნევდა.

ამდენად, 30-იან წლებში საბჭოთა უმაღლესმა ხელისუფლებამ უკრაინაში ბრძოლა გამოუცხადა ნაციონალიზმს და მის სო-

ციალურ ბაზას, - ავტოკეფალურ ეკლესიას და მეცნიერებათა აკადემიას. დაიწყო ეგრეთწოდებული „წმენდის“ პროცესი, რომელსაც უკრაინაში უამრავი ეროვნული მოღვაწე შეენირა, მაგრამ დანარჩენ უკრაინელებს დღემდე ეს გრძნობა არ გაქრობია. ავტოკეფალურმა ეკლესიამ არსებობა შეწყვიტა, თუ არ მივიჩნევთ მხედველობაში იატაკქვეშა და საზღვარგარეთის ავტოკეფალური ეკლესიების არსებობას.

ერთი შეხედვით ავტოკეფალიის მოპოვებისთვის საუკეთესო პირობები მეორე მსოფლიო ომის დროს უნდა ყოფილიყო.

ყველასათვის ნათელი იყო, რომ მეორე მსოფლიო ომში ფაშისტურ გერმანიას მსოფლიო ხალხებზე გაბატონების ერთ-ერთ აუცილებელ და გადამწყვეტ პირობად მიაჩნდა საბჭოთა სახელმწიფოს დაშლა და სოციალისტური წყობის განადგურება. ხსენებული გეგმის მისაღწევად სსრ კავშირის ცალკეულ რესპუბლიკათა გამობირების მიზნით ჰიტლერისეულ გეგმაში შედიოდა ამ ქვეყნებისთვის სახელმწიფოებრივი და ეკლესიური დამოუკიდებლობის „მიცემის გარანტიები“. ბუნებრივია, ეს მაცდუნებელი გეგმა იმ ქვეყნებისთვის უნდა ყოფილიყო მისაღები, რომლებმაც თავიანთ თავზე გამოსცადეს ტოტალიტარული წყობის საშინელებანი.

ზემოაღნიშნული საკითხის მოგვარებაში საბჭოთა ხელისუფლება სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მოკავშირე რესპუბლიკათა ხალხები (ამ შემთხვევაში უკრაინა და საქართველო) ერთმანეთისგან განსხვავდებოდა და თითოეულ მათგანს მყარი პოლიტიკური ორიენტაცია გააჩნდა, რაც გამოწვეული იყო მათი ნაციონალური, სარწმუნოებრივი და გეოპოლიტიკური სხვადასხვაობით. ამიტომ. ხელისუფლებას თითოეულთან მიდგომის თავისებური მეთოდ-ხერხები უნდა შეემუშავებინა.

დაუშვებელი იყო უკრაინისა და საქართველოს ხალხების ერთ ქრილში განხილვა. ამ ასპექტში გასათვალისწინებელი იყო როგორც შიდა, ასევე გარეშე ფაქტორი. შიდა ფაქტორით (საბჭოთა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ მოპოვებული მასალებით) ირკვეოდა, რომ უკრაინის ეროვნულად განწყობილი ემიგრანტული ავტოკეფალური ეკლესია, რომლის ძირითადი ნაწილი დასავლეთისა და აშშ-ს ქვეყნებში იმყოფებოდა, პროდასავლურ კურსს აირჩევდა, ხოლო პრორუსული ნაწილი, ბუნებრივია, საბჭოთა ინტერესებს მოემსახურებოდა.

აღნიშნულით იყო განპირობებული უკრაინული ავტოკეფალისტების ბრძოლა გარეშე ძალებისა და ემიგრანტული ეკლესიის

მხარდაჭერით, მერე მსოფლიო ომის პირობებში (1942 წ.) აღედგინა ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები და სახელმწიფოებრიობა, რომელი იდეაც იმთავითვე განწირული აღმოჩნდა.

საბჭოთა ხელისუფლება რადგანაც იმ ეტაპზე აშკარა და რადიკალურ პოლიტიკას ვერ მიმართავდა (რადგან ევროპის სახელმწიფოთა და აშშ-ს მხრიდან მხარდაჭერისთვის იბრძოდა), ამჯობინებდა სახელმწიფოს ცენტრალური ეკლესიის (რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის) გაძლიერებითა და მისი უფლებების „გაფართოებით“ დაპირისპირებოდა როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით მოქმედ ანტისაბჭოურ ეკლესიას, რაც უნდა გამოხატულიყო მათი სამრევლოების რუსულ სისტემაში შემოქცევით.

საქართველოს ეკლესიამ სამამულო ომის დაწყებისთანავე ნათლად გამოჰკვეთა თავისი პოზიცია. გამომდინარე იქედან, რომ იმჟამად საქართველოს რესპუბლიკა ტერიტორიულად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა, საქართველოს ეკლესია მოვალეობად მიიჩნევდა ელიარებინა სახელმწიფოს პოლიტიკური კურსი, დაეცვა მისი ინტერესები და გამოეჩინა მისდამი ერთგულება. აღნიშნულს ისიც ემატებოდა, რომ ქრისტიანულ-ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, ქართული ეკლესია ვერ გაამართლებდა ჰიტლერული გერმანიის ანტისაბჭოურ იდეოლოგიას – ფაშიზმს. ისტორიული ტრადიციებით და მსოფლიოს საეკლესიო კანონმდებლობით ეკლესია არ უნდა შეგუებოდა არაჰუმანურ არც ერთ მიმართულებას და მისთვის მკაცრი ბრძოლა უნდა გამოეცხადებინა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკლესია და მისი სასულიერო კრებული ერთიანი ძალით ირაზმება ფაშიზმის წინააღმდეგ. ამავდროულად, არსებულ სიტუაციაში საკუთარი ეკლესიის გადარჩენისა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის უპრიანი იქნებოდა მისი ხელისუფლებასა და რუსულ ეკლესიასთან თანამშრომლობა, რაც მისი გამარჯვების საწინდარიც უნდა ყოფილიყო. ასეთი გადაწყვეტილებით ქართული ეკლესია ერთდროულად რამდენიმე საქმეს აგვარებდა:

1. ანტისაბჭოური მიმართულების მეტობოლი ქვეყნებისა და საზოგადოების რიცხვში ჩადგა;
2. საბჭოთა ხელისუფლების „ნდობას“ იპოვებდა;
3. ეროვნული ეკლესიის დაცვა-გადარჩენისა და მისი იურიდიული უფლებების აღიარებისთვის იბრძოდა.

აღნიშნულით იყო განპირობებული იმჟამად ხელისუფლების მიერ ქართული ეკლესიის დიდი ხნის მისწრაფვის გათვალისწინება

(ავტოკეფალიის აღიარება), რომელიც ხელისუფლებამ მისი ერთგული, რეფორმირებული რუსული ეკლესიის მეშვეობით განახორციელა 1943 წლის 31 ოქტომბერის რუსეთ-საქართველოს საეკლესიო განჩინების საფუძველზე და რამაც გარკვეულწილად საფუძველი მოუშადა ქართულ ეკლესიას ქვეყნის პოლიტიკურ კურსში ჩასართავად, რაც ამ უკანასკნელისთვისაც იმჟამად სასურველი უნდა ყოფილიყო. ამის ნათელი დადასტურებაა 1944 წლის მოსკოვში მოწვეული ეპისკოპოსთა კრება, რომელზედაც ჩამოყალიბდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობის ფორმულა; ბუნებრივია, მონოლითური საეკლესიო ორგანიზაციის სისტემაში გათვალისწინებული იყო ეროვნული ეკლესიების ადგილი, თითოეულ მათგანთან სხვადასხვა მიდგომის ფორმით.

დასკვნითი სახით შეიძლება ითქვას, რომ უკრაინისა და საქართველოს ეკლესიების ავტოკეფალიისთვის ბრძოლაში საერთოც არის და განსხვავებულიც. საერთოში მოიაზრება საბჭოური ინტერესები და საქართველოს განსხვავებული გეო-სტრატეგიული მდებარეობა, რაც შეეხება შედეგებს, შემდგომში განვითარებულმა ისტორიულმა პროცესებმა ერთს (საქართველოს) დადებითი შედეგები მოუტანა, მეორეს კი (უკრაინა) დღემდე აგრძელებს ბრძოლას ეროვნული ავტოკეფალური ეკლესიის აღიარებისთვის.



### III თავი

#### საბჭოური სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ემიგრანტული რუსული ეკლესია.

1917 წელს რევოლუციამ და სამოქალაქო ომმა, როგორც რუსეთის, ასევე რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების, მასობრივი ემიგრაცია გამოიწვია. მიახლოებითი ცნობით, 20-იან წლებში რუსეთიდან ლტოლვილთა რაოდენობამ 4 მილიონს მიაღწია. ემიგრანტები გაიბნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მათი გარკვეული ნაწილი აღმოჩნდა ჩინეთში, ხოლო დანარჩენი – კონსტანტინოპოლში, დასავლეთ ევროპაში, აშშ-სა და ბალკანეთზე. გარდა ამისა, 8 მილიონზე მეტი მართლმადიდებელი, მაცხოვრებელი იმპერიის ყოველი ტერიტორიებიდან, აღმოჩნდა საბჭოთა სახელმწიფოს გარეთ: პოლონეთში, ლიტვაში, ესტონეთში, ლატვიაში, ფინეთსა და სხვა ქვეყნებში.

ემიგრაციაში თავის მრევლთან ერთად წავიდა უკრაინის უმაღლესი საეკლესიო იერარქიაც: კიევის და გალიციის მიტროპოლიტი ანტონი (ხრაპოვეცკი), არქიეპისკოპოსი (ვოლინის და ჟიტომირის) ევლოგი (გეოგრიევსკი) და სხვები.

1920 წლის 19 ნოემბერს კონსტანტინოპოლის პორტში გემ „Великий князь Александр Михайлович“ –ზე, (პიველად რუსეთის საზღვრებს გარეთ) შედგა უმაღლესი საეკლესიო ორგანიზაციის კრება. ზემოხსენებულმა იერარქებმა, კიევის მიტროპოლიტის ანტონ ხრაპოვეცკის მეთაურობით, გადაწყვიტეს თავიანთი მოღვაწეობა გაეგრძელებინათ დევნილ ემიგრანტებს შორის.

ემიგრანტული სამღვდელოების გააქტიურება პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა საბჭოთა იმპერიის სარწმუნოებრივ პოლიტიკასთან. მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიმდინარე სამთავრობო ღონისძიებებთან და, აღნიშნულის გამო, ქვეყნის გარეთ დარჩენილ სამღვდელოებსა და საბჭოთა მთავრობას შორის არსებული იდეოლოგიური დაპირისპირება უფრო გაღრმავდა.

მეფის რუსეთის დამხობისთანავე საზღვარგარეთ წასული იმპერიის სამღვდელოების მიერ ფორმირებული ეკლესია იმთავითვე გაემიჯნა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას. უცხოეთის რუსულმა ეკლესიამ საბჭოეთში მოქმედი ეკლესიისაგან რადიკალურად განსხვავებული საეკლესიო კურსი აირჩია რამაც ერთობ

პოლიტიკური ხასიათი შეიძინა. საზღვარგარეთის რუსულმა ეკლესიამ ფაქტობრივად საფუძველი დაუდო საეკლესიო კუთხით სოციალიზმისა და იმპერიალიზმის იდეოლოგიურ ბრძოლას უცხოეთში. მისი ფართომასშტაბიანი მუშაობით აქტიურად ამოქმედდა კაპიტალისტური სამყაროს პროპაგანდითი სამსახური სოციალისტური სისტემების წინააღმდეგ.

ამრიგად, XX ს-ის 10-იანი წლების მიწურულიდან იდეოლოგიურ ომში არა თუ აქტიურად ჩაერთო ეკლესია, არამედ ამ ბრძოლის ერთგვარი ლიდერი და მისი წამმართველი ძალაც გახდა.

საზღვარგარეთის იდეოლოგიურ გამონგვევას საბჭოთა სახელმწიფომ მწვავე, აქტიური და მიზანმიმართული აგრესიით უპასუხა და ამ საქმეში ქვეყნის მართლმადიდებლური ეკლესია ჩართო.

1920 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქის თანამოსაყდრის დოროთეს მიერ გამოცემულ მიმართვაში ემიგრანტულ რუსულ ეკლესიას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტერიტორიის ფარგლებში მოღვაწეობისა და სასამართლოს წარმოების პრეროგატივა მიენიჭა.

თავიანთი მოღვაწეობის კანონიკურ საფუძველად კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ფარგლებში რუსი იერარქები მიიჩნევდნენ მეექვსე მსოფლიო კრების 39-ე კანონს. ამ დადგენილების საფუძველზე კვიპროსის ეპისკოპოს იოანეს, გელესპონტისკის მხარეში (გამომდინარე სამხედრო მოქმედების გამო მ.ბ.) ნება ეძლეოდა, საკუთარი ხალხისთვის აღმოეჩინა დახმარება საეკლესიო და სარწმუნოებრივ საკითხებში. აღნიშნული ქმედების კანონიკურობა სტატიაში: „О правах епископов, лишившихся кафедр без своей вины,“ წარმოაჩინა ცნობილმა კანონისტმა, პროფესორმა, ს.ვ ტროიციკიმ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში შრომობდა და მოღვაწეობდა სამღვდელო სინოდის კონსულტანტად საზღვარგარეთ.

კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელსაც თავიანთი ორგანოს კანონიკურ საფუძველად მიიჩნევენ საზღვარგარეთის (ემიგრანტული) მართლმადიდებლური იერარქები, იყო პატრიარქ ტიხონის, წმინდა სინოდის და უმაღლესი საეკლესიო საბჭოს 1920 წლის 20 ნოემბრის დადგენილება ( 362), რომელის ძალითაც: „В случае если епархия, вследствие передвижения фронта, изменения государственной границы и.п. окажется не всякого общения с высшим церковным управлением или само высшее церковное управление во главе с Священным патриархом почему-либо прекратит свою деятельность, епархиальный архиерей немедленно входит в сношение с архиереями

соседних епархий на предмет организации высшей инстанции церковной власти для нескольких епархий, находящихся в одинаковых условиях (в виде временного высшего церковного правительства или митрополитского округа еще иначе,„

1921 წლის 12 მაისს ემიგრანტების უმაღლესმა საეკლესიო მმართველობამ სტამბულიდან სერბეთისა და ხორვატიების ტერიტორიაზე გადაინაცვლა. ამ ქვეყნის ხელისუფლებამ ემიგრანტულ ეკლესიას დახმარება აღმოუჩინა, მისცა მათ შრომისა და სწავლის (განათლების) საშუალება. სერბეთის პატრიარქმა დიმიტრიმ, სიყვარულით მიიღო საეკლესიო იერარქები და მიუჩინა მათ ადგილი თავის რეზიდენციაში (სრემციის კარლოვცეში). აქედან ეწოდება რუსული ემიგრანტულ ეკლესიას მეტსახელი „კარლოველცეში“. 1921 წლის 31 აგვისტოს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებამ ემიგრანტულ უმაღლეს საეკლესიო მმართველობას და მის იერარქებს მისცა საეკლესიო წესთმსახურებაში საკუთარი იურისდიქცია.

უმაღლესი საეკლესიო მმართველობა იმჟამად სცნო 30-ზე მეტმა უმაღლესმა იერარქმა, რომლებიც აღმოჩნდნენ საღვარგარეთ. აქედან: წმინდა მონამე იოანე (პომერი), მიტროპოლიტი პლატონი (როჟდენსტენსკი), არქიეპისკოპოსი ევლოგი (გეორგიევსკი), ანასტანიე (გრიბანოვსკი), სერაფიმე (ლუკინოვი), ელეთვერი (ჩოლიაველინსკი) და სხვ.

იმისთვის, რომ განემტკიცებინათ თავიანთი კანონიკური მდგომარეობა ემიგრანტი იერარქები ცდილობდნენ კავშირი ჰქონოდათ უწმინდეს პატრიარქ ტიხონთან. კერძოდ 1921 წ. კიევის მიტროპოლიტმა ანტონმა (ხრაპოვეცკიმ) რაპორტით მიმართა პატრიარქ ტიხონს; მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ აუცილებლობიდან გამომდინარე, საზღვარგარეთ უნდა დაფუძნებულიყო რუსეთის ეკლესიის უმაღლესი მმართველობითი ორგანო, რომელიც თავის თავში გააერთიანებინდა მოსკოვის საპატრიარქოს სამრევლოებსა და ეპარქიებს; ამავდროულად, ამ ორგანიზაციაში უნდა გაერთიანებულიყო: ფინეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების, პოლონეთის, ჩრდილოეთ ამერიკის, იაპონიისა და ჩინეთის მართლმადიდებელი მრევლი, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა პატრიარქის მამასახლისი (наместник-и). გამოთხოვილი იქნა, აგრეთვე საზღვარგარეთ, რუსეთის ეკლესიის კრების მოწვევის კურთხევაც. მიუხედავად ამისა 1921 წლის რაპორტი უწმიდესი პატრიარქისა და წმ.სინოდის მიერ არ იქნა გაზიარებული. რუსეთის ეკლესიის უმაღლესმა საბ-

ჭომ მიზანშეწონილად არ სცნო პატრიარქის („наместник“-ის) დადგინება საზღვარგარეთ და ასევე არ თვლიდა ემიგრანტული რუსული ეკლესიის გავლენის სფეროდ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს.

1921 წლის 21 ნოემბერს იუგოსლავიაში „კარლოველცეში“ მიიწვიეს სამღვდელოების კრება. კრებამ მიიღო მიმართვა, საზღვარგარეთ გაბნეული მრევლისა და სასულიერო კრების სახელით გენიუს კონფერენციისადმი, რომელშიც არსებითად იყო მოთხოვნა რუსეთის ტახტზე რომანოვთა მართლმადიდებელი სახლიდან სახელმწიფო მმართველის დაბრუნების შესახებ. აღნიშნულის მხარის დასაჭერად კრება მოუწოდებდა მსოფლიოს ხალხებს თანადგომისთვის.

აღნიშნული ვითარება საბჭოთა ხელისუფლებამ რუსული და პერიფერიული ეკლესიების დასარბევად და პოლიტიკური რეპრესიების გასატარებლად გამოიყენა. იგი მძიმედ შეეხო ქართულ ეკლესიასაც. თითქმის ერთდროულად, რეპრესირებულ იქნა საქართველოს პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭო გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის შინაარსის გამო, რომელშიც თითქმის ისეთივე მოთხოვნები იყო გაყვლებული, როგორსაც რუსი იერარქები მოითხოვდნენ საზღვარგარეთიდან.

ეკლესიის გადარჩენის მიზნით პატრიარქმა ტიხონმა გააკეთა განცხადება: „Мы с решительностью заявляем... установление той или иной формы правления не дело церкви, а самого народа. Церковь не связывает себя ни каким определенным образом правления, ибо таковое имеет лишь относительное историческое значение,„ პატრიარქი აღნიშნავდა რომ ღვთისმსახურები „по своему сану должны стоять выше и вне всяких политических интересов, должны помнить канонические правила Святой Церкви, коими она возбраняет святым служителям вмешиваться в политическую жизнь страны, принадлежать к каким-либо партиям, а тем более делать богослужебные обряды и священнодействия орудием политических демонстраций“.

მოსკოვში პატრიარქ ტიხონისგან ხელისუფლება ემიგრანტული ეკლესიის იერარქებისთვის უფლებამოსილების შეჩერებას მოითხოვდა. ასეთი ღონისძიებების გატარება პატრიარქმა არ ინება. 1922 წლის 5 მაისს ხელი მოეწერა პატრიარქის 348 ბრძანებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კარლოველცეების მიერ გამოგზავნილი რაპორტი არ შეიცავდა პოლიტიკურ ხასიათს, ამდენად, იგი არც კანონიკური მნიშვნელობისა იყო. რუსეთის ეკლესიის უმაღ-

ლესი მმართველი საბჭო მიიჩნევდა, რომ ევროპის ემიგრანტული სამრევლოების მართვა ეკისრებოდა მიტროპოლიტ ევლოგის. ასევე დაისვა სასულიერო პირთა პასუხისმგებლობის საკითხი მათ მიერ, ეკლესიის სახელით, გაკეთებულ პოლიტიკურ განცხადებაზე.

დადგენილებაზე ხელისმონერის მეორე დღესვე პატრიარქი ტიხონი დაპატიმრებულ იქნა. საზღვარგარეთ მაშინვე იქნა მიღებული ცნობა მისი დაპატიმრების შესახებ. ამასთანავე, გააქტიურდა ე.წ. „განმახლებელთა“ მოძრაობა საეკლესიო ხელისუფლების უზურპირებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი ერთგული ეკლესიის დადგინებისთვის საეკლესიო რეფორმაციის გზა აირჩია, რასაც რუსული ემიგრანტული ეკლესიის კიდევ უფრო მძლავრი რეაქცია მოჰყვა. საბჭოთა ხელისუფლებას საზღვარგარეთის რუსული ეკლესიის კონკურენტუნარიანი საეკლესიო იერარქია ესაჭიროებოდა, რომლის ფორმირებასაც ბოლშევიკებმა ათწლეული მონადომეს. ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პროცესები, საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო კურსის ევოლუციას მოითხოვდა. ამით იყო განპირობებული კომუნისტური პარტიის კომპრომისული ნაბიჯები უცხოეთის ემიგრანტული ეკლესიისადმი და მეცადინეობანი მასთან შერიგების მიზნით.

რუსეთის მართლმადიდებელი სამღვდელოება ოქტომბრის გადატრიალებას მტრული განწყობით შეხვდა.

ემიგრაციაში წასული სამღვდელოების ერთადერთ იმედად კონტრრევოლუციური ძალა რჩებოდა, რომელმაც სამღვდელოების იმედი ვერ გაამართლა. თითქმის სამწლიანმა სისხლისმღვრელმა სამოქალაქო ომმა ვერ შეძლო მსოფლიოში ე.წ. „რუსული გარღვევის“ ლიკვიდაცია — ჩვენ ყველა შემოტევას გავუძელით და გავიმარჯვებთ — სიამაყით აღნიშნავდა ბოლშევიკების ლიდერი ვ. ი. ლენინი.

ზემოაღნიშნული კრახის შედეგად, ფაქტობრივად, უცხოეთის რუსული სამღვდელოება უნდა დაშლილიყო, მაგრამ მათ არ სურდათ იდეოლოგიური ზემოქმედების დაკარგვა ემიგრაციაში მყოფ მრევლზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებაში ხედავდა თავის დანიშნულებას. ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ უცხოეთში შეიქმნა საზღვარგარეთის უმაღლესი საეკლესიო მმართველობა, რომელსაც უნდა ეთავა რუსი ემიგრაციის ხელმძღვანელი ცენტრის ფუნქცია და გაეჩალებინა მათში რელიგიურ-პოლიტიკური მუშაობა. 1921 წლის 20 ნოემბერს, როგორც ზე-

მოთ აღვნიშნეთ, ქალაქ კარლოვში გამართულმა საეკლესიო კრებამ საეკლესიო ცენტრს მეტი დამაჯერებლობისა და ეკლესიურობის მინიჭების მიზნით, სახელწოდება შეუცვალა და უწოდა „სრულიად საზღვარგარეთის რუსული საეკლესიო სინოდი“, იგივე „კარლოვის წმინდა სინოდი“.

კარლოვის საეკლესიო კრება, ყველა თვალსაზრისით, კონტრრევოლუციური ხასიათის გახლდათ: კრების მონაწილეთა მთელი ყურადღება გადატანილი იყო პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის მიმართულებით, ანუ სოციალისტური წყობილების განადგურებისაკენ, შემდეგ კი მონარქიის აღდგენისაკენ.

სასულიერო ემიგრაციის პოლიტიკური მოღვაწეობის საფუძველი იყო საბჭოური, სოციალისტური სისტემის ბრმა სიძულვილი. სწორედ ამ სიძულვილმა მოიყვან ისინი თეთრგვარდიელ-კონტრრევოლუციონერებთან, ხოლო ანტისაბჭოურობა მის ოფიციალურ იდეოლოგიად ჩამოყალიბდა.

1922 წელს საზღვარგარეთის რუსული სამღვდელოების კრებამ დაადგინა უმაღლესი საეკლესიო მმართველობა, წინანდელი შემადგენლობით, ამასთანავე, ჩამოყალიბდა დროებითი სამღვდელო სინოდი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კიევის მიტროპოლიტი ანტონი (ხრაპოვეცკი). ამ გადაწყვეტილების საფუძველად სამღვდელო დასი მიიჩნევდა პატრიარქ ტიხონის და უმაღლესი საეკლესიო მმართველობის ნომერ 362 დადგენილებას (1920 წ. 12 ნოემბერი). იმ ეპოქებთან დაკავშირებით, რომლებიც საომარი ვითარების გამო აღმოჩნდნენ საბჭოთა სახელმწიფოს გარეთ. საზღვარგარეთის იერარქები თვლიდნენ, რომ დადგენილება მათ აძლევდათ საეკლესიო ორგანიზაციის ჩამოყალიბების ნებას იმ ტერიტორიებზე, რომელზეც აქამდე არ გადიოდა რუსეთის ეკლესიის კანონიკური საზღვარი. ამასთანავე, 1923 წელს ამავე ეკლესიის კრებამ მიიღო დადგენილება სინოდის შექმნის თაობაზე.

კარლოველების დაჯგუფების ანტისაბჭოური კონცეფციის მთავარი მომენტი იყო სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობის დაკნინება და მისი უარყოფითი ზეგავლენის მხილება ქვეყნის მომავლისა და მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე. სოციალისტურ რევოლუციას მიიჩნევდნენ ისტორიის შემთხვევით მოვლენად და საზოგადოებრივი ცხოვრების სანინაალმდეგო ფაქტად, რომელმაც დაარღვია ისტორიული პროცესის ნორმალური მსვლელობა; რევოლუციას მოიხსენიებდნენ „შეთქმულებად“, ზედაფენის გადატრიალებად“, რომელიც არ ატარებდა საერთო სახალხო ხასიათის.

სასულიერო ემიგრაცია ფართო-იდუურ-თეორიულ მუშაობას ეწეოდა ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ. მათი იდეოლოგიური ბრძოლა მიმართული იყო კომპარტიისა და სოციალისტური სახელმწიფო პოლიტიკის მსოფლმხედველობითი საფუძვლისკენ. კარლოველები მიხვდნენ, რომ მხოლოდ უარყოფა კომუნისტური იდეოლოგიისა არ იყო საკმარისი მისგან გათავისუფლებისათვის. საჭირო იყო პოზიტიური პროგრამა, რომელიც კონკრეტულ პერსპექტივებს დასახავდა. „სოციალიზმის კრიტიკა არ არის საკმარისი, საჭიროა აქტიური მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოწყობაში, როგორც ახალი იდეალისა, რომელიც სოციალიზმს უნდა დაუპირისპიროთ“-აღნიშნა კარლოვეცოების საერთაშორისო საეკლესიო კრებაზე (1938 წ.) კარლოველი იდეოლოგები მომავლის ისეთ პერსპექტივას სახავდნენ, რომელიც ერთნაირად მომხიბვლელი იქნებოდა ზედა და ქვედა ფენებისათვის, ემიგრანტებისა და საბჭოთა მოსახლეობისათვის. ასეთად კარლოველებს „წმიდა მართლმადიდებელი რუსეთი“ ესახებოდათ, რომელსაც საზოგადოებას უხატავდნენ რუსეთის იმპერიის „ოქროს ხანის“ სახით, როგორც რუსული სახელმწიფოებრიობის იდეალური მდგომარეობა.

კარლოველების პროგრამის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო მონარქიული სახელმწიფოებრიობის რესტავრაცია და მართლმადიდებლობის და თვითმპყრობელობის კავშირის აღდგენა. სასულიერო ემიგრაციის მღვდელმთავრები დაბეჯითებით არწმუნებდნენ მრევლს, რომ თვითმპყრობელური სისტემის სახელმწიფოებრივი მმართველობის იდეალი მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოება იყო; მონარქიზმის უარყოფა კი მიჩნეული იყო ანტისაეკლესიო საქმედ და ა. შ. „.....წმინდა მამების სწავლების თანახმად, მონარქიული ხელისუფლება ეკლესიის დამცველია“ — განაცხადა კარლოველების საეკლესიო კრებაზე 1938 წელს.

საბჭოთა ქვეყნის მართლმადიდებელ ეკლესიაში მიმდინარე მოდერნიზაციის პროცესი ემიგრანტული ეკლესიის აღშფოთებას იწვევდა. „განახლების (ობნოვენლური) მოძრაობის“ წმინდა სინოდის ფორმირება და ტრადიციონალისტი სამღვდელოების რეპრეზენტების, ემიგრანტულ ეკლესიას მძიმე შედეგები მოუტანა. საბჭოთა ეკლესიის იერარქებმა ყოველგვარი კონტაქტი განწყვიტეს უცხოეთის სამღვდელოებასთან, რაც გამოიხატა მოსკოვის საპატრიარქოსა და ემიგრანტული ეკლესიის ექვარისტული კავშირის უგულვებელყოფით. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია

იძულებული იყო მკაცრი შეფასება მიეცა კარლოველების სინოდის მოღვაწეობისათვის, რაც თვალნათლივ აისახა უწმიდესი სინოდის დადგენილებაში (1924 წლის 8 აპრილი) - „...დიდი ნუხილით აღვნიშნავთ, რომ რუსეთის ზოგიერთმა შვილმა, თვით მღვდელმთავრები და წინამძღვრებიც კი, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით დატოვეს სამშობლო, ხელი მიჰყვეს მათთვის შეუფერებელ საქმიანობას საზღვარგარეთ, რაც ჩვენი ეკლესიისთვის ზიანის მომტანია. სარგებლობენ რა ჩვენი სახელით და ავტორიტეტით, ისინი ეწვევიან კონტრევოლუციურ მავნე საქმიანობას. ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ: მათთან არანაირი ურთიერთობა არ გვაკავშირებს, როგორც მას ჩვენი მტრები იუწყებიან; ისინი ჩვენთვის უცხონი არიან და ვკიცხავთ მათ მავნე საქმიანობის გამო..... მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მათი ასეთი საქმიანობა გამოიწვევს, ჩვენი მხრიდან მათთვის ღვთისმსახურების აკრძალვას და კარლოველების სინოდის საეკლესიო სასამართლოსთვის გადაცემას“. აღნიშნული გადანყვეტილება ემიგრანტულ ეკლესიას დამკვიდრების ყოველნაირ პირობას ართმევდა; მის ავტორიტეტს მორწმუნეთა შორის; მართლმადიდებლურ ეკლესიებთან კავშირს კრძალავდა და ა.შ.

XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულისთვის, საბჭოთა ხელისუფლებამ მეტ-ნაკლებად გაარღვია ტრადიციულ სამღვდელოებასთან ურთიერთობის ბარიერი და ემიგრანტულ ეკლესიასთან მიდგომის მეთოდები და ხერხებიც დაიხვეწა.

საბჭოთა ხელისუფლებისადმი ეკლესიის ლოიალური კურსის გამტარებელი იყო პატრიარქის თანამოსაყდრე მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი), რომელიც სამღვდელოებისა და მრევლისადმი მიმართვით (1927 წლის 29 ივლისი) მოუწოდებდა გადაეხედათ საბჭოთა მთავრობისადმი დამოკიდებულების მათეული კურსისათვის. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ის სამღვდელოება, რომლისთვისაც მიუღებელი რჩებოდა სოციალისტური წყობა, ჩამოშორებოდნენ სასულიერო საქმეს, ხოლო დანარჩენთ მოუწოდებდა, მკაცრად დაეცვათ ლოიალური ურთიერთობა საბჭოთა ხელისუფლებასთან - „..... ჩვენ გვსურს ვიყოთ მართლმადიდებლები და, ამავედროულად, ვცნობდეთ საბჭოთა კავშირს ჩვენს სამოქალაქო სამშობლოდ.“—აღნიშნული იყო მოსაყდრე სერგის მიმართვაში.

მიტროპოლიტი სერგის მიმართვაში საგანგებო ადგილი ჰქონდა დათმობილი მოთხოვნებს ემიგრანტული სამღვდელოებისადმი. „...Ярко противосоветские выступления некоторых наших пастырей и архипастырей за границей, сильно вредившие отношениям между

правительством и церковью, как известно, заставили почившего патриарха упразднить заграничный синод, Но синод до сих пор продолжает существовать, политически не меняясь. Чтобы положить этому конец, мы потребовали от заграничного духовенства дать письменное обязательство в полной лояльности к советскому правительству во всей своей общественной деятельности...», ასეთი მიმართვის საფუძველზე, ემიგრანტული ეკლესია არჩევანის წინაშე დადგა და მან მიიღო გადაწყვეტილება მოსკოვის საპატრიარქოსადმი სრულ დაუმორჩილობლობაზე.

ამრიგად, ემიგრანტული ეკლესია გაემიჯნა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკურ ორიენტაციას, ჩამოსცილდა მოსკოვის საპატრიარქოს და ის „კარლოველური სქიზმის“ სახელით დამკვიდრდა.

რუსული საეკლესიო ემიგრაციის ანტისაბჭოურ მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა შიდა კონტრრევოლუციური ძალების გაძლიერებით სამუშაოებს. ემიგრანტი სამღვდლოებისთვის გასაგები იყო, რომ საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო შიდა ინტერვენციის დასაყრდენი ხელისუფლებისადმი ოპოზიციის შიდა მდგომი სოციალური ფენა იყო, რომელთა გაძლიერებისთვის სათანადო ძალისხმევა იყო საჭირო, მით უფრო მას შემდეგ, რაც საგარეო კონტრრევოლუციურმა ძალამ (თეთრგვარდიული ინტერვენცია) სერიოზული მარცხი განიცადა.

ასეთ შიდა ორგანიზაციულ სტრუქტურად მოიაზრებოდა საბჭოეთის მართლმადიდებლური ეკლესია -- „Есть реальная сила и организация, которая свергнет большевиков, -это православная русская церковь, она имеет своих агентов в каждой деревне.“ — აღნიშნავდა კარლოველების წმიდა სინოდის მიტროპოლიტი ანტონი, საეკლესიო კრებაზე, 1921 წელს. სასულიერო ემიგრაცია თანადგომას უცხადებდა ანტისაბჭოურ სამღვდლოებას, მაგალითად ტრადიციული ეკლესიისგან განშტოებულ „ობნოვენელურ“ მიმართულებებს: „იოსებნიანელებს“, „გრიგორიანელებს“, რომლებიც საბჭოური ორიენტაციის სამღვდლოებას უპირისპირდებოდნენ.

XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულისთვის აშკარა გახდა, რომ საბჭოთა იმპერიაში არ მოიძებნებოდა ის სოციალური ძალა, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა კონტრრევოლუციის დაყრდნობა. საბჭოთა ქვეყანაში სულ უფრო მზარდი მასშტაბით მიმდინარეობდა სოციალიზმის მშენებლობა.

მიმდინარე ვითარებამ განაპირობა ცვლილებები სასულიერო

ემიგრაციის მუშაობაში. მათ არსებული გარემოება რეალურად აღიქვეს და ასეთივე შეფასება მისცეს. ასეთ შემთხვევაში მათ ყურადღება საგარეო ძალებზე გადაიტანეს. ფაშისტური იდეოლოგიის ლიდერი ა. ჰიტლერიც კი ქრისტიანული ცივილიზაციის მცველად „რუსეთის მხსნელად“ და უღმერთო ბოლშევიზმისგან განმათავისუფლებლად გამოაცხადეს. პარალელურად, არ შეჩერებულა აგენტურული მუშაობა საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიაზე, რის გამოც კვლავ უფრო გააქტიურდა რეპრესიები მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. საბჭოთა მთავრობის დაზვერვითი საქმიანობის შედეგად გამოვლინდა უკრაინისა და სსრ კავშირის სხვა ტერიტორიაზე სასულიერო დაჯგუფება, რომელიც ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდა.

საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებამ მეორე მსოფლიო ომში, ე.წ. სოციალისტური ბანაკის შექმნამ, და ამით ფაშისტური იდეოლოგიის მარცხმა, სერიოზული პრობლემები შეუქმნა ემიგრანტული ეკლესიის არა მხოლოდ იდეოლოგიას, არამედ მის ორგანიზაციულ სტრუქტურასაც. საბჭოური საეკლესიო გლობალიზაციის პროექტის ფაქტობრივმა განხორციელებამ გაანადგურა სასულიერო ემიგრაციის იდეოლოგია, რომლის პროპაგანდა მრავალი წლის მანძილზე კარლოველების წმიდა სინოდის იდეოლოგიური საქმიანობის საფუძველი იყო. ამავე პროექტის რეალიზაციამ ჩაახშო რუსული ეკლესიის წიაღში ანტისაბჭოთა მიმდინარეობის აქტიურობა.

ომის დამთავრების შემდეგ 1945 წლის 10 აგვისტოს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა სპეციალურად მიმართა საზღვარგარეთის ემიგრანტული ეკლესიის სამღვდლო დასს, მოსკოვის საპატრიარქოსთან ერთობაზე. ამ პერიოდისათვის მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში დაბრუნდნენ: მიტროპოლიტი მელენტი (ზაბოროვსკი), არქიეპისკოპოსი დიმიტრი (ვოზნესენსკი), სერაფიმი (სობელევი), ვიქტორი (სვიატინი), ნესტორი (ანისიმოვი), იუვენალი (კილინი) და სერაფიმი (ლუკიანოვი).

უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი I იუგოსლავიაში იმყოფებოდა 1945 წ. მან იქ განსაკუთრებულად ახსენა კიევის მიტროპოლიტი ანტონი, რომლის სახელზედაც გადაიხადა პანაშვიდი.

ათეული წლების განმავლობაში რუსეთის ემიგრანტული ეკლესია საზღვარგარეთ განსაკუთრებულად ინახავდა რევოლუციამდელ წესთმსახურებას, აქტიურად საქმიანობდა საგამომცემლო და საგანმანათლებლო კუთხით, აგრძელებდა რუსულ სამონაზვნო

ცხოვრებას და სხვ. პოჩაევის ტრადიციების გადანერგვა ხდებოდა ლალომროვის (ჩეხოსლოვაკია) წმიდა იოანეს სახელობის მონასტერში, რომელიც ემიგრანტებმა 1923 წელს დააფუძნეს. 1946 წელს მონასტრის ძმობამ გადაინაცვლა აშშ-ში, ჟორდანვილში, სადაც დააფუძნეს წმინდა სამების სახელობის მონასტერი, რომელშიც გაგრძელდა ძმობის მოღვაწეობა. მონასტრის სამომ განსაკუთრებულად საგამომცემლო საქმიანობით იყო დაკავებული. ნაწილს ამ გამოცემებისას სხვადასხვა მეთოდებით ავზავნიდნენ სამშობლოში-რუსეთში, სადაც სასულიერო ლიტერატურის გამოცემა უკიდურესად შეზღუდული იყო. აცნობდნენ ემიგრანტული ეკლესიის ავტორთა თხზულებებს, როგორც იყო სერაფიმ სლობოდსკის „Закон Божий“, არქიეპისკოპოს ავერსკის „Толкование на четвероевангелие“, და „Толкование на апостол“, მიხეილ რომაზენსკოს „Догматическое богословие“ და სხვა.

მონასტრის ტერიტორიაზე ჟორდანვილში 1948 წელს ჩამოყალიბდა და დაფუძნდა წმიდა სამების სახელობის სასულიერო სემინარია, რომელიც, შემდგომისთვის ემიგრანტული რუსული ეკლესიის სასულიერო-საგანმანათლებლო კერა გახდა. ხსენებულ სემინარიაში განათლებას ეწეებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტობა. სემინარიის სრული კურსის დასრულების შემდეგ გამოსაშვები ჯგუფი ღებულობდა ღვთისმეტყველების ბაკალავრის წოდებას.

ნიუ-იორკში ზნამენსკის ტაძარში ინახება კურსკ-კორენის სასწაულმოქმედი ხატი წმიდა მარიამისა, რომელიც ემიგრანტებმა რუსეთიდან 1920 წელს გამოიტანეს. ხატს თაყვანისაცემად ხშირად გადააბრძანებენ სხვადასხვა ეპარქიებსა და სამრევლოებში, რაც ემიგრანტი მორწმუნეებისათვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

რუსული ემიგრანტული ეკლესიისთვის უძვირფასეს სინმინდეს წარმოადგენს დედოფალ ელისაბედ ფიოდოროვნას და ინოკენტი ვარვარას წმინდა ნაწილები, რომლებიც შეენიღნენ ბოლშევიკების მმართველობას 1918 წელს. მორწმუნეებმა სინმინდეთა ერთი ნაწილი გადაიტანეს იერუსალიმში, სადაც ისინი მარიამ მაგდალინელის სახ. ტაძარში განისვენებენ. 2004-2005 წლებში ხსენებული წმიდა ნაწილები ასევე გადმოსვენებულ იქნა რუსეთშიც, სადაც დაახლოებით 61 ეპარქიაში სინმინდეებს თაყვანი სცა 8 მილიონმა ადამიანმა.

სსრ კავშირში „პერესტროიკის“ პერიოდში ეკლესია გათა-

ვისუფლდა ტოტალიტარული წნეხისგან და მას საშუალება მიეცა აღენიშნა გაქრისტიანების 1000 წლის იუბილე, რომელიც საზღვარგარეთის რუსულმა ეკლესიამაც იზეიმა. რუსულმა ეკლესიამ, ქვეყანაში სხვა ტრადიციულ ღონისძიებებთან ერთად კანონიზება მოახდინა პატრიარქ ტინოხისა და სხვა საეკლესიო მოღვაწეების. ეკლესიას დაუბრუნდა საკუთარი ქონება- ტაძრები და მონასტრები.

აღნიშნული მოვლენა დიდ იმედებს აღძრავდა გაყოფილი ეკლესიების გაერთიანებისთვის. რუსეთის როგორც საერო ასევე სასულიერო ხელისუფლებისთვის, გამომდინარე მათი ინტერესებიდან, მნიშვნელოვანი იყო დიალოგის დაწყება ემიგრანტულ ეკლესიასთან. რუსული ეკლესიის მიერ გაკეთებულ მიმართვაში ემიგრანტული ეკლესიისადმი ნათქვამი იყო: „Такой диалог, - милостью Божией, мог бы привести к столу желаемому восстановлению церковного общения, помог бы разрушить разъединяющие ныне нас преграды. Заверяем вас, что никоим образом мы не хотим ни стеснить вашу свободу, ни получить господство над наследием Божиим, но всем сердцем стремимся к тому, чтобы прекратился соблазн разделения между единокровными и единоверными братьями и сестрами, чтобы вас мы могли единомыслием единым сердцем возблагодарить Бога у единой Трапезы Господней..“

მიუხედავად აღნიშნული მიმართვისა, საზღვარგარეთის ემიგრანტულმა რუსულმა ეკლესიამ დიალოგი არ დაიწყო. პირიქით, 1990 წელს ხსენებული ეკლესიის იერარქიამ კრებაზე მიიღო დადგენილება საკუთარი იურისდიქციის განსავრცობად მოსკოვის საპატრიარქოს კანონიკურ ტერიტორიაზე, რაც, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის აღშფოთებას იწვევდა. აღნიშნული მიმართულებით მოსკოვის საპატრიარქომ და სამღვდლო კრებამ კვლავ გააკეთა განცხადება: „И сейчас, - мы по-прежнему готовы все понять и все простить. Даже несмотря на то, что руководство русской зарубежной церкви усилило существующее разделение, образуя параллельную иерархическую структуру и способствуя созданию своих приходов на канонической территории Московского патриархата, мы вновь протягиваем им руку, призывая к открытому и честному диалогу по всем вопросам, вызывающим разногласия между нами. Мы призываем всех наших православных соотечественников искать мира и любви между собой, оставив все то, что не может, а, следовательно, и не должно служить причиной разделения у исповедующих одну спасительную првую веру..“

1991 წელს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი II-მ თავის ღია მიმართვაში კონგრესის მონაწილეებისდმი კვლავ განაცხადა, რომ ის რაც ათეისტურ (ბოლშევიკურ) ეპოქაში მოხდა, ისტორიას ჩაბარდა და უცილობლად უნდა იქნას გამოწახული კომპრომისული გზები გახლეჩილი ეკლესიების დასაახლოვებლად.

განსაკუთრებულ ეტაპად დიალოგის დაწყების საქმეში 1993 წ. გახდა; როცა მოსკოვის საპატრიარქო დიპლომატიური სვლა განახორციელა გერმანიისა და ბერლინის არქიეპისკოპოსის თეოფანესა და რუსული ემიგრანტული ეკლესიის ბერლინის ეპარქიებთან. სულ მოხდა 9 გასაუბრება. მე-9 შეხვედრაზე (1997 წ.) ნათქვამი იყო: „Все мы воспринимаем себя как чадо духовных устоев Русской Церкви. Она есть мать-церковь для всех нас... Мы согласны в том и отмечаем, что благодатность таинств, священства и церковной жизни не должна ставиться под вопрос... Если в настоящий момент нет евхаристического общения клира московского патриархата и русской зарубежной церкви, то этим не утверждается «безблагодатность» другой стороны“.

განსაკუთრებული დრო ერთიანობის აღსადგენად დადგა 1000 წლის საიუბილეო თარიღზე აგვისტოში-ეპისკოპოსთა კრებაზე. კრებამ შეიმუშავა რუსული ეკლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლები“, რომელშიც არსებითად წარმოჩინდა მოსკოვის საპატრიარქოს პოზიცია სახელმწიფო ხელისუფლებასთან მიმართებაში. ასევე იქნა მიღებული დოკუმენტი: „Основные принципы отношения Русской православной церкви к инославнию“, რომელშიც ნათლად ჩამოყალიბდა მოსკოვის საპატრიარქოს პოზიცია კონფესიათაშორისი დიალოგის საკითხზე. კრების გადაწყვეტილებას დადებითად შეხვდა საზღვარგარეთის ემიგრანტული ეკლესია. აღნიშნული მოვლენა გახდა საფუძველი დიალოგისკენ სწრაფვის აუცილებლობისა.

2003 წელს, ნიუ-იორკში, რუსეთის გენერალურ საკონსულოში, შედგა რუსეთის პრესიდენტ ვ. პუტინისა და საზღვარგარეთის რუსული ეკლესიის წარმომადგენლის ნიუ-იორკისა და აღმოსავლეთ ამერიკის მიტროპოლიტის არქიეპისკოპოს ლავრის შეხვედრა. ვ. პუტინმა მიტროპოლიტ ლავრს გადასცა პატრიარქ ალექსის წერილი. რუსეთის ეკლესიისა და საერო ხელისუფლების სახელით, პრეზიდენტმა მიტროპოლიტი ლავრი მიწვია რუსეთში.

აღნიშნულ მოვლენას უაღრესად დიდი პოლიტიკური დატვირთვა გააჩნდა.

2003 წლის ნოემბერში, მოსკოვის პატრიარქის მოწვევით, მოსკოვს ეწვია საზღვარგარეთის ემიგრანტული ეკლესიის დელეგაცია, მათ შორის ბერლინისა და გერმანიის არქიეპისკოპოსი მარკი, სიდნისა და ავსტრალია-ახალი ზელანდიის არქიეპისკოპოსი ილარიონი, სან-ფრანცისკოსა და დასავლეთ ამერიკის ეპისკოპოსი კირილე. ვიზიტის დროს შედგა საზღვარგარეთის იერარქების შეხვედრა მოსკოვის პატრიარქ ალექსი II-თან, გაიმართა მოლაპარაკებები უწმინდეს სინოდთანაც. ამასთან ნათლად გამოიკვეთა ორივე მხარის სურვილი ლოცვით-ეექარისტული კავშირის აღსადგენად. ასევე იქნა რეკომენდირებული შექმნილიყო ორმხრივი კომისიების შექმნა წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების დასაძლევად. 21 ნოემბერს ორივე სამღვდლოებამ ჩაატარა ღვთისმსახურება მოსკოვის კრემლის არხანგელსკის ტაძარში. წირვის ჩატარების შემდეგ მოსკოვის პატრიარქმა ალექსიმ განაცხადა: „Мы с особой радостью приветствуем делегацию зарубежной русской церкви, члены которой молились сегодня вместе с нами. Отраднo, что после многих десятилетий разделения мы ставим перед собой, - достичь молитвенного и евхаристического общения,“.

კანონიკური ერთობის საკითხი განიხილებოდა აგრეთვე საზღვარგარეთის რუსული ეკლესიის სამღვდლო კრებაზე, რომელიც შედგა 2003 წლის 13-17 დეკემბერს. პატრიარქი ალექსი თავის წერილში, გაგზავნილს ხსენებულ კრებაზე, აღნიშნავდა, რომ სიტყვა და საქმე, როგორც ემიგრანტული, ასევე მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენლებისა, ყოველთვის არ შეესაბამებოდა ეკლესიის უმაღლეს მოთხოვნებს, რაც „განპირობებული იყო საეკლესიო ცხოვრების გარეგნული მდგომარეობით, ზოგჯერ კი არასაკლებად ძალების პირდაპირი ზეწოლით“. ამასთანავე პატრიარქმა განაცხადა: „Господь уберег свою церковь от уклонения в ереси, сохранил догматическое единство и апостольскую преемственность рукоположений. Врагами раздирались внешняя риза церковная, но тело Христово сохраняло сокровенное единство. Приступая к чаше Святой Евхаристии, люди Божии в России и за ее пределами приобщались к единому источнику животворящей благодати“.

საზღვარგარეთის რუსული ეკლესია დადებითად გამოეხმაურა რუსეთის პატრიარქის სიტყვებს. წერილში ნათქვამი იყო „Сохраненное в глубинах подлинное церковное единство нам следует явить. На нас возложена ответственность: вопреки всем препятствиям, могущим встретиться нам на пути преодаления преград, раскрыть свои

сердца для восприятия божьего промысления о церкви своей“. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, გაერთიანებასთან დაკავშირებით შექმნილ საკითხთა ობიექტურად გადაწყვეტისთვის, კომისიის შედგენის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული დიალოგის დაწყების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უნმიდესი სინოდის მიერ.

საკითხთან მიმართებაში, ემიგრანტული ეკლესიის მიტროპოლიტი ლავრი აღნიშნავდა, რომ გაერთიანება იქნებოდა სანინდარი თვითიზოლაციისგან თავის დასაცავად და აგრეთვე სამშობლოსთან (რუსეთთან) სამუდამო კავშირის აღსადგენად.

განსაკუთრებულ მოვლენად ორ ეკლესიას შორის ურთიერთობებში უნდა მივიჩნიოთ ემიგრანტული ეკლესიის ოფიციალური ვიზიტი რუსეთში. დელეგაციას ხელმძღვანელობდა მიტროპოლიტი ლავრი. მიტროპოლიტის დელეგაციას ახლდა მომლოცველთა ჯგუფი. ეს იყო პირველი ვიზიტი რუსეთში შეწყვეტილი ურთიერთობების შემდეგ, რაც ორი ეკლესიის ურთიერთდაახლოებისთვის წინადადებული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო.

ემიგრანტული რუსული ეკლესიის მეთაური მოსკოვში ჩამოვიდა 14 მაისს. იმავე დღეს შედგა პატრიარქ ალექსისა და მიტროპოლიტ ლავრის შეხვედრა. იმ დღესვე საგარეო ურთიერთობათა განყოფილებაში შედგა მოლაპარაკება საზღვარგარეთის რუსულ ეკლესიასა და მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაციას შორის. მოსკოვის საპატრიარქოს მხრიდან, მოლაპარაკებაში მონაწილეობას ირებდა კრუტიცკის და კოლომენსკის მიტროპოლიტი იუვანალიი, სმოლენსკისა და კალინგრადის მიტროპოლიტი კირილე, კორსუნსკის არქიეპისკოპოსი ინოკენტი და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი სამღვდელთა. შეხვედრის დროს განიხილებოდა ორ ეკლესიას შორის კანონიკური ერთობის საკითხი.

18 მაისს საპატრიარქო რეზიდენციაში (წმ. დანიელის მონასტერში) გასაუბრება მიმდინარეობდა რუსეთის პატრიარქის თავმჯდომარეობით. განსაზღვრულ იქნა დაახლოების მიზანი ექვარისტული ურთიერთობის აღდგენა და კანონიკური ერთობა. 2003 წლის დეკემბერში ჩამოყალიბებულ კომისიას დაევა შედგომოდა მხარეთაშორის ურთიერთობების საკითხის განხილვას.

27 მაისს შედგა დასკვნითი შეხვედრა მიტროპოლიტ ლავრსა და პატრიარქ ალექსის შორის, რომელსაც დაესწრო რუსეთის პრეზიდენტი ვ.ვ. პუტინი. შეფასებულ იქნა ორ ეკლესიას შორის დამთბარი ურთიერთობის მნიშვნელობა.

ამრიგად, რევოლუციის შედეგად ემიგრაციაში წასულმა რუსეთის იმპერიის სამღვდელთა იმთავითვე დაისახა მიზნად ემიგრაციის კონსოლიდაცია და საამისოდ უცხოეთში შექმნა საეკლესიო ცენტრი-„რუსული მართლმადიდებლური ეკლესია საზღვარგარეთ“, რომელიც დროთა განმავლობაში, ჩამოყალიბდა კონტრრევოლუციურ ძალთა სასულიერო ცენტრად. მათი მიზანი იყო ბურჟუაზიული რუსეთის აღდგენა და „უღმერთო ბოლშევიკების“-გან რუსეთის გამოხსნა.

სასულიერო ემიგრაციის ანტისაბჭოთა მოღვაწეობას წარმართავდა ბურჟუაზიული ემიგრაცია, მაგრამ მათ მისწრაფებებს განხორციელება არ ენერა; საბჭოთა წყობილება სულ უფრო ძლიერდებოდა და ტოტალიტარულ სახელმწიფოდ ყალიბდებოდა. აქედან გამომდინარე, უცხოეთის რუსულმა ეკლესიამ ვერ შექმნა დასაყრდენი სოციალისტურ საზოგადოებაში და ყურადღება საგარეო ძალთა ფაქტორზე გადაიტანა, რომლებიც მტრულად იყვენენ განწყობილნი საბჭოთა წყობილების მიმართ. ამით იყო განპირობებული ემიგრანტული ეკლესიის კავშირი ჯერ თეთრგვარდიელ კონტრრევოლუციონერებთან და შემდეგ გერმანულ ფაშიზმთან.

ემიგრანტული ეკლესიისა და საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიურმა ომმა კულმინაციას მეთორე მსოფლიო ომის მსვლელობისას მიაღწია. სასულიერო ემიგრაციას ომმა სოციალისტური სისტემის ლიკვიდაციის იმედი ჩაუსახა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლებას კი საბაზი მისცა მწვავე კრიტიკით დაეგმო უცხოეთის ემიგრანტი სასულიერო კრებულის ანტიმამულიშვილური საქმიანობა; ამავდროულად, სახელისუფლებო კულუარებში მუშავდებოდა პროგრამა სასულიერო ემიგრაციასთან კავშირის დამყარებისათვის, ამ უკანასკნელის რუსულ ეკლესიასთან შერწყმის მიზნით. რაც სასულიერო ემიგრაციის და სახელმწიფო სტრუქტურის ზემოაღნიშნულმა პროგრამებმა ვერ მოახერხა. უცხოეთის რუსული ეკლესიის მარცხი მეთორე მსოფლიო ომის შემდგომი სოციალისტური ბანაკის შექმნითა და აღმოსავლეთის ეკლესიებზე რუსული ეკლესიის იურისდიქციის განვრცობით გამოვლინდა. ეს კი საბჭოთა საგარეო საეკლესიო პოლიტიკის ერთ-ერთი განსაკუთრებული მოდელი იყო და მან თითქმის საუკუნის მანძილზე იარსება. ხოლო რაც შეეხება მის საბოლოო შემომტკიცების საკითხს, იგი მხოლოდ 21-ე საუკუნეში 2003 წელს აღსრულდა. ემიგრანტული ეკლესია დედა-ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა.



## II კარი

### უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში

#### I თავი

##### საბჭოური წყობილების სარწმუნოებრივი პოლიტიკა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია მეორე მსოფლიო ომის წინ

XX ს-ის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში შემავალი უკრაინის რესპუბლიკა გამარჯვებული სოციალიზმის სტადიაში შევიდა. უკრაინელი ხალხის სოციალისტურ წყობაზე გადასვლა მტკივნეულ პროცესებს უკავშირდებოდა, იგი სხვა ერებთან ერთად საბჭოური ცხოვრების ხვედრს იზიარებდა.

უკრაინელი ხალხის საბჭოთა სისტემაში შემომტკიცების საკითხს პარტია მეტად ფრთხილი და წინდახედული ფორმით ახორციელებდა თავის დროზე, ლენინის სტატიებსა და დირექტივებში, აფრთხილებდა უკრაინელ კომუნისტებს, რომ ელემენტარულ შეცდომებს ამ მეტად რთული საკითხის მოგვარებაში, შეიძლებოდა გამოუსწორებელი შედეგები მოჰყოლოდა.

ამდენად, დასახლებულ პერიოდში ვ.ი.ლენინის მიერ დასახული და ი.ბ.სტალინის მიერ გაღრმავებული გეგმები (საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება და განმტკიცება უკრაინაში „დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა“ ეროვნული მშვიდობიანობის შექმნა და კონტრრევოლუციური საქმიანობის ლიკვიდაცია) წარმატებით ხორციელდებოდა.

აქედან გამომდინარე, უკრაინა, როგორც საბჭოთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი, მთელი თავისი სახელმწიფოებრივი ყოფიერებით ცენტრთან პირისპირ აღმოჩნდა. საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ სფეროში მას დამოუკიდებელი მიმართულება არ გააჩნდა. დირექტივები ამ მიმართულებით კრემლიდან მოდიოდა, რომლის ცხოვრებაში რეალიზებას ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები წარმატებით ახორციელებდნენ.

თუ თავის დროზე ცარიზმი უკრაინის ათვისება შემომტკიცებისთვის საფუძვლის მომზადების თვითმპყრობელობას მართლმადიდებელ ეკლესიას აკისრებდა კომუნისტურმა სისტემამ დასახლებულისაგან განსხვავებით უარყო ეკლესიის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რადგან ეს უკანასკნელი, შესაძლებელი იყო, ყველა ერისთვის ეროვნული ინტერესების მატარებლად ქცეულიყო. საეკლესიო ეროვნული იდეოლოგია სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა კომუნისტურ იდეოლოგიას და მის წინააღმდეგ ბრძოლის გამამართლებელ საშუალებებს ეძებდა. მისივე განმარტებით, მას ამ საქმეში დამხმარე ძალა არ სჭირდებოდა და „ეს მძიმე ტვირთი თავად უნდა ეკისრა“.

ასეთმა პოლიტიკამ განსაკუთრებული გამოვლინება მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში ჰპოვა, როცა უკრაინის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა ადგილობრივ მმართველობით ორგანოებთან ერთად ყოველ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ცენტრის განკარგულებათა ცხოვრებაში რეალიზაცია მოეხდინა, რეალურად ჩამოეცილებინა ეკლესია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, მოეხდინა მისი სრული ნეიტრალიზაცია და ამით განემტკიცებინა თავისი პოზიციები.

ამ საქმისთვის საბჭოთა სახელმწიფოს კარგად ჰქონდა გააზრებული სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი იდეოლოგია და სააღმზრდელო ამოცანებიც – „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბება და ფორმირება მისი „ზრუნვის“ ობიექტი გახდა.

ეკლესია, როგორც სოციალური ინსტიტუტი, რომელიც ყოველთვის ეროვნული მსოფლმხედველობის გაცნობიერების საქმეს ემსახურებოდა, „კონტრრევოლუციურ“ ძალად გამოცხადდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ბოლშევიკების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად იქცა. ამიტომ საკითხი რელიგიის შესახებ ვ.ი.ლენინის მიერ ჩადებულ პარტიის პროგრამაში, განუხრელად სრულდებოდა და ცხოვრებაში რეალიზაციას პოულობდა.

აღნიშნულით იყო განპირობებული, რომ საბჭოთა წყობილების პოლიტიკურ კურსში XX ს-ის 20-30-იან წლებში ერთ-ერთ მთავარ საკითხად საეკლესიო პრობლემა იქცა. საბჭოთა იდეოლოგიაში, მოცემულმა საკითხმა ევოლუციის მკვეთრად ურთიერთგანსხვავებული ეტაპი განვლო სათანადო წყაროები ნათელყოფენ, რომ ეს წლები მთავრობის ფრთხილი და ამავდროულად მკაცრი პოლიტიკით ხასიათდება. აღნიშნულის დასტურად და საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან სარწმუნოების სფეროში გატარებულ ღონისძიე-

ბათა კლასიკურ მაგალითად უკრაინა განსაკუთრებულ ხასიათს იძენს და კვლევის თავისებურებითაც მეტად ორიგინალურად გამოიყურება.

პოლიტიკურ-სარწმუნოებრივად უკრაინის „ახალი რუსეთის“ სისტემაში შემომტკიცებისთვის ბრძოლის პირველი ეტაპი ოქტომბრის გადატრიალებისთანავე დაიწყო და იგი რუსეთ-უკრაინის ომში (1918წ.) გამოვლინდა.

1918 წლის იანვარში წითელმა არმიამ კიევი დაიკავა. კიევისთვის ბრძოლას მრავალი უკრაინელის სიცოცხლე შეენირა. აქვე დაიღუპა კიევის 300 სტუდენტი. ამ პერიოდში საბჭოთა რუსეთსა და გერმანიის ინტერესები უკრაინაში გადაიკვეთა და იმ ეტაპზე (1918წ.) გერმანიამ მთელი უკრაინის ოკუპაცია მოახდინა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ორივე ქვეყნის (გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის) უღელი და მათგან შეთავაზებული ცივილიზაცია მიუღებელი იყო. ამით იყო განპირობებული უკრაინელების ბრძოლა XX ს-ის 20-30-იან წლებში როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე ეკლესიური (მართლმადიდებლური მრწამსის) დამოუკიდებლობისათვის. იმავე წელსვე (1918წ.) შემოდგომაზე გერმანელების წინააღმდეგ უკრაინაში დაიწყო სახალხო აჯანყება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სიმონ პეტლიურა (1877-1926 წ.წ.) აჯანყებულებმა კიევი დაიკავეს და უკრაინის სახალხო რესპუბლიკის აღდგენა გამოაცხადეს. 1919 წლის იანვარში საზეიმოდ გაფორმდა აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინის ერთიან დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გაერთიანება.

აღნიშნულ პერიოდში პოლიტიკური მოსაზრებით უკრაინა სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ გაერთიანებათა ინტრიგებში გაეხვია. მისი ფლობისთვის პრეტენზიას გამოთქვამდა რუსეთი, თეთრი რუსეთი (დენიკინელები), პოლონეთი, რუმინეთი და სხვები. სისხლიანმა ბრძოლებმა მოიცვა მთელი უკრაინა. თითქმის 1923 წლამდე შეუნელებლივ მიდიოდა ხსენებული პროცესები.

საბჭოთა ხელისუფლება (ლენინი) იძულებული გახდა, წასულიყო კომპრომისზე და თანხმობა განეცხადებინა ავტოკეფალიაზე. კომპრომისი გამოიხატებოდა შემდეგში: პირველ რიგში რუსეთის სახელმწიფომ გამოსცა ამინისტია, დაუშვა ნეპი და გასაქანი მისცა ფართომასშტაბიან უკრაინიზაციას. – „შეგიძლიათ გქონდეთ სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, მშობლიურ ენაზე თეატრი, სამაგიეროდ ხელისუფლება ითხოვდა უკრაინის სსრს-ს შემადგენლობაში დარჩენას. აღნიშნულმა ტაქტიკამ თავის შედეგი გამოიღო

და 1923 წლისთვის პარტიზანული ბრძოლები უკრაინაში ჩაცხრა.

უკრაინიზაციამ იმ ეტაპზე განაპირობა კულტურისა და მეცნიერების სწრაფი წინსვლა. ემიგრაციიდან დაბრუნდნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, მალე უკრაინის აღორძინებაზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა. ემიგრაციიდან დაბრუნდა ცნობილი პროფესორი გრუშევსკი. უკრაინის მეცნიერებათა აკადემია, სადაც კონცენტრირებული იყო მთელი ინტელექტუალური პოტენციალი, პატრიოტიზმის მძლავრ კერად გადაიქცა. ეროვნულობა უწინარეს ყოვლისა! – ასეთი სულისკვეთებით ხდებოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდა.

პატრიოტიზმის აშკარა გამოვლინების ინიციატორი იმთავითვე გახდა უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია. მის აღორძინებაზე ჯერ კიდევ 1917 წელს ალაპარაკდნენ. რეალურად კი საკითხი დღის წესრიგში 1918 წელს დადგა, როდესაც აჯანყებულმა უკრაინელებმა ქვეყნიდან გერმანელი ოკუპანტები განდევნეს. ავტოკეფალიის აღდგენა უკრაინაში მძიმე პოლიტიკური კატაკლიზმების პირობებში მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ დირექტორიის პერიოდში გარკვეული პოლიტიკური სპექტრი უარყოფითად იყო განწყობილი ავტოკეფალიის მიმართ და მას მეორეხარისხოვან საკითხად მიიჩნევდა, მაგრამ ეროვნულად განწყობილი საზოგადოება აშკარად მხარს უჭერდა ავტოკეფალიას, რომელ საქმესაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინაპირობად მიიჩნევდა და ყოველწინააღმდეგე ცდილობდა ამ საკითხის ეკლესიის სასარგებლოდ გადაჭრას. აღნიშნულით იყო განპირობებული იმუამად (1920 წლის მაისში) დირექტორიის მიერ ნებართვის გაცემა უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის აღორძინების შესახებ.

ახალწამოყალიბებულ საეკლესიო ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა მიტროპოლიტი ვასილ ლიპკივსკი.

აღნიშნულ მოვლენას ბოლშევიკები აგრესიულად შეხვდნენ, რადგან ეკლესიამ მხარი დაუჭირა უკრაინის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთ. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მოსკოვი იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო. 1921 წელს ლენინის მთავრობა უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის არსებობაზე დათანხმდა, რაც უპ.ყ. განპირობებული იყო ქვეყნის შიგნით გამოწვეული არეულობით და ანტისაბჭოთა განწყობილებით. „ჩვენთვის ეს მძიმე, მაგრამ აუცილებელი კომპრომისია“ – განაცხადა ლენინმა სოვნარკომის სხდომაზე.

მართალია, ლენინის ხელისუფლება თანახმა გახდა უკრაინ-

ისტვის ავტოკეფალიის მინიჭებაზე, მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა. იმ ეტაპზე თვით რუსულ ეკლესიაში მიმდინარე მოდერნიზაციის მიხედვით პროცესები მიანიშნებდა მასზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნიადაგს ამზადებდა (ეკლესიის ერთგულების მიზნით) სოციალისტურ ყაიდაზე გადასასვლელად, რაც ბუნებრივია, შეეხებოდა სამომავლოდ უკრაინის ეკლესიასაც. გარდა ამისა ჯერ კიდევ რუსეთის მოქმედმა პატრიარქმა ტიხონმა არ სცნო უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია და მას ანტიკანონიკური უწოდა. ამით იყო განპირობებული ისიც, რომ არც ერთმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ ცნო უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალური უფლება. სამაგიეროდ ავტოკეფალიის მომხრედ დარჩა მილიონობით უკრაინელი მოქალაქე, განსაკუთრებით კი სოფლის მოსახლეობა, რომელთათვის საკუთარი, დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა სანუკვაროცნებას წარმოადგენდა.

პარტიზანული მოძრაობის ჩაცხრომის შემდეგ სამოქმედო არენაზე გამოვიდა ინტელექტუალური ოპოზიცია. მალე შეიქმნა „უკრაინის განთავისუფლების კავშირი“. ამ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი სერგეი ეფრემოვი.

ეფრემოვი ჯერ კიდევ ცარიზმის პერიოდიდან აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში 1917-20 წ.წ-ში იგი იყო ცენტრალური რადის თავმჯდომარის მოადგილე, ხელმძღვანელობდა არალეგალურ ორგანიზაცია „უკრაინელ დერჟავნიკთა საძმოს“ და სხვ. როგორც ცნობილია, 20-იან წლებში პოლიტიკური მოსაზრებით ათასობით უკრაინელმა დატოვა სამშობლო და სხვადასხვა ქვეყნებში ემიგრაციაში წავიდა. საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ქვეყანაში არჩია დარჩენა და ანტისაბჭოთა პოლიტიკის გატარება. ასეთთა რიცხვში აღმოჩნდა გამოჩენილი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე ს.ეფრემოვი. იგი ემიგრაციაში არ წასულა. 1920 წელს ჩეკისტებმა დააპატიმრეს, რამაც მასობრივი აღშფოთება გამოიწვია უკრაინელ საზოგადოებაში. საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა ცნობილი მეცნიერი და პოლიტიკოსი, მაგრამ იგი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა. „ჩვენ არ გვჭირდება ეფრემოვი პოლიტიკოსი, მაგრამ გვჭირდება ეფრემოვი მეცნიერი“, - განუცხადა მას უკრაინელი ბოლშევიკების ლიდერმა მიკოლა სკრიპნიკმა. მალე ეფრემოვი მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გახდა. ის განაგრძობდა პატრიოტულ მოღვაწეობას და შექმნა „უკრაინის განთავისუფლების კავშირი“

(სვუ), სადაც გაერთიანდა როგორც მეცნიერების, ასევე ავტოკეფალური ეკლესიის ელიტა. სვუ-ს საქმიანობა უწინარესყოვლისა ემსახურებოდა შემდეგ საკითხებს: კატეგორიულად გამორიცხავდა ძალადობას, (იქნებოდა ეს შეიარაღებული აჯანყება, დივერსიები თუ საბოტაჟი), მოუწოდებდა ახალგაზრდობას პატრიოტული სულისკვეთებისკენ, უარყოფდა აგრესიულ ათეიზმს და ე.წ. ინტერნაციონალიზმს, ეწინააღმდეგებოდა პრორუსული სულისკვეთებით ახალგაზრდობის ჩამოყალიბებას, ნერგავდა ქრისტიანულ ფასეულობას და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებას.

ასეთი სახის მიმართულებას, ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფლების აგენტები ხედმინევით აკონტროლებდნენ და მოხსენებითი ბარათებით ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებს დანვრებით ინფორმაციას აწვდიდნენ. უმაღლესი ხელისუფლება ფრთხილობდა და ეროვნულ გამოვლინებას ადგილებზე ახშობდა. ამდენად, უკრაინაში ეროვნული ინტელიგენციისა და საეკლესიო წრეების გავლენის ზრდა ხელისუფლებისთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს, როცა ბოლო ხანებში, განსაკუთრებით 30-იან წლებში, უკრაინის უმაღლესი ხელისუფლების კულუარებში საუბარი მიმდინარეობდა სახელმწიფო სუვერენიტეტზე. სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით სტალინმა კრემლში საწრაფოდ გამოიძახა უკრაინის ცკ-ს მდივანი ლაზარე კამანოვიჩი, რომლისაგან მოისმინა ახსნა-განმარტება მოცემულ საკითხთან (ნაციონალიზმის მომძლავრებასთან) დაკავშირებით.

ამ შემთხვევაში უმაღლესმა ხელისუფლებამ „უკრაინის საკითხთან“ მიმართებაში გააკეთა დასკვნა, რომ პარტია ვერ შეეგუებოდა უკრაინიზაციის პროცესებს და უნდა შეეცვალა მასთან დამოკიდებულება, რაც თავისთავად ნიშნავდა ეროვნულობის მკვეთრი სოციალური ბაზის განადგურებას (ავტოკეფალური ეკლესია და მეცნიერებათა აკადემია მ.ბ.). ამავდროულად, ხელისუფლებას მხედველობის გარეშე არ დარჩენია კულაკობა როგორც კლასი და თვით პარტიის შიგნით არსებული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მხარდამჭერები.

ხელისუფლება თვლიდა, რომ მეცნიერებათა აკადემია და ავტოკეფალური ეკლესია უკრაინაში ისე ჩამოყალიბდნენ, როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში, და რომ ასე გაგრძელება ყოვლად შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. პირადად სტალინი უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას არაკანონიკურად მიიჩნევდა და ამბობდა, რომ „ჩვენ, ბოლშევიკები, შევეგუებოდით მის არსებობას, რომ არა

სახელმწიფოებრივი საფრთხე, რაც ამ ე.წ. ეკლესიიდან გამომდინარეობს. ის ავრცელებს მოსახლეობაში იცხო, მიუღებელ ფასეულობებს, იქ თავი შეაფარა ჯურის კონტრეველუციონერებმა. მეცნიერებათა აკადემია და ეკლესია – ესაა დრაკონის თავი, დრაკონისა, რომელსაც უკრაინული ნაციონალიზმი ჰქვია. დროა, მას თავი მოვაცალოთ“.

ზემოთმოყვანილი მიდგომის ცხოვრებაში გატარების მიზნით 1925 წელს საბჭოთა უკრაინის პრესაში გააჩაღა პირველი მასობრივი კამპანია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მეცნიერებათა აკადემიის წინააღმდეგ. იმავდროულად მიმდინარეობდა სასულიერო პირებისა და აკადემიის თანამშრომელთა აგენტურული დამუშავება. საბჭოთა ჩეკამ ამ მიმართულებით სერიოზული ძალები გადაისროლა უკრაინაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, უკრაინის ეროვნული ეკლესია და ძირითადად ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ფასეულობები ძლიერი მტრის წინაშე აღმოჩნდა, თუ თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდში უკრაინის ეკლესიას, თუმცა მართლმადიდებლური, მაგრამ განსხვავებული ტრადიციების მატარებელი (რუსული მართლმადიდებლური ეკლესია მ.ბ.) ეკლესიასთან ასიმილაცია ემუქრებოდა, საბჭოთა სისტემის მმართველობის ხანაში, საზოგადოდ ეკლესიას ძირეული განადგურების საშიშროება შეექმნა, აღნიშნული კი ბევრად სახიფათო უნდა ყოფილიყო არა, თუ საზოგადოებრივი განვითარებისათვის, არამედ ცალკეული პიროვნების მორალურ-ზნეობრივი მდგომარეობისთვისაც, რაც, ეროვნულობის საბოლოო განადგურებით დასრულდებოდა.

მაღე უკრაინის ავტოკეფალურ ეკლესიაში საბჭოთა ხელისუფლებამ სერიოზული ბზარი შეიტანა. გაჩნდა ჯგუფი, რომელიც დაუპირისპირდა მიტროპოლიტ ლიპკივსკის. საბჭოთა პოზიციებზე დადგა მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი წარმომადგენლებიც, რომლებიც გამოვიდნენ ეფრემოვისა და მისი ფრთის წინააღმდეგ. ანტირელიგიურ და ანტიმეცნიერულ კამპანიაში აქტიურად ჩაება კომკავშირიც. ხმაურიან კრებებზე გამოდნენ პეტლიუროვშინის ნაშთებს და სხვა.

1927-1928 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ უკრაინის ინტელექტუალურ ოპოზიციას პირველი სერიოზული დარტყმა მიაყენა. კაგანოვიჩი ამ დროისთვის უკვე მოსკოვში გადაიყვანეს, სტალინურ ხაზს უკრაინაში ახალი ცკ-ას პირველი მდივანი სტანისლავე კოსიორი ატარებდა.

ს.ეფრემოვმა ლვოვში (მაშინ ეს ქალაქი პოლონეთს ეკუთვნოდა) გამომავალ გაზეთ „დილო“-ში გამოაქვეყნა სტატია ბოლშევიკების მიერ ეკლესიისა და მეცნიერების შევიწროების შესახებ. იგი საბჭოთა ორგანოების მიერ მრავალგზის იქნა გაფრთხილებული შეენწყვიტა ანტისაბჭოური პროპაგანდა და გაეგრძელებინა სამეცნიერო მოღვაწეობა, მაგრამ როგორც ჩანდა იგი ამ მიმართულებით ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებდა, რასაც შედეგად მოჰყვა 1929 წელს მისი დაპატიმრება. აღნიშნული აქტი ეროვნული მოძრაობის ყველა წევრისთვის ერთგვარი გაფრთხილება უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც წყაროები მეტყველებენ იატაკქვეშა ირგანიზაციები ასე ადვილად დანებებას არ აპირებდნენ. იმავე წელსვე (1937წ.) დაიწყო როგორც ინტელიგენციის, ასევე სასულიერო პირების დაპატიმრება.

თავის ქმედების საბჭოთა ხელისუფლება შესაბამისი სახელმწიფო მანქანის მეშვეობით საკუთარ ახსნასაც აძლევდა: „მხილებულია იატაკქვეშა ორგანიზაცია „უკრაინის განთავისუფლების კავშირი“, რომელიც ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას და უკრაინის სსრ კავშირიდან გასვლას!“ დიდი ასოებით ეწერა ხარკოვისა და კიევის გაზეთების პირველ გვერდებზე.

მასობრივი რეპრესიები მიმდინარეობდა მთელი უკრაინის მასშტაბით. დაპატიმრდნენ ყველას ვისაც ოდნავი კავშირი ჰქონდა ავტოკეფალურ ეკლესიასთან: (მღვდლებს, მათი ოჯახის წევრებს). დაპატიმრებულთა რიცხვმა რამდენიმე ათასს გადააჭარბა.

შიშის მანქანამ მთელს უკრაინას გადაუარა. ხელისუფლების ორგანოთა ორგანიზებულ მიტინგებზე ხალხი გამოდიოდა ლოზუნგებით: „მოვითხოვთ კონტრევოლუციონერთა დახვრეტას!“ „გააუქმეთ ავტოკეფალური ეკლესია!“ „მომაკვდინებელი ლახვარი პეტლიუროვშინას!“ და სხვ.

სეუ-ს პროცესითა და ავტოკეფალური ეკლესიის დარბევით დაიწყო მასობრივი რეპრესიები უკრაინაში, რაც ნამდვილ გენოციდში გადაიზარდა.

ასეთ ვითარებაში ჩატარდა სინოდის სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ.

ამრიგად, საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე ავტოკეფალურმა ეკლესიამ არსებობა შეწყვიტა. „ასეთი იყო მორწმუნეთა სურვილი“ განაცხადა ამ საკითხზე საბჭოთა უმაღლესმა ხელისუფლებამ.

ასეთი ტაქტიკური ხერხებით ცდილობდა 30-იანი წლების

მინურულს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა პარტიის დასახული მიზნების განხორციელებას, რასაც უკრაინელ ხალხში უნდა დაეთესა საბჭოთა წყობისადმი შიში და ერთგულება.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკა ეკლესიის განადგურებისაკენ იყო მიმართული და ეკლესიის კრებულს ეროვნულ საქმიანობაში უკიდურესად ზღუდავდა, ეკლესიის მოღვაწენი თავიანთი არალეგალური საქმიანობით არ წყვეტდნენ კავშირს მრევლთან და მომავლის დიდი იმედითა და რწმენით იღვწოდნენ ერის და ქვეყნის, მისი ეკლესიის საკეთილდღეოდ.

## II თავი

### უკრაინისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების ავტოკეფალიის საკითხი საბჭოთა წყობის სისტემაში (1941-1945 წლები)

„დიდი სამამულო ომი“ მეორე მსოფლიო ომის შემადგენელი ნაწილი იყო არა მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოსთვის, არამედ მსოფლიოს მისდამი მტრულად განწყობილი ქვეყნებისათვისაც; რადგან სამამულო ომის მსვლელობაზე აღმოჩნდა დამოკიდებული ფაშისტური იდეოლოგიის ბედი ომში მონაწილე, თუ არ მონაწილე ყველა სახელმწიფოს მომავალი. საბჭოთა კავშირის სამამულო ომში გამარჯვებას გარდატეხა უნდა მოეხდინა იმდროინდელი მსოფლიოს ბედში.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ომის დაწყებამ ძირეულად შეცვალა მეორე მსოფლიო ომის ხასიათი და გადააქცია მსოფლიოს ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობად ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ამ უდიდესი მისიის განხორციელებისათვის, კომუნისტური პარტია დღის წესრიგში აყენებს კომუნისტური რეჟიმის შენარჩუნებას, მასებზე ზეგავლენის გაძლიერებისა და ქვეყანაში წესრიგის დაცვის საქმეს, რისი მეოხებითაც არა მარტო ომში გამარჯვება და საკუთარი ტერიტორიული ფარგლების შენარჩუნება, არამედ მსოფლიოში სოციალისტური ბანაკის გაფართოებაც, რითაც გარკვეულწილად მოამზადებდა ძლიერ დასაყრდენს კაპიტალისტური ბანაკის წინააღმდეგ.

საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ხელმძღვანელობას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ამ ომში მოწინააღმდეგეთა პოლიტიკაც. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ საბჭოთა იმპერიაში, იძულების სახით, მრავალი რესპუბლიკა იყო გაერთიანებული. მოწინააღმდეგე მხარეს კი ნებისმიერ სიტუაციაში შეეძლო ამ ფაქტის თავის სასარგებლოდ გამოყენება. ხელისუფლება შიშობდა, რომ საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმა და ომის საშინელებანი გამოაშკარავებდა არარუსი ეროვნების ხალხთა სწრაფვას სეპარატიზმისკენ. მითუმეტეს, როცა აღნიშნულის საფუძველი, თავისივე პოლიტიკით (20-30-იან წლებში) გამოწვეული უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკათა მაგალითზე, უკვე სახეზე ჰქონდა.

ასეთმა საფრთხემ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე განსაკუთრებით უკრაინისა და კავკასიისთვის გამართულ ბრძოლებში მიიღო.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომში უკრაინასა და საქართველოს განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ფაშისტური გერმანიის სამხედრო გეგმაში ორივე ქვეყნისათვის თავისებური სტრატეგია იყო შემუშავებული; ისევე როგორც უკრაინის, ასევე კავკასიის (მათ შორის განსაკუთრებულად საქართველოს მ.ბ.) მოსახლეობის მიმართ ჰიტლერის დაჯგუფებას მიდგომის განსაკუთრებული მეთოდ-ხერხები ჰქონდა შედგენილი. ბუნებრივია, როგორც უკრაინის, ასევე კავკასიის ხალხთა პოლიტიკურ ორიენტაციას უდიდესი დატვირთვა გააჩნდა. საბჭოთა ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა ორივე ქვეყნის მოსახლეობაში ანტისაბჭოური მიდრეკილების ლიკვიდაციას და საბჭოური იდეოლოგიის განმტკიცებისათვის სპეციალური მეთოდოლოგიის შემუშავებას, რასაც გარკვეულ წილად უნდა გაეადვილებინა ნაციონალ-სოციალისტების კაცთმოდულე რასობრივი იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა. ასეთ ვითარებაში, საბჭოთა ხელისუფლებამ გონივრული გამოსავალი მოძებნა და მსოფლიოს მტრის – ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა აღმართა, საბჭოთა მთავრობისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მსოფლიოში შელახული რეპუტაციის აღდგენა. მას მსოფლიოს ქვეყნებისთვის უნდა დაენახებინა, თუ როგორ იბრძოდა კაცობრიობის ვერაგი მტრის – ფაშიზმის წინააღმდეგ, და ამ საბაბით, ის ილტვის გერმანიის მოწინააღმდეგე ბანაკთან საერთო ენის გამოსახვისკენ. ასეთი მეთოდით საბჭოთა სახელმწიფო თავს იცავდა ფაშისტური გერმანიისგან და მის წინააღმდეგ ბრძოლას სამამულო ომის სახელით ანხორციელებდა.

აღნიშნული პოლიტიკის სისრულეში მოყვანისათვის საბჭოთა იმპერიას ძლიერი იდეოლოგი ესაჭიროებოდა, რომელი მიმართულებითაც იწყება მისი მუშაობა ომის დაწყების პირველივე წლებიდან.

როგორც ცნობილია, კომუნისტურმა პარტიამ იმთავითვე (20-30-იან წლებში მ.ბ.) იტვირთა სოციალისტური იდეოლოგიის თავად წარმართვა და ეკლესიისთვის ამ ფუნქციის ჩამორთმევა, რამაც სამამულო ომის პირობებში მისთვის დაპირისპირებული ხასიათი შეიძინა (30-იან წლებში უკრაინასა და საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მ.ბ.) და მთელი სიმწვავით დააყენა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ისტორიული ფუნქციის (იდეოლოგიის

მ.ბ.) ამოქმედების აუცილებლობა, რაც უპირველესყოფლისა რეგიონალური ეკლესიების უფლებამოსილების აღდგენაში უნდა გამოხატულიყო. ყოველივეს კი საბჭოთა პერიფერიების მოსახლეობის სოციალისტური იდეოლოგიისადმი ერთგულება უნდა გამოენვია. ამ მხრივ, თავისივე დაშვებული „შეცდომების“ გამოსწორება ხელისუფლებამ სამამულო ომის პერიოდში სცადა. ომის დაწყებისთანავე აშკარა გახდა ეკლესიისადმი დამოკიდებულების სახეცვლილება, ხელისუფლებამ მრავალმიმართულებიანი სამოქმედო პროგრამა შეიმუშავა. პროგრამა მოიცავდა როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ინტერესებს. მით უფრო, რომ საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, აშკარად გაიელვა უკრაინელი და კავკასიელი ხალხების დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეამ. ხელისუფლებას სწორედ იმჟამად ესაჭიროებოდა ერთიანი ფრონტი სოციალიზმის დაცვისთვის, რომელშიც აქტიური როლის შესრულება ცენტრით რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ირგვლივ დარაზმულ რეგიონალურ ეკლესიებს უნდა შეესრულებინათ, მათ შორის უკრაინისა და საქართველოს ეკლესიებსაც. აცნობიერებდა რა, ომის პირობებში ეროვნულ (მართლმადიდებელი მ.ბ.) ეკლესიის ადგილს და დანიშნულებას, უმაღლეს ხელისუფლებას ეტაპობრივად უნდა განეხორციელებინა ზემოხსენებული ქვეყანათა (უკრაინა და საქართველო მ.ბ.) ეკლესიათა რიგი სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანიზაციული საკითხი. ასეთი გზით, საბჭოთა მთავრობას არა თუ გამოეყენებინა ორივე ქვეყნის ეკლესიები სიმშვიდე წესრიგის გარანტიად, არამედ, მას ჩამოაცილებდა ეროვნული ინტერესებისგან.

ხელისუფლების მიერ უკრაინისა და ქართული ეკლესიებისთვის დასახული ამოცანის შესრულებას ზედამხედველობა ესაჭიროებოდა, რაც დავვალათ ადგილობრივ, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს (მათ შორის შედიოდა, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირიც“. მათი იდეოლოგიური მუშაობა,) მსოფლიოს მტრის – ფაშიზმის წინააღმდეგ უნდა გაჩაღებულიყო და ამ საქმეში ერთ-ერთი ლიდერის როლი ეკლესიას უნდა შეესრულებინა. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, საქართველოს და უკრაინის ეკლესიათა ფუნქცია უდიდესი აღმოჩნდა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, მათ თავიანთ რესპუბლიკებში უნდა მოენესრიგებინათ ყველა გამწვავებული საკითხი, მათ შორის ეროვნულიც.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო, რომ გერმანული ფაშიზმი უდიდეს იმედს სამღვდლოებაზე ამყარებდა, მით

უფრო, რომ ანტისაბჭოური სამღვდლოება (განსაკუთრებით ემიგრანტული ეკლესიები მ.ბ.) სპეცრაზმებს ქმნიდა და, მათ ლოცვა-კურთხევას აძლევდა საბჭოეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო ფაშისტურ მოძრაობას „რუსეთის განმათავისუფლებელ ნაციონალურ მოძრაობას“ უკავშირდებოდა. ამასთან ერთად, ცნობილი იყო ჰიტლერის ნაშრომის „ჩემი ბრძოლის“ შინაარსიც, რომელშიც ის რელიგიურ ორგანიზაციებს თანაბარი ფასოვნების დასაყრდენს უწოდებდა. ხოლო რელიგიურ ნიღბებს სასარგებლოდ მიიჩნევდა ჯაშუშური საქმიანობის დასაფარავად. ასეთი მიზნები პირდაპირ ეხებოდა ეროვნული ეკლესიებისა და სახელმწიფოებრიობის ინტერესებს, რაც ამ უკანასკნელთა მხრიდან ცენტრალური ხელისუფლებისადმი მწვავე დაპირისპირებას იწვევდა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა მთავრობას ისეთი პოლიტიკური კურსი უნდა შეემუშავებინა, რაც ჰიტლერისეულ მიზნებს მარცხს მიაყენებდა და რეგიონალურ ეკლესიებს სახელმწიფო ინტერესებში ჩააყენებდა.

ცალკეულ რესპუბლიკებში საზოგადოების ეროვნული ინტერესების საერთო სოციალისტურ ინტერესებში გადატანა მართლმადიდებელ სამღვდლოებას დაევა. მასვე უნდა დაერაზმა ხალხი ერთიანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში სამშობლოს დაცვის მიზნით და ბოლოს, ეკლესიისადმი მთავრობის ლოიალურ დამოკიდებულებას უნარი შესწევდა მსოფლიოს ქვეყნები დადებითად განეწყოს საბჭოთა სახელმწიფოსადმი.

როგორც უკვე აღინიშნა, ეკლესიის კონტროლი ხელისუფლებამ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირს“ დააკისრა, რომლის წევრები გულმოდგინედ ცდილობდნენ არ დაეშვათ სამღვდლოებისა და მრევლის ურთიერთობის გაღრმავება. მათი ძირითადი ამოცანა იყო სისტემატური მეთვალყურეობით შეესწავლათ მართლმადიდებელი ეკლესიების ორიენტაცია და არ დაეშვათ ე.წ. ნაციონალური „გადახრები“.

ამ მიმართულებით ხელისუფლებისთვის გასათვალისწინებელი იყო როგორც შიდა, ასევე გარეშე ფაქტორი.

ომის შედეგად, საბჭოთა იმპერიაში გამოწვეული რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა საკითხი საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან აქტიურ გადამჭრელ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვდა. განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოირჩეოდა ეროვნული საკითხი. საბჭოთა ხელისუფლებამ კარგად იცოდა თავისივე პოლიტიკის შედეგად თვითმყოფადობისთვის მებრძოლი

ხალხების მისდამი განწყობა და, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში ისინი შეეცდებოდნენ პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას. ამ მხრივ, განსაკუთრებულად საშიშ ფაქტორად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავკასიაში საქართველო, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში უკრაინა ითვლებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების წინაშე აქტიურად დადგა აღნიშნული ქვეყნების ხალხებთან დამოკიდებულების საკითხი, მითუმეტეს, როცა ომის მსვლელობისას აშკარად გამოიკვეთა კაპიტალისტური ქვეყნების მხრიდან უკრაინისა და საქართველოსადმი საკუთარი ინტერესები. ასე, რომ არა მარტო ერმანია, არამედ სხვა ძლიერი ქვეყნებიც ხელსაყრელ დროს ხელიდან არ გაუშვებდნენ და თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. ინტერესების საფუძველს უკრაინისა და საქართველოს გეოპოლიტიკა განსაზღვრავდა.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული რიგი კაპიტალისტური ქვეყანა კერძოდ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები შემოფოთებას გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ამ ომში დამარცხება სოციალისტური ბანაკის აბსოლუტურ გაბატონებას გამოიწვევდა მსოფლიოში, მაგრამ არც ამ უკანასკნელის გამარჯვება შედიოდა მათ ინტერესებში. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეთ დადგა ინგლისის წინაშე მაშინ, როცა ფაშისტური გერმანიის სპეცდანიშნულების უზარმაზარი არმია კავკასიის მისადგომებთან განლაგდა. შეიქმნა საშიშროება, რომ, თუ გერმანელები შევიდოდნენ კავკასიაში, მისი (ინგლისის მ.ბ.) ჯარები მოექცეოდნენ აფრიკაში მებრძოლი ინგლისის არმიის ზურგში. დიდი ბრიტანეთის წინაშე გაჩნდა პრობლემა — რა მოხდებოდა კავკასიაში — დაიწყებოდა პარტიზანული ბრძოლები გერმანიის წინააღმდეგ, როგორც ეს მოხდა უკრაინაში, ბელორუსიასა და რუსეთში, თუ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კავკასიელები (ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საქართველო მ.ბ.) მათ როგორც საბჭოთა იმპერიული პოლიტიკისაგან განმათავისუფლებლებს შეხვდებოდნენ. ამ მიმართულებით გააქტიურდა დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა შექმნილ სიტუაციაში საქართველოს მოსახლეობის ინტერესების დადგენას, კერძოდ, მოისურვებდნენ თუ არა ისინი რუსეთის მიერ წართმეული პოლიტიკური თავისუფლების აღდგენას, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქვეყანა ამ საქმეში დახმარებას აღუთქვამდა და სხვ.

ამ და სხვა საშიშროებიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუ-

ფლებსთვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ თუ კაპიტალისტური ქვეყნები ქართველებისა და უკრაინელების ნაციონალურ უფლებებს დაიცავდნენ და მათი სუვერენული ეროვნული სახელმწიფო აღდგებოდა, ისინი გაცილებით მეტი მონდომებით იბრძობდნენ იმ ქვეყანათა ინტერესის გათვალისწინებით, ვინც ამ საქმეში დახმარების მეტ გარანტიას იძლეოდა.

საბჭოთა ხელისუფლებისთვის კარგად იყო ცნობილი ქართველი და უკრაინელი ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ და ისიც, რომ არც ერთი თავიანთი ბუნებით ვერაფრით ვერ გაამართლებდა ფაშიზმს და მხარს არ დაუჭერდა მას. ამიტომ ამ საკითხში ე.წ. მოკავშირე სახელმწიფოები არანაკლებ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ, ვიდრე ფაშისტური გერმანია.

ამავდროულად, მთავრობა აცნობიერებდა იმასაც, რომ დასახელებულ რესპუბლიკებში არსებულ ანტისაბჭოურ ძალებს ზურგს უმაგრებდა მათივე წიაღიდან საზღვარგარეთ გასული საზოგადოების სხვადასხვა ფენებისგან შემდგარი ემიგრაცია, რომელიც ყოველგვარ ზომებს ღებულობდა და თავდაუზოგავად იბრძოდა, რათა არსებულ სიტუაციაში ქართველებს და უკრაინელებს ეს შესაძლებლობა თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

საზოგადოდ ცნობილია, რომ XX ს-ის 20-იან წლებში საბჭოთა სახელმწიფო განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო საზოგადოების სხვა ფენებთან ერთად არაერთმა სასულიერო პირმა დატოვა და საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა იდეოლოგია გააჩაღა. მათ შორის აღმოჩნდა უკრაინის ეროვნულად განწყობილი სამღვდელთა, ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ მათი ბრძოლა მიმართული იყო კომპარტიისა და სოციალისტური სახელმწიფო პოლიტიკის მსოფლმხედველობითი საფუძვლისკენ. ისინი თვლიდნენ, რომ მხოლოდ უარყოფა კომუნისტური იდეოლოგიისა არ იყო საკმარისი მისგან განთავისუფლებისათვის, საჭირო იყო პოზიტიური პროგრამა, რომელიც კონკრეტულ პერსპექტივებს დასახავდა. „სოციალიზმის კრიტიკა არ არის საკმარისი, საჭიროა აქტიური მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოწყობაში, როგორც ახალი იდეალის, რომელიც სოციალიზმს უნდა დაეფუძნოს“.

წინორედ ამ იდეალებმა მიიყვანა უკრაინის ემიგრანტული და ქვეყანაში დარჩენილი ეროვნული ეკლესია გერმანელებთან და არა ფაშიზმისადმი თანადგომამ.

XX ს-ის 30-იან წლებში სტალინის მიერ განხორციელებულმა

ანტისაბჭოური პოლიტიკამ უკრაინის ეკლესია კვლავ აიძულა ეროვნული ეკლესიის აღორძინებაზე ეფიქრა და „ხელსაყრელი დრო“ ეკლესიის სასარგებლოდ გამოეყენებინა. აღნიშნულით იყო განპირობებული 1942 წ. უკრაინის ეროვნულმა ეკლესიამ გერმანელებთან შეთანხმებით საეკლესიო დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ პერიოდში ისევ საბჭოთა პოლიტიკიდან გამომდინარე უკრაინის ტერიტორიაზე არ მოიპოვებოდა არც ერთი კანონიკური ეპისკოპოსი, რომელსაც იურიდიული უფლება ექნებოდა კანონიკურ საფუძველზე აეგო ახალი საეკლესიო ორგანიზაცია. აღნიშნულით იყო განპირობებული იმჟამად პოლონეთის მართლმადიდებელ ეპისკოპოსებთან კავშირი.

ბუნებრივია საბჭოთა ხელისუფლება ვერ შეეგუებოდა მის ძირგამომთხრელ პოლიტიკას, და აქედან გამომდინარე მისი იდეების გამტარებელი ორგანიზაციის არსებობასაც, მაგრამ რადგანაც იმ ეტაპზე ამკარა და რადიკალურ პოლიტიკას ვერ მიმართავდა, ამჯობინებდა სახელმწიფოს ცენტრალური ეკლესიის (რუსული მართლმადიდებლური ეკლესია) გაძლიერებითა და მისი უფლებების გაფართოებით დაპირისპირებოდა ქვეყნის გარეთა და შიგნით მოქმედ ანტისაბჭოურ ეკლესიას, რაც უნდა გამოხატულიყო ემიგრანტული (რუსული, უკრაინული, ქართული და სხვ.) სამრევლოების მის სისტემაში შემომტკიცებით. აღნიშნული პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით, საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი მთავრობის მცდელობაა შიგნით კავშირში ავტონომიურ ეკლესიათა აბსოლუტური დაქვემდებარება რუსულ ეკლესიაზე, რომლებიც საერთო საბჭოურ ინტერესებს გაატარებდნენ და მსოფლიოში საბჭოთა კავშირს ავტორიტეტს შეუქმნიდნენ. ზემოაღნიშნული ითვალისწინებდა ქართული და უკრაინული ეკლესიის საკითხსაც, მხოლოდ განსხვავებული მიდგომით.

როგორც ცნობილია, ფაშისტური გერმანიის მხრიდან უკრაინის მიტაცებული ტერიტორია იმთავითვე დაიყო საოკუპაციო ადმინისტრაციებად, რომლებიც ადგილებზე ადჭურვილნი იყვნენ სრული ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებით.

საბჭოთა ათეისტურ პერიოდში დახურული ეკლესიების გახსნა და იქ ღვთისმსახურების აღსრულება უკრაინელი ხალხისათვის სასურველი მოვლენა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერი და ბერი გულის სიღრმეში მაინც გრძნობდა, რომ ყოველივე პოლიტიკური მოსაზრებით იყო მოფიქრებული, მაგრამ იძულებული იყვნენ დროის დინებას მიყოლოდნენ.



მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ადმინისტრაცია ნებას რთავდა ეკლესიათა გახსნისა და იქ ღვთისმსახურების აღსრულებაზე, მისი იდეოლოგია იმთავითვე ქრისტიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლის დამადასტურებელი ფაქტები უამრავი მოიპოვება როგორც გერმანულ, ისევე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

უკრაინის დაპყრობილ ტერიტორიებზე მარტო ოკუპანტები არ წარმოადგენდნენ ძლიერ ძალას. აქ მოქმედებდნენ როგორც უკრაინელი, ასევე რუსეთისა და პოლონეთის პარტიზანები. არც ერთი იმათთაგანი (თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე) უკრაინის ეროვნულ ეკლესიას არ თანაუგრძნობდა. აღნიშნულ მოვლენას საკუთარი გამართლება მოეპოვებოდა. უკრაინაში ფაქტობრივად მოქმედებდა პრორუსული პარტიზანები, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ არ დაეშვათ ეროვნული გამოვლინებები და ხელი შეეშალათ გერმანელებისა და უკრაინის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის ურთიერთთანამშრომლობისათვის. რომელი საქმეც იმ ეტაპზე მინდობილი იყო „მებრძოლ უღმერთოთა კავშირსა“ და უშიშროების სპეცსამსახურებზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა მთავრობა ღია აგრესიას უკრაინის ეკლესიაზე იმ ეტაპზე ვერ განახორციელებდა, ამდენად, უმაღლესი მთავრობის მცდელობაა შიგნით კავშირში ავტონომიურ ეკლესიათა აბსოლუტური დაქვემდებარება რუსულ ეკლესიაზე, რომლებიც საერთო საბჭოურ ინტერესებს გაატარებდნენ და მსოფლიოში საბჭოთა კავშირის ავტორიტეტს შეუქმნიდნენ. ზემოაღნიშნული ითვალისწინებდა ქართული ეკლესიის საკითხსაც. საბჭოთა მთავრობა მისთვის ნაცადი ფრთხილი ხერხებით იბრძვის უკრაინისა და საქართველოს ეროვნული ეკლესიის რუსულ ეკლესიასთან შემომტკიცებისთვის და ამ საქმეში „იძულებულია გაითვალისწინოს სამამულო ომში მათი დამსახურება“.

სამამულო ომის (1941-1945 წ.წ.) დაწყებისთანავე, საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ანტიფაშისტურ ორიენტაციას დაუჭირა მხარი და აქტიურად ჩაება ომში, ქვეყნის გამარჯვებისათვის სასარგებლო პროპაგანდისტულ სამუშაოებში.

საქართველოს ეკლესიამ და მისმა სასულიერო კრებულმა, დროისა და ვითარების შესატყვისი ბრძოლა გაშალა. ის საბჭოურ პოლიტიკასთან ლავირების მეთოდით ცდილობდა ეროვნული ეკლესიის გადარჩენას; ეტაპობრივად ითხოვდა საერო ხელისუფლებისაგან საეკლესიო ღონისძიებების გატარებას, კერძოდ, ეკლესია-მონასტრების ამოქმედებას, ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნის უფლებას, რეპრესირებულ სამღვდლო პირთა განთავისუფლებას, მათი ოჯახებისადმი დახმარების გამოყოფას და ა.შ. ქართველი სამღვდლოება ეტაპობრივად ემზადებოდა ტერიტორიული ავტოკეფალიის უფლების მოთხოვნისათვის.

მართალია, საქართველოს ეკლესია თანამიმდევრულად ახორციელებდა სახელმწიფო პოლიტიკას, მაგრამ მის ბრმა იარაღად გამოყენებას ვერ ეგუებოდა, რაც იმავდროულად გამოისახებოდა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკლესიის საქმეთა საბჭოს ღონისძიებების წინააღმდეგ ბრძოლით. ქართული სამღვდლოება დაძაბული ადევნებდა თვალს ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკის ევოლუციას და ეროვნული ეკლესიისა და ქვეყნის ინტერესების დაცვისათვის გონივრულად იყენებდა მთავრობის ყოველ კომპრომისულ ნაბიჯს.

საბჭოთა ხელისუფლება ომის წლებში საეკლესიო პოლიტიკის შერბილებას საეკლესიო საკავშირო ცენტრის — რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიასთან მიდგომით იწყებს, რადგან სწორედ მისი მეშვეობით უნდა მოეძია ცალკეულ რესპუბლიკათა ეკლესიებთან მიდგომის გზები. აღნიშნულით იყო განპირობებული თეირანის კონფერენციის (1943 2.) წინ საბჭოთა მთავრობის მხრიდან ეკლესიაში სასწრაფოდ გატარებული ღონისძიებები. ამავდროულად, ხელისუფლება ხელოვნურად ქმნიდა მსოფლიოს ეკლესიების რუსეთის ეკლესიასთან კონტაქტების აუცილებლობას. ამავე პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო საზღვარგარეთის უკრაინული და რუსული სამრევლოების ხელთგდების მიმართულებით მეცადინეობაც.

აღნიშნული პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით, უმაღლესი ხელისუფლება ცდილობდა კავშირის მასშტაბით მოქმედი ავტონომიური ეკლესიების აბსოლუტურ მორჩილებას რუსულ ეკლესიაზე. ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული ამჟამად ქართული ეკლესიის დიდი ხნის ინტერესიც — რუსეთის ეკლესიის მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიით დაინტერესება.

საქართველოს ეკლესიის პოზიცია ამ მიმართულებით ერთგვარად ორიგინალურია. იგი აშკარად არ ეწინააღმდეგებოდა ერთიანი ქვეყნის — სსრ კავშირის ინტერესების დაცვას, აქტიურად ებმოდა მთავრობის მიერ შემოთავაზებულ პოლიტიკურ კურსში, გვევლინებოდა მის დაცველად, მაგრამ ამავდროულად ითხოვდა ეროვნული ეკლესიის ინტერესების დაკმაყოფილებასაც.

მეორე მსოფლიო ომის წლებში რუსულ და ქართულ ეკლესიებს ისევ საერთო პრობლემები გააჩნდათ: რუსეთის ეკლესია პა-

ტრიარქობის ინსტიტუტს ხელენიფებოდა და არა “ობნოვენელური” სქიზმის სინოდს.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას რუსულ ეკლესიას ხელსაყრელი პერიოდი დაუდგა პატრიარქობის აღდგენისთვის. უმაღლესმა ხელისუფლებამ დააფასა ეკლესიის როლი სამამულო ომში; თავის მხრივ, ეკლესიამაც მოიპოვა ნდობა ხელისუფლების წრეებში და ნება დართო მას 1943 წლის 8 სექტემბერს მოენვიათ მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ასარჩევად და წმინდა სინოდის შესაქმნელად.

სრულიად რუსეთის პატრიარქის არჩევას კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს ეკლესია, რადგან ამ ფაქტს უდიდესი როლის შესრულება შეეძლო ქართული ეკლესიის საბოლოო დამოუკიდებლობისთვის. ქვეყნის პოლიტიკურმა ვითარებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოს ეკლესიის უფლების აღიარებისთვის. კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) ისეთი პოლიტიკა შეიმუშავა, რომელიც ადგილიდან დაძრავდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხს. სამამულო ომში საქართველოს ეკლესიის დამსახურება, კათოლიკოს-პატრიარქს უფლებას აძლევდა ავტოკეფალიის აღიარება მოეთხოვა რუსეთის ეკლესიისაგან. 1943 წლის 124 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა სრულიად რუსეთის პატრიარქს სერგის, რომელშიც იმედი გამოთქვა მშვიდობიან თანაცხოვრებაზე ღვთის სადიდებლად. საპასუხო ტელეგრამაში პატრიარქმა სერგიმ გამოთქვა სურვილი, რომ „თანაცხოვრება ეკლესიებისა ხელს შეუწყობდა ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას“.

ორი ეკლესიის საჭეთმპყრობელის ურთიერთობისაკენ ლტოლვის სურვილმა ნაყოფი გამოიღო და 1943 წლის 28 ოქტომბრიდან დაიწყო სხვადასხვა საკითხებზე შემამზადებელი მოლაპარაკებები. ამ მისიით, რუსეთის პატრიარქმა სერგიმ საქართველოს საკათალიკოსოში მოავლინა მისი წარმომადგენელი სტავროპოლის და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი ანტონი, რომელსაც დაევალა რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ლოცვითი და კანონიკური განხეთქილების ლიკვიდაციის საშუალებათა შესწავლა და შემუშავება. კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრისას არქიეპისკოპოსმა ანტონმა აღნიშნა, რომ მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობის თანახმად, საეკლესიო საზღვრები უნდა დამთხვეოდა სამოქალაქო საზღვრებს და, რომ რუსეთის საპატრიარქო

მზად იყო ელიარებინა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია საქართველოს სსრ-ს საზღვრებში. პარალელურად მთავარეპისკოპოსმა ანტონმა, ქართული ეკლესიისაგან მოითხოვა სახელმწიფო პოლიტიკური კურსის აღიარება, სახელმწიფოსადმი ერთგულება, რაც უნდა გამოხატულიყო რუსული ეკლესიის ანტი-კანონიკური დაჯგუფების უარყოფით, მათთან ყოველგვარი ურთიერთობის აღკვეცით. იმისათვის, რომ ეკლესიათა შორის ლოცვითი კავშირი საეკლესიო კანონების დაცვის საფუძველზე მომხდარიყო, მეუფე ანტონის თხოვნა იყო, ამომწურავი პასუხები გაეცათ ქართველ იერარქებს რუსეთის ეკლესიის რიგ კითხვებზე;

კითხვები ეხებოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას ანტირუსულ საეკლესიო დაჯგუფებებთან. საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის დამაკმაყოფილებელი პასუხების შემდგომ, არქიეპისკოპოსმა ანტონმა მოსკოვის პატრიარქის მიერ ბოძებული უფლებამოსილებით, კანონიკურად შესაძლებლად ჩათვალა მონაწილეობა ერთობლივ მსახურებაში, რომელიც შედგა 1943 წლის 31 ოქტომბერს თბილისის სიონის ტაძარში, რითიც ფაქტიურად აღსდგა ლოცვითი თანაზიარება ორ ეკლესიას შორის. აღნიშნული მოვლენა მიმანიშნებელი იყო რუსეთის ეკლესიის მხრიდან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებისა.

ლოცვით-კანონიკური ურთიერთობის აღდგენა რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის იყო უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიაში. ავტოკეფალიის აღიარების ფაქტი თავის მხრივ საეკლესიო-პოლიტიკური კურსის ის ნაწილი იყო, რომელიც დიდი და ხანგრძლივი ბრძოლით, პოლიტიკური სიფრთხილითა და დიპლომატიით, არაჩვეულებრივი სიბრძნით გადამწყვეტა საქართველოს ეკლესიის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ. კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს საეკლესიო პოლიტიკური სიბრძნე მთავარეპისკოპოსმა ანტონმა შემდეგნაირად შეაფასა: „პატივი და დიდება თქვენ, რადგან თქვენ პირველი იყავით სიყვარულისა და მშვიდობის ინიციატორი ორ ეკლესიას შორის! პატივი და დიდება თქვენ, რომ პირველმა მოისურვეთ და შეიცანით ორ წმინდა ღვთიურ ეკლესიებს შორის ლოცვით და კანონიკურ ურთიერთობათა აღდგენის მნიშვნელობა და აუცილებლობა! ... როგორ შეიძლება გაჩუმება და როგორ არ მივესალმეთ თქვენს უწმინდესობას თქვენი სულიერი ხედვით სიძლიერისა და თქვენი დროული და ღირსეული საქები მტკიცე განზრახვისათვის?!“.

მთავარეპისკოპოსმა ანტონმა თავის სიტყვაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რუსი ხალხის რელიგიურ ტრადიციებზე და მათი ინტერესების საქართველოში დაცვაზე, და იმედი გამოთქვა ამ წესების დაცვის თანადგომაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მხრიდან; რომ ის მიუჩინდა რუს მრევლს ისეთ მღვდელმსახურთ, რომლებიც გაითავისებდნენ რუსული საეკლესიო წესების თავისებურებებს და განსაკუთრებულობას.

საგულისხმოა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს მიმართვა რუსეთის პატრიარქის სერგისადმი, სადაც წარმოჩინდა ამ უკანასკნელის ღვაწლი და დამსახურება საქართველოს ეკლესიისადმი წარსულსა და აწმყოში. ნიშანდობლივია, რომ პატრიარქი სერგი საქართველოს საეგზარქოსოში მოღვაწეობდა წლების მანძილზე. კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვაში აღნიშნულია: „უწმინდესობის ნების გამომხატველი, ჩვენთვის მშვიდობის გამომცხადებელი, სიკეთის მახარობელი თქვენ ხართ, თქვენო მაღალსამღვდელოესობავ, წარსულში ჩვენში დიდხანს მცხოვრები, ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე ჩვენი ბავშვობის ქრისტიანული სწავლების და ღვთისმეტყველების შემეცნებით გამამდიდრებელი, ახალი კი არს ისე იოლი შრომის, რუსეთის გულიდან საქართველოს გულისაკენ მოგზაურობის საკუთარ თავზე მტვირთველი“.

მოსკოვს დაბრუნებულმა მთავარეპისკოპოსმა ანტონმა, საანგარიშო მოხსენებით რუსეთის პატრიარქის წინაშე გააკეთა განცხადება: „გამომდინარე იქიდან, რომ რადიკალურად შეიცვალა საქართველოს სახელმწიფოებრივი (იურიდიული) მდგომარეობა, მართალია იგი რჩება სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად, მაგრამ უკვე საბჭოთა კავშირის ნაციონალურ რესპუბლიკებთან ერთად და მათ მსგავსად აქვს თავისი განსაზღვრული სახელმწიფო ტერიტორია და მმართველობა, ამიტომ მართლმადიდებელი რუსული ეკლესია აბარებს რა წარსულს ყოველგვარ სჯულისმიერ ანგარიშსწორებას და ცდილობს სიხარულით ხელგაშლილი შეხვდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას, რომელიც მუდამ ეძიებდა რუსეთის ეკლესიასთან თანამშრომლობას ლოცვებში და საიდუმლოებებში“.

აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე, რუსეთის უწმინდესმა სინოდმა განაჩინა: „მიიღება რა მხედველობაში, რომ საქართველოს უწმინდესმა კათალიკოს-პატრიარქმა ქართული იერარქიის სამღვდლო დასისა და სამწყსოს სახელით დაამტკიცა ქართული ეკლესიის უცვლელი გადაწყვეტილება, როგორც წარსულში, ასევე

აწმყოში და მომავალშიც დარჩეს წმინდა მოციქულთა და წმინდა მათა მიერ გადმოცემული მართლმადიდებელ სარწმუნოებაში, შეინარჩუნოს და დაიცვას კანონები, აღიარებულ იქნას:

ა) ყოვლადუსამღვდელოეს სტავროპოლის მთავარეპისკოპოსის ანტონის მოქმედება კანონიერად, რამაც 1943 წლის 31 ოქტომბერს უწმინდეს კათალიკოსთან და მისდამი დაქვემდებარებულ სამღვდლოებასტან ერთად, ალაგლინა ლოცვა და ევქარისტია, რითაც არ დაარღვია მოსკოვის უწმინდეს პატრიარქის მიერ ყოვლად უსამღვდელოეს მთავარეპისკოპოსისადმი მიწიჭებული უფლებამოსილება.

ამგვარად:

ბ) ჩვენდა სასიხარულოდ აღდგენილია ლოცვითი და ევქარისტიული ურთიერთობა ქართულ და რუსულ ორ ავტოკეფალურ და ეკლესიებს შორის:

გ) ეცნობოს მომხდარის შესახებ საქართველოს სსრ-ს ფარგლებში მყოფ მართლმადიდებელ სამწყსოს, და განვუმარტოთ მათ, რომ ამიერიდან მათი ვალია ღვთისმსახურებისას მოიხსენიონ იერარქიული თანამიმდევრობით საქართველოს უწმინდესი კათალიკოსის და სხვა იერარქიების სახელები და უეჭველად საიდუმლოთა აღსრულებისათვის მიმართონ ქართველ მღვდელმსახურებს, როგორც მართლმადიდებლებს:

დ) ეთხოვოს საქართველოს უწმინდეს კათალიკოს-პატრიარქს მიიღოს საქართველოს სსრ-ში მცხოვრები მართლმადიდებელი რუსი მრევლი თავის საჭეთმპყრობელობაში მიეცეს მათ უფლება შეინარჩუნონ თავიანთ მღვდელმსახურებაში და სამრევლო პრაქტიკაში ის წესები და ჩვევები, რაც მიიღეს მათ რუსული ეკლესიისაგან მემკვიდრეობით:

ე) ეთხოვოს საქართველოს უწმინდეს პატრიარქს მიიღოს თავის გამგებლობაში საეკლესიო საქმეები და სომხეთში მყოფი მართლმადიდებელი რუსი მრევლი, რომლებიც მართალია არ იმყოფებიან საქართველოს სსრ-ს ფარგლებში, მაგრამ მანძილის სიშორის ან სხვა მსგავსი მიზეზის გამო უჭირთ მიმართონ რუსულ საეკლესიო მმართველობას, რის შესახებ ეცნობოს აგრეთვე საქართველოს უწმინდეს კათალიკოს-პატრიარქს, განსაკუთრებული საპატრიარქო მინერლობით, ასლი გაეგზავნოს საქართველოს სსრ ფარგლებში მყოფ რუს მართლმადიდებელ მრევლს და აგრეთვე ეუნყოს წერილობითი ბრძანება ყოვლადუწმინდეს ალექსანდრეს მიტროპოლიტს“.

წმინდა სინოდური განჩინების შემდეგ, რუსეთის პატრიარქმა

სერგიმ წერილი გაუგზავნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კალისტრატეს რომელშიც აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღარ იყო ორ ეკლესიას შორის ცილობის საგანი.

რუსეთის პატრიარქმა სერგიმ თავის მონოდებაში შთაგონებით მიმართა საქართველოს ეკლესიის რუსი ეროვნების მრევლს: „ვადიდოთ საქართველოს ღვთისსათნომყოფელთა კრებული: საქართველოს განმანათლებელი ღვთის მოციქულთა სწორი წინა და მრავალრიცხოვანი ქართველი მოღვაწენი, რომლებიც რუსეთის წმინდა ნათლობამდე მრავალი წლით ადრე უკვე ანათებდნენ მსოფლიოში ქრისტეს მადლით. გვჯერა, რომ ზეცაში განდიდებული საქართველოს ღვთისმშობლის შუამდგომლობით თავის წილხვედრ საქართველოსადმი“.

საქართველოს ავტოკეფალიის აღიარების აქტი ეუწყათ აღმოსავლეთ პატრიარქებსაც. მათ მტკიცებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის. აქტის საფუძველზე, საქართველოს ეკლესიას საშუალება ეძლეოდა ღვთისმშობლის შუამდგომლობით ურთიერთობაში შესულიყო მსოფლიო ეკლესიასთან.

საქართველოში მცხოვრები რუსი მორწმუნენი სიხარულით შეხვდნენ ავტოკეფალიის აქტს. განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიესალმნენ ამ ფაქტს სამამულო ომის შედეგად საქართველოში ევაკუირებული და სხვა ერის მართლმადიდებელი ხალხები. მიღებული დოკუმენტის საფუძველზე, მათ უფლება ეძლეოდათ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ტერიტორიაზე საკუთარი წესჩვეულებების შენარჩუნებით ესარგებლათ ყველა იმ უფლებით, რითიც სარგებლობდა ქართველი მრევლი. საქართველოს რუსმა მრევლმა სთხოვა კათოლიკოს-პატრიარქს მთავრობასთან შუამდგომლობა დახურული ეკლესიების ამოქმედებისათვის, მაგრამ იმ ხანად უსარგებლოდ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოში რუსული ეკლესიების ამოქმედებას სერიოზული დაბრკოლებები შეექმნა: 1) საბჭოთა ხელისუფლება რეგიონალურ-ნაციონალურ ეკლესიებს ფართო უფლებებს არ აძლევდა; 2) კავშირის მასშტაბით შექმნილი საეკლესიო ორგანო რეგიონალური ეკლესიების მკაცრ კონტროლს ეწეოდა; 3) რუსეთის წმინდა სინოდის მიერ განკვეთილი დაჯგუფებების აქტიურობა საქართველოს რუს სამრევლოთა ხელთგდებისათვის.

განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ეკლესიის თავისუფლებას ემიგრაციიდან დაბრუნებული ის სამღვდელოება, რომელთაც ემიგრაციაში ყოფნისას საზღვარგარეთ „ობლოვლეურ“ დაჯგუფებებს მიაშურეს. ისინი შენიღბული მეთოდებით ცდილობდნენ კათოლიკოს-პატრიარქისაგან მიეღოთ უფლება საქართველოს რუსულ სამრევლოებში შტატების აღდგენაზე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განჩინებით, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა ღვთისმშობლისაგან განშორებას იმ პირებთან და საზოგადოებასთან, რომლებიც განყენებულნი იყვნენ რუსული ეკლესიის სამსჯავროს მიერ და წინააღმდეგობას უწევდნენ მოძალადეებს. განმანათლებელი და მათი აგენტები რუს საზოგადოებას ქართული ეკლესიის წინააღმდეგ განაწყობდნენ. აღნიშნულის გამო, საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ მთლიანობას კიდევ ერთხელ საფრთხე დაემუქრა, რაც არანაკლები ინტენსივობით მომდინარეობდა საკავშირო-სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საეკლესიო საბჭოსაგან (1943 2. 8.X). ეს უკანასკნელი რუსეთის ეკლესიათა საბჭოს დაქვემდებარებაში იყო, რის გამოც რუსეთის ეკლესიას საქართველოს ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლებას აძლევდა.

ამრიგად, საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობას ახალი საფრთხე შეექმნა. ის კვლავინდებურად რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდა, რომელზე კონტროლიც სახელმწიფო ხელისუფლებას უნდა გაენია. ქართველმა სამღვდელოებამ სწრაფად აულო ალლო შექმნილ საშიშროებას და შესატყვისი მოქმედება დაიწყო. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა არაერთგზის აღძრა საკითხი უმაღლესი ხელისუფლების წინაშე საქართველოს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან საკუთარი საბჭოს დაარსებაზე, რომელიც გაუნევედა მეთვალყურეობას საქართველოს ეკლესიას. მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი რუსეთის ეკლესიისაგან თავის დახსნა, ისე, რომ არ მომხდარიყო რუსეთის სასულიერო იერარქიასთან და სახელმწიფო ხელისუფლებასთან დაპირისპირება.

საერო ხელისუფლების მხრიდან, საქართველოს ეკლესიის მოთხოვნა დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ ტიტულატურიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „რუსეთის“ და დარჩა „მართლმადიდებელი ეკლესიის“ საქართველოს რწმუნებული, რომელიც რუსეთის ეკლესიის რწმუნებულს ემორჩილებოდა. ამ უხერხული მდგომარეობის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კვლავ აღძრა საკითხი, ამჟამად უკვე საკავშირო სახკომსაბჭოს „მოსკოვის საბ-

ჭოს“ ხელმძღვანელობასთან — გ.გ.კარპოვთან. კათოლიკოს-პატრიარქი აღნიშნავდა, რომ „რუსეთის რწმუნებულის საქართველოში დანიშვნა ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ დამოუკიდებელი უზუცესი ეკლესია ემორჩილებოდა უწმინდეს ეკლესიას. გ.გ.კარპოვმა თავის მხრივ კათოლიკოს-პატრიარქს აღუთქვა, რომ ამ საკითხს აუცილებლად შეათანხმებდა ი.ბ.სტალინთან“. კათოლიკოს-პატრიარქი ხსენებული საბჭოს რწმუნებულს მიანიშნებდა, რომ ამ საკითხს ჰქონდა არა მარტო ეკლესიური, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც. იგი კატეგორიულად მოითხოვდა:

„1) სსრკ-ს სახკომსაბჭოსთან არსებულ საბჭოს დარქმეოდა ან „რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა საბჭო“, ან „მართლმადიდებელ ეკლესიათა საბჭო“.

2) საქართველოს სახკომსაბჭოსთან შექმნილიყო საქართველოს ეკლესიის საქმეთა საბჭო კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოს რწმუნებულის თავმჯდომარეობით“.

კათოლიკოს-პატრიარქი ხელისუფლებას მიანიშნებდა, რომ „საუკუნის მანძილზე რუსეთის სინოდიდან მედგარი ბრძოლით მოპოვებული საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული მთლიანობა, რუსეთის მღვდელმთავრების შეცვლით, რომ არ დარღვეულიყო, პატრიარქი ითხოვდა რუსული სამრევლოების გახსნის შუამდგომლობათა განხილვას, რაც მას საშუალებას მისცემდა დროულად დაეკმაყოფილებინა პირველ ეტაპზე აფხაზეთის მრევლის მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ეს კუთხე ეკლესიურად რუსეთის იურისდიქციაში მოექცეოდა, რაც საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას მოასწავებდა“.

ამრიგად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისთვის ბრძოლამ მძიმე და ხანგრძლივი პერიოდი განვლო. ეს მეტად რთული პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობასთან ღრმად იყო დაკავშირებული. საქართველოს ეკლესიის იერარქებისა და სრულიად სასულიერო კრებულის დამსახურებად ითვლება, ყველა დროის პოლიტიკურ ლაბირინთებში გარკვევის დიდი უნარი. ისინი საქართველოში არსებული ვითარების შესაბამისად მოქმედებდნენ და ყველა ხელსაყრელ მდგომარეობას ეროვნული ეკლესიის სასარგებლოდ იყენებდნენ. პარადოქსულია, მაგრამ, მაინც, სწორედ საქართველოს ეკლესიისათვის ყველაზე მძიმე პერიოდში, კომუნისტური რეჟიმის დროს, საქართველოს ეკლესიამ მიაღწია გამარჯვებას, მოიპოვა ეროვნული ეკლესიის იურიდიული უფლების აღიარება რუსეთის

მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან.

საქართველოს ეკლესია განთავისუფლდა ხანგრძლივი მონობისაგან და გაიჭრა მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა სამოღვაწეო ასპარეზზე, რამაც პირობა შექმნა მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა მხრიდან მისი ავტოკეფალიის აღიარებისა. ეს უდიდესი ისტორიული მოვლენა კი განხორციელდა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის (შილაშვილი-ლუდუშაური), ქართველი საზოგადოებისა და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით. ამ დროიდან, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ დამსახურებულად ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების გვერდით.

რაც შეეხება უკრაინასთან მიმართებაში, საბჭოთა პოლიტიკამ მისი ადგილი მართლმადიდებლურ სამყაროში განცალკავებულად არ წარმოადგინა, რადგან ამჯერადაც (ისევე როგორც 30-იან წლებში) მიიჩნეოდა, რომ მის ავტოკეფალურ მოთხოვნებს კანონიკური საფუძველი არ გააჩნდა და ამდენად რუსულ ეკლესიასთან შერწყმულ მდგომარეობაში ყოფნას არჩევდა. აღნიშნულს თავის გამართლებასაც აძლევდა, — „ასეთი იყო უკრაინელი ხალხის ნება“.

დრომ და ვითარებამ XX საუკუნის ბოლოს აჩვენა, რომ უკრაინელ მართლმადიდებლებს და საზოგადოებრიობას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და საკუთარ ცივილიზაციაზე (მართლმადიდებლურ ფასეულობებზე) აგებული ეკლესია სჭირდებათ.

### III კარი

## უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია პოსტსაბჭოთა პერიოდი

### I თავი

#### უკრაინელი საზოგადოებისა და სამღვდლოების ბრძოლა მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის XX ს-ის 80-90-იან წლებში.

რუსეთის სასულიერო და საერო ხელისუფლების მიერ განხორციელებული უხეში საეკლესიო პოლიტიკის (30-40-იანი წლები) შედეგად, უკრაინის ეკლესიისათვის ეროვნული ნიადაგის გამოცლამ, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მოშლამ, უკრაინის საეგზარქოსოს ბიუროკრატიულ დანესებულებად გადაქცევამ XX ს-ის (50-80-იან წლებში), სამღვდლოებასა და მრევლს შორის უფსკრულის წარმოშობა-გაღრმავებამ (ათეიზმის პერიოდში) უკრაინელი ხალხის აზროვნებაში მრავალი გადასაჭრელი პრობლემა დააგროვა, განსაკუთრებით სააჯაროების პერიოდში, როცა სიტყვის თავისუფლებამ სერიოზული დატვირთვა შეიძინა. „ხალხის საკეთილდღეოდ გამიზნული გარდაქმნების“ წარმატებით განხორციელებისათვის საეკლესიო თვითმონესეობის საკითხი, საუკუნის განმავლობაში, მესამეჯერ წამოიჭრა. ( 1917-1921 წ.წ. 1942 წ. 1990-იანი წლები).

აღნიშნული მოვლენა უკრაინის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნათა პარალელური პროცესი იყო, რომელმაც XX ს-ის მიწურულს მთელი უკრაინა მოიცვა.

1989 წ. 19 აგვისტოს ლვოვში პეტრე-პავლეს სამრევლოს სამამღვდლოთაგან ორმა, ვლადიმერ იერემიამ და იოანე პაშულოამ თავიანთი სამრევლო გამოაცხადეს განხეთქილებაში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მოსკოვის საპატრიარქოსთან.

აღნიშნულმა მოვლენამ შეშფოთება გამოიწვია როგორც მოსკოვის საპატრიარქოს უწყებაში, ასევე უკრაინის საერო (საბჭოთა) ხელისუფლებაშიც, რასაც მოჰყვა პეტრე-პავლის ტაძრის დახურვა და მასზე განსაკუთრებული ზედამხედველობის დაწესება.

ხსენებულმა აქტმა მწვავე რეაქცია გამოიწვია როგორც ლვოვის ეპარქიაში, ასევე აშშ-ში, უკრაინის ემიგრანტულ ეკლესიაში, რომლის საეკლესიო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გორბაჩოვისთვის გაეგზავნა საპროტესტო წერილი მოთხოვნით, გაეუქმებინა ლვოვის ადმინისტრაციის თავისი გადაწყვეტილება პეტრე-პავლეს ეკლესიის დახურვასთან დაკავშირებით და დაბრუნებოდა ეკლესია მორწმუნე მრევლს, რათა ამ უკანასკნელს მისცემოდა საშუალება თავისუფლად ესარგებლა კანონით, -სვინიდისის თავისუფლების შესახებ.

ავტოკეფალიისთვის მებრძოლმა უკრაინელმა სამღვდლოებამ საკუთარი პერიოდული ორგანოც დააარსა.

1989 წლის სექტემბერში გამოსვლა დაიწყო უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის უამე-ის სამრევლოების გაზეთმა „Bipa-Православ'я“. გამოცემლობის მთავარი პათოსი მიმართული იყო XX საუკუნის პირველ ნახევარში (1921 და 1942 წლების) საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ავტოკეფალიის გაუქმებასა და იმის განცდაზე, რომ მესამე (1990-იანი წლების) მცდელობა უეჭველად ეკლესიის სასარგებლოდ უნდა დასრულებულიყო.

ამავე წელსვე მასობრივი ხასიათი მიიღო ცალკეულ ეკლესიათა განხეთქილებაში გასვლის ფაქტებმა.

ავტოკეფალიისთვის მიმდინარე მოძრაობის თანდათანობითმა გააქტიურებამ უწმინდესი სინოდი აიძულა საგანგებოდ ემსჯელა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე და შექმნილი დაძაბულობა მეტ-ნაკლებად შეეჩერებინა, მაგრამ როგორც მოვლენებიდან ჩანს, პირველ ეტაპზე, სინოდი მხოლოდ ერთ-ერთი ავტოკეფალისტის იოანე ბონდარჩუკის განსჯის საკითხით შემოიფარგლა, რომ მას არავითარი კანონიკური უფლება არ გააჩნდა ერთიან რუსულ ეკლესიაში შეეტანა ბზარი და, რომ ამ უკანასკნელს თავი უნდა შეეკავებინა ავტოკეფალური მოთხოვნებისაგან.

1989 წ. 20 ოქტომბერს ლვოვში პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში შედგა უამე-ის სამღვდლოთა კრება. კრებამ თხოვნით მიმართა ჟიტომირის ეპოსკოპოსს იოანე ბონდარჩუკს სათავეში ჩადგომოდა უამე-ის მმართველობას. კრებაში მონაწილეობა მიიღო სასულიერო პირებმა: ვლადიმერ იერემიამ, მიროსლავ მაქსიმოვიჩმა, იოანე პაშულიამ, ნიკოლაი კაფჩაკმა და სხვებმა. სამღვდლოთა კრებამ აირჩია ლვოვის საეკლესიო რადა. უამე-ის წიაღში დაიწყო მღვდლებისა და ეპისკოპოსების კურთხევა, ხოლო ლვოვის

პეტრე-პავლეს ტაძარში ღვთისმსახურების (ლიტურგიის) ჩატარება. როგორც იმდროინდელი წყაროებიდან ირკვევა, უკრაინაში მიმდინარე პროცესები აშშ-დან უკრაინის ემიგრანტული ეკლესიის მიტროპოლიტ მსტისლავ (სკრიაშიკის) უშუალო დირექტივებით ხორციელდება. ამდენად, მისივე უშუალო მითითებით უამე-ის უმაღლეს იერარქად პირველ ეტაპზე დანიშნულ იქნა იოანე ბონდარჩუკი.

ზემოხსენებული მოვლენების შემდეგ პირველად, ოფიციალურად ეპისკოპოსმა იოანე ბონდარჩუკმა დეპეშით აცნობა მოსკოვის საპატრიარქოს, რომ ის უკვე აღარ ირიცხებოდა რუსეთის ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებულში, რაც თავისთავად გულისხმობდა, რომ იგი გამოდიოდა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციიდან.

ამავდროულად, ი. ბონდარჩუკმა დეკლარაცია მოახდინა შემდეგი საკითხების:

1) სამართლებრივად იქნას ცნობილი 1921 წლის კიევის საეკლესიო კრების გადაწყვეტილება უამე-ისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ;

2) განხილვის საგანი გახდეს 1686 წლის აქტი კიევის მიტროპოლიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციიდან კიევთან შეუთანხმებლად მისკოვში გადატანის ფაქტი;

3) სამართლებრივად შეფასდეს უამე-ის (1921წ.) ბოლშევიკების მხრიდან 30-იან წლებში ტოტალური განადგურების ფაქტი.

4) მიენიჭოს კანონიკური მეთაურის ფუნქცია მიტროპოლიტ მსტისლავ სკრიპნიკს, როგორც უამე-ის პირველ იერარქს.

უკრაინის ეგზარქოსმა და კიევის მიტროპოლიტმა ფილარეტმა (დენისენკო) ღვთისმსახურების არქიეპისკოპოს ირინესთან და სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად სცადეს ეპისკოპოს იოანესთან დაკავშირება განხეთქილების თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ ისურვა სინოდის სხდომაზე ჩასულიყო კიევში.

ავტოკეფალური მოძრაობა თანდათანობით ფართო ხასიათს იძენდა. პეტრე-პავლეს ეკლესიის სასულიერო კრებულის წაბაძვით, მოსკოვის იურისდიქციიდან გავიდა რიგი ეკლესიებისა, ისეთებიც, რომელთაც თავის დროზე დიდი წვლილი მიუძღოდათ უნისთან ბრძოლაში. განხეთქილებაში გავიდა ღვთისმსახურების სამრევლოთა უმრავლესობა. ამ პერიოდში განსაკუთრებით გააძლიერა ავტოკეფალისტთა რიგები ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ და ავტორიტეტულმა მაღალმა იერარქმა ვიტალი პოლიტელომ. დასავლეთ უკრაინის სო-

ფლებისა და დაბების მართლმადიდებლურმა მრევლმა გეზი აიღო ავტოკეფალურ ეკლესიაში გაერთიანებაზე. აღნიშნულ მოვლენას მოსკოვი იმით ხსნიდა, რომ სოფლის მოსახლეობამ ისიც კი არ იცოდა, რომელ აღმსარებლობას მიეკუთვნებოდა, რადგან კარგად არ იყო გათვითცნობიერებული თავის მრწამსში. იმდროინდელი რუსული პრესა ხსენებულ მოვლენებს იმით ხსნიდა, რომ ათეიზმის პერიოდის ანტირელიგიურმა პოლიტიკამ ასახვა ჰპოვა ზოგადად, საეკლესიო ცხოვრებაზე და როცა დემოკრატიის პირობებში მრევლმა (განსაკუთრებით დასავლეთ რეგიონებში) ნამდვილად მოინდომა მიეკუთვნებოდა ტრადიციულ რელიგიას და ეკლესიას, მაგრამ მათ არჩევანის უფლება ნაციონალურად განწყობილმა პოლიტიკურმა პარტიებმა წაართვეს (ე.ი. იმ აღმსარებლობას მიაკუთვნეს, რომელიც მათთვის უფრო მიმზიდველი იყო) წერილების ავტორები იმაზედაც მიანიშნებდნენ, რომ ავტოკეფალური ეკლესიების რიგების ზრდა უკრაინის, განსაკუთრებით დასავლეთ რეგიონებში, სწორედ ასეთ მრევლზე იყო ორიენტირებული.

ამ პერიოდიდან უკრაინის მთელ ტერიტორიაზე ეკლესიებში ღვთისმსახურებისას გაისმოდა გამოთქმები, - დაბრუნებოდნენ ქვემარტი მართლმადიდებლები ეკლესიას. ამავდროულად, განსაკუთრებით გალიციის მხარეში აქტიური ხასიათი მიიღო სამღვდელთა მხრიდან წესთმსახურების აღსრულებამ გალიციური აქციენტით. აღნიშნულ მოვლენას მოსკოვი გარეშე ძალების მხრიდან ეკლესიის უკრაინიზაციისთვის შემოტანილი ელემენტით ხსნიდა. აღნიშნული რუსეთის მხრიდან თავისთავად მეტყველებდა ტრადიციული საღვთისმსახურო ენის უგულვებლყოფაში.

1989 წლის 29 ნოემბერს დანიშნულ იქნა ავტოკეფალიის გასაძლიერებლად საერთო უკრაინული მარხვა. ქვეყნის მოსახლეობის რელიგიური კონფესიონალური ხასიათი იმთავითვე დაფიქსირდა ავტოკეფალურ ეკლესიაში. მრევლის საეკლესიო ცხოვრება არსებითად გამოცოცხლდა. აღნიშნულის მოვლენის დეკლამირებას ხელს უწყობდა ეროვნულად განწყობილი პრესა და სხვა საინფორმაციო საშუალებები.

ბუნებრივია, შექმნილი რელიგიურ-პოლიტიკური სურათი სერიოზულ შემფოთებას იწვევდა რუსეთის როგორც საეკლესიო, ასევე პოლიტიკურ წრეებში. უწმინდესი სინოდი იძულებული გახდა, ხსენებულ საკითხთან მიმართებაში, მოეწვია სამღვდელთა გაფართოებული სხდომა პატრიარქ პიმენის თავმჯდომარეობით. კრება შედგა 1989 წლის 14 ნოემბერს. უპირველესყოვლისა კრებამ

იმსჯელა ეპისკოპოსის იოანე ბონდარჩუკის ანტიკანონიკურ საქმიანობაზე და შეუწყვიტა მას უფლებამოსილება. უწმინდესმა სინოდმა იხელმძღვანელა რა საეკლესიო კანონმდებლობით, იოანე ბონდარჩუკის საქმიანობას (მიიჩნევდა რა მას უკანონოდ) მისცა შესაბამისი კვალიფიკაცია. საკითხი განიხილებოდა წმ.მამების სწავლების კონტექსტში – კერძოდ იოანე ბონდარჩუკის მიერ რუსული ეკლესიის წინაშე ჩადენილი ცოდვა „не смывается даже мученической кровью. Все священнодействия, которые могут совершаться Бондарчуком объявляются недействительным, хиротонии безблагодатными, церковные распоряжения – наказаныма. Те священнослужители, которые будут иметь с ним церковное общение, запрещаются в священнослужении до времени полного раскаяния, а совершаемые ими таинства и священнодействия считаются безблагодатными и неспасительными“.

ზემომოტანილი ამონარიდი არსებითად მიუთითებს რამდენიმე გარემოებაზე. სინოდი ცდილობს ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს განდგომილ ეპისკოპოსებს, საჯაროებაზე გაიტანოს და მსჯელობის საგნად აქციოს „ურჩი“ ღვთისმსახურების მოქმედება, მრევლს მიანიშნის, რომ არ მიიღოს მათგან შეთავაზებული აუცილებლად გათვალისწინებული წესები და სხვა...

ამავდროულად, რუსეთის უწმინდესმა სინოდმა უკრაინის სამღვდელოებსა და ბერმონაზვნებს წერილობით მიმართა შეენარჩუნებინათ საეკლესიო ერთობა რუსული ეკლესიასთან და არ დამორჩილებოდნენ განხეთქილების მოთავეებს.

1989 წლის ბოლოს კიევში სამღვდელო დასის კონგრესზე უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის თემებიდან ჩამოყალიბდა უამე-ის მართლმადიდებლური საძმო, რომელმაც შეიმუშავა თავისი პროგრამა.

საძმოში სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები გაერთიანდა, რომელთა შორის ავტოკეფალიის საკითხთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, რაც მიაწინებდა, რომ ნაწილი ავტოკეფალიის იდეას ემხრობოდა, ხოლო ნაწილი კი არა. ამ შემთხვევაშიც ორივე მიმართულების სამღვდელოებს შორის გამოიყოფოდა ისეთებიც, რომლებიც თითქოს ნეიტრალიტეტს იჩენდა, მაგრამ როგორც კი მიეცემოდა საშუალება უმტკივნეულოდ დატოვებდა მოსკოვის იურისდიქციას. ასეთი სამღვდელოება, ბუნებრივია, ავტოკეფალიის საკითხებში, მოიაზრებოდა პასიურებად. ე.ი. აქედან არსებითად ჩანს, ერთნი აქტიური ავტოკეფალისტები არიან კერ-

ძოდ იდეოლოგები, ხოლო მეორენი კი საკითხისადმი კონიუქტურული მიდგომით გამოირჩეოდნენ.

აქედან გამომდინარე, ზოგადად ისმის კითხვა რა უნდა ყოფილიყო ავტოკეფალისტური მოძრაობის იდეურად მკვებავი საშუალება? ამ შემთხვევაში პასუხი მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება იყოს მკვეთრად გამოხატული ეროვნული (ნაციონალური) მისწრაფება, - უკრაინის საეკლესიო დამოუკიდებლობა უნდა ყოფილიყო ეროვნული დამოუკიდებლობის სანინდარი. აღნიშნულზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ამდენად, გვინდა შევნიშნოთ, რომ ავტოკეფალისტების ის ნაწილი, რომელიც ხსენებული (ეროვნული) ეკლესიის დემოკრატიზაციისთვის იბრძოდა, ისინი თავისთავად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგებში გვევლინებიან. ეს უკანასკნელნი ავტოკეფალიის მოძრაობის მიზეზებში ქვეყნის (უკრაინის) პოლიტიკური დამოუკიდებლობის განხორციელების პერსპექტივებს ხედავდნენ და ძალისხმევას არ ზოგავდნენ დაწყებული საქმის წარმატებით დასრულებისათვის.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ, ეკლესიის ისტორია საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს და საერო ისტორიისაგან განსხვავებით, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ განვითარებას ასახავს, ის ერის სულიერ-ზნეობრივი ამაღლების პროცესს წარმოაჩენს. მოცემული ორი ფაქტორი იმდენად ღრმად ეჯაჭვება საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომ პოლიტიკური ისტორიის ფონი ხშირ შემთხვევაში მიმდინარე საეკლესიო მოვლენებით აიხსნება. მათ ერთმანეთზე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ.

ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში უკრაინის საეკლესიო ისტორიის ობიექტურად გაშუქებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ რუსეთს საერო და სასულიერო ხელისუფალნი ავტოკეფალიისთვის ბრძოლას სეპარატიზმად აღიქვამენ და ძალ-ღონეს არ იშურებენ დაასაბუთონ, რომ უკრაინის საეკლესიო დამოუკიდებლობის მოთხოვნებს არავითარი საფუძველი არ გააჩნია. უნდა აღვნიშნოს, რომ ამ მიმართულებით გაცხოველებულმა დავამ ერთობ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, როგორც საერთაშორისო მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, ასევე სამეცნიერო წრეებში.

აღნიშნულ საკითხთან დამოკიდებულებაში საკუთარ პოზიციას აფიქსირებენ, როგორც საეკლესიო წრეები, ასევე ქრისტიან-



ული კვლევების საერთაშორისო ორგანიზაციები. ისინი მიიჩნევენ, რომ საეკლესიო თვითმონესვების მიღწევისათვის საჭირო არის საზოგადოების განვითარების (სათანადო დონე), რასაც ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების თანდათანობითი დამკვიდრება და მთელი საზოგადოების დემოკრატიზაცია განაპირობებს. ეკლესიის სახელმწიფოში სრულყოფილი მდგომარეობის მიღწევა კი საზოგადოებრივი ცხოვრების თანდათანობითი მონესრიგების შედეგად იქნებოდა მხოლოდ შესაძლებელი.

1990 წლისთვის განსაკუთრებით გააქტიურდა უკრაინის რადიკალური პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებით. პოლიტიკური ცხოვრების განვითარება ეკონომიკური ქაოსის გაღრმავების პირობებში მიმდინარეობდა. კრიზისის ადმინისტრაციული მეთოდებით დაძლევის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. რჩებოდა ერთადერთი გზა – გადაჭრით შემოებრუნებინათ სახალხო მეურნეობა საბაზრო ურთიერთობისკენ. უკრაინა ნელა და მტკივნეულად შედიოდა საბაზრო ეკონომიკის სტადიაში. მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტები-კანონები „უკრაინის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ“, „სოფლის განვითარების შესახებ“, „უცხოური ინვესტიციების დაცვის შესახებ“ და სხვ. ახალ ფაზაში შევიდა ავტოკეფალური მოძრაობაც.

1990 წ. 30-31 იანვარს კიევი შედგა სამღვდლო დასის კრება, რომელზედაც მოსმინეს კიევისა და გალიციის მიტროპოლიტ ფილარეტის (დენისენკო) მოხსენება რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში შექმნილ მდგომარეობაზე, რომელიც დაკავშირებული იყო კონფესიონათაშორისი დაპირისპირების საკითხთან დასავლეთ უკრაინაში. კრება განიხილავდა აგრეთვე იოანე ბინდარჩუკის საქმესაც, რომლის სახელთანაც იყო გაიგივებული ავტოკეფალური განხეთქილება უკრაინაში. კრებამ თავის მხრივ დეკლარაციით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ გორბაჩოვს, - დაუყოვნებლივ აღკვეთილიყო ძალადობისა და უკანონობის აქტები, რომლებიც მომდინარეობდა უნიათობისა და მოსკოვის საპატრიარქოსთან განხეთქილებაში მყოფი წრეებიდან. კრებამ უნიატებისა და განხეთქილების მოთავეთა ქმედებას მისცა ერთმნიშვნელოვანი შეფასება, როგორც პოლიტიკური წრეების მხრიდან რელიგიურ გამოვლინებას. კრებაზე ასევე გაისმოდა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ საეკლესიო ორგანიზაციებს მიეტიმასნა ისეთი კატეგორია, რომელსაც არავითარი კავშირი არ გააჩნია

ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნიდა ეკლესიის ერთიანობას და ზიანს აყენებს საერთო საქმეს.

როგორც აღვნიშნეთ, კრების განხილვის საგანს წარმოადგენდა პირველ რიგში კონფესიონათაშორისი დაპირისპირება.

1988-1989წ.წ. სსრ კავშირის პოლიტიკურ ცხოვრებაში ცნობილია, როგორც შიდაპოლიტიკური კურსის შეცვლა რელიგიის საკითხთან მიმართებაში. რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა ხელისუფლებამ უარი სთქვა ათეიზმზე, როგორც სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით რელიგიის საქმეთა რწმუნებულის საბჭომ იმთავითვე განაცხადა, რომ უნიატური ეკლესია თავისუფალი იყო თავის საქმიანობაში, რაც ნიშნავდა, რომ მას ენიჭებოდა ლეგალიზაციის უფლება უკრაინაში.

1989წ. 1 დეკემბერს მ.გორბაჩოვისა და რომის პაპის იოანე-პავლე II –ის შეხვედრაზე საბოლოოდ გადაწყდა საკითხი უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის ლეგალიზაციის შესახებ. აღნიშნული აქტი ფართო გლობალურ პროცესებს უკავშირდებოდა, რომელიც ცალკე განხილვის საგანია აქ არ შევხებით. იმავე დღესვე უკრაინის რელიგიის საქმეთა რწმუნებულის საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნიატური სამრევლოები ისეთივე წესით იქნებიან რეგისტრირებული, როგორც სხვა რელიგიური გაერთიანებები. აღნიშნული მოვლენა დასაწყისი გახდა კონფესიონათაშორისო დაპირისპირებისა უკრაინაში.

1990 წლის იანვარში შედგა ორმხრივი მოლაპარაკება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და რომის კათოლიკური ეკლესიის დელეგაციას შორის გალიციაში შექმნილ მძიმე რელიგიურ-კონფესიონალურ სიტუაციასთან დაკავშირებით. მიღწეულ იქნა შეთანხმება ოთხმხრივი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით (მოსკოვის საპატრიარქო, უკრაინის საეგზარქოსო, უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია და რომის კათოლიკური ეკლესია მ.ბ.), რომელიც გადაწყვეტდა ძმური სიყვარულით კომფესიონათაშორის პრობლემებს რეგიონში (გალიციაში).

კრებაზე აღნიშნული იყო, რომ ისეთ კრიტიკულ სიტუაციაში, როგორშიც აღმოჩნდა კათოლიკების მხრიდან მართლმადიდებელი ეკლესია გალიციაში, ავტოკეფალური მოთხოვნები კიდევ უფრო გაართულებდა სიტუაციას. ამავდროულად კრებამ იმსჯელა იოანე ბონდარჩუკის საკითხებზედაც, მისთვის ეპისკოპოსობის პატივის ჩამოსხნასთან დაკავშირებით.

აღნიშნული მოვლენა იმჟამად მოსკოვში კონსტანტინოპოლის პატრიარქის წარმომადგენლის ხრიზოსტომის ვიზიტად ყოფნის თანხვედრი პროცესი აღმოჩნდა. ხრიზოსტომმა სიტუაციიდან გამომდინარე მხარი დაუჭირა იოანე ბონდარჩუკისთვის ეპისკოპოსობის პატივის მოხსნის აუცილებლობას.

როგორც იმჟამინდელი საეკლესიო მოვლენებიდან ირკვევა, რუსეთის სასულიერო ხელისუფლებამ მოხერხებულად გამოიყენა კონსტანტინოპოლის წარმომადგენლის გამონათქვამი და მისი ასლები დაუგზავნა მართლმადიდებელი ეკლესიების პატრიარქებსა და ავტონომიური ეკლესიების მეთაურებს, იმასთან დაკავშირებით, რომ ავტოკეფალურ მოთხოვნებს უკრაინის სამღვდელთა მხრიდან კონსტანტინოპოლის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

ზემოხსენებული ფაქტი მსჯელობის საგანი გახდა საუტ ბანდ ბრუკში გამართულ უკრაინის ემიგრანტული ეკლესიის საგანგებო კრებაზე (აშშ-ში). მიტროპოლიტმა მსტისლავ სკრიპნიკმა მსოფლიო პატრიარქს აცნობა თავისი გულისწყრომა, შეშფოთება ხრიზოსტომის გამონათქვამთან და მით გამონვეულ აჟიოტაჟთან დაკავშირებით. ემიგრანტული ეკლესიის ხელმძღვანელობა ამავდროულად აცნობებდა მსოფლიო პატრიარქს, რომ „Широкое возражекние УАПЦ началось в западных областях Украины, однако фанатические католические круги в Галиции составляют значительное сопротивление возрождению УАПЦ на тех землях“.

საზღვარგარეთის უკრაინის ავტოკეფალური ეკლესია ძალისხმევას არ იშურებდა ავტოკეფალური მოთხოვნების გასამაგრებლად და მოუწოდებდა მართლმადიდებელ ეკლესიებს მხარი დაეჭირათ ამ მეტად მნიშვნელოვანი წამოწყებისთვის.

1990 წლის 17 თებერვალს ლვოვში მართლმადიდებელი საძმოს ინიციატივით გაიმართა დამფუძნებელი კონფერენცია. კონფერენციაზე გამოსულმა მომხსენებლებმა საკუთარი შეფასება მისცეს ავტოკეფალურ მოთხოვნებს. აქვე დაისვა რიგი მნიშვნელოვანი საკითხი საეკლესიო და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

ავტოკეფალურმა მოძრაობამ უკრაინაში კულტურულ-შემოქმედებითი ხასიათიც მიიღო. კიევში არქიტექტურის მუზეუმის ეზოში ღია ცის ქვეშ აკურთხეს პირველი ავტოკეფალური ტაძარი. ხის ტაძარი, რომელიც აშენებულ იქნა 1646 წელს ავტოკეფალისტების მიერ, გადმოტანილ იქნა მუზეუმის ეზოში კიევის მხარის სოფელ დოროგინკადან. სიმბოლურად ტაძარი აკურთხა უხუცესმა

მღვდელმა მეთოდე ანრიუშენკომ, რომელმაც აღნიშნა, რომ მას კურთხევის კანონიკური უფლება ჰქონდა იმდენად, რამდენადაც იგი ხელდასმული იყო ავტოკეფალური ეკლესიის დიაკონისგან სამამულო ომის დროს. მსგავსი ხასიათის ღონისძიებებმა, რომელიც მიმართული იყო ავტოკეფალის გასამაგრებლად, იმჟამად უკრაინაში მასობრივი ხასიათი მიიღო. ამავდროულად, იოანე ბონდარჩუკმა ივანო-ფრანკოვის მხარეში პირველად შეასრულა ეპისკოპოსის დადგინების წესი. ეპისკოპოსის ხარისხში აყვანილი იქნა ვასილი რომანიუკი - სახელად ვლადიმირი. წესის აღსრულების შემდეგ რომანიუკი დაბრუნდა კიევში და სათავეში ჩაუდგა უამე-ის სამისიონერო განყოფილებას.

იმის დასადგენად, თუ როგორი შეხედულებისა იყო აღნიშნულ საკითხებზე მსოფლიო პატრიარქი, სტამბულში ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა უამე-ის მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაცია. შეკითხვაზე, თუ როგორი ხედვა ჰქონდა მსოფლიო პატრიარქს ავტოკეფალიის სტიქიურ გამოვლინებაზე უკრაინაში, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ უკრაინის საეკლესიო ტერიტორია მიეკუთვნებოდა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას.

1990წ. 3 მაისს გარდაიცვალა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი. მის თანამოსაყდრედ არჩეულ იქნა კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი (დენისენკო მიხეილ ანტონის ძე).

ავტოკეფალურმა მოძრაობამ ახალ ფაზაში გადაინაცვლა. 1990 წლის 5-6 ივნისს კიევში მოწვეულ იქნა სრულიად უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის კრება, რომელსაც სხვადასხვა ხელშეღმშლელი მიზეზების გამო ვერ დაესწრო მსტისლავ სკრიპნიკი, (რომელიც იმთავითვე აშშ-ში იმყოფებოდა). კრებას ესწრებოდა 7 ეპისკოპოსი, 150 მრვდელი და 300 დელეგატი). კრებამ მიიღო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წესდება. კრების მთავარი გადაწყვეტილება იყო უამე-სთვის კიევის საპატრიარქოს სტატუსის მინიჭება. კრებამ ეპისკოპოსს იოანე ბონდარჩუკს მიანიჭა მიტროპოლიტის ხარისხი და დადგინდეს იქნა ლვოვისა და გალიციის მიტროპოლიტად, ხოლო კიევისა და სრულიად უკრაინის პატრიარქად (დაუსწრებლად) აირჩიეს უამე-ის მეთაური აშშ-ში მსტისლავ სკრიპნიკი, -თანამოსაყდრედ მიტროპოლიტი იოანე ბონდარჩუკი.

აღნიშნული მოვლენა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან მიჩნეულ იქნა, როგორც საეკლესიო კანონმდებლობის უხეში დარღვევა და არ ცნო მისი ლეგიტიმურობა.

1990 წლის 7 ივნისს უამე-ის კონსისტორიამ აშშ-ში თავის

სამრევლოთა წინამძღვრებს ამერიკასა და მის საზღვრებს გარეთ მისცა დავალება (поручение), რომლის ძალითაც საღვთო ლიტურგიაში იერარქიული მოხსენიება უნდა წარმართულიყო შემდეგი სახის მოთხოვნებით: „Святішого Мстислава, Патріарха Святої Української автокефальної і Волинського Высокопреосвященних Єпископів Константина, Анатолія, Василя Андреія; Преосвященних Єпископів Анатолія, Пасілія, Даниїла, Володимира, Миколая, Нестора I Романа“.

1990 წლის ივნისში შედგა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კრება, რომელსაც უნდა აერჩია ახალი პატრიარქი. მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქის თანამოსაყდრეს წარმოადგენდა კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი, მან ვერ მიიღო გამსვლელი უმაღლესი ქულა და არჩევნებში წააგო. პატრიარქად არჩეულ იქნა ალექსი II. აღნიშნული მოვლენა ფილარეტის ოპოზიციაში გადასვლის შემდგომ რუსეთის მხრიდან აიხსნებოდა როგორც განაწყენების ფაქტორი.

ხსენებულ პერიოდში რელიგიურ-კონფესიონალური სიტუაცია უკრაინაში ძალზედ დაიძაბა. გააქტიურდა უნიატური სამღვდელოება. ძალზედ გახშირდა სხვის ეპარქიებში შეჭრისა და სამრევლოთა და ეკლესიათა მიტაცების ფაქტები.

ახლადწამოყალიბებულმა უამე-იის წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება ორგანიზება მოეხდინათ აშშ-დან მსტისლავ სკრიპნიკის უკრაინაში ჩამოყვანასთან დაკავშირებით. ახლადარჩეული პატრიარქის (მსტისლავის) უკრაინაში ჩამოსვლა გარდა საეკლესიო სტრუქტურული საორგანიზაციო ნაწილის მოგვარებისა, დაკავშირებული იყო ხსენებული საეკლესიო ორგანიზაციის ავტორიტეტის ამაღლებასა და მისთვის მართლმადიდებლურ სამყაროში საერთაშორისო რეზონანსის მიცემისთვის. პირველი იერარქის უკრაინაში ჩამოხრძანებას ამაღლებელი შეხვედრა მოუწყო უკრაინის ეროვნულად განწყობილმა საზოგადოებამ, პოლიტიკურმა სპექტრმა და მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა.

მსტისლავ სკრიპნიკზე, რუსული პრესა იმჟამად წერდა, რომ „Мстислав был необходим церковным сепаратистам как фальшивое знамя самостихийности, и преемственности в движении за автокефалию. Преклонные годы Скрипника также гарантировали минимум вмешательства «первоерарха» в сложную цель расколничьих интриг на Украине. К тому же, мстиславская «церковь», хотя и не была официально признана Вселенским Патриархом, но пользовалась некоторым вниманием с его стороны“. მსტისლავი, რომ ყურადღებით

სარგებლობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხრიდან ჩანს 1992 წ. 7-9 ნოემბრის (ფაქსიმილის) გზავნილით, სადაც უმაღლესი იერარქიბართლომე მსტისლავს მიმართავს როგორც „ВОЗЛЮБЛЕННЫЙ БРАТ ДА СОСЛУЖИТЕЛЬ“-ად.

უამე-ის სტრუქტურული ორგანიზაციის ჩამოყალიბება ახლადარჩეული რუსეთის პატრიარქისა და უწმინდეს სინოდს მრავალ საზრუნავს უჩენდა. უკრაინის საეგზარქოსოდან რუსეთის პატრიარქის კანცელარიაში რელიგიურ-კონფესიონალური დაპირისპირებისა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე უამრავი წერილი შედიოდა. განსაკუთრებით საგანგაშო აღმოჩნდა იმ ეტაპზე უკრაინაში კონფესიათაშორის ქონებრივი გაყოფის საკითხი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შეუქცევადი ხასიათი მიიღო მონასტრებისა და ტაძრების დატაცების ფაქტებმა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები ვერ უზრუნველყოფდნენ სიმშვიდეს, ხოლო სამღვდელოება იმდენად გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ რომელი მიმართულებით ეპოვა გამოსავალი გზას იმ მხარეს ეძიებდა. ამდენად, ამ უკანასკნელთა ნაწილი ხსნას ავტოკეფალიაში ხედავდა და რუსეთის პატრიარქისადმი გაგზავნილი მოთხოვნები „რელიგიური სიმშვიდის დამკვიდრებისათვის უკრაინაში“ საეკლესიო დამოუკიდებლობას ითხოვდა. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვყავს უკრაინის ეროვნული სახელმწიფოებრიობის და საეკლესიო თვითმონესეობისადმი მებრძოლი სამღვდელოება. მეორე, ნაწილი უკრაინის სამღვდელოებისა (პრორუსული) საეგზარქოსოს ავტონომიის ფართო უფლებებში ხედავდა საეკლესიო საკითხების ნორმალურ ჩარჩოებში მოქცევის შესაძლებლობას.

ამასთანავე გასათვალისწინებელი იყო უნიატური და კათოლიკური ეკლესიის ლეგალიზაციის საკითხიც, რამეთუ ნახა რა განუკითხავი მდგომარეობა საეკლესიო ცხოვრებაში, ხსენებულმა კონფესიის წარმომადგენლებმა ტაძრებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის ქონების დატაცების საკითხში ჩვეულ აგრესიას მიმართეს. მათ ლოზუნგებში არსებითად ისმოდა მოთხოვნები: დაბრუნებოდა უკრაინის ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიას კომუნისტობის დროს წართმეული ტაძრები და ქონება. ამას ხელს უწყობდა უნიატებით დაკომპლექტებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, რომელთა მეშვეობით დასავლეთ უკრაინაში რელიგიურმა დაპირისპირებამ უპრეცედენტო ხასიათი მიიღო.

1990 წლის 27 ივლისს რელიგიურ-კონფესიონალური საკითხების შესასწავლად და შექმნილი მწვავე სიტუაციის გასაწვინებლად

ბლად კიევში ჩავიდა მოსკოვისა და სრულიდ რუსეთის პატრიარქი ალექსი II. პატრიარქმა მოინახულა კიევის ეკლესია-მონასტრები, ადგილებზე გაეცნო სამღვდელოებისა და მრევლის დამოკიდებულებას საეკლესიო საკითხებში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და გამოთქვა საკუთარი შეხედულება, რომ მოსკოვის საპატრიარქოს პოზიცია რუსული ეკლესიის ერთიანობის შესახებ ურყევი იყო. ვიზიტის ბოლოს პატრიარქი ალექსი II შეხვდა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ლ.კრაფჩუკს.

იმდროინდელი პრესა პატრიარქის ხსენებულ ვიზიტს სხვადასხვა სახის ინტერპრეტაციას აძლევდა. საერთო აზრი კი მოცემული საკითხისადმი ასეთი იყო: რუსეთის ეკლესია საკუთარი პოზიციების დათმობას ავტოკეფალიის საკითხებში არ აპირებდა. აღნიშნული მოვლენა ავტოკეფალისტებს უფრო სწავი მოქმედებისაკენ უბიძგებდა. 1990 წლის აგვისტოში უამე-ის პირველი იერარქი იოანე ბონდარჩუკის განკარგულებით კიევის იერარქიის მმართველად (ვიკარიად) დანიშნულ იქნა ვლადიმერ რომანიუკი.

ვლადიმერ რომანიუკი დაიბადა 1925 წელს სტანისლავის (ივანე ფრანკოს) მხარეში. 1944 წელს ანტისაბჭოური საქმიანობისთვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. სწავლობდა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში. 1969 წლიდან მსახურობდა ივანო ფრანკოს ეპარქიაში მღვდლად. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ჩანს მან 60-70-იან წლებში კვლავ გააგრძელა ეროვნული იდეების მრევლში ქადაგება და ანტისაბჭოური საქმიანობა, რის გამოც 1972 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით ისევ აღკვეთა თავისუფლება 7 წლით და 3 თვით გადასახლებით. ციხეში ყოფნის დროს 1979 წელს მან თავი გამოაცხადა უამე-ის წევრად, ხოლო 1979 წლიდან იგი უკრაინის ჰელსინკის ჯგუფის წევრია. ჯერ კიდევ შრომაგასწორების კოლონიაში ყოფნის დროს იგი იდეურად დაუკავშირდა პოლიტ-პატიმარ დისიდენტებს, რომელთა შორის აქტიურად თანამშრომლობდა უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლად მოწყობის საკითხებზე. განსაკუთრებით საინტერესოა მის ბიოგრაფიაში ვ. რომანიუკის კავშირი კანადის უკრაინის ავტოკეფალიისტებთან, განსაკუთრებით მიტოროპოლიტ ვასილ ფადეკასთან. (ხსენებული ეპარქია ბოლო დროს შევიდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. მ.ბ.). 1984 წლიდან ამერიკის უკრაინული დიასპორის საეპისკოპოსოების მხიდან ვ. რომანიუკი იღებს მიტრის ტარების უფლებას. ვ. რომანიურისთვის ხსენებული პატივის მინიჭება განპირობებული იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქ დიმიტრის მხარდაჭერით. იმ-

ავე მხარდაჭერით სარგებლობდა ვ. რომანიუკი კანადაში ვ. ფადეკას დაქვემდებარებაში არსებულ მიტოროპოლის საზღვრებში მოღვაწეობის პერიოდში (1987-1990წ.წ.). ბუნებრივია, იმავეთვე ავტოკეფალიის მებრძოლ უკრაინაში განახლებული საეკლესიო თვითმონესეობისათვის ბრძოლაში ჩართვა ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო. ამდენად 90-იან წლებში იგი უკრაინის სხვადასხვა ეპარქიებში მისიონერულ მოღვაწეობას ეწეობა, ხოლო 1990 წლის 31 აგვისტოს, როგორც ზემოთ ავგნიშნეთ ის კიევის ეპარქიის ვიკარიად დაინიშნა.

1990 წლის 25-27 ოქტომბერს შედგა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრება, რომელსაც ესწრებოდა 97 ეპისკოპოსი. კრებამ დაადგინა, რომ უკრაინის საეგზარქოსოსთვის მიენიჭებინათ ფართო ავტონომია, რაც ითვალისწინებდა, რომ მას ეყოლებოდა საკუთარი სინოდი, რომელსაც მიენიჭებოდა უმაღლესი სასამართლო ფუნქცია, საეკლესიო მმართველობაში საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება. დადგენილება ითვალისწინებდა, რომ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიის სინოდს ისეთივე უფლებები ექნებოდა, როგორსაც ფლობდა რუსეთის ეკლესიის სინოდი. კრებამ ასევე დაადგინა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია მიიღებდა ფინანსურ დამოუკიდებლობასაც. მოსკოვი მიიჩნევდა, რომ მოცემული ფაქტით უკრაინისა და ბელორუსიის ეკლესიები ავტომატურად გახდებოდნენ ავტონომიურები. აღნიშნული მიმართულებით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდამა გასცა განკარგულება უმაღლესი საეკლესიო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას მოემზადებინა პროექტი უკრაინის ეკლესიის ახლებურად მოწყობის შესახებ. მაგრამ როგორც საეკლესიო ექსპერტები და მეცნიერები თვლიდნენ ეს ღონისძიება დაგვიანებული იყო რამდენაც იმ პერიოდში, როდესაც ხსენებული „პროექტი“ მზადდებოდა, ავტოკეფალურმა ეკლესიამ ფაქტობრივად შეივსო თავისი რიგები, - უმეტესობა სამრევლოები ხსენებულ საეკლესიო ორგანიზაციას შეუერთდა.

1990 წლის ბოლო პერიოდში მსტისლავის დაჯგუფება ძალზედ გააქტიურდა. როგორც მოვლენებიდან ჩანს, საზღვარგარეთ მოღვაწეობისას უკრაინელ სამღვდელოებს კარგად ჩამოუყალიბა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან დამოკიდებულების საინტერესო მიდგომა, რომელსაც მსტისლავის ორგანიზაცია ადგილზე უკრაინის ეროვნულად განწყობილ სასულიერო წოდებას უზიარებდა, რომლის მიზანი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და რელიგიურ პროცესებში ხალხის გათვინობიერება უნდა ყოფილიყო.

ამავდროულად ავტოკეფალისტებისთვის მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო დროის მაქსიმალურად გამოყენება, რათა მოესწროთ ავტოკეფალური ეკლესიის სტრუქტურული ორგანიზაცია.

9 ნოემბერს კიევში ეპისკოპოს ვლადიმირ რომანიუკის თავმჯდომარეობით გაიმართა უამე-ის აღორძინების კომიტეტის სხდომა. ამავე კრებაზე შემუშავდა კიევის ეპარქიის სტატუსის საკითხი უამე-ის ფარგლებში.

1990 წლის 18 ნოემბერს კიევში წმ. სოფიის ტაძარში შედგა უამე-ის პატრიარქის – მსტისლავის ინაუგურაცია (ინტრონიზაცია).

აღნიშნული მოვლენა მოსკოვის მხრიდან ძალზედ მკაცრად შეფასდა. 2003წ. ნოემბერში კიევში შექმნილი სიტუაციის გამო, გაიმართა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კრება, რომელმაც მიიღო ხსენებული ეკლესიის წესდების ახალი რედაქცია. კრებას თავმჯდომარეობდა კიევის ყოფილი მიტროპოლიტი ფილარეტი.

რუსეთის საეკლესიო ხელისუფლება საკმაოდ ფლიბდა ინფორმაციას მიტროპოლიტ ფილარეტის მოსკოვის საპატრიარქოს მიმართ უარყოფით განწყობილებაზე. ამდენად, მნიშვნელოვნად მიიჩნევა ამ უკანასკნელის გადართვას უკრაინის მწვავე საეკლესიო პროცესებში, მაგრამ როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, მოსკოვმა ამ მიმართულებითაც დააგვიანა.

1991 წლის 22 თებერვალს უკვე პატრიარქის ხარისხში მსტისლავ სკრიპნიკმა წერილობით მიმართა უკრაინის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ლ.კრავჩუკს, რომლითაც აცნობებდა, რომ 1990 წლის 5-6 ივნისის სრულიად უკრაინის საეკლესიო კრების გადანიშნულებით, უკრაინის ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალურობის სტატუსი, ხოლო თავად კრებამ იგი შემოსა პატრიარქის უფლებით. აღნიშნულთან დაკავშირებით უმაღლესი იერარქი ითხოვდა, რადგანაც იგი მოცემულ სიტუაციაში წარმოადგენდა აშშ-ის მოქალაქეს, მას პრობლემები ექმნებოდა სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით და ხელისუფლებისგან მოითხოვდა ხსენებული საკითხის მოგვარებას, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა პატრიარქს ორ ქვეყანას (აშშ-სა და უკრაინას) შორის დაუბრკოლებლად ემოგზაურა. მოტანილი წერილის ქვეტექსტებში არსებითად იგრძნობა ახალი საეკლესიო ორგანიზაციის მცდელობა, მოხერხებულად გადაამონ-მოს საერო ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, იმ ხელისუფლებასთან, რომელიც იმჟამად აგონიაში იმყოფებოდა უკრაინაში მიმდინარე მწვავე პოლიტიკური პროცესების გამო და, რომელსაც იმთავითვე უნდა

გამოეკვეთა თავისი პრინციპული დამოკიდებულება საეკლესიო თვითმონესეობასთან დაკავშირებით.

უამე-ის სტრუქტურული ორგანიზაციის პარალელურად მუშაობას განაგრძობდა უკრაინის მიტროპოლიტ ფილარეტის უწყებაც. ბუნებრივია, ერთ საეკლესიო ტერიტორიაზე ორი უფლებამოსილი მიტროპოლიტის არსებობას მოსკოვი საეკლესიო კანონმდებლობის უხეშად დარღვევად მიიჩნევა და მიტროპოლიტ ფილარეტს (როგორც მოსკოვის წარმომადგენელს უკრაინაში) ქმედითი ღონისძიებისკენ უბიძგებდა. 31 აგვისტოს (ვიკარიად ვ.რომანიუკის დანიშვნის დღესვე) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რეზიდენციაში მიტროპოლიტ ფილარეტისა და სხვა მაღალი იერარქების მონაწილეობით შექმნილ მწვავე, რელიგიურ-კონფენსიონალურ საკითხებთან დაკავშირებით შედგა პრესკონფერენცია. ხსენებულ კონფერენციაზე მიტროპოლიტმა ფილარეტმა განაცხადა: „Мы считаем, что та `автокефалия~, которую провозгласил Иоанн Бондарчук, не может быть названа канонической. Автокефалисты провозгласили себя не канонически автокефальной церковью, взяли титул патриарха. В истории нашей православной восточной церкви не было случаев, чтобы церковь сама себе придавала патриаршее достоинство.“

მიუხედავად კიევის მიტროპოლიტის მკვეთრი განცხადებისა 1991 წლის 19 მარტს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიის საქმეთა საბჭომ მიიღო დადგენილება რეგისტრაციაში გაეტარებინა „სამოქალაქო წესდება, -უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კანცელარია, სახელწოდებით – „კიევის საპატრიარქო“. ამ დღიდან უამე – კიევის საპატრიარქო უკრაინის სახელმწიფოში იღებს იურიდიულ სტატუსს და სამართლებრივ დამოკიდებულებაში შედის სახელმწიფოსთან. ამავე წლის 25 მარტს უკრაინის სსრ იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა უამე-ის ანდრია პირველწოდებულის სახელობის სრულიად უკრაინის საძმო.

აღნიშნული მოვლენა უკრაინელი ავტოკეფალისტებისა და ეროვნულად განწყობილი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

30 მარტს უკრაინას აშშ-დან მეორედ ეწვია პატრიარქი მსტისლავ სკრიპნიკი. პატრიარქის ჩამოსვლასთან დაკავშირებით კიევში წმ. მიხეილის სახელობის ეკლესიის ნანგრევებთან გაიმართა ჯვრის კურთხევის ცერემონია, რომელ ღონისძიებაშიც უამრავმა მართლმადიდებელმა მიიღო მონაწილეობა.

1991 წ. 13 მაისს უამე-ის ეპისკოპოსთა კრებამ უამე-ის კი-ევის საპატრიარქოს შემადგენლობაში დაადგინა 14 ეპარქიის არსებობის ფაქტი, რომელიც უკრაინის რელიგიის საქმეთა საბჭომ ეპარქიალურ მმართველობის უფლებით გაატარა რეგისტრაციაში.

უკრაინაში შექმნილი მწვავე რელიგიურ-სარწმუნოებრივ მდგომარეობას მართლმადიდებლურ სამყაროში განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალ-ყურს დამოუკიდებელი თუ ავტონომიურ ეკლესიათა იერარქები და საკუთარ შეხედულებასა და მოსაზრებას გამოთქვამდნენ ავტოკეფალიის კანონიკურობაზე უკრაინაში. აღნიშნული მიმართულებით 1991 წლის 26-28 ივნისს კიევს ეწვია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენელთა დელეგაცია.

დელეგაციასთან შეხვედრისას მიტროპოლიტმა ფილარეტმა შეახსენა მათ კონსტანტინოპოლის პატრიარქის დიმიტრის რუსეთის პატრიარქისადმი გამოგზავნილი წერილიდან სიტყვები, რომ „Что же касается возникающих отрицательных моментов, вызывающих смятение в лоне вашей церкви, наша мать-великая святая Христова церковь решительно их осуждает. Речь идет, в частности, о недопустимости во многом антихристианской деятельности униатов в ущерб православным верующим Западной Украины, о захвате ими святых храмов, о вандализме, святотатстве, о движении автокефалистов на Украине... и прочих христианских группировок в ущерб православным“.

როგორც მოტიანილი სიტყვებიდან ჩანს მიტროპოლიტ ფილარეტის სურვილს წარმოადგენდა, კიდევ ერთხელ დაედასტურებინა დელეგაციას ავტოკეფალიის საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ბუნებრივია, იგივე უნდა გამეორებულყო შეხვედრის მეორე დღეს პრესკონფერენციაზეც. კონსტანტინოპოლის პატრიარქის წარმომადგენელმა მიტროპოლიტმა ბართლომემ უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხთან დაკავშირებით კონსტანტინოპოლის პატრიარქის დამოკიდებულება შემდეგი სახით წარმოადგინა: „საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩვენ ვაღიარებთ მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს. მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს მკაცრი კანონიკური წესრიგი და მასში ყველაფერი მიმდინარეობს წმინდა კანონების გათვალისწინებით, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ჯანსაღი საეკლესიო ცხოვრება“. პრესასთან საუბრისას ფართოდ განიხილებოდა ავტოკეფალური მოძრაობის საკითხები უკრაინაში.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არსებულ სიტუაციაში

დიპლომატურ მანევრებს მიმართავდა, რაც არ შეიძლება მოსკოვის მხრიდან შეუმჩნეველი ყოფილიყო. კერძოდ, საკითხი ეხებოდა პოსტსაბჭოთა სივრცეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სწრაფვას საკუთარი იურისდიქციის გაფართოებასთან დაკავშირებით. არსებობდა ეჭვი და არც თუ უსაფუძვლო, რომ ეს უკანასკნელი ესტონეთში აპირებდა ეპარქიის ჩამოყალიბებას, რაც ბუნებრივია, ერთმანეთს დაუპირისპირებდა მოსკოვსა და კონსტანტინოპოლს. ამდენად, კიევში კონსტანტინოპოლის დელეგაცია სიფრთხილეს იჩენდა და ავტოკეფალიას ამკარად ვერ მფარველობდა.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დელეგაციამ და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვრდულოებამ ერთობლივი საღმრთო ლიტურგია ჩაატარეს წმ. ვლადიმირის ხსოვნასთან დაკავშირებით, სოფიის ტაძარში. ამავე დროს წმ. ვლადიმირის ძეგლთან (კიევის გორაკზე) მიმდინარეობდა უამე-ის წირვა, რომელსაც ესწრებოდა პატრიარქი მსტისლავი. ამავე დღეს, მსტისლავმა უკრაინის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ლ. კრავჩუკს გაუგზავნა განცხადება-პროტესტი, რომლითაც ხელისუფლებას ატყობინებდა და თავად მიტროპოლიტ ფილარეტსაც, რომ წმ. სოფიის ტაძარში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ 40-იან წლებში ჩამოართვა უამე-ის, ამჟამად ეკუთვნოდა უამე-ას.

წმ. სოფიის ტაძრის ირგვლივ ატეხილმა დავამ კულმინაციას მიაღწია. 1991 წ. 25 ივნისს უკრაინის რელიგიის საქმეთა რწმუნებულის საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა კიევის სასულიერო სემინარია და იგი უამე-ის საკუთრებად გამოაცხადა.

ამკარა იყო, რომ ხელისუფლება მხარს უჭერდა ავტოკეფალისტებს, რომელმა ფაქტმაც მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ სამღვრდულოებას უბიძგა ავტოკეფალურ საეკლესიო ორგანიზაციაში გადასვლისაკენ, რასაც ბუნებრივია, მოსკოვის მხრიდან უკრაინის საეგზარქოსოს დაქვემდებარებაში მყოფი იმ სასულიერო პირების რეპრესია მოჰყვა, რომელთაც გარკვეული სიმპათიები გაუჩნდათ ავტოკეფალური მიმართულებისადმი. აღნიშნული ფაქტი ერთ-ერთი ფაქტორი გახდა ფილარეტის შემდგომ დისკრედიტაციისთვის, როცა ოპოზიციაში გადასვლის შემდგომ ეს უკანასკნელი იგივე პოლიტიკას ანხორციელებდა მოსკოვის საპატრიარქოში დარჩენილი სასულიერო პირების მიმართ.

აღნიშნული პერიოდი (1991 წლის აგვისტო) დაემთხვა რუსეთის სახელმწიფოში მომხდარ უდიდეს ცვლილებებს. ისწრაფოდა რა არსებული წყობილების შენარჩუნებისაკენ სსრ კავშირში, მალ-

ალჩინოსანი ხელმძღვანელების ჯგუფმა 1991 წლის აგვისტოში ГКУП-ს შექმნა გამოაცხადა.

ეს მოვლენა შეფასდა როგორც სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც რუსეთის პრეზიდენტ ბ.ელცინისა და ყველა დემოკრატიული ძალის გადამჭრელი პოზიციის წყალობით, წარუმატებლად დასრულდა.

უკრაინის უმაღლესმა რადამ 1991 წლის 24 აგვისტოს მიიღო აქტი დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც 1991 წლის 1 დეკემბრის რეფერენდუმით უკრაინის მოსახლეობამ დაადასტურა. რეფერენდუმში მოსახლეობის 84,2% მონაწილეობდა და მათი საერთო რაოდენობის 90,3%-მა ხმა მისცა უკრაინის დამოუკიდებლობას. უკრაინის რეფერენდუმს ფუნდამენტალური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სწორედ ამ მოვლენამ არსებითად გამოიწვია სსრკ-ს დაშლის იურიდიული პროცედურის დასრულება იმავე დღეს, უკრაინის პრეზიდენტად ერთხმად იქნა არჩეული ლ. კრავჩუკი.

უკრაინაში დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის რეალური პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად აერთიანებდა საზოგადოებრივ ძალებს. ამავდროულად გაძლიერდა საზოგადოების სტრუქტურისა და პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფების პროცესი. განხეთქილება შეეხო უკრაინის სახალხო რუსს უკრაინის რესპუბლიკურ პარტიას, უკრაინის ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას, უკრაინის დემოკრატიული აღორძინების პარტიას.

სახელმწიფოში მომხდარმა ორმა ცვლილებამ თავისებური გავლენა იქონია რელიგიურ სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე ქვეყანაში.

უკრაინის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას სულ ცოტა ხნით უსწრებდა უამე-ისთვის სასარგებლო ღონისძიებების გატარება, რომელიც წინა ხელისუფლებამ შეძლებისდაგვარად მოახერხა, მაგრამ ახალი ხელისუფლების სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის სასარგებლო ღონისძიებების გატარება უწყვეტი პროცესი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში ამაზე ოცნებობდნენ უმთავრესი რელიგიურ-კონფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლთაც ახლო კავშირი ჰქონდათ ავტოკეფალურ მოძრაობასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებასთან მიდგომის გზებს ეძებს რუსეთის ეკლესიის მიტროპოლიტი ფილარეტიც. რუსეთის საინფორმაციო საშუალებები იუნყებოდნენ, რომ დაიწყო მოლაპარაკება მიტროპოლიტ ფილარეტსა და უამე-ის წარმომად-

გენლებს შორის. აღნიშულთან დაკავშირებით მსტისლავ სკრიპნიკმა შეერთებული შტატებიდან ოფიციალურად მიმართა უამე-ის საქმეთა მმართველს არქიეპისკოპოს ანტონს (მასენდიჩს), რომლთაც აფრთხილებდა: *“К сожалению, не имею от вас никакой информации в этом деле, в частности, кто именно брал участие в „переговорах“ со стороны нашей церкви. В связи с этим спешу сообщить, что никаких полномочий для переговоров я никому не довал и их нельзя считать обязательными для нашей церкви“.*

ამონარიდის შინაარსი აშკარად მეტყველებს რომ უამე-ის უმაღლეს ხელისუფლებას უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნია უამე-ის მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენლებთან რაიმე სახის ურთიერთობაზე. ამავდროულად აშკარა იყო, რომ უამე-ის შიგნითაც ვარკვეული სახის უთანხმოებანი არსებობდა. კერძოდ, როგორც ჩანს მსტისლავი უკვე აღარ ენდობოდა თავის ორგანიზაციაში იმ სამღვდელეობას, რომლთაც თუნდაც რაიმე ელემენტარული აკავშირებდა რუსულ ეკლესიასთან. აღნიშულს ადასტურებს 1991 წ. 4 ოქტომბრის პატრიარქ სტისლავის მიერ გაგზავნილი წერილი უამე-ის ეპისკოპოსთა კრებაზე, რომლითაც იძლეოდა შემდეგ განკარგულებას: *„Исходя из явно деструктивных и вредных для нашей церкви действий митрополита Иоанна (Бондарчука) ... лишая его права представлять нашу церковь внешне, в все его распоряжения во внутренней жизни считать недействительными,“.*

ფარული დაპირისპირება, რომელიც დაიწყო პატრიარქსა და თანამოსაყდრეს შორის ამ უკანასკნელის საეკლესიო მმართველობიდან დროებით ჩამოცილებაში გამოვლინდა.

რაც შეეხება ფილარეტისა და მის მომხრეთა გააქტიურებას ავტოკეფალურ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რაც საერო ხელისუფლებაში მომხდარ ცვლილებებთან იყო დაკავშირებული, მოსკოვი მწვავედ რეაგირებდა. ურთიერთობა რუსეთის საპატრიარქოსა და კიევის ყოფილ მიტროპოლიტს ფილარეტს შორის მას შემდეგ უფრო გაღრმავდა, როცა ამ უკანასკნელმა სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქს ალექსი II-ს მიმართა უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ.

1991 წლის 1-3 ოქტომბერს კიევ-პიჩორის ლავრაში შედგა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კრება, რომელზედაც მსჯელობის საგანს წარმოადგენდა *„მსტისლავის საეკლესიო ორგანიზაციისთვის (უამე) თვითმინიჭებული სტატუსი“*, რომელიც წინა ხელისუფლების მხარდაჭერით იქნა განხორციელებული.

მიტროპოლიტი ფილარეტი თვლიდა, რომ კანონიკური ეკლესიის უფლება უკრაინაში ჰქონდა მხოლოდ იმ ეკლესიას, რომელსაც მოკოვის საპატრიარქომ (1990 წლის 25-27 ოქტომბერს შემდგარმა რუსეთის საეკლესიო კრებამ) მიანიჭა დამოუკიდებლობა თვითმმართველობაში.

როგორც ქრონოლოგიური მოვლენების თანმიმდევრობა გვიჩვენებს, საეკლესიო სტატუსისთვის უკრაინაში იბრძვის უამე და მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია (რმე), პირობითად იმ ეტაპზე სტისლავისა და ფილარეტის საეკლესიო ორგანიზაციები. ორივე მიმართულებას საკუთარი პრეტენზიები და არგუმენტები გააჩნიათ საეკლესიო დამოუკიდებლობასა და თვითმმართველობასთან დაკავშირებით.

ამავდროულად, უამე-ის სასარგებლოდ საპატრიარქო კაცელარიას უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო გადასცემს ბეჭედსა და შტამპს სახელწოდებით „Патріарх Київський і всієї України„. ამ დროიდან კიევის საპატრიარქოში წარმოებული დოკუმენტები იძენენ აბსოლუტურ იურიდიულ ძალას.

ზემოხსენებული აქტის ძალაში შესვლისთანავე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა გააკეთა განცხადება, რომ სახელმწიფო საზღვრების ცვლილება არ უნდა შეხებოდა ერთიანი საეკლესიო საზღვრების შემადგენლობის დარღვევას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა არ ნიშნავდა მის ცალკეულ ნაწილთა ავტოკეფალიზაციას. ასევე ამავე განცხადებაში საუბარი იყო იმაზეც, რომ საყოველთაო საეკლესიო კანონმდებლობაში აღიარებული კანონი საეკლესიო და სახელმწიფო საზღვრების თანხვედრაზე, არ შეიძლება ყოფილიყო ამ შემთხვევაში მისაღები, ე.ი. არ იყო სავალდებულო, მოცემულ სიტუაციაში, ხსენებულ კანონზე დაყრდნობა. უფრო გარკვევით: „Границы патриархата не обязательно должны совпадать с государственными границами.... Патриархат есть церковно-каноническая реальность, образованная для поддержки единства и соборности входящих в него церковных структур“, - აღინიშნებოდა განცხადებაში.

1991 წლის 2 ნოემბერს კონსტანტინოპოლში (სტამბულში) შედგა მსოფლიო პატრიარქის ბართლომე I-ის ინიტონიზაცია. შეკითხვაზე თუ რა შეხედულებისა იყო ეს უკანასკნელი უკრაინაში მიმდინარე საეკლესიო საკითხებთან მიმართებაში, მან აღნიშნა, რომ მსოფლიო პატრიარქი შეეცდება არ ჩაერიოს შიდა პოლიტიკურ

საქმეებში, რადგანაც არ არსებობს ამის აუცილებლობა, ამისთვის არსებობენ პოლიტიკოსები.

მსოფლიო პატრიარქი ბართლომე I, რომელიც იმხანად სულ ახალი არჩეული იყო ხსენებულ თანამდებობაზე დიპლომატიურ მიდგომას ამჯობინებდა და მოცემულ საკითხს პოლიტიკურ ჭრილში განიხილავდა, თუმცა რუსეთის ეკლესია და საერო ხელისუფლება საკითხთან ამ უკანასკნელის მიდგომას სხვა თვალსაზრისით აფასებდა.

1991 წლის ბოლო პერიოდში (ნოემბერ-დეკემბერში) უკრაინის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ფართო ადგილი ეთმობოდა კონფესიონათაშორის ურთიერთობის საკითხებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მიმართულებით მიენიჭებოდა უნიატებისა და ავტოკეფალისტების ერთმანეთისადმი მხარდაჭერას ეროვნული იდეებით გაჯერებული საკითხებისადმი. აღნიშნულ მოვლენას მოსკოვი ასეთ შეფასებას აძლევდა: „В этот период униаты совместно с автокефалистами, всячески поддерживаемые эмигрантскими националистическими центрами и радиостанциями, финансируемыми конгрессом США, взяли курс на полный разгром трех епархий Украинской православной церкви – Львовской, Ивано-Франковской и Тернопольской. Основной целью форума являлось формирование общественного сознания украинцев о якобы мирном диалоге враждующих у всех на виду УПЦ и УАПЦ, с возможностью их объединения в дальнейшем, о чем много говорилось в государственных СМИ. На самом деле, форумом была определена роль своднического мероприятия, на котором не только встретились, но и обменялись первыми публичными любезностями фигуранты будущего незаконного объединения – Предстоятель УПЦ митрополит Филорет (Денисенко) и автокефальный „Митрополит“ Антоний (Масендич)“.

როგორც მოტანილი დოკუმენტური მასალიდან ჩანს უკრაინაში მიმდინარე საეკლესიო პროცესებს მოსკოვი, რუსეთის ეკლესიის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართულ მოვლენად მიიჩნევდა და ამაში გარეშე ძალებს, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის სამსახურებს ადანაშაულებდა. აქედან ისიც ჩანს, რომ რუსეთი მსგავს ქმედებებს ვერ შეეგუებოდა და ეკლესიის ერთიანობის შესანარჩუნებლად ძალისხმევას არ დაიშურებდა.

აღნიშნულ მოვლენებს უკავშირდება აშშ-დან უკრაინაში მსტილავ სკრიპნიკის ჩამოსვლა. ბუნებრივია, ამ უკანასკნელისთვის საუბარი რაიმე სახის გაერთიანებაზე მიუღებელი იყო.



ამდენად, მისი ამჯერად უკრაინაში ჩამოსვლის მიზანი ემსახურებოდა საპატრიარქოს სტრუქტურული ორგანიზაციის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მხარეს, კერძოდ, უამე-ის კიევის საპატრიარქოს მიტროპოლიებად დაყოფის საკითხს. რეკომენდაციები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უნდა განხილულიყო ადგილობრივ ეპისკოპოსთა კრებაზე. კრების გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულ იქნა ოთხი სამიტროპოლიტო: კიევის, გალიჩ-ლვოვის; ვოლინ-პოდოლის და ჩერნიგოვის. იმავე დღესვე პრეზიდენტი ლ.კრავჩუკის სახელზე პატრიარქმა მსტისლავმა გაგზავნა წერილი, რომელითაც იტყობინებოდა, რომ „Государственные чиновники благопритвуют интернационализации церковных отношений, тем самым, вызывая национально-государственное несоответствие, вредящее украинскому государству“.

1992 წლის 22 იანვარს მიტროპოლიტ ფილარეტის თავმჯდომარეობით კიევში შედგა უამე-ის ეპისკოპოსთა კრება. კრებამ მიიღო ახალი მიმართვა ხსენებული ეკლესიის სამღვდელთაადმი, რომლის შინაარსი ძირითადად მიმართული იყო იქითკენ, რომ რუსეთის ეკლესიის უმაღლესი სამღვდელთა „умышленно затягивает положительное решение вопроса об атокефалии.... определенные силы сеют смуту среди монашествующих, духовенства и миром и тем самым фактически работают против православия на Украине“.

მიტროპოლიტ ფილარეტის ეს განცხადება არსებითად მიუთითებდა მასზე, რომ რუსეთის ეკლესიიდან გამოყოფის მცდელობა შეუქცევადი ხასიათისა უნდა ყოფილიყო.

ამავდროულად, დასავლეთ ევროპაში (მიუნხენში) მოლაპარაკება დაიწყო უამე-ის უმაღლეს ხელისუფლებასთან იქ არსებული მართლმადიდებლური სამრევლოების უამე-ის კიევის საპატრიარქოს იურისდიქციაში გადმოსასვლელად. ამ მიმართულებით მიუნხენში უკრაინიდან ჩავიდა უამე-ის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: პატრიარქის კანცელარიის საქმეთა მმართველი მიტროპოლიტი ანტონი (მასენდიჩი), იღუმენია ვალენტინა (ჟუკა) და კიევის ეპარქიის მდივანი ალექსანდრე ზარუდნოკო.

მიუნხენში უკრაინის თავისუფალი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა ოფიციალური შეხვედრა უამე-ის უმაღლესი საეკლესიო მმართველობის წარმომადგენლებისა და უკრაინიდან ჩასულ დელეგაციას შორის. შეხვედრას ხელმძღვანელობდა პარიზისა და დასავლეთ ევროპის არქიეპისკოპოსი ანატოლი (დუბლიანოვი). შეხვედრის მიზანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ წარმოადგენდა

ემიგრანტული ეპარქიების იურისდიქციის საკითხს უკრაინის ავტონომიური მართლმადიდებლური ეკლესიის ნიაღში. კრების საბოლოო გადაწყვეტილება მდგომარეობდა იმაში, რომ დალოდებოდნენ „განსაკუთრებულ დროს“ და შემდგომი მოლაპარაკება, ხსენებულ საკითხზე, უნდა წარმართულიყო მხოლოდ და მხოლოდ პატრიარქ მსტისლავ სკრიპნიკის კურთხევით.

მოცემული დოკუმენტით ნათელი ხდება, თუ როგორ ცდილობდნენ და ისწრაფვოდნენ ავტოკეფალისტები თავიანთ რიგებში გაიერთიანონ ემიგრანტული სამრევლოები, რაც მიმანიშნებელი იქნებოდა მასზე, რომ სამომავლოდ გრანდიოზულ საეკლესიო ორგანიზაციას (უამე) უნდა მინიჭებოდა კონსტანტინოპოლის მხრიდან სრული ავტოკეფალია.

1992 წლის 7-8 თებერვალს აშშ-ში (საუტ-ბანდ-ბრუკში) შედგა უამე-ის მიტროპოლიის საბჭოს წლიური შემაჯამებელი სესია. სესიაზე მიღებული რეზოლუციის ერთი ნაწილი ითვალისწინებდა მიელოცათ ლ. კრავჩუკისათვის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევა. მილოცვის ტექსტში ემიგრანტი თანამემამულე სასულიერო წოდება, ახლადარჩეულ პრეზიდენტს მიანიშნებდნენ უმაღლეს მმართველობით სისტემაში კადრების გონივრულად შერჩევაზე.

მეორე რეზოლუციით განხილვისა და განსჯის საგანს წარმოადგენდა „ქრისტიანული ეკლესიისთვის მიუღებელი ქმედებანი“, რომელიც რუსეთის ეკლესიის მეთაურის, - დენისენკოს მხრიდან მომდინარეობდა.

ემიგრანტული ეკლესია შიშობდა, რომ უკრაინის ახალი ხელისუფლება ფილარეტის საეკლესიო ორგანიზაციას დაუჭერდა მხარს და ამ მიმართულებით წინასწარ იჭერდა თავარიგს.

მიუნხენში სხვა მნიშვნელოვან მოვლენასაც ჰქონდა ადგილი. იმავე დღეებში, როცა უკრაინიდან ჩასული დელეგაცია შეხვედრას მართავდა დასავლეთ ევროპის ეპარქიების საკითხთან დაკავშირებით, მიუნხენის უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის თემი 8 თებერვალს ერთობლივ ღვთისმსახურებას აწარმოებდა უამე-ის სამღვდელთაადმი ერთად. ღვთისმსახურების დაწყებამდე ავტოკეფალური ეკლესიის მიტროპოლიტმა ანტონ მასენდიჩმა უნიატების ეპისკოპოსს სთხოვა წირვისას შემოსულიყო უნიატური ანაფორით, რაზედაც უკანასკნელი კმაყოფილებით დათანხმდა. ქადაგებასა და წირვის შემდგომ ავტოკეფალისტებისა და უნიატების სამღვდელთა მხრიდან ხშირად ისმოდა სახოტბო სიტყვები იოსებ სლიპოისა და ანდრეი შეპტინცკის მისამართით.

ავტოკეფალისტებისა და უნიატების ბოლოდროინდელ განსაკუთრებულ დაახლოებას მოსკოვი გარეშე ძალების დაკვეთად აღიქვამდა და მწვავედ რეაგირებდა. განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა ამ უკანასკნელისთვის ვატიკანსა და უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. ურთიერთობები ძირითადად უკრაინის მხრიდან საელჩოების მეშვეობით შედგა, ხოლო ვატიკანის მხრიდან მოციქულთა ნუციაციის დონეზე.

აღნიშულმა ვითარებამ კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა მოსკოვსა და კიევს შორის. ხსენებულ ვითარებაზე ჩვენ წინა თავსი გვქონდა საუბარი, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შიდა საეკლესიო ვითარება იმდენად დაიძაბა უკრაინაში, რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფმა ზოგიერთმა სამრევლომ ღვთისმსახურებისას შეწყვიტა კიევისა და გალიციის მიტროპოლიტ ფილარეტის მოხსენიება.

1992 წლის თებერვალში მიტროპოლიტმა ფილარეტმა გააქტიურა ავტოკეფალიის მოთხოვნები და ფართომასშტაბიან ხელისმონერათა შეგროვება თვითმონესეობის მხარდასაჭერად, რასაც, ბუნებრივია, სამღვდელთაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. როგორც იმდროინდელი რუსული პრესის მასალებიდან ირკვევა, ადგილი ჰქონდა იმ სამღვდელთა სამრევლოებიდან დათხოვის ფაქტს, ვინც არ მოაწერდა ხელს ავტოკეფალიის მხარდასაჭერ მოთხოვნებს. სამღვდელთაში შექმნილმა ბუნდოვანმა სიტუაციამ ის შედეგი გამოიღო, რომ ვითარებაში გასაკვევად უკრაინის რუსული სასულიერო წოდება რუსეთის პატრიარქს მიმართავდა თხოვნით, აღეკვეთა უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიებში შექმნილი სიტუაცია და დაეცვა ეკლესიის ერთიანობა.

სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი II-მ კიევში მიტროპოლიტ ფილარეტს გაუგზავნა დეპეშა, ეკლესიაში შექმნილი სახიფათო ვითარებიდან გამომდინარე, თავი შეეკავებინა წმინდა სინოდის სხდომის მოწვევამდე რაიმე სახის კანონიკური სასჯელებისგან.

1992 წლის 17 თებერვალს მიტროპოლიტმა ფილარეტმა პატრიარქ ალექსი II-ის საპასუხოდ გაგზავნა ორი დეპეშა. პირველი მიტროპოლიტი პატრიარქს სთხოვდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის სხდომაზე არ მიეღოთ ისეთი სახის დადგენილებები, რომელიც შეეხებოდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა საქმეებს. მეორე დეპეშით კი ის აცხადებდა, რომ არ ჩავიდოდა მოსკოვში სინოდის სხდომაზე ავადმყოფობის გამო.

აღნიშნული ფაქტი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის

უმაღლესმა ხელმძღვანელობამ დაწმინდა სინოდმა მიიღო როგორც აშკარა გამოწვევამდარებული კრიზისის გასაღრმავებლად.

ღია დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, წმინდა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება მიემართა კიევისა და გალიციის მიტროპოლიტ ფილარეტსა და უამე-ის ეპისკოპოსებისადმი თხოვნით „пересмотреть решение Украинского синода от 23 января, чтобы внести мир в сердца братьев архиереев и в их скорбящую паству, вызывающих ныне справедливости в церкви“.

უკმაყოფილებასა და აღშფოთებას გამოხატავდა ზემოხსენებულ პერიოდში რუსეთის ეკლესიის ხელისუფლება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საერთო ქონებიდან უამე-ზე გადაცემის ფაქტებთან დაკავშირებით, რასაც საერო ხელისუფლება ხსენებულ საეკლესიო ორგანიზაციის სასარგებლოდ ახორციელებდა.

1992 წლის მარტის თვეში უამე-ის ბალანსზე გარკვეული რაოდენობის შენობა და ინფრასტრუქტურა გადავიდა, რომელთა ნაწილებში განთავსდა ხსენებული ეკლესიის საპატრიარქოს კანცელარია.

1992 წ. 31 მარტს 5 აპრილს შედგა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრება. კრების გადაწყვეტილებებზე ჩვენ წინა პარაგრაფში გვქონდა საუბარი, აქ გვინდა შევნიშნოთ, თუ როგორ განიხილავდა ზოგიერთი უმაღლესი მღვდელთავარი ავტოკეფალიის საკითხს. მაგ.ვილინის არქიეპისკოპოსი ხრიზოსტომი აღნიშნავდა, რომ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება არის პრინციპულად აუცილებელი, მაგრამ ამავდროულად მიიჩნევდა, რომ ამ ეტაპზე მიზანშეუწონელი არ იყო მისი აღსრულება, რადგან ბოლო პერიოდში უკრაინის საეგზარქოსომ მიიღო ფართო ავტონომია თვითმმართველობაში და იმჯერად ეს აქტი სრულიად აკმაყოფილებდა საეკლესიო მოთხოვნებს. ამდენად, აღნიშნავდა არქიეპისკოპოსი: „Сегодня дарование автокефалии не приведет к единству, а будет лишь поражением православия и расколом“.

მიუხედავად იმისა, რომ კრებამ მიიღო დადგენილება ფილარეტისთვის (მისივე ნებით) აღეკვეთა მიტროპოლიტობის პატივი, მან კიევში დაბრუნებისთანავე გააკეთა პრესკონფერენცია და განაცხადა, რომ იგი ბოლომდე იბრძოლებდა სრული ავტოკეფალიის მოპოვებისთვის.

1992 წ. 21-23 მაისს საუტ ბანდ ბრუკში (აშშ-ში) უამე-ის განახლებული აღორძინების (1942წ.) 50 წლის აღსანიშნავ იუბილესთან და მსტისლავ სკრიპნიკის უამე-ის პატრიარქის თანამდებობაზე

ყოფნის 50 წლისთავთან დაკავშირებით შედგა, როგორც თვითონ უწოდებდნენ „ეპოქალური“ XIII საეკლესიო ღვთისმსახურება. ქადაგებისას ისმოდა, რომ „ეპოქალურს“ უწოდებდნენ ხსენებულ წესთმსახურებას იმდენად, რამდენადაც პირველი კრება დაკავშირებული იყო უკრაინის დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიურ დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან. საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ხსენებული ღირებულების წართმევის შემდეგ მათ უკვე მე-13-ჯერ ჩაატარეს ეპოქალური კრება. ამავე კრებაზე არქიეპისკოპოსი კონსტანტინე ბაგანი პატრიარქ მსტისლავის მიერ აყვანილ იქნა მიტროპოლიტის პატივში.

აცხადებდა რა როგორც მსტისლავის, ასეცვე ფილარეტის მიერ ორგანიზებულ ეკლესიებს არაკანონიკურად, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მესამე საეკლესიო ორგანიზაციის (რმე) ლეგიტიმურობის თვალსაზრისით ხარკოვში 28-29 მაისს მოიწვია საეკლესიო კრება. კრებამ კიდევ ერთხელ დაგმო მიტროპოლიტ ფილარეტის „ანტიკანონიკური“ ქმედებანი და იგი გამოაცხადა საეკლესიო შტატებს გარეთ. კრებამ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურად აირჩია მიტროპოლიტი ვლადიმერი (საზოდანი).

აღნიშნულმა ქმედებამ კიდევ უფრო დაძაბა მართლმადიდებელთა საეკლესიო ცხოვრება უკრაინაში. ზემომოტანილი ცნობით „რუსეთის ეკლესია ყოველგვარ ბერკეტებს იყენებს უკრაინის საეგზარხოზოს ბაზაზე ხელი შეუშალოს ეროვნული ეკლესიის ჩამოყალიბებას, ხოლო ხსენებულ საეკლესიო ბაზაზე ახალ დემოკრატიულ უკრაინის სახელმწიფოში ამკვიდრებს თავის ეკლესიას, რომელიც, ბუნებრივია, დაექვემდებარება მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას.“ – ასეთ კომენტარს აკეთებდა იმდროინდელი დემოკრატიული პრესა.

ამდენად, ხარკოვის საეკლესიო კრების შემდგომ მოსკოვის მცდელობა კიდევ მრავალგზის შეაჩვენოს ფილარეტის პიროვნება, როგორც „საეკლესიო კანონმდებლობის უხეშად დამრღვევისა“ და ამავედროულად გაამაგროს და გააძლიეროს რუსეთის ეკლესია და შეუქმნას მას ყოველგვარი პირობა დაეპატრონოს უკრაინის სახელმწიფო ტერიტორიაზე საეკლესიო ქონებას. აღნიშნულის კლასიკური მაგალითია კიევ-პიჩორის ლავრიდან მართლმადიდებელი უკრაინელების გამოძევება და იქ რუსული სასულიერო ორგანოების გაძლიერება.

1992 წ. 11 ივნისს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამ-

ღვდელ კრებამ დაამტკიცა ხარკოვის კრებაზე მიღებული გადანყვეტილებანი და დაადგინა:

1. «Извергнуть митрополита Филорета из сущного сана, лишить всех степеней священства и всех прав, связанных с пребыванием в клире».

2. «Считать все рукоположения в священный сан, совершенные митрополитом Филаретом в запрещенном состоянии с 27 мая сего года, незаконными и недействительными».

3. «Извергнуть из сана епископа Почаевского Иакова (Панчука) за соучастие в антиканонических действиях бывшего митрополита, лишив его всех степеней священства».

4. «Настоящее решение по делу бывшего митрополита Филарета и бывшего епископа Ионова довести до сведения предстоятелей Поместных Православных церквей».

რუსეთის ეკლესიის მხრიდან ამ და სხვა მნიშვნელოვანი სახის გადანყვეტილებათა და დადგენილებათა მიღებამ აშკარა პოლიტიკური ხასიათი შეიძინა. ბუნებრივია უკრაინის საერო ხელისუფლება იძულებული გახდა ადეკვატური ღონისძიებები გაეტარებინა ხსენებული აგრესიის წინააღმდეგ და საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ხარკოვის კრების მიერ გამოტანილ გადანყვეტილებათა წინააღმდეგ.

1992 წ. 16 ივნისს უკრაინის მინისტრთა საბჭომ გააკეთა განცხადება რუსეთის ეკლესიის უკანონო ქმედებასთან დაკავშირებით უკრაინაში და არც სცნო ხარკოვის კრების გადანყვეტილებანი, რაც მოსკოვმა ღია გამოწვევად მიიღო და აღნიშნა, რომ «Подобного прецедента и столь грубого правового вмешательства государства во внутреннюю жизнь церкви история еще не знала».

1992 წლის ივნისიდან მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას დაქვემდებარებული უკრაინის სამღვდელთა საეკლესიო ქონების დატაცების თვალსაზრისით აშკარა აგრესიაზე გადავიდა, რაზედაც ზემოთ კიევ-პიჩორის მონასტრის მაგალითზე ვახსენეთ და აქ ამაზე საუბარს არ გავაგრძელებთ, მხოლოდ ვიტყვი, რომ ქონებრივმა დავამ რამოდენიმე რელიგიურ ორგანიზაციას შორის შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რაც ბუნებრივია, მწვავედ აისახებოდა უკრაინის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

1992 წ. 19 ივნისს მოსკოვოდან კიევში რუსული ეკლესიის სტრუქტურული ორგანიზაციის გასამაგრებლად ჩამოვიდა ვლადიმირ საბოდანი, რომელმაც, იმთავითვე, ულტიმატუმით მიმართა

უკრაინის საერო ხელისუფლებას არ ჩარეულიყო ქვეყნის საეკლესიო ცხოვრებაში. მოცემული ქმედება ავტოკეფალიისთვის მებრძოლ უკრაინის, როგორც სასულიერო, ასევე საერო საზოგადოებას, გაერთიანებისკენ უბიძგებდა. აღნიშნულით იყო განპირობებული ის, რომ 1992 წლის 23 ივნისს კიევში მონწილეულ იქნა „უკრაინის მართლმადიდებლობის დაცვის კომიტეტის“ დამფუძნებელი კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ავტოკეფალიის მომხრე სამღვდელოება, სახალხო დეპუტატები, პოლიტიკური პარტიები და ეროვნულად განწყობილი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. კომიტეტის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა უამე-ის არქიეპისკოპოსი ვლადიმირ რომანიუკი. ამრიგად, „უკრაინის მართლმადიდებლობის დაცვის კომიტეტის“ ეგიდით დაიწყო ავტოკეფალიისთვის ბრძოლის მეორე ეტაპი, რომელიც ემიგრანტული ეკლესიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

## II თავი

### ავტოკეფალური განხეთქილებანი უკრაინაში პოსტსაბჭოთა პერიოდში (1989-1997 წწ.)

#### უკრაინის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საკითხი უკრაინის ეკლესიის კანონიკური ავტოკეფალიის შესახებ

ბევრს უკრაინაში, სრულიად ჭეშმარიტად, გულწრფელად სჯეროდა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია (VIII) შესძლებდა სათანადო, საკადრისი პასუხი გაეცა ავტოკეფალისტებისა და უნიატისტების მოთხოვნებისათვის.

უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ძალთა უპირატესობაზე მეტყველებდა სტატისტიკური მონაცემებიც: 1991 წლის ზაფხულისათვის უკრაინაში წარმოდგენილი იყო კანონიკური იურისდიქციის ქვეშ მყოფი 5000-ზე მეტი სამრევლო, 1,8 ათასი უნიატელებისა და 1,1 ათასი „სტაროობრიადელებისა“ (გამთიშველთა), რომელთა უმრავლესობა ფიქტიურს წარმოადგენდა. მიუხედავად შეწყვეტელი ხანგრძლივი დაპირისპირების, უნიატელებთან და „სტაროობრიადელებთან“ და მიტროპოლიტი ფილარეტის მმართველობის სტილის საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებებისა, უკრაინის ეკლესია სულიერი ცხოვრების სიმალლეზე (აღმავლობაზე) იმყოფებოდა. ამას მოწმობს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი კრებაც, რომელიც შედგა კიევში 1990 წლის 22-23 ნოემბერს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის მიერ, მისთვის დამოუკიდებელი, თვითმმართველობის (ავტოკეფალიის) სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. კრებაზე აღინიშნა, რომ საეკლესიო ცხოვრება უკრაინაში უფრო გამოცოცხლდა. 1989-1991 წლებში გაიხსნა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის 3 000 სამრევლო (სამწყსო), რამოდენიმე მამათა და დედათა მონასტერი, კიევის სასულიერო სემინარია და მთელი რიგი ეპარქიული სასულიერო სასწავლებელი (52).

ამასთანავე, კრება იძულებული შეიქნა ისევ დაბრუნებოდა ავტოკეფალისტებთან და უნიატელებთან არსებული დაპირისპირების პრობლემების განხილვას. კრების მონაწილეებმა სინანულით აღნიშნეს, რომ რელიგიური ღოზუნგების საფარქვეშ დესტრუქცი-

ული ძალები არასაეკლესიო მიზნებს ისახავენ. ხაზი გაესვა იმასაც, რომ საეკლესიო განხეთქილება უკრაინაში თავიდანვე ატარებდა აშკარად პოლიტიკურ ხასიათს და წარმოადგენდა უკრაინის პოლიტიკაში სეპარატისტული მიმდინარეობის (მიმართულების) შემადგენელ ნაწილს.

კრებაზე ასევე აღინიშნა, რომ დასავლეთ –უკრაინულ სამღვდელთაში ძალიან ძლიერი იყო მისწრაფება კანონიკური ავტოკეფალიისადმი, მაგრამ აუცილებლობა მოითხოვდა ანგარიშში გაენია მორწმუნეთა განწყობილებისათვის, განსაკუთრებით, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აღმოსავლეთ ეპარქიებისას, რომელთა დამოკიდებულება ავტოკეფალიისადმი მკვეთრად უარყოფითი იყო.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი კრების მნიშვნელოვანი წარმატება გახლდათ ის, რომ ხანგრძლივი და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წესდება, რომელიც მანამდე მსჯელობის საგანი იყო უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებაზე, (1990 წლის 29 ოქტომბერი). ახალი წესდების მიღების დროს კრებამ აღნიშნა, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წესდებას, რომ მისი ზრუნვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სამღვდელთა და მოსახლეობაში განხეთქილების თავიდან აცილება. ასეთ კონტექსტში კრება აქტიურად დისკუსირებდა იმ საკითხების გარშემო, რომელიც ეხებოდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლობათა მონაწილეობას რუსეთის ეკლესიის ადგილობრივი კრების მუშაობაში და, საბოლოოდ, ამ საკითხს დადებითი პასუხი გასცა.

წელი, რომელიც გავიდა უკრაინის ეკლესიის მიერ თვითმმართველობის მიღებას და უკრაინის სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლას შორის, 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. მიუხედავად ბერძენ კათოლიკთა ანტისაეკლესიო მოღვაწეობისა, ეკლესიის შინაგანი სულიერი პოტენციალი იმდენად დიდი იყო, რომ სულ მოკლე ხანში, შესამჩნევი გახდა სხვადასხვა სფეროში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მიღწევები. ადრე მოქმედ ოდესის, 1989 წელს გახსნილ კიევის სასულიერო სემინარიას შეემატა ვოლინის (ლუცკში) და პოჩაევოს (პოც-ჩაევოს ლავრა) სასულიერო სემინარიები. ამოქმედდა, ხანგრძლივი დროის შემდეგ, კიევის სასულიერო აკადემია. ამავე დროს, ალორ-

ძინებას იწყებს სამონაზვნო ცხოვრება კიევ-პიჩორის ლავრაში. პოჩაევოს ლავრის საძმოს მხარდაჭერით ტერნოპოლის ეპარქიებში ხელახლა გაიხსნა კრემენცის ღვთის გამოცხადების ქალთა მონასტერი. კორეცის მონასტრის ხელშეწყობით გამოჩნდა პირველი მობინადრეები უკრაინაში ერთ-ერთ ყველაზე უძველეს უსპენსკის სვიატოგორსკის და ზიმენსკოის მონასტერში და სხვა სავანეებში გამოჩნდნენ პირველი მონაზონი მობინადრენი.

მასშტაბური ღონისძიება გახლდათ 1991 წ. თებერვალში, სვიატო-უსპენის პოჩაევოს ლავრაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „რომაული კათოლიციზმი და მართლმადიდებლური სამყარო“, მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ღვთისმეტყველებმა და ადგილობრივ ეკლესიათა ისტორიკოსებმა, რომლებმაც გამოხატეს სოლიდარობა უკრაინის ტრადიციული ეკლესიისადმი და, რომელთაც დიდი განსაცდელი გადაიტანეს კათოლიკური ექსპანსიისაგან. პოჩაევოს ფორუმი გახდა მნიშვნელოვანი ეტაპი უკრაინის აღმოსავლეთით უნიატურული პროზელიციზმის თავიდან აცილების გზაზე. ასეთი ღონისძიებების წყალობით მნიშვნელოვანწილად აილაგმა გალიციელ ბერძენ კათოლიკეთა აგრესია. 1991 წ. გაზაფხულზე რომიდან ლვოვში დაბრუნებული უნიატთა მეთაური, კარდინალი ივანე ლუბაჩინსკი, მოითხოვდა დაეშვათ იგი ღვთის მსახურების ჩასატარებლად წმ. სოფიის ტაძარში. უნიატები უკრაინის მთავრობისაგან ასევე მოითხოვდნენ მათთვის კიევში ვიდეუბიცკის მართლმადიდებელი მონასტრის გადაცემას.

საწინააღმდეგოდ მეტყველებდა ხელისუფალთა დამოკიდებულება კონფესიონალური პრობლემებისადმი კომუნისტური ნომენკლატურა, რომელიც კიევში და აღმოსავლეთ ოლქებში ხელისუფლებას ედგა სათავეში (1988 წ-დან), მთლიანობაში ინდიფერენტულ (გულგრილ) დამოკიდებულებას ავლენდა საეკლესიო საქმიანობისადმი, ხოლო ცალკეული მისი წარმომადგენელი, ხანდახან თანაუგრძნობდა კიდევაც უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას. ნაციონალ-დემოკრატიული წრეები კი, რომლებიც მოვიდნენ ხელისუფლებაში დასავლეთ უკრაინაში, პირიქით, ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ „სტარობრიადელებს“ და უნიატებს, რომლებიც ბრალს სდებდნენ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას საბჭოთა რეჟიმთან და კვბ-სთან კავშირში, პრომოსკოვურ ორიენტაციაში.

ასეთი განსხვავებული მიდგომა საეკლესიო საკითხებისადმი მეტ შესაძლებლობას იძლეოდა გარკვეული ძალით მომხდარიყო

რელიგიური კონფლიქტთა კერების ლოკალიზება გალიციის ფარგლებში და რომ არ დაეშვათ კონფესიათშორისი ესკალაცია უკრაინის აღმოსავლეთში.

არსებითად, ხელისუფალთა მხრიდან საეკლესიო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკის მაგალითზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ე.წ. „პერესტროიკის“ დროს ყველგან, გარდა გალიციისა (გალიჩინისა), ამკარა იყო, რომ გარედან პოლიტიკური ჩაურევლობის შემთხვევაში (ეკლესიის საქმეში) განხეთქილებას წარმატება არ ექნებოდა აღმოსავლეთში და იგი ამ შემთხვევაში დარჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ხასიათის გამოვლინებად დასავლეთ უკრაინის საეკლესიო ცხოვრებაში.

აღნიშნულმა მოვლენებმა შესაძლებლობა მისცა მიტროპოლიტ ფილარეტს 1991 წლის ზაფხულში განეცხადებინა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოების და მრევლის გადმოსვლა უკრაინის ავტოკეფალურ ეკლესიაში არც თუ ისე მწვავე პროცესებთან იქნებოდა დაკავშირებული. მაგრამ 1991 წ. უკრაინაში პოლიტიკურ ძალთა განლაგებაში მოხდა მკვეთრი ცვლილებები. იმის შემდეგ, რაც 1990 წლის ივნისში უკრაინის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, სულ უფრო შეიმჩნეოდა სსრ კავშირის დაშლისა და უკრაინის რესპუბლიკის მისი შემადგენლობიდან გამოსვლის ტენდენცია. ასეთ პირობებში პარტიული ნომენკლატურის უდიდესი ნაწილი, საკუთარი გავლენის შენარჩუნების მიზნით, შეთანხმებაში (გარიგებაში) შედის ნაციონალისტურ წრეებთან და მკვეთრდ იცვლის თავის პოლიტიკურ ორიენტაციას. საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის აუცილებლობა ხდება არა მარტო გალიციელ დეპუტატ დისიდენტთა მონაპოვარი, არამედ უკვე კიევის ოფიციალური პოლიტიკა. ყველაზე მეტად გამოკვეთილად, ამგვარი ტენდენციები ჭარბობდა უკრაინის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ლ. კრავჩუკის მოღვაწეობაში. გადამწყვეტი მომენტი კი უკრაინა-რუსეთის ურთიერთობაში გახდა 1991 წლის აგვისტოს პუტჩი, რომელმაც დააჩქარა სსრ კავშირის დაშლა და მის ყოფილ ტერიტორიაზე დამოუკიდებელი რესპუბლიკების წარმოქმნა. მალე, პუტჩის შემდეგ, უკრაინამ ცალმხრივი წესით გამოაცხადა სსრ კავშირის შემადგენლობიდან მისი გამოსვლის შესახებ. იმავდროულად, პოლიტიკურ პოზიციებზეცვლილმა პარტნომენკლატურის წარმომადგენლობა, გალიციელ ნაციონალისტებთან ერთად, გაინანილეს ხელისუფლება და მოექცნენ დამოუკიდებელი უკრაინის

ხელისუფლების სათავეში. დღის წესრიგში დადგა ახალი სახელმწიფოს ფორმირების საკითხი, რომელსაც არსებითად სჭირდებოდა იდეოლოგიური ბაზა. ამ მიმართულებით მისაღები იყო დიდი ხნით ადრე (საუკუნეთა მიღმიდან) გალიციაში ჩამოყალიბებული, ფესვგადგმული ეროვნული იდეოლოგია, რომელიც ამიერიდან უკრაინაში უმეტესობისთვის მისაღები გახდა. მოსკოვი აღიქმებოდა როგორც იმპერიის და კოლონიალური პოლიტიკის წყარო, რომლის მსხვერპლად ცხადდებოდა უკრაინა. რუსეთთან ურთიერთობის განწყვეტა მოთხოვნილებად იქცა, რომელიც ზევიდან დაჟინებით, რუსეთთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტის მოთხოვნით ხორციელდებოდა: კულტურის, ეკონომიკის და ასევე, საეკლესიო კავშირისაც. სახელმწიფოებრიობის გამოცდილების დეფიციტმა, რუს ხალხთან მიმართებაში ეთნოკულტურული განსხვავებულობის სუსტმა გამოვლინებამ განაპირობეს ჩამოყალიბების ფაზაში მყოფი სახელმწიფოს ეროვნულ სულისკვეთებაში იდეოლოგიზმის გაძლიერება. ქვეყანაში არსებული ეკონომიური სიძნელებები, კრიზისიდან გამოსვლის გარკვეული პროგრამის არარსებობა საფუძველი გახდა იმისა, რომ ყველაფერი მიენერათ იმპერიული პოლიტიკის „მემკვიდრეობისთვის“.

ბუნებრივია, ახალი ხელისუფლება შეეცდებოდა, სახელმწიფოს ფორმირება ნაციონალურ იდეებთან შესამებაში წარემართა.

ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გახდა (სახელმწიფოებრიობის სხვა ატრიბუტებთან ერთად) ქვეყანაში დამოუკიდებელი ტრადიციული ეკლესიის არსებობა. ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ისიც, რომ ეკლესიის თვითმონესეობა რუსეთის ეკლესიის ნების გარეშე ვერ აღსრულდებოდა. ამასთან ერთად, გათვალისწინებული იყო ის ფაქტორიც, რომ უკრაინის მოსახლეობის (განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი) უმრავლესობა სულიერ კავშირს ინახავდა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან.

ნიშანდობლივი იყო მეორე მხარეც-უკრაინის მართლმადიდებლების გარკვეული ნაწილი (ნაციონალურად განწყობილი ინტელიგენცია და უკრაინული დიასპორა) უკვე არსებული უკრაინის ავტონომიურ ეკლესიას თანაუგრძნობდნენ, მაგრამ ამ ეკლესიის სამრევლოები (1000-ზე მეტი) იმ დროისათვის თავმოყრილი იყო დასავლეთ უკრაინის სამ ოლქში: ლვოვის, ივანო ფრანკოვსკისა, ტერნოპოლის ოლქებში. რესპუბლიკის დანარჩენ რეგიონებზე მოდიოდა მხოლოდ უამე-ის სამი ათეული სამრევლო. რაც შეეხება კიევს „სტაროობრიადელებს“ (განხეთქილების მოთავეებს) 1991 წლის დამდეგისთვის გააჩნდათ სამი თემი, უნიატებს - ერთი.

ხელისუფლება (კრაფრუკი) აცნობიერებდა იმასაც, რომ უამე იყო წარმოქმნილი გალიციის ეროვნულად განწყობილი წრეების მიერ, რომლებსთვისაც იგი (კრაფრუკი) ყოველთვის იქნებოდა პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენელი, რომელმაც ეროვნული იდეები აღიქვა განსაკუთრებული კონიუქტურული თვალსაზრისიდან გამომდინარე. ამასთანავე, უამე, რომლის მეთაური იმყოფებოდა აშშ-ში და როგორც მთელი უკრაინული დიასპორა, არ აღმოჩნდა ახალი, დამოუკიდებელი უკრაინის პრეზიდენტისადმი დამყოლი, მორჩილი, უფრო სწორად პრეზიდენტისადმი დამთმობი კონფესია. ამ შემთხვევაში პრეზიდენტს შეეძლო ჰქონოდა იმედი მიტროპოლიტ ფილარეტთან მჭიდრო კავშირზე. ამდენად, გადწყვეტა დამოუკიდებელ სახელმწიფოში დამოუკიდებელი ეკლესიის დაარსება, სახელდობრ, კანონიკური უმე-ის საფუძველზე. ამით ხელისუფლება ორ მნიშვნელოვან საქმეს ერთდროულად გადწყვეტდა: უმე-ას მხარს უჭერდა ხალხის უმრავლესობა, ხოლო მი მიერ ავტოკეფალიის მოპოვება, თავის მხრივ, გამოიწვევდა იმ მიზნისა და მისწრაფების ლიკვიდაციას, რომლისთვისაც იბრძოდნენ „რასკოლნიკები“. ეს კი შერწყმის შესაძლებლობას იძლეოდა უმე-თან, ერთ კონფესიაში (შეერთება). ამგვარად, შეიძლებოდა რამდენადმე შეჩერებულიყო ან შენელებულიყო რეგიონალური დაპირისპირება უკრაინაში; მაშასადამე, მიეღწიათ საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობისთვის. როგორც მოვლენებიდან ირკვევა, ფილარეტი (დენისენკო) იმჟამად მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის არჩევნებზე ერთ-ერთ კანდიდატს წარმოადგენდა. მოხდა ისე, რომ პატრიარქად არჩეულ იქნა ალექსი II. ამ დროს უკრაინაში წარმოქმნილმა კონფესიონალურმა კრიზისმა სასწრაფოდ მოითხოვა დღის წესრიგში დამდგარიყო უკრაინის პოლიტიკურ და საეკლესიო საზღვრებში ტრადიციული ეკლესიის თვითმონესეობის საკითხი, რომლის მეთაურად, უკვე ხელისუფლების მხარდაჭერით, ფილარეტი მოიაზრებოდა. ბუნებრივია, მოსკოვის მხრიდან ამ მოვლენებს ადეკვატური რეაქცია მოჰყვა. დაიწყო ფილარეტის დისკრედიტაციის კამპანია. რუსეთის საეკლესიო წრეებში მიიჩნევენ, რომ ფილარეტი უკრაინაში საეკლესიო ხელისუფლებისთვის იბრძოდა იმდენად, რამდენადაც მას ეს პატივი არ ერგო რუსეთში.

მიუხედავად ამისა, ფილარეტის გავლენამ უკრაინის მთელ ტერიტორიაზე იმატა. აღნიშნულს შედეგად მოჰყვა 1-3 ნოემბერს მონღეული უკრაინის მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა კრება

(გამონაკლისს წარმოადგენდა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი სამღვდელთა), რომელმაც მიიღო გადწყვეტილება უკრაინის ეკლესიის თვითმონესეობის შესახებ. ამავდროულად, კრების მონაწილე ეპისკოპოსებმა თხოვნით მიმართეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, ალექსი II-ს, რათა მას მიენიჭებინა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის კანონიკური ავტოკეფალია. მოთხოვნები, რომლებიც წამოყენებულ იქნა კრებაზე, აშკარა მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ეროვნულად განწყობილი უკრაინის ეპისკოპოსთა კრებული ერთსულოვანი იყო ავტოკეფალიისთვის ბრძოლის საკითხებში: „რელიგიური მდგომარეობა, რომელიც უკრაინული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პირობებშია შექმნილი, მოითხოვს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისგან ახალი სტატუსის მიღებას. კრება თვლის, რომ ასეთი სტატუსი უნდა იყოს დამოუკიდებლობა ანუ ავტოკეფალია უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიისა“.....—ნათქვამი იყო მიმართვის ტექსტში.

დადგენილების იმ ნაწილში, რომელიც მიღებულ იქნა კრებაზე ასევე საუბარი იყო: „უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება მაუწყებელი იქნება იმისა, რომ იგი გაამყარებს მართლმადიდებლურ ერთობას უკრაინაში, შეძლებს ავტოკეფალური განხეთქილების ლიკვიდირებას, წინ აღუდგება უნიატურულ და კათოლიკურ ექსპანსიას, შეარიგებს მოქიშპე აღმასრულებლებს, შეკრავს უკრაინაში მცხოვრებ ყველა ეროვნებას და ამით ყველაფერი დიდ წვლილს შეიტანს მთელი უკრაინელი ერის ერთობის განმტკიცების საქმეში“.

მოსკოვი ამ სიტყვებში ხედავდა უტოპიას და უკრაინაში შექმნილ სარწმუნოებრივ სიტუაციას ტრაგიკულს უწოდებდა. ისინი თვლიდნენ, რომ უკრაინაში წარმოდგენილი საეკლესიო ორგანიზაციის არც ერთი მეთაური თანამდებობას არ დატოვებდა, რაც მაუწყებელი იქნებოდა იმისა, რომ ასეთი „ერთობა“ არ შედგებოდა. მოსკოვისგან ასევე გამოითქმებოდა ვარაუდი, რომ, მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ეს ეკლესიები უცილობლივ დაექვემდებარებოდნენ ფილარეტს (დენისენკოს) როგორც კი უკრაინის ეკლესია მოიპოვებდა დამოუკიდებლობას: მაგრამ იქვე დასძენდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში იგი აღმოჩნდებოდა უდიდესი საშიშროების წინაშე, კერძოდ, ვატიკანის მიერ დაფინანსებული უნიატობა და ასევე ახლადშექმნილი ავტოკეფალური ეკლესია გახდებოდა კათოლიკური აგრესიის მსხვერპლი, იმ დროს, როდესაც აპელირება მოსკოვის ავტორიტეტთან შეუძლებელი იყო.

კრებაზე ასევე ნათქვამი იყო, რომ: „საკითხის განხილვისას, რომელიც ეხებოდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიაზე ავტოკეფალიის მინიჭებას, გამომდინარეობდა ქვეყანაში მცხოვრები მართლმადიდებლების საერთო ინტერესებიდან, რომ „დამოუკიდებელი ეკლესია დამოუკიდებელ სახელმწიფოში კანონიკურად გამართლებული და ისტორიულად გარდაუვალი“ პროცესი უნდა ყოფილიყო.

იმის დასამტკიცებლად, რომ უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია მზად იყო მოეპოვებინა ავტოკეფალია, კრებაზე მოჰყავდათ შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: უკრაინის მთელ ტერიტორიაზე 1991 წელს მოქმედებდა 22 ეპარქია, იყო 23 ეპისკოპოსი, 31 სემინარია (კიევის სასულიერო აკადემია დიდი ხნის განმავლობაში ვერ ფუნქციონირებდა და დაგეგმილი იყო, რომ ის 1992 წლიდან დაიწყებდა სათანადო მუშაობას) 32 მონასტერი, ამასთან ერთად ორი ლავრა კიევ-პჩორის და პოჩაევის მონასტრები, რომ უკრაინის ეკლესიას ჰყავდა 35 მილიონი მრევლი და 5,5 ათასი სამრევლო. ასეთი მასშტაბური მაჩვენებლების შემდგომ კრების წევრებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მიტროპოლიტ ფილარეტს. უნდა აღინიშნოს, რომ მიტროპოლიტ ფილარეტისადმი თანადგომა, ეროვნული ეკლესიის თვითმონესეობისადმი დადებითად განწყობის გამოხატულებაც უნდა ყოფილიყო. როგორც ცნობილია, 90-იან წლებში უკრაინაში სუფევდა ერთობ ეიფორიული განწყობილება იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირიდან გამოყოფის შემდეგ უკრაინას, როგორც სახელმწიფოს, უფრო მეტი გასაქანი მიეცემოდა და, რაც მთავარია, ხალხს უკეთესი მომავალი. რაც შეეხება ეროვნული ეკლესიის მნიშვნელობას, ასეთ შემთხვევაში, მას ექნებოდა შესაბამისი იდეოლოგიური ფუნქცია, ერის როგორც სოციალური, ასევე ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისითაც; საფუძველი კი ყოველივე ზემოთ თქმულის უნდა ყოფილიყო ისტორიული ბაზა, რომელიც ქვეყანას, იმთავითვე (სხვადასხვა პოლიტიკურ სიტუაციებში მყოფს), საკმაოდ გააჩნდა. ეპისკოპოსთა კრება აღნიშნავდა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია იყო და არის კიევის ათასწლოვანი მიტროპოლიის სამართალ-მემკვიდრე, რომ იგი ავტოკეფალიის მოთხოვნის საკითხში სამართლიანია.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოსკოვის საეკლესიო წრეების დამოკიდებულება დაახლოებით ასეთი იყო: იმის გათვალისწინებით, თუ პირველ იერარქის-მიტროპოლიის ცენტრის გადატანა ჯერ ვლადიმირში, ხოლო შემდეგ მოსკოვში, ისტორიული კანონზომ-

იერებით გამოწვეული მოვლენა იყო, ხოლო შემდგომ პერიოდში კიევის (ლიტვა-რუსეთი) მიტროპოლიის (დე ნოვო) დაარსება, ასევე გასათვალისწინებელი უნდა ყოფილიყო ის ფაქტიც, რომ რუსული სახელმწიფოებრიობის სრული დამოუკიდებლობის 5 საუკუნის მანძილზე რუსული ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნაწილს წარმოადგენდა, ისევე თანაბრად, როგორც კიევის მიტროპოლია ნახევრადდამოუკიდებელ გეტმანობის პერიოდში (XVIII საუკუნე). ოპონენტები ასევე მიუთითებდნენ, რომ მსგავსი ლოგიკა მიესადაგებოდა გალიციელ უნიატებს. თუ კიევის პრეტენზიები მიმართული იყო ავტოკეფალიისკენ, მაშინ ნაციონალურად განწყობილ გალიციელებს უნდა ებრძოლათ რომისგან (თვითმმართველობის მისაღებად), მაგრამ ეს არ მოხდა იმ მიზეზის გამო, რომ კათოლიკურ ეკლესიას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ამ მოთხოვნის აბსურდულობა.

კრების მონაწილეების სახელით, უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებულმა მიიღო მიმართვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსი II-სადმი, რომლისგან ითხოვდა მოენიჭებინათ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის დამოუკიდებლობა. აქვე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ეს მიმართვა კრების იმ მონაწილეებისგან მომდინარეობდა, რომლებიც წარმოადგენდნენ უკრაინის საეპისკოპოსოს, მონასტრებს და სასულიერო საწავლებლებს.

1991 წელს კრების მოწვევიდან რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა კიევში. საერო ხელისუფლებამ რელიგიური ფორუმის მოწყობა კიევში, რომელიც გამოხატავდა ხელისუფლების ახალ პოლიტიკას რელიგიურ სფეროში. ოფიციალურ ღონისძიებაზე, რომელიც მოეწყო უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, შეიკრიბა 211 საეკლესიო მეთაური და უკრაინის მოქმედი სხვადასხვა კონფესიების 16 თავმჯდომარე. ლ. კრავჩუკმა ისევე გაუკეთა დეკლარირება იმ თემას, რომელიც დიდი ხნის წინათ გაჟღერდა: „დამოუკიდებელ უკრაინას, დამოუკიდებელი ეკლესია“. აღნიშნულმა ლოზუნგმა, ბუნებრივია, უკმაყოფილება გამოიწვია დანარჩენ კონფესიათა წარმომადგენლობაში. უკვე ყველასათვის ნათელი იყო (და არავისთვის არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი), რომ სახელმწიფოს რელიგიური კურსი მიმართული იყო ერთიან მართლმადიდებლურ ეკლესიაზე. ხელისუფლებამ აღნიშნულ ფორუმზე ფაქტობრივად წარმოადგინა პროგრამა: ორი საეკლესიო ორგანიზაციის-უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიისა და ასევე



უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიების გაერთიანების შესახებ. ხელისუფლებისათვის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ძლიერი, ერთიანი კონფესია, რომელიც სახელმწიფოს იდეოლოგიური საყრდენი იქნებოდა. ამავდროულად, საეკლესიო გაერთიანება უნდა ყოფილიყო გარანტი რესპუბლიკაში მართლმადიდებლებსა და „რასკოლნიკებს“ შორის მუდმივი ქიშპობა-დაძაბულობის მოსახსნელად და ქვეყანაში სიმშვიდის დასამყარებლად.

უკრაინაში საპრეზიდენტო კადიდატისთვის რელიგიათა-შორისი სამშვიდობო პოლიტიკა ერთგვარი ტაქტი და ხერხი იყო მასებში ავტორიტეტისა და გავლენის მოსაპოვებლად, მითუმეტეს, როცა არჩევნებამდე დარჩენილი იყო სულ ერთი კვირა.

მომავალი ხელისუფლების ოფიციალურ კურსს მხარი დაუჭირა მიტროპოლიტმა ფილარეტმა, რომელმაც განმარტა, რომ რელიგიურ საკითხებთან მიმართებაში სახელმწიფო ხელისუფლების სტრატეგიას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭებოდა.

ფორუმზე გაჟღერდა სხვა მნიშვნელოვანი განცხადებები, კერძოდ: ვიშგოროდისა და პერეიასლავის არქიეპისკოპოსმა ანტონმა, რომელიც იმჟამად ხელმძღვანელობდა უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა სამმართველოს, განაცხადა, რომ წმიდა ვლადიმირმა გააქრისტიანა არა რუსეთი, არამედ უკრაინა, მაშინ, როცა არც მოსკოვი არსებობდა და არც მოსკოვის საპატრიარქო. ამდენად, უმცროს ეკლესიას მოსკოვისას არ შეუძლია ავტოკეფალიის მინიჭება უფროს კიევის ეკლესიაზე. ამდენად, არ არის საჭირო მოსკოვისთვის ავტოკეფალიის თხოვნა, არამედ თავად უნდა გამოვაცხადოთ თვითმონესეობა, როგორც ეს გააკეთა უკრაინის ავტოკეფალურმა ეკლესიამ. მეუფე ანტონი თანახმა იყო უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გაერთიანების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე ფორუმის შემდეგ, საუბარი შედგა მეუფე ანტონსა და მიტროპოლიტ ფილარეტს შორის. საეკლესიო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით საკუთარი დამოკიდებულება დააფიქსირა უნიატურული ეკლესიის წარმომადგენელმა ივან დაცკომ. დაცკო თვლიდა, რომ უამე და უამე-ის გაერთიანება ერთიან კიევის საპატრიარქოში მისასალმებელი და მხარდასაჭერი მოვლენა უნდა ყოფილიყო. მაგრამ იგი, ამავდროულად, საჭიროდ მიიჩნევდა აღნიშნულ საკითხში ბერძენულ კათოლიკური ეკლესიის და პროტესტანტების აქტიურ მონაწილეობას. ამ შემთხვევაში აშკარად ჩანდა კათოლიკური ეკლესიისადმი მიდგომის აპრობირებული ტაქტიკა. კიევში მყოფმა უნიატების წარმომადგენელმა იმ

ეტაპზე საჭიროდ არ ჩათვალა ეთქვა, რომ პროტესტანტულმა საპატრიარქომ უნდა აღიაროს პაპის ძალაუფლება და შევიდეს რომის იურისდიქციაში. მოსკოვში მიიჩნევდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში უნიატელებს ეროვნულად განწყობილი გალიციელების მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდათ, რომლებსაც უამე-ში მთავარი თანამდებობები ეჭირათ.

რუსული ეკლესიის წმინდა სინოდი გაეცნო უკრაინაში შექმნილ სარწმუნოებრივ სიტუაციას. უკრაინული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხი განიხილებოდა სინოდის სხდომებზე 25-26 დეკემბერს (1991წ.) და 1992 წლის 18-19 თებერვალს. სინოდი თვლიდა, რომ ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხი უნდა განხილულიყო არქიელთა ან ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებისთვის მოსკოვში გამოძახებულ იქნა მიტროპოლიტი ფილარეტი, რომელმაც ეს გამოწვევა არ მიიღო. მოვლენათა მსვლელობა ნათელს ხდიდა, რომ უკრაინის საეკლესიო დამოუკიდებლობას მხარს უჭერდა მოსახლეობის უმრავლესობა. მოსკოვი მოცემულ გარემოებაზე მწვავედ რეაგირებდა და აღნიშნავდა, რომ, პირიქით, უკრაინაში მოქმედი მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციიდან გამოსვლის სასტიკი წინააღმდეგი იყო მოსახლეობის უმრავლესობა, რასაც ისინი ღიად აცხადებდნენ.

უკრაინელი ავტოკეფალისტები თვლიდნენ, რომ დაძაბული სიტუაცია, რომელიც კიევსა და მოსკოვს შორის წარმოიქმნა, ავტოკეფალიის საბოლოოდ მოპოვებისთვის გამოეყენებინათ.

1992 წლის 22 იანვარს მიტროპოლიტმა ფილარეტმა მოიწვია ეპისკოპოსთა კრება (თათბირი) რომელზედაც იგი დაჟინებით მოითხოვდა კვლავ მიემართათ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდისათვის, ავტოკეფალიის მოთხოვნით. როგორც მიმართვის ტექსტიდან ჩანს, იგი არსებითად განსხვავდებოდა თავისი ტონით წინა მიმართვებისგან. მიმართვაში იკითხებოდა, რომ მოსკოვიდან ბოლო სამი თვის მანძილზე არ მოსულა არანაირი პასუხი, რის შემდგომაც ეპისკოპოსები, რომლებმაც ხელი მოაწერეს მიმართვას, თვლიდნენ, რომ ავტოკეფალისტთან დაკავშირებით მიღებული დადებითი პასუხი განზრახ იყო გაჭიანურებული მოსკოვის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ კიევის მიტროპოლიტი არ იმყოფებოდა სინოდის სხდომებზე, კიევში, ცნობილი იყო რუსული ეკლესიის ხელმძღვანელობის აზრი იმის შესახებ, რომ ისეთი საპასუხისმგე-

ბლო საკითხები, როგორცაა ავტოკეფალიის მინიჭება (უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიისთვის) უნდა გადანყვეტილიყო მხოლოდ საეკლესიო კრების მსჯელობის შემდეგ, თუმცა, როგორც მოვლენები აჩვენებდა, ასეთი კრების მოწვევას მოსკოვში არავინ აპირებდა.

ავტოკეფალიის მინიჭებასთან დაკავშირებული უჩქარებლობას მოსკოვი იმათაც ამართლებდა, რომ დადებით პასუხს უკრაინაში (სარწმუნოებრივ საკითხში) შეიძლებოდა შფოთი და არეულობა მოჰყოლოდა, რასაც რუსეთის ეკლესია განსაკუთრებით ერიდებოდა. ამ შემთხვევაში მხედველობაში იყო მიღებული რუსული ემიგრანტული (კარლოველური) ეკლესიის მცდელობა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე განეგრძოთ თავისი ეკლესიის იურისდიქცია და რომ ისინი ამ ბოლო პერიოდში უკრაინაშიც გამოჩნდნენ. ასეთ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული, რომ სამრევლოების გარკვეული ნაწილი გადასულიყო ემიგრანტული სინოდის დაქვემდებარებაში. მოკლედ, რუსული ეკლესია საკითხთან მიდგომის ფრთხილ პოლიტიკას ამჯობინებდა.

საეკლესიო დაძაბულობა, უმეტესწილად, დრამატულ ხასიათსაც იღებდა. საყოველთაო ხასიათი მიიღო ურთიერთ ცილისწამებლობამ და შეურაცხმყოფელმა გამოთქმებმა. განსაკუთრებით გააქტიურდა მიტროპოლიტ ფილარეტის დისკრედიტაციის კამპანია.

მიტროპოლიტი ფილარეტი თვლიდა, რომ ყველა ბრალდება მისი თითქოსდა უზნეო საქციელის შესახებ, იყო ცილისწამება. ის ამბობს: „ზოგიერთი ძალა, კერძოდ მოსკოვი, ცდილობს გაავრცელოს შფოთი ბერ-მონაზვნებსა და სასულიერო პირებს შორის. ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალება ცილისწამებლურ კამპანიას ეწევა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ. ასეთი საქციელით ცდილობენ უკრაინელი უბრალო ხალხის აღელვებას“.

მოსკოვი მიიჩნევდა, რომ ფილარეტი მზად იყო განხეთქილებისთვის და რომ ყველაფერი მოდიოდა სახელმწიფო ხელისუფლების ხელშეწყობითა და კარნახით.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიტ. ფილარეტმა გაავრცელა მიმართვა: „როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წმ.სინოდის ბოლო სხდომაზე (25-27 დეკემბერს 1991წ.) გამოთქმულ იქნა მოსაზრება, რომ თითქოს ჩვენი მიმართვა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის სხდომაზე იყო გაკეთებული სახელმწიფოს ზენოლის ქვეშ. ამასთან დაკავშირებით

ჩვენ მორჩილად ვაცხადებთ, რომ ახალი ისტორიული პირობებით გამოწვეული ჩვენი მისწრაფება კანონიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად გამოწვეულია მხოლოდ მართლმადიდებლობის საეკთილდრეოდ უკრაინაში და არა სახელმწიფოს ზენოლით.

მიმართვის ტექსტში ჩანდა, რომ მიტროპოლიტი ფილარეტი, აშკარად მიაინიშნებდა „მხოლოდ ერთიან კანონიკურ დამოუკიდებლობაზე“, სადაც რუსეთის საპატრიარქოს არ ექნებოდა იმის საშუალება, რომ ჩარეულიყო უკრაინის შიდა საეკლესიო საქმეებში.

რუსეთის პატრიარქი ალექსი II-ის განმარტებით, უკრაინაში შიდა საეკლესიო განხეთქილების რეალური საშიშროება არსებობდა. მშვიდობის დასამყარებლად უწმინდესმა პატრიარქმა ალექსი II 4 თებერვალს გაგზავნა დეპეშა კიევის მიტროპოლიტ ფილარეტთან თხოვნით, რომ „თავი შეეკავებინა ყოველგვარი კანონიკური ქმედებისაგან, რუსეთის ეკლესიის წმ.სინოდის მოწვევამდე, რომელიც უნდა გამართულიყო 18 თებერვალს.

საპასუხო დეპეშაში მიტროპოლიტი ფილარეტი აცხადებდა: „გთხოვთ თქვენს უწმინდესობასა და რუსული ეკლესიის წმ.სინოდს არ მიიღოთ არავითარი დადგენილება, რომელიც შეეხება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა საეკლესიო საქმეს“.

მოსკოვის საეკლესიო წრეებში თვლიდნენ, რომ ფილარეტის მხრიდან ეს ქმედება მორიგი დემაგოგია უნდა ყოფილიყო, რომელიც არ ექვემდებარებოდა სიფრთხილის არავითარ ნორმებს. ამასთანავე, მათი მხრიდან არსებობდა სხვა მოსაზრებაც, თითქოს ფილარეტი იყო იმ პოლიტიკური ძალების მძევალი, ვისი მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა ავტოკეფალიის საკითხთან დავაკავშირებით და მას არ შეეძლო შეენელებინა აღებული ტემპი წამოწყებული საქმიანობიდან და წასულიყო რაიმე კომპრომისზე.

1992 წლის 29 იანვარს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებულმა მოამზადა უწმინდესი სინოდის სახელზე მიმართვა რომელიც რამდენიმე არქივისკოპოსის მიერ ჩატანილ იქნა მოსკოვში. რთული სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც შეიქმნა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიის წმ.სინოდის სხდომაზე (1992 წ. 18-19 თებერვალი) მიღებულ იქნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მხრიდან გადანყვეტილება, მომზადებულიყო განსაკუთრებული მიმართვის ტექსტი კიევისა და სრულიად უკრაინის მიტრ.ფილარეტისადმი და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპატისადმი. მიმართვაში იკითხებოდა: „ამ მტკიცებამ გამოიწვია ჩვენში გულწრფელი გაოცება,

რადგან სინოდის პირველ სხდომაზე, რომელიც ჩატარდა კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ფილარეტის დასწრებით და მონაწილეობით. იყო გადანყვეტილი გაგზავნილიყო მიმართვა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა არქიეპისკოპოსთან საკითხის მაღალ დონეზე შესასწავლად, ხოლო განხილვა უნდა მომხდარიყო არქიეპისკოპოსთა კრებაზე. თარიღი ამ კრებისა უნდა დამტკიცებულიყო რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წმ.სინოდის სხდომაზე. თქვენთვის, ვინც კი იცის ჩვენი ეკლესიის ცხოვრების ნორმები სრულიად ნათელია, რომ თქვენი თხოვნა“ სრული კანონიკური დამოუკიდებლობის მინიჭებასთან დაკავშირებით ცდება წმინდა სინოდის ყველა კომპეტენციას და პასუხისმგებლობით შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ კრების დონეზე (იხ. რუსეთის მართლ. ეკლესიის მიმართველობის დადგენილება, ნან. II,III,V,XV) ხელმძღვანელობს რა ამ დადგენილებით უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წამოყენებულ საკითხს უწმინდესი სინოდი განსახილველად გადასცემს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის არქიეპისკოპოსთა კრებას, რომლის თარიღიც, სინოდის გადანყვეტილებით, დადგენილია 1992 წ. 27 დეკემბერს. უნდა გაცნობოთ, რომ არქიეპისკოპოსთა კრება შედგება მოსკოვში წმ.დანიელის მონასტერში 31 მარტს“.

მიმართვაში უარყოფილ იქნა მოსკოვის მისამართით წამოყენებული ბრალდებები უკრაინაში საეკლესიო არეულობებთან დაკავშირებით, ხოლო რაც შეეხებოდა ზენოლას სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, სინოდის სხდომაზე არა თუ ეს საკითხი რეფერენდუმის საკითხიც კი არ განხილულა.

ამავე დროს, მიმართვაში საუბარი იყო მეორე სახის უდაო მტკიცებულებაზე, რომელიც მოდიოდა მიტ.ფილარეტის მხრიდან: „საპატრიარქოსა და სინოდის მისამართით მოვიდა რამდენიმე დოკუმენტური ცნობა იმ ფაქტის დასამტკიცებლად, რომ უკრაინის მიტროპოლიის საქმეთა სამმართველოს მიერ დაგზავნილ იქნა ცირკულარი სამღვდელოების კრების მოწვევის აუცილებლობაზე, რაც გამოწვეული იყო ავტოკეფალიის მოთხოვნის გასამაგრებლად, - ბრძანებით: სასულიერო პირების სია და ხელისმონერები შეტანილი უნდა ყოფილიყო კანცელარიაში“.

ცირკულიარს უკრაინის ეპარქიების უმრავლესობა დადებითად გამოეხმაურა და თავისი განწყობილება ხელისმონერითაც დაადასტურა.

პატრიარქისა და სინოდის მიმართვა იმის დასტური იყო, რომ რუსეთის საეკლესიო ხელისუფლება უკრაინისთვის კანონიკური ავტოკეფალიის მინიჭების აუცილებლობას ვერ ხედავდა იმ მიზეზისა გამო, რომ ეს უკანასკნელი ვერ იქნებოდა ობიექტური გადანყვეტილებაში, რადგან მიიჩნეოდა, რომ საკითხი ძირითადად ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს და ამავდროულად დაკავშირებული იყო მიტ. ფილარეტის პატივმოყვარეობასთან. და თუკი 1990 წლის ოქტომბერში მოსკოვის პატრიარქი თანახმა იყო უკრაინის ეკლესიისთვის მიენიჭებინა ავტოკეფალია, დღესდრეობით ფილარეტის პიროვნება ეჭვს იწვევდა იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მიმართველობის პერიოდში მართლმადიდებლების ნორმალური საეკლესიო ცხოვრება ვერ იქნებოდა გარანტირებული უკრაინაში.

სინოდის სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა 1992 წ. 18-19 თებერვლის და რომელსაც არ ესწრებოდა მიტ. ფილარეტი, პირველად გაჟღერდა განცხადება, რომ მიტ.ფილარეტის გააქტიურების შემთხვევაში, უკრაინის კანონიკურ ტერიტორიაზე მცხოვრებ რუს მორწმუნეებს ეს უკანასკნელი აიყვანდა თავის იურისდიქციაში. აღნიშნულის შესახებ მიმართვაში ვკითხულობთ: „გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის საკითხი გადანყვეტილი იქნება საეკლესიო კრების ყველა კანონის დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ ეს ერთადერთი სწორი და კანონიკური პრინციპი იქნება დარღვეული, მაშინ ის, ვინც დარჩება მართლმადიდებლობის ერთგული მიიღებს კანონიკურ მფარველობას და არ იქნება მიტოვებული ცხოვრების მძიმე წუთებში“.

რუსეთის სამღვდელოების მომავალი კრება, რომელიც უნდა მოწვეულიყო მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო წარმოუდგენელ სირთულეებთან. საკითხის დადებითად გადანყვეტა მოსკოვს არა მარტო უკრაინაში მართლმადიდებლობის შემდგომი ბედის საკითხთან, არამედ მსოფლიო მართლმადიდებლობის პრობლემებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ერთიანი რუსული ეკლესიის გაყოფას უშაღლესი სამღვდელოების დიდი ნაწილი არა მარტო მტკივნეულ, არამედ ყოვლად დაუშვებლად მიიჩნეოდა. ისინი თვლიდნენ, რომ რუსული ეკლესიის ყოფა წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო მოსკოვისა და მისი ფესვების, - კიევის ერთიანობის გარეშე. მიუხედავად ზოგიერთის მტკიცებისა იმის შესახებ, რომ იქნებ ერთადერთი გამოსავალი ავტოკეფალია იყო, რომ თავიდან აეცილებინათ კათოლიკური ექსპანსია უკრაინაში.

ხელმძღვანელების ნაწილი ბჭობდა იმაზედაც, რომ წარსულში როცა რუსული ეკლესია ორ სამიტროპოლიტოდ გაიყო (XIV-XIII ს.) ამან დამლუპველად იმოქმედა კიევის მიტროპოლიის შემდგომ ბედზე, რამაც გამოიწვია უკრაინის მიწებზე მართლმადიდებლობის კრიზისი, საბოლოო შედეგი კი ყოველივესი იყო უნია და რომლის მეტასტაზებიც დღევანდლამდე მოყვება უკრაინის მართლმადიდებლობას. ისინი მიიჩნევენ, რომ XX ს-ის ბოლო პერიოდი იმ ავბედითი ისტორიის გაგრძელება იქნებოდა, სადაც კათოლიციზმის აგრესია ყოვლად შეუჩერებელ ხასიათს მიიღებდა.

წმ. დანიელის სახელობის მონასტერში 1992 წ. 31 მარტს მონვეული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესს სამღვდელთა კრება 5 აპრილამდე გაგრძელდა. კრებას ესწრებოდა რუსული ეკლესიის 97 ეპისკოპოსი, რომელთაგან 80-ს ჰქონდა გადამწყვეტი ხმის უფლება. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიიდან იყო 21 ეპისკოპოსი. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 21 უკრაინელმა არქიეპისკოპოსმა 18 გადამწყვეტი ხმის უფლებით.

კრების მუშაობის დაწყებამდე სიტყვა წარმოთქვა პატრიარქმა ალექსი II-ემ, რომელიც ძირითადად შეეხო საბჭოთა კავშირის დაშლასა და საეკლესიო ცხოვრების ძირეულ საკითხებს. რუსეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელმა უკრაინის საეკლესიო პრობლემატიკა ასეთი სიტყვებითაა ხსნა: «На территории составившей Советский Союз, возникли суверенные государства, каждое из которых имеет свою историю и традиции, свое видение ближайшего и долгосрочного будущего. В каждом из этих государств осуществляет свое свидетельство и служение наша святая церковь. Разумеется, части нашей церкви в каждом из суверенных государств оказываются в специфических условиях данной страны, что естественно, в определенной степени не может отразиться на повседневной жизни. Но вместе с тем создавшееся положение никоим образом не должно отражаться на прочности единства нашей поместной православной церкви, ибо в принципе территория той или иной поместной церкви совсем не обязательно должна соответствовать территории того или иного, но одного государства».

უკრაინის ავტოკეფალიის თემასთან დაკავშირებით პატრიარქმა ალექსი II-მ განაცხადა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებულის მოთხოვნა ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ, განსახილველად გადაეგზავნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს სამღვდელთა კრებას. პატრიარქმა იქვე მიუთითა: «Следует помнить, что нормальное становление автокефального

бытия части какой-либо православной церкви происходит в результате определенного процесса, протекающего как внутри всей этой церкви, так и в семье поместных православных церквей».

კრება, როგორც მოსალიდნელი იყო, ცხარე დისკუსიებით მიმდინარეობდა. ავტოკეფალიის საკითხზე შეხედულება კრების მინაწილეთა შორის ორად გაიყო: მოსკოვის სასულიერო პრესა აღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგს აქვეყნებდა: «Итог обсуждения проблемы автокефалии УПЦ стал поистине сенсационным: подавляющее большинство архиереев, в том числе и украинских, высказалось против предоставления полной самостоятельности украинской церкви. Епископы украинских епархий в большинстве своем дезавуировали свои подписи, поставленные под обращением с просьбой о даровании автокефалии, так как были к тому принуждаемы под страхом прещения со стороны митрополита филарета и пепресий со стороны президента Кравчука».

მიტროპოლიტი ფილარეტი კრების დაწყებიდანვე თავგამოდებით იცავდა თავის პოზიციას – მიეღწია კანონიკური ავტოკეფალიისთვის. მისი საბოლოო არგუმენტები იყო: დამოუკიდებელ უკრაინაში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსის პარალელურად, დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის მინიჭება. რუსული მხარე ფილარეტის თავგამოდებას მისი „პატივმოყვარეობითა“ და „კიევის პატრიარქობის“ სურვილით ხსნიდა.

როგორც კრების მსვლელობის მონაცემებიდან ირკვევა, სიტყვით გამოსულმა 58 მღვდელმთავართაგან გარკვეულმა რაოდენობამ მხარი დაუჭირა ფილარეტის მოთხოვნას. ესენი იყვნენ: ვოლინისა და ლუცკის ეპისკოპოსი ბართლომე, ლვოვისა და დროგობიჩისკის ეპისკოპოსი ანდრია, როვენისა და ოსტროჟის არქიეპისკოპოსი ირინეოსი და ოდესისა და იზმაილოვის არქიეპისკოპოსი ლაზარე, რომლებიც ავტოკეფალიის მოთხოვნისა და უკრაინის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მხარდაჭერისათვის იძულებული გახადეს დაეტოვებინათ კათედრა.

ავტოკეფალიის მხარდამჭერი იერარქები თავიანთ პოზიციებს იმით ამაგრებდნენ, რომ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება შექმნილი კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა. უკრაინის პრეზიდენტის ლ.კრავჩუკის კრებისთვის გამოგზავნილი დეპეშაც, ავტოკეფალიის დადებითად გადაწყვეტის საკითხს ეხებოდა. ეს იმ დროს, როდესაც კრებაზე უარყოფითად გამოდიოდა მეუფეთა გარკვეული ნაწილი და აღნიშნავდა, რომ მოსკოვის

იურისდიქციიდან გამოსვლა ამ ეტაპზე საზიანო უნდა ყოფილიყო უკრაინისთვის. სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტი კონსტანტინე აღნიშნავდა, რომ «на настоящий день уже есть несколько так называемых украинских автокефальных церквей, но они между собой враждуют и не признают друг-друга».

ამავდროულად, ხსენებულმა მეუფემ კრებას დაუსვა რიტორიკული კითხვა: ნუთუ კიდევ ერთი ავტოკეფალური ეკლესიის გამოჩენა უკრაინაში, თუნდაც ის იყოს კანონიკურ ნიადაგზე აგებული, შეძლებს კი თანაარსებობას მეორე (ემიგრანტულ) განხეთქილებაში მყოფ ეკლესიასთან? იმისთვის კი არ ჩამოფრინდა მსტილავ სკრიპნიკი ამერიკიდან, რომ ერთობაში შევიდეს კიდევ ერთ ავტოკეფალურ ეკლესიასთან.

ავტოკეფალიის პრობლემის განხილვისას სულ უფრო ხშირად ისმოდა საყვედურები მიტროპოლიტ ფილარეტის მისამართით, რომელმაც თითქოს ვერ დააფასა რუსეთის ეკლესიის სიკეთე-უკრაინისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებასთან დაკავშირებით (1990წ.), რამაც მათი შეფასებით უფრო გააღრმავა განხეთქილება. ბრალდებათა შორის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მიტროპოლიტ ფილარეტს ავტოკეფალია სჭირდებოდა თავისი ხელისუფლების გასამაგრებლად, ამდენად ურჩევდნენ, გადამდგარიყო თავისი თანამდებობიდან.

ამრიგად, სამღვდელოების კრებამ მიძღვნილმა უკრაინის საეკლესიო დამოუკიდებლობისადმი დადებითი შედეგი ვერ გამოიღო.

კრებამ მოამზადა საპასუხო წერილი უკრაინის პრეზიდენტ ლ.კრავჩუკისადმი, რომელშიც იუწყებოდნენ, რომ ავტოკეფალიის საკითხი არ იყო მოხსნილი დღის წესრიგიდან და მისი საბოლოო განხილვა ექვემდებარებოდა რუსეთის საეკლესიო კრებას. წერილში ასევე გამოთქმული იყო იმედი, რომ უკრაინის ადგილობრივი ეკლესია აირჩევდა ახალ ხელმძღვანელობას, რომლის მოღვაწეობაც მისცემდა საეკლესიო ცხოვრების ნორმალურ გარანტიას უკრაინის ტერიტორიაზე მცხოვრებ მართლმადიდებლებს.

### III თავი

#### უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის, - კიევის საპატრიარქოს სტრუქტურული ორგანიზაცია

XX ს-ის 90-იანი წლები ხასიათდება უკრანელი საზოგადოების ყველა ფენის აქტიური ბრძოლით პოლიტიკურ-სოციალური უფლებების მოპოვებისათვის. ამ პერიოდის ეროვნულმა მოძრაობამ მკვეთრად გამოხატული ელფერი მიიღო.

რუსეთის მიერ გატარებული საეკლესიო, კულტურული და ეკონომიკური ღონისძიებები უკრაინელი ხალხის ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია – აღმავლობის იმ ღრმა პროცესს იწვევდა, რომელიც გამოვლინებას ჰპოვებდა საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში. ამ ბუნებრივი პროცესისადმი სსრ კავშირის ხელისუფლების დაპირისპირება ამწვავებდა მისივე რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ-გამანთავისუფლებელ და სახალხო მოძრაობას, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სსრ კავშირის ერთიანობას.

დემოკრატიულ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის რუსეთის ეკლესიას უკრაინის მოსახლეობაში უნდა ექადაგა რუსეთისადმი ერთგულება და ეკლესიურად უკრაინის საეგზარქოსოსთან მტკიცედ შეკავშირება. ეს საპასუხისმგებლო საქმე რუსეთის საერო და სასულიერო უწყებამ უკრაინის საეგზარქოსოს დააკისრა, რომლის საქმიანობას მოსახლეობაზე იდეოეოგიური ზემოქმედების ძლიერი და ქმედითი ფუნქცია უნდა შეესრულებინა. საეგზარქოსოს ხელისუფლების თანამშრომლობამ იმპერიის მთავრობასთან, მათმა ერთობლივმა ფარულმა თუ აშკარა ბრძოლამ უკრაინელი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, გამოააშკარავა საეგზარქოსოს რეალური დანიშნულება და დაანახა უკრაინელებს მისი ნამდვილი სახე.

XX საუკუნის 90-იან წლებში გამოვლენილმა უკრაინის საეგზარქოსოს ბუნებამ, რომელიც უკრაინის დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული, დააჩქარა ამ უკანასკნელში სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათის ბრძოლათა გაერთიანება და მას მეტი სიმკვეთრე და შეურთებლობა მიანიჭა. უნდა ითქვას, რომ ხსენებული პროცესების წარმმართველი ამ შემთხვევაში საერგზარქოსოს დემოკრატიული და ეროვნული ძალები წარმოადგენდა, რომელთაც იმთავითვე თავის თავზე იტ-

ვითეს საეგზარქოსოს დაშლის ფუნქცია. ბუნებრივია, ეს არ იყო ადვილი პროცესი და იგი იმთავითვე მრავალ მიმართულებიანი აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში უკრაინელი საერო და სასულიერო ფენების ბრძოლა პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ითვალისწინებდა რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგობასაც.

ამ შემთხვევაში უკრაინის საეგზარქოსო აშკარა დაშლის წინაშე აღმოჩნდა. როგორც მოგეხსენებათ უკრაინის სასულიერო კრებულს ეთნიკურად რუს და უკრაინელ სამღვდელოებას აერთიანებდა, რაც ბუნებრივია, ბადებდა საეკლესიო კრებულის პრორუსულ და პროუკრაინულ ნაწილებად დაყოფის ტენდენციას, რომელიც სულ მალე რეალობად იქცა. ამავდროულად, უკვე აშკარა ხდებოდა ისიც, რომ საეგზარქოსოს დაშლის შედეგად აღმოცენდებოდა არა ერთი საეკლესიო ორგანიზაცია (თავისი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალებით) რომელთაგანაც თითოეულთ ცალ-ცალკე გაუჩნდებოდათ კანონიკური ეკლესიის სტატუსის მინიჭების სურვილი, რაც ბუნებრივია, თავისთავად მწვავე რელიგიურ-კონფესიონალურ დაპირისპირებებს გამოიწვევდა ქვეყანაში.

1992 წლის 25-26 ივნისს კიევის მიტროპოლიის შენობაში შედგა უამე-ის კრება. კრებას ეწინააღმდეგებოდა ეპისკოპოსები, დეპუტატები და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. შეკრების მიზანს წარმოადგენდა უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიისა და საეგზარქოდან გამოყოფილი რმე-ის სასულიერო პირთა გაერთიანება. საეკლესიო გაერთიანებას დაერქვა: „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია-კიევის საპატრიარქო“. ახლად ჩამოყალიბებული საეკლესიო ორგანიზაციის საკუთრებად გამოცხადდა უკრაინის საეკლესიო ქონება და ფინანსები. კრებამ მიიღო დადგენილება უამე-ის წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და პატრიარქის მოადგილის (თანამონაცვლის მ.ბ.) თანამდებობის დადგინების თაობაზე. გადაწყდა: პატრიარქის თანამდებობას კვლავ ინარჩუნებდა აშშ-ში ემიგრაციაში მყოფი მსტისლავ სკრიპნიკი (რომელიც რუსული წყაროების თანახმად არ ფლობდა იმფორმაციას კრების მოწვევის თაობაზეც კი მ.ბ.) მოადგილედ მიტროპოლიტი ფილარეტი (დენისენკო), ხოლო საქმეთა მმართველად-ანტონი (მასენდინი). ახლადჩამოყალიბებულ საეკლესიო ორგანიზაციასთან ასევე ჩამოყალიბდა „საეკლესიო რადა“, რომელშიც შევიდნენ, კრებაზე დამსწრე დეპუტატები. კრებაზე გამოცხადებულ იქნა, რომ საეკლესიო ქონება და ფულადი თანხა 4 მილიარდი რუბლი ასევე მიეკუთვნება კიევის საპატრიარქოს. აღნიშული ვითარება ეპისკოპოსთა

გარკვეული ნაწილისთვის მიეღებელი აღმოჩნდა და მათ დატოვეს კრება.

1992 წ. 3 ივლისს უკრაინის რუსულმა სამღვდელოებამ (აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით მ.ბ.) საპროტესტო წერილით მიმართა უკრაინის პრეზიდენტ ლ.კრავჩუკს, რომ ამ უკანასკნელს ემოქმედა კანონის თანახმად და დაებრუნებინა რუსული ეკლესიისათვის კიევის მიტროპოლიის შენობა და ვლადიმირის საკათედრო ტაძარი, რომელიც ხელისუფლებამ კიევის საპატრიარქოს გადასცა. საპროტესტო წერილს უკრაინის ხელისუფლების მხრიდან პასუხი არ მოყოლია. სამაგიეროდ რუსულმა პრესამ ხსენებულ ფქტს შესაბამისი კვალიფიკაცია მისცა და გამოაცხადა, რომ ხელისუფლება აშკარად უჭერდა მხარს ფილარეტს (დენისენკოს) და უხეშად ერეოდა ეკლესიის შიდა საქმეებში.

ეკლესიაში არსებული კრიზისი თანხვედრი პროცესი აღმოჩნდა ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან. სისტემური კრიზისის ხასიათი შეიძინა საკრედიტო-საფინანსო სისტემის ნგრევამ, რამაც მთელი სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კომპლექსის ახალი სახელმწიფოს სტრუქტურაზე გადაწყობა გამოიწვია. ამ პროცესებზე დიდ გავლენას ახდენდა, აგრეთვე, სახელმწიფოსა და მისი ეკონომიკის მშენებლობის რეალური გეგმის უქონლობა. ეკონომიკურმა ქაოსმა, რომელიც 1990-1992 წლებში ვითარდებოდა, ისეთ დონეს მიაღწია, რომ თავად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის დეგრადაცია გამოიწვია. სტატისტიკის მონაცემებით, უკრაინის ეროვნული შემოსავალი 14%-მდე დაეცა. სახალხო მოხმარების საგნების წარმოება 10,9%-ით შემცირდა. 1992 წლის მარტში მირებული პროგრამა „ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლები“ პრაქტიკულად არ შესრულებულა, რასაც უკრაინის საფინანსო სისტემის კრაზი და ფულადი ერთეულის – კუპონის გაუფასურება მოჰყვა. 1992 წლის შემოდგომაზე ვ.ფოკინის მთავრობა ლ.კუჩმას მთავრობამ შეცვალა – გამოიცა კრიზისის დაძლევისა და სახელმწიფო ეკონომიკის სტაბილიზაციისკენ მიმართული დეკრეტები.

ასეთ მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ პერიოდში მოუხდა კიევის საპატრიარქოს ჩამოყალიბება. 27-30 ივნისს (1992წ.) ფილარეტ დენისენკომ მთელ მართლმადიდებელ ეკლესიებს დაუგზავნა მიმართვის წერილები, - მხარი დაეჭირათ უკრაინის მართლმადიდებ-

ბელი ეკლესიის - კიევის საპატრიარქოს დამოუკიდებლობის აღიარებაში.

კანონიკური სტატუსის განსაზღვრისათვის 1992 წ. 30 ივნისს კონსტანტინოპოლში გაემგზავრა უმე-ის კიევის საპატრიარქოს დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა პატრიარქის (მსტისლავის) თანამონაცვლე მიტროპოლიტი ფილარეტი, მიტროპოლიტი ანტონი (მასენდიჩი), არქიმანდრიტი ვალენტინი, იღუმენი დანიელი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ჩერვონი. ხსენებულ ვიზიტთან დაკავშირებით უკრაინის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, უკრაინის ეკლესიისათვის კონსტანტინოპოლის მხრიდან ავტოკეფალიის შესაძლო მინიჭებაზე, მაგრამ როგორც მოვლენებმა აჩვენა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ამ გადაწყვეტილებებისგან იმჟამად თავი შეიკავა.

1992 წლის 2 ივლისს აშშ-დან კიევში ჩამოვიდა პატრიარქი მსტისლავი, შეხვდა რა იგი უკრაინის პრეზიდენტ ლ. კრავჩუკს აღნიშნა, რომ 'გაერთიანება' არ შეეხებოდა უამე-ის კიევის საპატრიარქოს, რომ 1992 წლის 25-26 ივნისის კრების გადაწყვეტილება მიეკუთვნებოდა მოქალაქე მიხეილ დენისენკოს (მიტ. ფილარეტს მ.ბ.) მიტროპოლიტ ანტონს, არქიეპისკოპოს ვლადიმირს (რომანიუკს) და სხვა არაკეთილსინდისიერ პოლიტიკოსს.

გააკეთა რა შესაბამისი დასკვნა, იმასთან დაკავშირებით, რომ პატრიარქი მსტისლავი საერო ხელისუფლებისთვის ახალი საეკლესიო ორგანიზაციის პატრიარქად მიუღებელი იყო, იგი გაბრუნდა უკრაინიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში და იქედან გააგრძელა საეკლესიო საქმიანობა, ხოლო ავტოკეფალურ მოძრაობას ფაქტობრივად სათავეში ჩაუდგა მიტროპოლიტი ფილარეტი. აქედანვე იწყება უმე-ის კიევის საპატრიარქოს სტრუქტურული ორგანიზაციისთვის ბრძოლა.

1992 წ. 10 ივნისს უკრაინის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიის საქმეთა საბჭომ მიიღო დადგენილება (ოქმი 7) რეგისტრირებული დოკუმენტში ცვლილებების შეტანის შესახებ. საკითხი ეხებოდა 1992 წ. 25-26 ივნისის საეკლესიო ორგანიზაციათა გამაერთიანებელი კრების დადგენილებას უამე-ის მმართველობის სტატუსს.

აღნიშნულ მოვლენას მოსკოვის მხრიდან სასწრაფოდ მოჰყვა მწვავე განცხადებები, იმასთან დაკავშირებით, რომ დოკუმენტს მიღებულს კიევის საპატრიარქოს მმართველობაში ცვლილებების შეტანის შესახებ არ ჰქონდა იურიდიული ძალა, რადგან რელიგიის

საქმეთა რწმუნებულის საბჭო როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია, იმ დროისთვის არ არსებობდა (ე.ი. გაუქმებული იყო მ.ბ.).

როგორც მოცემული დოკუმენტიდან ჩანს მოსკოვის საეკლესიო მმართველობა ახალ საეკლესიო ორგანიზაციის დადგინებასთან დაკავშირებით ყველა შესაძლებელ ღონისძიებას შესაბამის კვალიფიკაციას აძლევდა.

ამავდროულად, კიევში ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ცდილობდა უამე-ის შენარჩუნებას. განცხადებაში, რომელიც საინიციატივო ჯგუფმა გაავრცელა ნათქვამი იყო: 'Так называемый собор от 25-26 июня 1992г. – не был собором. На нем отсутствовали законно избранные представители от епархий и благочиний, не были соблюдены канонические условия, не было от качества верующих соответствующего количества делегатов. Это лишь собрание собранных наскоро сторонников Филарета, которые не имели права представляться собором. Их решения односторонние и неуполномочены для исполнения.~'

ხსენებული „ჯგუფის“ წევრებმა ფართოდ გააჩაღა პროპაგანდისტული მუშაობა, რომელიც ფილარეტის დაჯგუფებას არაკანონიკურ ქმედებაში ადანაშაულებდა და საეკლესიო ქონებიდან საკუთარ წილზედერ ნაწილს მოითხოვდა.

ასეთი დამოკიდებულება სუფევდა მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ სასულიერო კრებულის მხრიდან უმე-ის კიევის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადაცემულ ეკლესია-მონასტრების საკუთარ იურისდიქციაში გადატანასთან დაკავშირებით.

უკრაინის საეკლესიო ქონების დატაცების ფაქტებმა მასშტაბური ხასიათი მიიღო. მაგ. 1992 წ. 19 სექტემბერს უკრაინის უმაღლესმა საარბიტაჟო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება კიევში პოკროვის ტაძრის ფილარეტის ორგანიზაციისთვის გადასაცემად. უნდა ითქვას, რომ მორწმუნეებს ტაძარი მორიგეობით მანმადე ეჭირათ, ვიდრე სასამართლომ მათ სასარგებლოდ დადებითი გადაწყვეტილება არ გამოიტანა.

1992 წ. 17 ოქტომბერს პატრიარქმა მსტისლავმა „საკადრო ცვლილება“ გაატარა უამე-ში. კერძოდ, მისი ბრძანების თანახმად მიტროპოლიტ ანტონს (მასენდიჩს) და არქიეპისკოპოს ვლადიმირს (რომანიუკს) ფილარეტის ორგანიზაციასთან თვითნებურად გაერთიანებისთვის ჩამოეხსნათ ეპისკოპოსობის პატივი და გაირიცხნენ უამე-იიდან. ამავდროულად, მსტისლავმა მიმართა ეპისკოპოსებსა

და სხვა სასულიერო წოდებას არ ეცნოთ 1992 წლის 25-26 ივნისის კრების გადაწყვეტილება.

პატრიარქი მსტისლავი თვლიდა, რომ უამე-ისა და უმე-ის მაღალი სასულიერო იერარქთა დაახლოვება (გაერთიანება მ.ბ.) საერო ხელისუფლების ხელშეწყობით განხორციელდა ამ მიმართულებით აღშფოთებას არ მალავდა.

მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქმა მსტისლავმა უმე-ის კიევის საპატრიარქოსთან გაერთიანების მეთაურებს აღუკვეთა მღვდელმსახურება, ისინი კვლავ განაგრძობდნენ დაკავებულ თანამდებობაზე სამსახურს. 1992 წ. 23 ოქტომბერს რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა ხელი მოაწერა შუამდგომლობას მიტროპოლიტ ანტონისათვის დაერთოთ ნება დაემზადებინა ბეჭედი და შტამპი კიევის საპატრიარქოსათვის.

1992 წ. 12 დეკემბერს შედგა სრულიად უკრაინის მართლმადიდებელი საძმოს (უამე) კონფერენცია, რომელსაც უნდა გამოეყვლინა უამე-ის კიევის საპატრიარქოს დაფუძნების მომხრეები და მოწინააღმდეგეები. კონფერენცია დასრულდა მართლმადიდებელი საძმოს ორად გაყოფით: უამე – კიევის საპატრიარქო და უმე – კიევის საპატრიარქო. ბუნებრივია, ორი ერთნაირი დასახელების საპატრიარქოს დაარსება თავისთავად წარმოშობდა ქონებრივი გაყოფის სადაოსაკითხებსაც, აღნიშნულმა კი მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა მესამესაეკლესიო ორგანიზაციის - მოსკოვის საპატრიარქოს დაფუძნების დროს, როცა თითოეულმა ცალ-ცალკე თავიანთი იურისდიქციის განსაზღვრა მოინდომა.

მოცემული პერიოდისთვის უამე – მოითვლიდა 1700 სამრევლოს. იმის შემდეგ, როცა დაიწყო უმე-ის კიევის საპატრიარქოს სტრუქტურული ორგანიზაცია პატრიარქმა მსტისლავ სკრიპნიკმა უკრაინის პრეზიდენტს ლ.კრავჩუკს, პრემიერ მინისტრს ლ.კუჩმას და გენერალურ პროკურორს ვ.შვიშკინს, შეეცვალათ გადაწყვეტილება უამე-ის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. ამავდროულად, პატრიარქი ითხოვდა, ხელახლა მოეხდინათ უამე-ის წესდების რეგისტრაცია და დაებრუნებინათ ადგილობრივი საეკლესიო კრების მიერ კანონიკურად არჩეული პატრიარქისთვის გათვალისწინებული ყველა უფლება და სამართლებრივი წესით დაესაჯათ უამე-ის – კიევის საპატრიარქოს დამფუძნებლები. იმავე დრესვე პატრიარქმა მსტისლავმა დანიშნა არქიეპისკოპოსად პეტრე და მასვე მიანიჭა უამე-ის საქმეთა მართვის უფლება.

როგორც მოცემული დოკუმენტიდან ჩანს პატრიარქმა მსტისლავმა გადაწყვიტა დამოუკიდებლად გაეგრძელებინა ავტოკეფალური მოძრაობა და ყოველგვარი კავშირი განწყვიტა ახალ ორგანიზაციასთან. რუსული პრესა მოცემულ მოვლენებზე ასეთ კომენტარს აკეთებდა: *«Мстислав, разачерованный и удрученный тем, как «с делом всей его жизни» поступила молодая украинская демократическая власть, отбывает в США навсегда»*.

1993 უამე – კიევის საპატრიარქოს სინოდმა მოისმინა არქიეპისკოპოს პეტრეს მოხსენება. მან აღნიშნა, რომ გადიოდა ხსენებული ორგანიზაციის იურისდიქციიდან იმ მოტივით, რომ ის დანიშნა უამე-ის საქმეთა მმართველად. აღნიშნული მოვლენა მიუღებელი აღმოჩნდა უამე-ის ხელმძღვანელობისთვის და არქიეპისკოპოს პეტრეს აეკრძალა ორგანიზაციის თვითნებურად დატოვებისთვის წესმსახურების უფლება. ამავდროულად, უმე-კიევის საპატრიარქოს სინოდმა დაადგინა: *«Считать распоряжения «патриарха» Мстислава канонически недействительными»*.

ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული უმე-ის – კიევის საპატრიარქოს სტრუქტურული ორგანიზაცია, რომ მის შიგნით წარმოიშვა განხეთქილება. ყველასათვის ნათელი იყო, რომ ავტოკეფალური მოძრაობა უკრაინაში უკავშირდებოდა მსტისლავის სახელს, სინამდვილეში კი ბოლო პერიოდში მის სახელს ამ მიმართულებით არავინ ახსენებდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე უკვე ახალმა ლიდერებმა იმთავითვე წამოიწყეს ბრძოლა კიევის საპატრიარქოს ტახტისთვის. უკვე აღარავის აღარ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ხსენებული პატივისთვის იბრძოლებდა ფილარეტი (დენისენკო), რომელსაც საეკლესიო წრეებში მძლავრი ოპოზიცია გააჩნდა, და რომლებიც თვლიდნენ, რომ ფილარეტმა მსტისლავის გარდაცვალებამდე მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია. განსაკუთრებით აქტიურობდა ამ მიმართულებით ის სამღვდელოება, რომლებიც თავიდანვე მიემხრო ავტოკეფალურ მოძრაობას (უფრო სწორად მათ უწოდებდნენ ეროვნულ სანღვდელოებას მ.ბ.) და თანაუგრძობდნენ ნაციონალურ პარტიებს რომელთა მხარდაჭერის დიდი იმედი გააჩნდათ; მათ მიემხრო ისეთი სასულიერო პირებიც, რომელთაც საერთო ვერ გამოხატეს ფილარეტთან. ხსენებული სამღვდელოება საბოლოო ჯამში გაერთიანდა გალიცელ ავტოკეფალისტ ლიდერებთან ლვოვის არქიეპისკოპოს პეტრესა და ვლადიმერ იერემასთან, რომელიც ავტოკეფალური მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი იყო. მათი აზრით ავტოკეფალურ მოძრაობას



და კიევის საპატრიარქოს მსტისლავის შემდეგ უეჭველად უნდა ჩადგომოდა გულმხურვალე ლიდერი, რომელიც ხსენებულ ეკლესიას ავტორიტეტად გამოადგებოდა. ისინი თვლიდნენ, რომ ფილარეტი ოდიოზური ფიგურა იყო, მაგრამ არა ავტოკეფალისტი. ამდენად, ისინი მიიჩნევდნენ, რომ „კორუმპირებული ავტოკეფალური მოძრაობა“ კიევის საპატრიარქოს სახელს ვერ მოუხვეჭდა. საეკლესიო კულუარებში (და შემდეგ პრესაშიც) მუსირებდა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ კიევის საპატრიარქოს ახალ ორგანიზაციას ხელისუფლება იმ მოტივით მფარველობდა, რომ „მსტისლავის ავტოკეფალისტებს“ არ ჰქონდათ პარტიული ნომენკლატურის მქონე საერო ხელისუფლების ნდობა და „მსტისლავის ეკლესია“ არასოდეს იქნებოდა ხელისუფლების მორჩილი ორგანიზაცია.

ბრძოლა ავტოკეფალურ საეკლესიო დაჯგუფებას შორის ლიდერობისთვის პატრიარქ მსტისლავის გარდაცვალების შემდეგ ახალ ფაზაში შევიდა. პატრიარქი გარდაიცვალა აშშ-ში 1993 წ. და იქვე ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე დაასაფლავეს. აღნიშნულმა ვითარებამ ორივე დაჯგუფება ერთი პრობლემის წინაშე დააყენა. ვინ უნდა ჩანაცვლებოდა პატრიარქის ადგილს არჩევნებამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიკვეთა.

ფილარეტის ოპოზიციურმა დაჯგუფებამ სკრიპნიკის გარდაცვალების შემდეგ პატრიარქის ასარჩევად მოიწვია უამე-ის კრება. ერთმანეთის პარალელურად ლიდერობისთვის იბრძოდნენ: პეტრე, იარემა და ცნობილი მეცნიერი, ხარკოვის უნივერსიტეტის დოცენტი იგორ ისიჩენკო, უამე-ის ეპისკოპოსი მიხეილი და ლუცკის ეპისკოპოსი თეოკტისი.

საბოლოოდ არჩევნებში გაიმარჯვა ლვოვის ეპისკოპოსმა ვლადიმერ იარემამ.

აღნიშნულმა მოვლენამ, ბუნებრივია, რუსეთის ეკლესიის იურისდიქციის გარეთ დარჩენილ სამღვდელთაში ორჭოფულობა გამოიწვია. გამოიკვეთა, რომ ავტოკეფალურ, - პირობითად „იარემას ეკლესიაში“ გავადიდა სამღვდელთა რადიკალური ოპოზიცია, რომლებიც თვლიდა, რომ ისინი წარმოადგენდნენ უკრაინაში ავტოკეფალური ეკლესიის სახეებს.

მეორე ნაწილი სამღვდელთა (უფრო მერყევი მ.ბ.) მიიჩნევდა, რომ არ იყო აუცილებელი კავშირის განყვეტა უამე-ის კიევის საპატრიარქოსთან. ისინი აცნობიერებდნენ, რომ ფილარეტი შეიძლებოდა ყოფილიყო გარანტი იმდენად, რამდენადაც ხელისუ-

ფლების სიმპატიები უფრო მისკენ იხრებოდა. ამავდროულად, ხსენებული სამღვდელთა თვლიდა, რომ გამოკვეთილი „ნაციონალური (ეროვნულ მ.ბ.) განწყობილების“ პოზიციას უამე დასავლეთ უკრაინაში შეიძლება მიეყვანა ვინროლოკალიზებულ განხეთქილებამდე მაშინ, როცა ფილარეტთან ალიანსს შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათი აქტიური წინსვლა აღმოსავლეთისაკენ. ასევე გათვალისწინებული ჰქონდა ხსენებულ სამღვდელთა ისიც, რომ თუ კიევის საპატრიარქოს სათავეში ჩაუდგებოდა ისეთი „ოდიოზური“ ფიგურა, როგორც დენისენკო იყო, მაშინ არ იყო გამორიცხული, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კიევის საპატრიარქოს ზურგს შეაქცევდა დიდი რაოდენობით გალიციელი ავტოკეფალისტი. ასეთი რამ რომ შესაძლებელი იყო, ჩანდა არა მარტო იარემას უამე-იდან გამოყოფის მაგალითი, არამედ სკრიპნიკის გარდაცვალების შემდეგ გადაწყვეტილება, უარი ეთქვათ კიევის საპატრიარქოს იურისდიქციაში დარჩენაზე. აშშ-ს ემიგრანტული ეკლესიის მესვეურები მაშინვე მიხვდნენ, რომ პრესლოვუდის კიევის საპატრიარქო უკრაინაში გარკვეული პოლიტიკური ძალების ხელში გამოყენებულ იქნა იარაღად. ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ მათ უარი თქვეს ხმაურიან საპატრიარქო ტიტულზე და სკრიპნიკის გარდაცვალების შემდეგ ამერიკის სამრევლოების ხელმძღვანელად აირჩიეს მიტროპოლიტი კონსტანტინე.

უამე-ის კიევის საპატრიარქოს შიგნით ფილარეტის ოპოზიციას ხელმძღვანელობდა მიტროპოლიტი ანტონი (მასენდჩი), რომელმაც ფაქტობრივად მომზადა ნიადაგი იმისათვის, რომ ახლადჩამოყალიბებული უამე-ის კიევის საპატრიარქოდან არ გასულიყო გალიციელი სამღვდელთა, რიმელთაც არ სურდათ საპატრიარქო ტახტზე ეხილათ ფილარეტი (დენისენკო).

1993 წ. 21-24 ოქტომბერს კიევი შედგა უამე-ის კიევის საპატრიარქოს სამღვდელთა კრება, რომელმაც კიევის საპატრიარქად აირჩია ვლადიმერ რომანიუკი. მწვავე დებატებით მიმდინარეობდა საპატრიარქოს თანამონაცვლის არჩევნებიც. მიტროპოლიტი ანტონის სიტყვებით „Даже при коммунистах церковь не испытывала на себе такого волнения властей, как в новообразованной независимой Украине“. თანამონაცვლედ აირჩიულ იქნა ფილარეტი (დენისენკო).

1995 წ. 11 მარტს მსოფლიო საპატრიარქო ბართლომე და ნიპოლის ეკლესიის წმიდა სინოდმა თავის იურისდიქციაში მიიღო აშშ-ს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია და უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები დიასპორაში.

აღნიშნული მოვლენის გასანეიტრალებლად (რაც უეჭველი იყო მოსკოვის მხრიდან მკაცრად შეფასდებოდა მ.ბ.) მსოფლიო პატრიარქმა გაავრცელა განსაკუთრებული მიმართვა, რომ იგი სასტიკად კრძალავდა ურთიერთობებს „С схизматическими группами действующими на Украине, которые не входят в полноту Православных Церквей“.

მიუხედავად გავრცელებული მიმართვისა ხსენებულმა აქტმა რუსეთ-კონსტანტინოპოლის ურთიერთობები ძალზედ დაძაბა.

მწვავედ მიმდინარეობდა პროცესები ახლადჩამოყალიბებულ კიევის საპატრიარქოშიც. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა უამე-ის წარმომადგენლობა თავისი ისტორიის მანძილზე მეოთხეჯერ აყენებდა ხელისუფლების წინაშე საკუთარი ეკლესიის ლეგალიზაციის საკითხს. როგორც აღვნიშნეთ მესამე ლეგალიზაცია მან 1990 წელს გაიარა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

1995 წ. 5 ივნისს ავტოკეფალისტებმა შეძლეს დაებრუნებიათ 1992 წლის 25-26 ივნისის საეკლესიო კრების მიერ მესამეჯერ გაუქმებული სტატუსი და შედგა მისი ხელახალი რეგისტრაცია (ლეგალიზაცია მ.ბ.). ამავდროულად საკითხი ეხებოდა საეკლესიო ქონებასაც, რომელზედაც ხელახალი დავა დაპირისპირებულ მხარეთა შორის დაუნდობლად მიმდინარეობდა.

ძალზედ გართულდა ურთიერთობები კიევის საპატრიარქოში. პატრიარქმა ვლადიმერ რომანიუკმა 1995 წ. 4 მარტს გასცა ბრძანება მიტროპოლიტ ფილარეტის დაკავებული (თანამონაცვლის) თანამდებობიდან გათავისუფლებაზე. ამავდროულად, პატრიარქმა თხოვნით მიმართა უკრაინის ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებას უზრუნველყოთ მისი დაცვა ფილარეტის თავდასხმისაგან. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ პატრიარქი საკუთარ მოადგილეს (ფილარეტს) ბრალს დებდა კორუპციაში.

1995 წ. 14 ივნისს პატრიარქი ვლადიმერ რომანიუკი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. აღნიშნული მოვლენა ფილარეტი-სადმი ოპოზიციურად განწყობილ დასავლეთ უკრაინის სამღვდელობას საშუალებას აძლევდა მიემართათ ამ უკანასკნელისთვის მოთხოვნით: - მოეხსნა არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა პატრიარქის თანამდებობაზე. მიუხედავად სამღვდელოების გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობისა ხმათა უმეტესი უპირატესობით მიტროპოლიტმა ფილარეტმა დაიჭირა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის - კიევის საპატრიარქოს ტახტი. როგორც წყაროები მეტყველებენ, არჩევნები მიმდინარეობდა უალტერნატივოდ,

რადგანაც ეპისკოპოსთა გარკვეულმა ნაწილმა, დატოვა კრება და მიაშურა ფეოდოსიის მონასტერს, სადაც შედგა მათი შეხვედრა უამე-ის უმაღლეს სამღვდელოებასთან, რომელზედაც გადაწყდა 21 ოქტომბრის აქტის საფუძველზე ორი ეკლესიის გაერთიანება (უამე და უმე - კიევის საპატრიარქო მ.ბ.). აქტის ხელისმომწერთა რიცხვში იყვნენ: მიტროპოლიტი ანდრია, მიტროპოლიტი ვასილი, არქიეპისკოპოსი პეტრე დას ხვ.

ეკლესიაში შექმნილი მძიმე ვითარება კიდევ ერთი მიმდინარეობის წარმოქმნაზე მიაწინებდა. აღნიშნული მდგომარეობის ძირშივე აღსაკვეთად ფილარეტმა „გაერთიანების მეთაურებს“ მკაცრად მოსთხოვა უკანვე დაბრუნებულიყვნენ და ჩვეულ რიტმში გაეგრძელებინათ საეკლესიო ცხოვრება, მაგრამ განდგომილი ეპისკოპოსები უარზე იყვნენ. მდგომარეობის განსამუხტავად უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ოფიციალურად მიმართა ფილარეტს არ დაემვა შანტაჟი და კონფესიონათაშორისი დაპირისპირება.

1995 წ. 22 ოქტომბერს წმ.ვლადიმირის საკათედრო ტაძარში შედგა პატრიარქ ფილარეტის ინტრონიზაცია. თავისავე პირველ ქადაგებაში პატრიარქმა უკრაინელ უნიატებს მოუწოდა კიევის საპატრიარქოსთან დიალოგისაკენ.

პარალელურ რეჟიმში მუშაობას განაგრძობდა უამე-ის კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება იმასთან დაკავშირებით, რომ 21 ოქტომბერს მიღებული „აქტი გაერთიანების შესახებ“ აუცილებლად უნდა განხილულიყო, როგორც დეკლარაცია, რომელიც გაერთიანებული საეკლესიო კრების მიერ უნდა ყოფილიყო დამტკიცებული.

„ახალმა განხეთქილებამ“ ის შედეგი გამოიღო, რომ უამე-ის კიევის საპატრიარქოდან (რომელიც იმჟამად დაახლოებით 1700 სამრევლოს მიითვლიდა) ოთხი მაღალი იერარქი უამე-ის იურისდიქციაში გადავიდა. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, მათზე დაქვემდებარებულმა სამრეკლოებმაც (დაახლოებით 700 სამრევლო მ.ბ.) ხსენებული საეკლესიო ორგანიზაციის იურისდიქციაში გადაინაცვლა. ცოტა ხნის შემდეგ უამე-თან შეერთების სურვილი გამოთქვა კიდევ 138 თემმა. ხოლო 228 სამრევლომ განაცხადა, რომ გადახედავდა თუ რომელი ეკლესიის იურისდიქციას მიკუთვნებოდა.

არსებითად ჩანდა, რომ უკრაინაში მიმდინარე საეკლესიო პროცესებზე გარეშე ძალები მოქმედებდნენ, რაც ბუნებრივია, ქვეყნის საერო ხელისუფლებას უბიძგებდა ეროვნული ეკლესიის

მხარდასაჭერად შესაბამისი ღონისძიებები გაეცარებინა. რადგან ხელისუფლება საეკლესიო საქმეებში აქტიურად ვერ ჩაერეოდა იგი იდეურად მხარს უჭერდა ფილარეტს, რადგან მასში ხედავდა სამ მართლმადიდებლურ კონფესიად დაყოფილი უკრაინის ეკლესიის გამაერთიანებელს. ხელისუფლებისა და ეროვნული ეკლესიის დაფუძნებისთვის მებრძოლ სამღვდელთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა: უკრაინას სჭირდებოდა ერთიანი ძლიერი მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც მრავალმილიონიანი მრევლით და საეკლესიო კრებულებით მართლმადიდებლურ სამყაროში თავის ადგილს დაიმკვიდრებდა.

1995 წ. 2 ნოემბერს შედგა კიდევ ერთი შეხვედრა უმე-ის მოსკოვის წარმომადგენლებსა და უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ დაინყებოდა მოლაპარაკება ხსენებული ეკლესიების ეპისკოპოსებისა და კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ვლადიმერ საბოდანთან.

ბუნებრივია, „შეხვედრის“ მიზანს სამღვდელოებათა გარკვეული ნაწილის უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის – მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში გადაბრება წარმოადგენდა. მოლაპარაკებისას უამე-ის ეპისკოპოსები „გაერთიანებას“ იმ პირობით დათანხმდებოდნენ, თუ საუბარი იქნებოდა სრულ ავტოკეფალიაზე, რაზედაც რუსული ეკლესიის მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევი იყო, რადგან პირველ რიგში უნდა დაწყებულიყო გაერთიანების პროცესი, რომელიც საბოლოო ჯამში მოიცავდა კიევის საპატრიარქოს შემოერთებასაც, რომელ საკითხსაც ვ.საბოდანის აზრით, იმ ეტაპზე, ფილარეტის პიროვნება აბრკოლებდა.

იმავე დღესვე 14 ნოემბერს გაიმართა უამე-ის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდა პატრიარქი დიმიტრი იარემა და სხვა მაღალი იერარქები. კრების მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება 1996 წ. 5-6 ივნისს გამართულიყო უამე-ის ადგილობრივი კრება, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა უმე-ის მოსკოვის საპატრიარქოსთან გაერთიანების საკითხი. ასევე კრებაზე გამოითქვა მოსაზრება უამე-ის პატრიარქის დიმიტრი იარემას დაკავებული თანამდებობიდან წასვლის შესახებ.

საკითხი კონფესიათა გაერთიანებაზე მსჯელობის საგანი გახდა უმე-ის სინოდის სხდომაზე, რომელიც შედგა კიევ-პიჩორის ლავრაში (1995 წ. 22 ნოემბერს), რომელსაც თავმჯდომარეობდა

კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი ვლადიმერი (საბოდანი). აქვე ერთ-ერთ ვარიანტად განიხილებოდა გალიციისთვის ავტონომიური მიტროპოლიის მინიჭების საკითხი. სინოდმა ასევე დაადგინა, რომ შექმნილიყო 3 კაცისაგან შემდგევი კომისია, რომელსაც უნდა ეწარმოებინა დიალოგი უამე-ის წარმომადგენლებთან. კომისიას ხელმძღვანელობდა დნეპროპეტროვსკისა და კრივირიოვის არქიეპისკოპოსი ირინეა. კომისიის წევრები: კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი ზაბუგა და ს. ბუკინი. სინოდის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ უკრაინაში წინანდებურად შენარჩუნებული იყო უკიდურესად ნეგატიური პოლიტიკური ტენდენცია, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლო ხელის შეშლა ორი სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებისთვის ნორმალურ რეჟიმში წარემამართათ მუშაობა.

ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის უკრაინელი ეპისკოპოსები პირველ რიგში ასახელებდნენ იმას, რომ სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციით არ იყო განსაზღვრული სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის საკითხი, რაც ფილარეტის ოპონენტებს აძლევდა საშუალებას განეცხადებინათ: „*Это дает почву для систематических спекуляций монаха Филарета, который всячески пытается представить руководимую им УПЦ КП в качестве «национальной церкви», которая не должна быть, по его мнению, отделена от государства, но напротив, должна пользоваться особыми привилегиями*“.

ზემოთ მოტალნილ მოსაზრებას ოპოზიცია ამაგრებდა იმითაც, რომ უმე-ის სინოდის სხდომის მოწვევამდე ფილარეტმა სახელმწიფოს უმაღლეს საერო ხელისუფლების სახელზე გაკეთებულ მიმართვაში განაცხადა, რომ „*Одной из паричин сложной религиозной ситуации на Украине является отсутствие у государства четкой «церковной политики относительно «отстранения на Украине единой Поместной Православной Церкви*“.

მოყვანილი განაცხადება მოსკოვმა აღიქვა როგორც უკრაინის სახელმწიფო ხელისუფლებისა და ფილარეტის საეკლესიო ორგანიზაციის ალიანსი უკრაინის ერთიანი, ეროვნული ეკლესიის დაფუძნებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ გაძლიერდა უკრაინაში მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ეკლესიის ძალისხმევა დისკრედიტაცია მოეხდინა უამე-ის კიევის საპატრიარქოსი: „*Филарет каноническую Украинскую православную церковь поставил в один ряд с протестантскими конфессиями, назвав ее такая же чужедной иностранной религиозной*

организацией, не упомянув, впрочем, что сам стоял во главе почти четверть века“.

უკრაინის რუსული საკლესიო ორგანიზაციის განსაკუთრებულ შემოქმედებას სახელმწიფოს კონსტიტუციაში რელიგიის სფეროში შეტანილი ცვლილებები იწვევდა, რომლის ძალითაც ერთ ტაძარში ორი განსხვავებული კონფესიის წარმომადგენლებს შეეძოთ მორიგეობით აღესრულებინათ წესთმსახურება. აღნიშნულის საფუძველს პრესლოვუდის 1993 წლის შეთანხმების პუნქტები იძლეოდა, რომელსაც იმჟამად ხელი მოაწერა კანონიკური ეკლესიის იერარქებმა. ხსენებულ ფაქტებზე მოსკოვი შემდეგნაირად რეაგირებდა: „Подобное решение депутатов Верховной Рады не только не учитывает канонического аспекта данной проблемы, но способно породить множество новых конфликтов на религиозной почве“.

მოსკოვის საპატრიარქოს მხრიდან უამე-ის იერარქთა გადამხრების ფაქტებმა საკმაოდ იმატა. მიუხედავად იმისა, რომ განხეთქილების მონაწილეთა რუსული ეკლესიის წიაღში (ლონო Матери Церкви) დაბრუნება. ერთი ნაწილისთვის ამალეღვებელი და სასიხარულო განცდა იყო, მეორენი თვლიდნენ, რომ „გაერთიანება“ მძიმე შედეგებს მოუტანდა იმ იერარქებს, რომლებიც საეკლესიო კანონების წინააღმდეგ წავიდა და განხეთქილება შეიტანა ერთიან რუსულ ეკლესიაში“. ამავდროულად, ოდესისა და იზმაილის არქიეპისკოპოსი აგათანგელი აცხადებდა, რომ მის ეპარქიაში არ მოიძებნებოდა ავტოკეფალიის არც ერთი მხარდამჭერი მრევლი. უმე-ის იერარქთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ დედა-ეკლესიის წიაღში (რუსულ ეკლესიაში მ.ბ.) დაბრუნება შეეძლო მხოლოდ იმ იერარქებს, რომლებიც ეკლესიის წინაშე მოინანიებდა განხეთქილებაში წასვლას.

სანამ საუბარი მიმდინარეობდა მოსალოდნელი გაერთიანების შედეგებზე, მოულოდნელად უამე-ის პატრიარქმა დიმიტრი იარემამ ისტორიისა და რელიგიის მუზეუმში საზოგადოებრიობასთან შეხვედრისას (1995 წ.) განაცხადა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი (უამ) ეკლესიის გაერთიანება უმე-თან შესაძლებელი იყო მხოლოდ ავტოკეფალიის პირობით. მან ასევე განაცხადა, რომ „Пока я буду Патриархом, кикого пакаяния перед Москвой не будет, Речь может идти только о независимой поместной Украинской Церкви“.

უამე-ის პატრიარქი მიიჩნევდა, რომ მონაწილების გამოთქმას ისეთივე ცუდი შედეგების გამოღება შეეძლო, როგორც ოდესლაც პერეიასლავის რადამ მოუტანა უკრაინის ტრადიციულ ეკლესიას. ამავდროულად, დ. იარემამ ასევე განაცხადა, რომ სანამ უმე-კიევის

საპატრიარქოს ფილარეტი ედგა სათავეში, მანამ რაიმე სახის დიალოგზე საუბარი ნაადრევი უნდა ყოფილიყო. ასევე აუხსნა მან საზოგადოებას, რომ თავად ის და ყოფილი პატრიარქი ვ. რომანიუკი გეგმავდნენ ერთ კონფესიად გაერთიანებას, მაგრამ მისმა უეცარმა გარდაცვალებამ ეს გეგმები ჩაშალა, იარემას საზოგადოებისათვის არც ის არ დაუმაღავს, რომ ორივე შემოხსენებული მაღალი იერარქი (იარემა და რომენიუკი) მზად იყვნენ უარი ეთქვათ პატრიარქობის პატივზე თუკი ეს გაერთიანება შედეგობდა.

დ.იარემას ზემოთმოტანილი გამონათქვამი იმთავითვე, აიტაცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. ოპონენტები კი შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით დაახლოებით ასეთ განმარტებას იძლეოდნენ: „Возможно, Ярема стал бояться потерять популярность у своих по прежнему националистически настроенных земляков – галичан, которым диалог с «москалями» из УПЦ был не слишком приятен. Но самым вероятным представляется предположение о том, что опереточный кукол «патриархата Киевского» оказался престарелому раскольнику дороже православного единства украинского народа, о котором он столь печется на словах“.

ორ კონფესიას შორის დაწყებულმა დიალოგმა ნაყოფი ვერ გამოიღო. ურთიერთშორის კონტაქტებმაც თანდათანობით მდარე ხასიათი შეიძინა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ავტოკეფალისტთა პოზიციებში (გაერთიანებასთან დაკავშირებით მ.ბ.) შეინიშნება 1996 წლის მარტიდან. აღნიშნული მოვლენა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული აღმოჩნდა მოსკოვსა და კონტანტინეპოლის სპატრიარქოს შორის ევხარისტული კავშირის დროებით განწყვეტასთან. ორივე საეკლესიო ორგანიზაცია (უამე და უმე—კიევის საპატრიარქო მ.ბ.) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეეცადა შექმნილი სიტუაცია სრული ავტოკეფალიის მოპოვებისთვის გამოეყენებია.

ამდენად, 1996 წ. 18 მარტს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კიევის სპატრიარქოს წარმომადგენლებმა სინოდის სხდომაზე განაცხადეს, რომ მოსკოვსა და კიევის საპატრიარქოს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, თავისთავად იმოქმედებდა უკრაინაში მოსკოვის სპატრიარქოზე დაქვემდებარებულ რუსულ ეკლესიაზე, რომელსაც ვ. საბოდანი ედგა სათავეში. ეს უკანასკნელნი თვლიდნენ, რომ ორი საპატრიარქოს (მოსკოვის და კონსტანტინოპოლის მ.ბ.) დაპირისპირების შედეგად უკრაინის რუსულ საეკლესიო ორგანიზაციას ბუნებრივად გაუჩნდებოდა მოსკოვზე

დაქვემდებარების დამლუპველი განცდა და შეეცდებოდა თვითონ წმოსულიყო (გაერთიანების თვალსაზრისით) მოლაპარაკებაზე. და თუ ეს მოხდებოდა, შედარებით ადვილი გახდებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხრიდან ავტოკეფალიის მოპოვება.

ამ მიმართულებით საგულისხმოა 24-25 მარტს ღამით კიევ-პიჩორის ლავრის კედლებზე გაკრული პროკლამაციების შინაარსი, რომლის მიხედვითაც მოსკოვსა და კონსტანტინოპოლს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება უმე-კიევის საპატრიარქოს მხრიდან კვალიფიცირდებოდა როგორც გაერთიანების დასაწყისი, მხოლოდ ამ უკანასკნელთან, კიევის სპატრიარქოსთან.

მოსკოვსა და კონსტანტინოპოლს შორის ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ საბაბი მისცა მოსკოვის სპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ სამღვდლოების გარკვეულ ნაწილს გამოსულიყვენენ ხსენებული ორგანიზაციის იურისდიქციიდან, ხოლო მათი ეპისკოპოსების ხელახალი ხელდასხმა მოხდა პატრიარქ ფილარტის მიერ.

აღნიშნული მოვლენა მოსკოვის მხრიდან შეფასებულ იქნა, როგორც „რუსულ ეკლესიაზე მიყენებული სტანისეული ქმედება“ და მოემზადა ფილარეტისთვის საეკლესიო სასჯელის გამოსატანად.

1997 წლის თებერვალში შედგა რუსეთის ეპისკოპოსთა კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ფილარეტის ანათემაზე გადაცემასთან დაკავშირებით. ასეთივე განაჩენი იქნა გამოტანილი მოსკოვის საპატრიარქოდან კიევის საპატრიარქოში გადასულ გლეხ იაკუნინის მიმართ.

ამრიგად, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მხრიდან გატარებული მთელი რიგი დამსჯელი ქმედებების მიუხედავად კიევის საპატრიარქომ მოახერხა უკრაინის სახელმწიფოს შიგნით საეკლესიო ორგანიზაციად ჩამოყალიბება. მართალია, იგი ჯერ-ჯერობით არ არის აღიარებული სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ, მაგრამ ავტოკეფალიისთვის მიმართული ბრძოლა აშკარად მიანიშნებს მასზედ, რომ მსოფლიო ეკლესია უეჭველად გაუწევს ანგარიშს უკრაინელ მართლმადიდებლებს ამ სანუკვარი ოცნების აღსასრულებლად.

XX საუკუნის დასაწყისიდან მთელ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მიმდინარე საერთო დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობისა და უკრაინაში წამოწყებულ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მანძილზე უკიდურესად გამწვავდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების აღორძინებისთვის ძალისხმევა.

უკრაინელმა ერმა საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში გააერთიანა და ერთმანეთთან სისხლხორცეულად დააკავშირა საერო და საეკლესიო საკითხები. ამ მოძრაობას სათავეში ედგა სრულიად უკრაინის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრიობა, სადაც ეკლესიის საკითხში წამყვანი როლი უკრაინელ ეროვნულად განწყობილ სასულიერო ფენას ეკავა.

ნიშანდობლივია, რომ სასულიერო ნაწილი ერთსულოვანი ვერ აღმოჩნდა უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების მოთხოვნაში. აღნიშნულს თავისი გამართლება მოეპოვებოდა პრო-მოსკოვური სამღვდლოება ვერ ეგუებოდა საეკლესიო დამოუკიდებლობისთვის მოთხოვნებს და მხარს უჭერდა უწმინდეს სყნოდს.

რაც შეეხება ეროვნულ სამღვდლოებას მას ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა. პირველ რიგში იდერიებდა კათოლიკურ აგრესიას და მთელი ძალისხმევით იბრძოდა მოსკოვის საპატრიარქოდან გამოყოფასა და თავისთავადობის (თვითმონესეობისთვის) მოპოვებისთვის.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მეფის ხელისუფლება დაამხო, ხელისუფლების სათავეში კი დროებითი მთავრობა მოვიდა. „ახალი რუსეთის“ პოლიტიკა არ ითვალისწინებდა ცარიზმის დროინდელი საზღვრების შეზღუდვას; უკრაინას და საქართველოსაც (დასახელებული ორივე ქვეყანა ამ პერიოდისთვის ერთდროულად იბრძოდა ავტოკეფალიისთვის მ.ბ.) თავის კუთვნილ ნაწილად მოიაზრებდა და ცდილობდა თავისი უფლებების ახლებური მეთოდებით შენარჩუნებას. თუმცა ამ მიმართულებით ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. ამ შემთხვევაში იმპერიის რღვევის სათავეებთან უკრაინისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები აღმოჩნდნენ, რომელთაგან ერთს (საქართველოს) რუსეთის სინოდისგან გაუქმე-

ბული (1811წ.) ავტოკეფალიის აღდგენის სურვილი გაუჩნდა, ხოლო მეორეს (უკრაინას) მოსკოვის საპატრიარქოდან გამოყოფა და დამოუკიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიად ჩამოყალიბება. ორივე ეკლესიის ავტოკეფალისტთა მოძრაობა იდეურად დაკავშირებული იყო ხსენებულ ქვეყანათა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან. ამდენად, ავტოკეფალიისთვის ბრძოლის შესწავლას იმთავითვე მივყავართ უკრაინისა და საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შესწავლის აუცილებლობასთან, რომლის ქვეშაც მოცემულ შემთხვევაში მოიაზრება კულტურული, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პროცესების ერთობლიობა, მიმართული უკრაინელი და ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების მოპოვებასთან.

უკრაინის ეკლესიამ ავტოკეფალიისთვის ბრძოლის განსხვავებული ევოლუციური გზა განვლო. ამ შემთხვევაშიც წამყვანი ადგილი დაიკავა უკრაინის იმ გეო-სტრატეგიულმა მდებარეობამ, რომელიც მას სამყაროში გააჩნდა, სწორედ ამან განსაზღვრა უკრაინის სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ სივრცეში მოხვედრა. იგი ხან შუა საუკუნეების რეჩპოს პოლიტას სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო, ხანაც რუსეთის დიდი იმპერიის საზღვრებში შემავალი გუბერნია.

ბუნებრივია, ყოველ ქვეყანას უკრაინაზე გაბატონების გრანტად ტრადიციული სარწმუნოება და ეკლესია მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ დასავლეთ ევროპა თავად შიგნით დაპირისპირებული ორი ეკლესიით (კათოლიკური და პროტესტანტული) ერთნაირად ცდილობდა უკრაინაში ხანაც კათოლიკური, ხანაც პროტესტანტული მიმართულების დანერგვას. უკრაინა დასავლეთ-კათოლიკურ-პროტესტანტული და რუსული მართლმადიდებლობის შეჯახების პოლიგონად იქცა. ეს ბრძოლა მთელი განვითარებული შუასაუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება.

აღნიშნულით იყო განპირობებული, რომ საბჭოთა წყობილების პოლიტიკურ კურსში XX ს-ის 20-30-იან წლებში ერთ-ერთ მთავარ საკითხად საეკლესიო პრობლემა იქცა. საბჭოთა იდეოლოგიაში მოცემულმა საკითხმა ევოლუციის მკვეთრად განსხვავებული ეტაპი განვლო. სათანადო წყაროები ნათელყოფენ, რომ ეს წლები მკაცრი პოლიტიკით ხასიათდება. აღნიშნულის დასტურად და საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან სარწმუნოების სფეროში მატარებელ ღონისძიებათა კლასიკურ მაგალითად უკრაინა განსაკუთრებულ

ხასიათს იძენს და კვლევის თავისებურებითაც მეტად ორიგინალურად გამოიყურება.

პოლიტიკურ-სარწმუნოებრივად უკრაინის „ახალი რუსეთის“ სისტემაში შემომტკიცებისთვის ბრძოლის პირველი ეტაპი ოქტომბრის გადატრიალებისთანავე დაიწყო და იგი რუსეთ-უკრაინის ომში (1918წ.) გამოვლინდა. ამ პერიოდში საბჭოთა რუსეთისა და გერმანიის ინტერესები უკრაინაში გადაიკვეთა და იმ ეტაპზე (1918წ.) გერმანიამ მთელი უკრაინის ოკუპაცია მოახდინა. სახელმწიფოებრივი და ეკლესიური დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი უკრაინელებისთვის ორივე ქვეყნის (გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის მ.ბ.) უღელი და მათგან „შეთავაზებული“ ცივილიზაცია მიუღებელი იყო. ამით იყო განპირობებული უკრაინელების ბრძოლა XX ს-ის 20-30-იან წლებში, როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის.

ხსენებულ პერიოდში პოლიტიკური მოსაზრებით უკრაინა სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ გაერთიანებათა ინტერესში გაეხვია. მისი ფლობისთვის პრეტენზიას გამოთქვამდა საბჭოთა რუსეთი, თეთრი რუსეთი (დენიკინელები) პოლონეთი, რუმინეთი და სხვები. სისხლიანმა ბრძოლებმა მოიცვა მთელი უკრაინა. თითქმის 1923 წლამდე შეუნელებლივ მიდიოდა ხსენებული პროცესები.

საბჭოთა ხელისუფლება (ლენინი) იძულებული გახდა, წასულიყო კოპრომისზე და თანხმობა განეცხადებინა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიასა და უკრაინიზაციაზე.

უკრაინიზაციამ იმ ეტაპზე განაპირობა კულტურისა და მეცნიერების სწრაფი წინსვლა. ემიგრაციიდან დაბრუნდნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები.

პატრიოტიზმის აშკარა გამოვლინების ინიციატორი იმთავითვე გახდა უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია.

როგორც აღნიშნეთ ლენინი იმ ეტაპზე დათანხმდა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას, რომელსაც სათავეში ვ.ლიპკივსკი ჩაუდგა. აღნიშნული მოვლენა არ ცნო რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა და ამ აქტს ანტიკანონიკური უწოდა.

1925 წლიდან საბჭოთა უკრაინის პრესაში გაჩაღდა პირველი მასობრივი კამპანია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მეცნიერებათა აკადემიის წინააღმდეგ. იმავდროულად, მიმდინარეობდა სასულიერო პირებისა და აკადემიის თანამშრომელთა აგენტურული დამუშავება.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, უკრაინის ეროვნული ეკლესია და ძირითადად ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ფასეულობები ძლიერი მტრის წინაშე აღმოჩნდა, თუ თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდში უკრაინის ეკლესიას, თუმცა მართლმადიდებლური, მაგრამ განსხვავებული ტრადიციების მატარებელი (რუსული მართლმადიდებლური ეკლესია მ.ბ.) ეკლესიასთან ასიმილაცია ემუქრებოდა, საბჭოთა სისტემის მმართველობის ხანაში, საზოგადოდ ეკლესიას ძირეული განადგურების საშიშროება შეექმნა, აღნიშნული კი ბევრად სახიფათო უნდა ყოფილიყო არა, თუ საზოგადოებრივი განვითარებისთვის, არამედ ცალკეული პიროვნების მორალურ ზნეობრივი მდგომარეობისთვისაც რაც ეროვნულობის საბოლოო განადგურებით დასრულდებოდა.

მაღე უკრაინის ავტოკეფალურ ეკლესიაში საბჭოთა ხელისუფლებამ სერიოზული ბზარი შეიტანა. გაჩნდა ჯგუფი, რომელიც დაუპირისპირდა მიტროპოლიტ ლიპკივსკის. საბჭოთა პოზოცოაზე დადგა მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი წარმომადგენელიც.

1927-1928 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ უკრაინის ინტელექტუალურ ოპოზიციას (მართლმადიდებელ ეკლესიას და მეცნიერებათა აკადემიას მ.ბ.) პირველი სერიოზული დარტყმა მიაყენა. განხორციელდა ფართომასშტაბიანი რეპრესიები.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკა ეკლესიის განადგურებისაკენ იყო მიმართული და ეკლესიის კრებულს ეროვნულ საქმიანობაში უკიდურესად ზღუდავდა, ეკლესიის მოღვაწენი თავიანთი არალეგალური საქმიანობით არ წყვეტდნენ კავშირს მრევლთან და მომავლის დიდი იმედითა და რწმენით იღწვოდნენ ერის და ქვეყნის და მისი ეკლესიის საკეთილდღეოდ.

ერთი შეხედვით, ავტოკეფალიის მოპოვებისთვის საუკეთესო პირობები მეორე მსოფლიო ობში უნდა ყოფილიყო.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ობში უკრაინასა და საქართველოს განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. ფაშისტური გერმანიის სამხედრო გეგმაში ორივე ქვეყნისათვის თავისებური სტრატეგია იყო შემუშავებული: საბჭოთა ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ორივე ქვეყნის მოსახლეობაში ანტისაბჭოური მიდრეკილების ლიკვიდაციას და საბჭოური იდეოლოგიის განმტკიცებისათვის სპეციალური მეთოდოლოგიის შემუშავებას, რასაც გარკვეულწილად უნდა გაეადვილებინა ნაციონალ-სოციალისტების კაცთმოძულე რასობრივი იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა. ასეთ ვითარებაში,

საბჭოთა ხელისუფლებამ გონივრული გამოსავალი მოძებნა და მსოფლიო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა აღმართა.

აღნიშნული პოლიტიკის სისრულეში მოყვანისთვის საბჭოთა იმპერიას ძლიერი იდეოლოგი ესაჭიროებოდა, რომელი მართულელებითაც იწყება მისი მიშაობა ობის დაწყების პირველივე წლებიდან.

თუ კომუნისტურმა პარტიამ 20-30-იან წლებში თავად იტვირთა სოციალისტური იდეოლოგიის წარმართვა და ეკლესიას ეს ფუნქცია ჩამოართვა, აღნიშნულმა სამამულო ობის პირობებში მისთვის დაპირისპირებული ხასიათი შეიძინა და მთელი სიმწვავით იდეოლოგიური ფუნქციის დაბრუნება, მისი ამოქმედების აუცილებლობა. ყოველივეს კი შედეგად უნდა მოჰყოლოდა როგორც ცენტრის (რუსეთის მ.ბ.) ასევე, რეგიონალური ეკლესიების უფლებამოსილების აღდგენა.

აცნობებდა რა, ობის პირობებში ეროვნულ (მართლმადიდებელ მ.ბ.) ეკლესიის ადგილს და დანიშნულებას, უმაღლეს საერო ხელისუფლებას ეტაპობრივად უნდა განეხორციელებინა ზემოხსენებულ ქვეყანათა (უკრაინა და საქართველო მ.ბ.) ეკლესიათა რიგი სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანიზაციული საკითხი. ასეთი გზით, საბჭოთა მთავრობას არა თუ გამოეყენებინა ორივე ქვეყნის ეკლესიები სიმშვიდე-წესრიგის გარანტიად, არამედ, მას ჩამოაცნობდა ეროვნული ინტერესებისგან.

აღნიშნულმა პოლიტიკამ მეორე მსოფლიო ობის პერიოდში აჩვენა, რომ უკრაინის ეროვნული ძალები, რომელშიც ბუნებრივია, მოიაზრებოდა სასულიერო წოდება, საბჭოთა კურსს არ აიღებდა. ამით იყო განპირობებული უკრაინელი ავტოკეფალისტების ბრძოლა გარეშე ძალებისა და ემიგრანტული ეკლესიის მხარდაჭერით (1942წ.) აღედგინა ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები და სახელმწიფოებრიობა, რომელი იდეაც იმთავითვე განირული აღმოჩნდა.

დასკვნითი სახით შეიძლება ითქვას, რომ უკრაინისა და საქართველოს ეკლესიების ავტოკეფალიისთვის ბრძოლაში ბევრი საერთოც არის და განსხვავებულიც. საერთოში მოიაზრება საბჭოური ინტერესები და საქართველოს და უკრაინის გეოსტრატეგიული მდებარეობა, რაც შეეხება შედეგებს, შემდგომში განვითარებულმა ისტორიულმა პროცესებმა ერთს (საქართველოს) დადებითი შედეგები მოუტანა (1943 წ. ტერიტორიული ავტოკეფალიის მინიჭება მ.ბ.), მეორეს კი (უკრაინას) ეს უფლება არ მიენიჭა. რაც შე-

ეხება ემიგრანტულ ეკლესიას, საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებამ მეორე მსოფლიო ომში, ე.წ. სოციალისტური ბანაკის შექმნამ, და ამით ფაშისტური იდეოლოგიის მარცხმა, სერიოზული პრობლემები შეუქმნა მას და მის ორგანიზაციულ სტრუქტურასაც. საბჭოურმა საეკლესიო გლობალიზაციის პროექტის ფაქტობრივად განხორციელებამ გაანადგურა სასულიერო ემიგრაციის იდეოლოგია და ჩაახშო რუსული ეკლესიის წიაღში ანტისაბჭოთა მიმდინარეობის აქტიურობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა ხელისუფლებისა და განახლებული რუსული ეკლესიის მიერ განხორციელებული უხეში საეკლესიო პოლიტიკის შედეგებმა XX ს-ის 80-90-იან წლებში თავისებურად იჩინა თავი. უკრაინის მართლმადიდებელმა საზოგადოებამ საუკუნის განმავლობაში მესამეჯერ (1989წ.) წამოიჭრა ავტოკეფალიის საკითხი შემდეგი მოთხოვნებით:

სამართლებრივად ყოფილიყო ცნობილი 1921 წლის კიევის საეკლესიო კრების გადაწყვეტილება უამე-თვის დამოუკიდებლობის მინიჭების ფაქტი. ასევე განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო 1685 წლის აქტი კიევის მიტროპოლიის კონსტანტინოპოლის იურისდიქციიდან მოსკოვში გადატანისა და ბოლშევიკების მიერ 30-40-იან წლებში უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ტოტალური განადგურების ფაქტები.

საზღვარგარეთის (ემიგრანტული მ.ბ.) უკრაინის ავტოკეფალური ეკლესია ძალისხმევას არ იშურებდა ავტოკეფალური მოთხოვნების გასამაგრებლად და მოუწოდებდა მართლმადიდებელ ეკლესიებს მხარი დაეჭირათ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებისთვის.

1990 წლის ბოლოს უკრაინის ემიგრანტული ეკლესიის გააქტიურებათა და ქვეყნის შიგნით ეროვნული ძალების კონსოლიდაციის მეშვეობით ჩამოყალიბდა უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც კანონის ფარგლებში გატარდა რეგისტრაციაში და აირჩია პატრიარქად აშშ-ს მოქალაქე მსტისლავ სკრიპნიკი.

ზემოხსენებული აქტის ძალაში შესვლისთანავე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა გააკეთა განცხადება, რომ სახელმწიფო საზღვრების ცვლილება არ უნდა შეხებოდა ერთიანი საეკლესიო საზღვრების შემადგენლობის დარღვევას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა არ ნიშნავდა მის ცალკეულ ნაწილთა ავტოკეფალიზაციას და სხვა.

აშკარად გამოიკვეთა, რომ რუსეთის ეკლესია უკრაინაში საკუთარი-მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ საეკლესიო ორგანიზაციის ლეგიტიმურობისთვის იბრძოდა.

ამავდროულად, უკრაინის ახალი საერო ხელისუფლება იბრძვის ჩამოყალიბოს ისეთი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს უკრაინის მართლმადიდებლებს და ქვეყანაში განხორციელებს სტაბილურობას და ეროვნულ იდეოლოგიას. ასეთ ორგანიზაციად 1992 წლიდან ყალიბდება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია-კიევის საპატრიარქო, რომლის მეთაურად არჩეულ იქნა კიევის ყოფილი მიტროპოლიტი ფილარეტი.

აღნიშნული მოვლენა მოსკოვის მხრიდან შეფასებული იქნა როგორც რუსულ ეკლესიაზე მიყენებული სატანისეული ქმედება” და მოემზადა ფილარეტისთვის საეკლესიო სასჯელის გამოსატანად.

ამრიგად, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მხრიდან გატარებული მთელი რიგი დამსჯელი ქმედების მიუხედავად კიევის საპატრიარქომ მოახერხა უკრაინის სახელმწიფოს შიგნით საეკლესიო ორგანიზაციად ჩამოყალიბება. მართალია, იგი ჯერ-ჯერობით არ არის აღიარებული სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ, მაგრამ ავტოკეფალიისთვის მიმართული ბრძოლა აშკარად მიანიშნებს მასზე, რომ მსოფლიო ეკლესია უეჭველად გაუწევს ანგარიშს უკრაინელ მართლმადიდებლებს ამ სანუკვარი ოცნების აღსასრულებლად.



**MEDEA BENDELIANI**

**ORTHODOX CHURCH AND POLITICS IN THE UKRAINE  
(Soviet And Post-Soviet Period)**

**Summary**

Since XX century during rising of the common democratic process on the whole territory of Russian empire and in The Ukraine through the started national-liberating battle effort for restoration of national-statehood and autocephalous rights of Ukraine orthodox church extremely aggravated.

Ecclesiastic part was not unanimous in request for awarding with autocephaly the Ukraine Church. Abovementioned had its own justifications. Pro-Moscow priesthood could not agree with requests for independency of church and supported the Holy Synod.

The Ukraine church passed a different way of fighting for autocephaly. In this case the leading place occupied the geo-political disposition of the Ukraine which it had in the universe. Exactly this determined hitting of the Ukraine among the political space of different governments. Sometimes it was included in the structure of Rechpo-Pospolita government of Middle Ages and sometimes it represented the province in the borders of Great empire of Russia.

It is natural that each country considered traditional belief and church as guarantee for supremacy over the Ukraine. That is why the west Europe with two opposing churches (catholic and protestant) tried to establish sometimes protestant and sometimes catholic directions in the Ukraine.

The first level of the battle for inclusion of Ukraine into the system of "new Russia" political-confessionally started with October revolution and it appeared in Russian-Ukraine war (1918). For Ukrainians fighting for governmental and church independence yokes of both countries (Germany and Soviet Russia) and "suggested" civilizations from them were not acceptable.

Since 1923 Soviet government was obliged to compromise and agree with autocephaly of the Ukraine church and Ukrainization but it was temporary.

In 1927-1928 the Soviet government inflicted the first serious hit to the intellectual opposition of the Ukraine (orthodox church and scientific academy). Wide-ranging repressions were executed. Autocephalic church announced self-liquidation under pressure of government but underground working and emigrant church continued perpetual contact to each other.

The best conditions for getting autocephaly had to be in the world War II.

In this case Ukrainian national forces became active. It was clear that mentioned forces would not support the politics of the Soviet Union and in fighting for own governmental and church independence it would base on extra forces. So for the Soviet state power it became important not to let the Ukrainian autocephalists contact with extra forces and prevent their common effort (aggression) directed against The Soviet government.

In this direction appropriate Soviet services executed purges purposefully who based on strange forces in 1942 announced the autocephaly of the Ukraine church. In 90-ies of XX century in conditions of current reconstruction started again fighting for autocephalic and governmental independence. Mentioned events were connected with political processes. In 90-ies on the territory of the Ukraine three orthodox churches independent from each other were established: autocephalic orthodox church of the Ukraine; orthodox church of the Ukraine-Moscow patriarchate and orthodox church of the Ukraine-Kiev patriarchate. Since then the last patriarchate of the Ukraine till today fights for acceptance from Constantinople and Russian churches.

1. А.А. Что такое «Украинская автокефальная церковь»? // Православная Русь. – 1976. - №6 (1079). – С. 8-10.
2. Августин, Архиепископ Львовский и Галицкий. Церковная жизнь на территории оккупированной Украины в годы Великой Отечественной войны // Материалы церковно-общественной конференции «За други своя: Русская Православная церковь и Великая Отечественная война». – М.: Издательский Совет Русской Православной Церкви, 2005. – С. 96-103.
3. Акт об отлучении от Церкви монаха Филарета (Денисенко) // Православный церковный календарь на 1998 г. – Киев, 1997. – С. 154.
4. ბენდელიანი მ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX ს-ის 30-40-იან წლებში. თბ., 2000 წ.
5. В середине ноября начнутся переговоры об объединении двух ветвей Православия на Украине // Метафразис. – 1995. №14. – 2-8 ноября.
6. Ваврик В.Р. Справка о русском движении на Галицкой Руси, с библиографией на 1929 год. – Львов, 1930. – 16 С.
7. Васильева О.Ю. Проблемы прозелитизма в России Конца XX века // Исторический вестник. – 2000. - №9-10.
8. Визит Святейшего Патриарха Московского и всея Руси Алексия II на Украине // Журнал Московский Патриархии. – 1990. №12. – С. 14-18.
9. Владимир, митрополит Киевский и всей Украины. Поместная Церковь на Украине уже существует // Церковный вестник. Официальное издание Русской Православной Церкви. – 2003. №13-14. (314-315). – С. 7.
10. Внуков А. О русском движении в Галиции (1848-1939 гг). // Православная Москва. – 1996. - №6 (66).
11. Вопрос о предании анафеме Филарета Денисенко будет рассмотрен на ближайшем Архиерейском Соборе Русской Православной Церкви // Благовест-Инфо – 1996. №28-29. – 2-15 Апреля. – С.3.
12. Вопросы, касающийся диалога с УАПЦ, рассмотрел Священный Синод Украинской Православной Церкви Московского Патриархата // Метафразис. – 1995. №17. 22-29 ноября.
13. Второе софийске побоище // Киевские ведомости. 1995. – 27 июля.

14. Гавриленко З. Первый Собор Украинской Православной Церкви // Журнал Московский Патриархии. – 1991. №2. – С.7-10.
15. Грамота Алексия Второго, Божией милостию Патриарха Московского и всея Руси, митрополиту Киевскому и всея Украины Филарету // Журнал Московский Патриархии. – 1991. №2. С.11.
16. Григоренко А. Уния в истории Украины – Руси. – Новосибирск: Паритет, 1991. – 105 С.
17. Даниленко С.Т. Униаты. – М.: Политиздат, 1973. - 222 С.
18. Два владыки, одна паства // Киевские Новости. 1992. – 21 июня.
19. Добровольский М. Положение церковных дел на Украине // Вестник Русского Студенческого Христианского Движения – Париж – Нью-Йорк. – 1992. №165. – С.238-247.
20. Драбинко А. Православие в постсталинской Украине (вехи истории). – Киев: Издание Свято-Успенской Киево-Печерской Лавры, 2002, - 287 С.
21. Епархии украинских самочинных церковных объединений («автокефалисты», «самосвяты», другие сепаратистские и националистические течения) // Феодосий (Процюк), Митрополит. Обновленческое движение в Православной Церкви на Украине. – М.: Издательство Крутицкого подворья; Общество любителей церковной истории, 2004. – С. 513-516.
22. Западная Украина: Время смут, время раскалов // Православная Русь – 1992. - №11. – С.3-5.
23. Заявление епископата Украинской Православной Церкви // Журнал Московской Патриархии. Официальная часть. – 1992. - №8, С. VIII-IX.
24. Заявление Священного Синода Московского Патриархата в связи с выходом католиков восточного обряда из четырехсторонней Комиссии по урегулированию отношений между православными и католиками восточного обряда в Западных областях Украины и по поводу решения Львовского городского Совета народных депутатов от 6 апреля 1990 года. // Журнал Московской Патриархии. – 1990. - №7. – С.14-15.
25. Исиченко Ю. Судьба Украинской автокефальной церкви. // Религия и демократия: Сб. статей под общей редакцией С. Филатова и Д. Фурмана. – М., 1993. – С. 385-413.
26. К истории автокефального и филаретовского расколов: Статьи

свидетельства, документы / Под общей редакцией В.С. Анисимова – Киев, 2002.

27. К церковной ситуации на Украине // Журнал Московской Патриархии. Официальная часть. – 1992. №9. С. VIII-IX.

28. К церковному положению на Украине // Православная Русь – 1994. №22. – С. 15.

29. Киевский Патриархат Филарета (Денисенко) надеется, что Константинополь будет способствовать созданию на Украине единой поместной церкви // Благовест – Инфо. – 1996. №26. 19-25 марта.

30. Комаров Е. «Самостийность», «незалежность» и автокефалия. Заметки с Западной Украины и с межрелигиозного форума, проходившего в Киеве 20-21 ноября 1991 года // Журнал Московской Патриархии. 1992. - №3. С. 7-13.

31. Круг П. Все против всех. Религиозные отношения на Украине стремительно политизируются перед выборами // НГ Религии – 2006. №5 (177). – 15 марта.

32. Митрохин Н.А. Русская Православная Церковь и греко-католики на Западной Украине // Отечественные записки. – 2002. №7.

33. Недзельницкий И., протоиерей. Галицкие и угорские русские в Соединенных Штатах Северной Америки. – Одесса, 1913.

34. Новые епископы УПЦ КП // Бюллетень Центра религиозной информации. – 1996. №6 (17). – 16-30 апреля.

35. О положении общин Украинской Православной Церкви в Ивано-Франковске и Тернополе // Журнал Московской Патриархии. – 1991. №4. С. 6-7.

36. Отклики Предстоятелей Поместных Православных Церквей на избрание Митрополита Киевского и всея Украины Владимира // Журнал Московской Патриархии. Официальная часть. – 1992. №9. С. VII-VIII.

37. Патриарх Украинской Автокефальной Православной Церкви Димитрий (Ярема): Украинская Православная Церковь должна быть только независимой // Метафразис. – 1995. №17. 22-29 ноября.

38. პავლიაშვილი ქ. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესია (1800-1945 წწ.) თბ., 2008 წ.

39. Петрушко В.И. Автокефалистские расколы на Украине в постсоветский период (1989-1997). – М.: Свято-Тихоновский Православный богословский институт, 1998. – 254 С.

40. Петрушко В.И. Ересь Филитизма. Заметки по истории церковных расколов на Украине // Православная беседа – 1995. №2. С. 37-40.

41. Петрушко В.И. И свет во тьме светит, и тьма не объяла его // Православная Мостква. – 1996. №6.

42. Православный храм во Львове // Церковные ведомости. Прибавления. – СПб. 1898. №50. С. 1950-1951.

43. Феодосий (Процюк), Митрополит. Обновленческое движение в Православной Церкви на Украине. – М.: Издательство Крутицкого подворья; Общество любителей церковной истории, 2004. – 639 С.

44. Фотиев К.В., Протоиерей. Попытка Украинской Церковной автокефалии в XX в. // Православная Церковь в на Украине и в Польше в XX столетии. 1917 – 1950. Сборник. – М.: Крутицкое патриаршее подворье; Общество любителей церковной истории, 1997. С. 7-85.

45. Ярославский В. Нужна ли нам независимая Церковь? // Новое время. – 1995. №11.

სარჩევი

შესავალი .....3

**I კარი**

**უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია**

**XX ს-ის დასაწყისში.....7**

**I თავი**

უკრაინის ავტოკეფალისტების ბრძოლა საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის და ბოლშევიკების სახელმწიფოს სარწმუნოებრივი პოლიტიკა (XX ს-ის 20-30-იანი წლები) .....7

**II თავი**

ავტოკეფალიისთვის ბრძოლის თავისებურებანი უკრაინისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიათა მაგალითზე (1917-1930 წ.წ.).....22

**III თავი**

საბჭოური სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ემიგრანტული რუსული ეკლესია.....32

**II კარი**

**უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია**

**მეორე მსოფლიო ომის პერიოდში .....48**

**I თავი**

საბჭოური წყობილების სარწმუნოებრივი პოლიტიკა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია მეორე მსოფლიო ომის წინ .....48

**II თავი**

უკრაინისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების ავტოკეფალიის საკითხი საბჭოთა წყობის სისტემაში (1941-1945 წლები) .....57

**კარი III**

**უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია**

**პოსტსაბჭოთა პერიოდში .....74**

**I თავი**

უკრაინელი საზოგადოებისა და სამღვდლოების ბრძოლა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის XX ს-ის 80-90- იან წლებში .....74

**II თავი**

ავტოკეფალური განხეთქილებანი უკრაინაში პოსტსაბჭოთა პერიოდში.(1989-1997წ.წ.)..... 103

**III თავი**

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის, - კიევის საპატრიარქოს სტრუქტურული ორგანიზაცია ..... 121

დასკვნა ..... 137

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)..... 144

ბიბლიოგრაფია ..... 146

**მედეა ბენდელიანი**  
**მართლმადიდებელი ეკლესია და**  
**პოლიტიკა უკრაინაში**  
(საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქა)

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.  
☎ 39-15-22  
E-mail: [davideku1@mail.ru](mailto:davideku1@mail.ru)